

ბიორბი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული
ხელოვნების ისტორიისა და კვლელთა დაცვის
ეროვნული კვლევითი ცენტრი

2021 წელს განხორციელებული
სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის

ანგარიში



გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი დაარსდა 2005 წელს 12 დეკემბერს, საქართველოს პრეზიდენტის 1038 ბრძანებულების საფუძველზე. ცენტრი არის ქართული ხელოვნების ისტორიის კვლევითი ინსტიტუტის სამართალმემკვიდრე, რომელიც თავის მხრივ დაარსდა 1941წ.

2008 წლის 24 სექტემბერს დამტკიცდა გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის დებულება, რომელშიც განსაზღვრულია ცენტრის სტრუქტურა, მიზნები და ფუნქციები.

ცენტრს ხელმძღვანელობს **დირექტორი** - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი **თამარ ბელაშვილი**.

სამეცნიერო მუშაობას წარმართავს **სამეცნიერო საბჭო** 26 მეცნიერის შემადგენლობით.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელია

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი **მზია ჯანჯალია**.

ცენტრის სტრუქტურა:

სამეცნიერო ნაწილი - ორი განყოფილება:

- **ძველი და შუა საუკუნეების ხელოვნების განყოფილება** (განყოფილების გამგე - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი **დავით ხოშტარია**)

- **ახალი და თანამედროვე ხელოვნების განყოფილება** (განყოფილების გამგე - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი **მარინა გაჩეჩილაძე**)

- **არქივი და ბიბლიოთეკა** (გამგე - **გურამ ჟღენტი**)

- **მატერიალური კულტურის ძეგლთა აღწერილობის განყოფილება**

(ხელმძღვანელი - **თამაზ დვალი**)

- **სერგო ქობულაძის სახ. ხელოვნების ძეგლთა ფოტოფიქსაციის ლაბორატორია** (გამგე - **მარინა ფანცხავა**)

ცენტრის ფუნქციები:

ქართული ხელოვნების (ძველი, ახალი და თანამედროვე ხელოვნების), საქართველოსა თუ მის ფარგლებს გარეთ შექმნილი მხატვრული ნაწარმოებების შესწავლა, ფუნდამენტური მეცნიერული კვლევა; მისი პოპულარიზაცია, სამეცნიერო და საზოგადოებრივი პროექტების დაგეგმვა-განხორციელება, საგამომცემლო საქმიანობა. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა საკონსერვაციო პროგრამების შემუშავება და განხორციელებული პროექტების ექსპერტიზა; ძეგლების ფოტოფიქსაცია; საგანმანათლებლო საქმიანობა; კვლევითი და საკონსერვაციო მეთოდოლოგიის შემუშავება; რეკომენდაციები კულტურის პოლიტიკის მიმართულებით.

- ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის კვლევები ხელოვნების ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით;
- ძველი, ახალი და თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაცია (სამეცნიერო და პოპულარული გამოცემები, გამოფენები, ვებ-გვერდები, ტურისტულ-საინფორმაციო გამოცემები და სხვ.);
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებისა და სრულყოფისათვის მეცნიერულად დასაბუთებული თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება;
- ძველი, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ობიექტების ფიქსაცია და ინვენტარიზაცია (მოდრავი და უმდრავი ძეგლების პასპორტების შედგენა), კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ინფორმაციისა და დოკუმენტაციის დიგიტალიზაცია, დაკომპლექტება და არქივირება;
- ხელოვნების ნაწარმოებთა ფასეულობების (ობიექტების) ექსპერტიზა მათი მხატვრული ღირებულებების დადგენის მიზნით;
- კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების (როგორც მოძრავი, ასევე უძრავი) სარესტავრაციო-საკონსერვაციო პროექტებისა და მათი განხორციელების სამუშაოების ექსპერტიზა და მონიტორინგი.
- სასწავლო და საგანმანათლებლო პროცესებში მონაწილეობა (საშუალო სკოლა, უმაღლესი სასწავლებლები - საბაკალავრო და სამაგისტრო კურსები);
- კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ნაწარმოებების ფოტოფიქსაცია, დოკუმენტირება, არქივირება და სხვ.
- საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო შეკრებების მოწყობა და მონაწილეობა საქართველოში და საზღვარგარეთ;
- გ. ჩუბინაშვილის ცენტრთან არსებული ს. ქობულაძის სახ. ძეგლთა ფიქსაციის ფოტო-ლაბორატორია აწარმოებს ძეგლთა, ახალი და თანამედროვე ქართული ხელოვნების ნაწარმოებთა ფოტოფიქსაციასა და დიგიტალიზაციას. ლაბორატორიაში ინახება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ნაწარმოებთა უნიკალური ფოტო-ასახულობანი (სლაიდები, დიგიტალური გამოსახულებანი).

2021 წელს ცენტრის სამეცნიერო საქმიანობა წარიმართა შემდეგი მიმართულებებით:

1. წინაქრისტიანული ხანის ხელოვნება;
2. შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრება;
3. შუა საუკუნეების ქვის პლასტიკა და ლითონმქანდაკეობა;
4. შუა საუკუნეების კედლის მხატვრობა;
5. შუა საუკუნეების ხელნაწერთა გაფორმება;
6. შუა საუკუნეების ხატწერა და მინაქარი;
7. პატრონაჟი, კულტი და ხელოვნება;
8. კულტურათმშორისი დიალოგი;
9. ახალი და თანამედროვე სახვითი ხელოვნება;
10. ქართული სცენოგრაფია;
11. ახალი და თანამედროვე ქართული არქიტექტურა;
12. ქართული ფოტოხელოვნება;
13. საარქივო მასალის დამუშავება და კვლევა;
14. კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაცია-რესტავრაცია: კვლევა, შეფასება, მონიტორინგი;
15. მთარგმნელობითი და საგამომცემლო საქმიანობა;
16. ხელოვნებისა და სახელოვნებო სამეცნიერო კვლევების პოპულარიზაცია.

2021 წელს გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნულმა კვლევითმა ცენტრმა შეასრულა პროგრამული ვალდებულებები, როგორც სამეცნიერო კვლევის, ისე კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციისა და დაცვის მიმართულებით.

2021 წელს ცენტრის თანამშრომელთა მიერ, პროგრამული დაფინანსების ფარგლებში, დამუშავდა 55 სამეცნიერო თემა; გამოქვეყნდა 37 სამეცნიერო სტატია, მათ შორის 12 უცხოურ რეფერირებად ჟურნალებსა თუ კრებულებში; გამოიცა 4 მონოგრაფია და 1 სახელმძღვანელო; კონფერენციებზე წარდგენილი იქნა 38 მოხსენება, მათ შორის 9 უცხოეთში; ცენტრის თანამშრომლები მონაწილეობდნენ რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ 13, კულტურის სამინისტროს მიერ დაფინანსებულ 2, 50-ზე მეტ სარესტავრაციო-საკონსერვაციო და უცხოური გრანტით დაფინანსებულ 4 პროექტში. ცენტრმა გამართა 3 კონფერენცია, მათ შორის 1 საერთაშორისო; სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა ცენტრის 23 თანამშრომელი, სხვადასხვა სარედაქციო, სამეცნიერო და სადისერტაციო საბჭოების საქმიანობაში მონაწილეობს 23 თანამშრომელი. ცენტრი ამზადებს და გამოსცემს 2 პერიოდულ ჟურნალს: „საქართველოს სიძველენი“ და **Ars Georgica** სერია B (georgianart.ge ელექტრონული გამოცემა).

ძველი და შუა საუკუნეების ხელოვნების განყოფილება

დავით ხოშტარია

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

6.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1)ავტორი/ავტორები

დავით ხოშტარია

2) სტატიის სათაური, ISSN

**სპარსელი მშენებელი ოსტატები XIX საუკუნის საქართველოში
ISSN 1512-1321**

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

საქართველოს სიძველენი, # 23

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

თბილისი, გიორგი ჩუბინაშვილის ცენტრი

5) გვერდების რაოდენობა

19 გვერდი

ვრცელი ანოტაცია

საქართველოში XIX საუკუნეში მომუშავე მშენებელთა მეორე დიდ ჯგუფს შეადგენდნენ ირანელები. განსხვავებით ბერძენი ხუროებისაგან, რომლებიც ქვით აგებდნენ, ისინი ცნობილი იყვნენ, როგორც აგურით შენების აღიარებული ოსტატები. ისინი იყენებდნენ ირანული არქიტექტურის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციიდან მომდინარე სპეციალურ დულაბს თაბაშირის მაღალი შემცველობით, რაც მათ შენობებს გამორჩეულ ხარისხსა და სიმტკიცეს ანიჭებდა. ირანელები ჩაბმული იყვნენ აგურის წარმოებაშიც.

აღმოსავლეთ საქართველოში (პირველ რიგში თბილისში) ირანელები დიდი რაოდენობით აგებდნენ საცხოვრებელ სახლებს, ქარვასლებს და საზოგადოებრივ თუ ადმინისტრაციულ შენობებს. თანამედროვეთა ცნობებით, 1870-იან წლებამდე თბილისის სახლების უმეტესობა მათი ნახელავი იყო. საეკლესიო მშენებლობაში ირანელები, როგორც ჩანს, არ მონაწილეობდნენ.

ირანელი ოსტატების საქმიანობის მეორე სფერო ინტერიერების გაფორმება იყო. მოთხოვნილება ე. წ. „აღმოსავლურ ინტერიერებზე“ XIX საუკუნის საქართველოში საკმაოდ დიდი იყო. მათ დამკვეთებს შორის იყვნენ მოხელეები, მდიდარი ვაჭრები, წარჩინებულები და თვით რუსეთის საიმპერატორო ოჯახის წევრებიც. ირანელ ოსტატები ინტერიერებს ყაჯარული დეკორატიული ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ელემენტებით - ფერადი მინით, სარკეებით, სტუკოს ორნამენტებითა და მუკარნასით ამკობდნენ. მათი ხელობის მაღიან კარგი ნიმუშები შემოინახა არშაკუნის სასახლეში თბილისში (ახლანდელი სამხატვრო აკადემია). აქ რამდენიმე მდიდრულად გაფორმებული დარბაზია, რომელთა კედლებს მთლიანად ფარავს სტუკოს ჩუქურთმები და აქა-იქ ჩართული ფერწერული პანოები. სარკეებით, ფერადი მინით, სტუკოს ორნამენტებითა და სტალაქტიტებით შემკული „სპარსული დარბაზი“ იყო მეფისნაცვლის სასახლეში (ახლანდელი მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე). თბილისის გარეთ დამახასიათებელი მაგალითია თარხნიშვილთა სასახლე ქართლის ახალქალაქში.

XIX საუკუნის მიწურულს საქართველოში, როგორც ჩანს, ხელობის კარგად მცოდნე ირანელი დეკორატორები უკვე აღარ იყვნენ. როდესაც ირანის კონსულმა მირზა რეზა ხან არფა' ად-დოულემ 1892 წელს ბორჯომში სასტუმრო „ფირუზე“ ააშენა, მის გასაფორმებლად ოსტატები ბაქოდან და ყაზვინიდან ჩამოიყვანა. პირველი მათგანის ვინაობა არ ვიცით, მეორის სახელი - მირზა მოჰამად ნაყაშ-ე ყაზვინი („ყაზვინელი მხატვარი მირზა მოჰამადი“) - იხსენიება სარკეებით ინკრუსტირებული ღრმა აივნის შუაში დატანილ წარწერაში. ეს ოსტატი მუშაობდა იმავე მირზა რეზა ხანის ინიციატივითა და სახსრებით 1892 ან 1893 წელს რეკონსტრუირებული „აღმასის სასახლის“ (ირანის საკონსულოს შენობა თბილისში, ახლანდელი ჭონქაძის ქ. №11 საცხოვრებელი სახლი) დეკორზეც.

ირანელი ხელოსნები ასევე დასაქმებულნი იყვნენ ქვაფენილების მოწყობასა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობაზე.

7. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

7.3. კრებულები

1) ავტორები

დავით ხოშტარია

Builders of the Churches of Tao-Klarjeti (ტაო-კლარჯეთის ეკლესიათა მშენებლები)

კიდეც 8 ავტორი

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

The Georgian Kingdom and Georgian Art: Cultural Encounters in Anatolia in Medieval Period

(ირინე გივიაშვილი და ფეიზა აქდერი - რედაქტორები)

ISBN 978-605-7685-73-5

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

Ankara, Koç University Press, 2021

სტატიის ვრცელი ანოტაცია

ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრება არის დიდი კულტურული ფენომენი, რომელიც მოიცავს მაღალი მხატვრული თუ ტექნიკური ღირებულების მრავალ ნაგებობას. ჩვენ ცოტა რამ ვიცით მათი მშენებლების მომზადებისა თუ პროფესიული ორგანიზაციის შესახებ. როგორც ჩანს, მათ შორის იყვნენ როგორც საერო, ისე სასულიერო პირები. X- XI საუკუნეების საქართველოში მშენებელ ოსტატთა სოციალური სტატუსი უფრო მაღალი იყო, ვიდრე ბიზანტიაში, რასაც მოწმობს წარწერები, რომლებშიც ისინი მეფეების, კათალიკოსებისა და ეპისკოპოსების გვერდით არიან მოხსენიებულნი.

მშენებელთა მოძრაობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ანატოლიასა და კავკასიაში არქიტექტურული დიზაინის და სამშენებლო ტექნიკის ურთიერთგაცვლის პროცესში. 980-იან წლებში, როდესაც გაერთიანებული საქართველოს სამეფო კარი ბანადან ქუთაისში გადავიდა, მათ გაჰყვა მშენებელ ოსტატთა სამეფო არტელებიც. ტაოს დიდი ეკლესიების მშენებლებმა თავიანთი უნარები და გამოცდილება ახალ დედაქალაქში შეიტანეს, რამაც განსაზღვრა დასავლურქართული ხუროთმოძღვრების განვითარების გზა X საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნეში. ტაო-კლარჯეთის არქიტექტურამ გავლენა მოახდინა მის აღმოსავლეთ და სამხრეთ მეზობლებზეც. აღსანიშნავია პარალელები ქართულ და სელჯუკურ ნაგებობებს შორის, თუმცა კავკასიური წყაროების მნიშვნელობა სელჯუკური ხუროთმოძღვრული დეკორისათვის გადაჭარბებულად არ უნდა შეფასდეს.

X საუკუნის II ნახევარში ტაოში არქიტექტურა განვითარდა როგორც ბიზანტიის იმპერიის ერთგვარი გამოწვევა. ის ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის პოლიტიკური ამბიციების ვიზუალიზაციას ემსახურებოდა. სიდიადისა და ბრწყინვალეობის საერთო იდეა, რომელიც მსჭვალავს ამ არქიტექტურას, კონსტანტინოპოლიდან მიღებული ინსპირაციის შედეგი იყო, თუმცა სამშენებლო-ტექნიკური თვალსაზრისით ბიზანტიას ტაოს ხუროთმოძღვრებაზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია.

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8. 2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

დავით ხოშტარია

2) მოხსენების სათაური

1. Building Activity Of the Emperor Heraclius in the Caucasus (იმპერატორ ჰერაკლეს

სამშენებლო საქმიანობა კავკასიაში).

2. Church Building in East Georgia from the Fifth to the Seventh Centuries: Masons and Patrons

(საეკლესიო მშენებლობა აღმოსავლეთ საქართველოში მეხუთედან მეშვიდე საუკუნემდე: მშენებლები და დამკვეთები).

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1.57th International Congress on Medieval Studies, the Medieval Institute at Western Michigan University, Kalamazoo MI, USA (შუა საუკუნეების კვლევების 57-ე საერთაშორისო კონგრესი, დასავლეთ მიჩიგანის უნივერსიტეტის შუა საუკუნეების ინსტიტუტი, კალამაზუ, აშშ),
2021 წლის 9-14 მაისი.

2. Georgia Project Lecture Series, Part 1, Kunsthistorisches Institut in Florenz in collaboration with the George Chubinashvili National Research Centre, Online public lecture (საქართველოს პროექტის ლექციების სერია, ფლორენციის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი გიორგი ჩუბინაშვილის სახ. ეროვნულ კვლევით ცენტრთან თანამშრომლობით)

2021 წლის 13 ივლისი (zoom პლატფორმა), (მოხსენების ვიდეო-ჩანაწერი განთავსებულია გ. ჩუბინაშვილის ცენტრის YouTube -გვერდზე).

მოხსენების ანოტაცია:

1.წრომის ეკლესია ადრეული შუა საუკუნეების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაგებობაა კავკასიაში, როგორც არქიტექტურული, ისე ისტორიული თვალსაზრისით. ტრადიციის თანახმად, ეკლესია აღმართულია იმ ადგილას, სადაც V საუკუნის ბოლოს სიკვდილით დასაჯეს ქრისტიანობაზე მოქცეული ირანელი წმ. რაჟდენი.

პირველი მარტირიუმი აქ წმ. რაჟდენის აღსასრულიდან მოკლე ხანში უნდა აეშენებინა ვახტანგ გორგასალს (შემორჩა მისი არქიტექტურული დეტალები). ის, როგორც ჩანს, VII საუკუნის დასაწყისისთვის დაინგრა და მის ადგილას აიგო ამჟამად მდგარი ეკლესია. მისი მშენებლობა დაემთხვა ბიზანტიის იმპერატორ ჰერაკლეს ლაშქრობას ირანელთა წინააღმდეგ. 627 წელს, ეგრისიდან თბილისში მომავალ ჰერაკლეს მთავარ ისტორიულ გზასთან ახლოს მდებარე წრომთან უნდა ჩაეველო და დიდი ალბათობით მას უამბეს წმ. რაჟდენის ისტორია. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს წერილობითი ცნობა, იმპერატორის გამორჩეული ღვთისმოსაობისა და მძაფრი ანტი-ზოროასტრული განწყობის გათვალისწინებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის იყო ინიციატორი და შემომწირველი ახალი, უფრო დიდი მარტირიუმის აგებისადრინდელის ადგილას. ეს ვარაუდი კიდევ უფრო ლოგიკური ჩანს მშენებლობისადმი ჰერაკლეს ცნობილი ლტოლვის გათვალისწინებით.

წრომის ეკლესიის დიდი ზომა, ამბიციური არქიტექტურული დიზაინი და მაღალი ტექნიკური ხარისხი ასევე მიგვანიშნებს იმპერიულ პატრონაჟზე. წრომი არასოდეს ყოფილა საეპისკოპოსო კათედრა, თუმცა მისი ეკლესია უფრო დიდია, ვიდრე ადრეული შუა საუკუნეების ბევრი ქართული კათედრალი. მისი ზომა და არქიტექტურული გადაწყვეტა შეიძლება აიხსნას წმ. რაჟდენის კულტის გაზრდილი მნიშვნელობით ჰერაკლეს პოლიტიკის კონტექსტში. დიდი შთამბეჭდავი ეკლესიის აღმართვა იმ ადგილას, სადაც ირანელებმა სიკვდილით დასაჯეს ქრისტიანობაზე მოქცეული თანამემამულე, ცხადი გზავნილი უნდა ყოფილიყო როგორც ქრისტიანებისთვის, ასევე ცეცხლთაყვანისმცემლებისათვის.

წრომი არქიტექტურული შედევრია. მსგავსი ტიპის სომხურ ეკლესიებთან ერთად, ის არის ერთ-ერთი უძველესი ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობა ოთხი თავისუფლად მდგარი ბურჯით. ამ

ნაგებობებმა განსაკუთრებული როლი შეასრულეს აღმოსავლეთქრისტიანული ხუროთმოძღვრების განვითარებაში. წრომის ეკლესია აგრძელებს ადგილობრივ სამშენებლო ტრადიციას, მის სამშენებლო ტექნიკასა და სტრუქტურულ ელემენტებს კონსტანტინოპოლთან კავშირი არა აქვს. აშკარაა, რომ იმპერატორმა ხუროთმოძღვარი თავისი დედაქალაქიდან კი არ მოიწვია, არამედ სამუშაო ადგილობრივ მშენებლებს ანდო. შესაბამისად, წრომის ეკლესია არის ჰერაკლეს მიერ ინიცირებული და მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი იმპერიული პროექტი, რომელიც ქართველმა ოსტატებმა განახორციელეს.

2. მოხსენება მიზნად ისახავდა V-VII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ზოგად მიმოხილვას განსაკუთრებული აქცენტით სამ ძირითად ძეგლზე - ბოლნისის სიონზე (478-493), მანგლისის ტაძარზე (V საუკუნის ბოლოს) და წრომის ეკლესიაზე (627 წლის შემდეგ). გეგმარებითი კონცეფციების, დეკორისა და სამშენებლო ტექნიკის, ასევე ფუნქციისა და პატრონაჟის ასპექტების განხილვის საფუძველზე გამოითქვა ახალი მოსაზრებები კავკასიის ადრეული შუა საუკუნეების არქიტექტურის შესახებ.

ბოლნისის სიონის განხილვა მნიშვნელოვანია ქართლის სამეფოს სასანიდების იმპერიასთან ურთიერთობისა და ადრეულ ქართულ ხუროთმოძღვრებაზე სასანური გავლენის გასაგებად. ამ გავლენის ანარეკლია არა მხოლოდ ირანის მეფის მოხსენიება ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერაში ქართლის იმდროინდელი მეფის ვახტანგ გორგასლის ნაცვლად, არამედ ტაძრის სკულპტურული დეკორიც, რომელშიც ცხადად ჩანს სასანური ხელოვნების სტილისა და იკონოგრაფიული მოტივების ათვისება.

მანგლისი, სადაც საეკლესიო ტრადიციის თანახმად ძვირფასი რელიქვიები ინახებოდა, V-VI საუკუნეებში ზოგადკავკასიურ მომლოცველობის ცენტრს წარმოადგენდა. V საუკუნის ბოლოს ვახტანგ გორგასლის მიერ აქ აგებული საეპისკოპოსო ტაძარი იმავდროულად იყო მარტირიუმი და პილიგრიმთა ეკლესია. ამ ფუნქციების შეთავსებამ განსაზღვრა ნაგებობის დიდი ზომა და არქიტექტურული კომპიოზიცია - ოქტაგონში ჩაწერილი ტეტრაკონქი აფსიდებს შორის დიაგონალურად განლაგებული დამატებითი სათავსებით. ეს ტაძარი, როგორც ჩანს, პირველი რგოლია კავკასიის კუთხისოთახებიანი ტეტრაკონქების ჯაჭვში.

წრომში, წმ. რაჟდენის მოწამეობის ადგილას, პირველი მარტირიუმი სავარაუდოდ ასევე ვახტანგ გორგასალმა ააშენა 580-90-იან წლებში. შემორჩენილია მისი ნაშთები - პროკონესის მარმარილოს მცირე სვეტები, ქვიშაქვის დიდი კანელირებული სვეტის ფრაგმენტი და იონიური ყაიდის კასპიტელი ვარდულებით ვოლუტების ადგილას და კარნიზის კბილანებიანი ქვები (ეს უკანასკნელი ჩართულია ამჟამად მდგარი ეკლესიის საძირკველში). VII საუკუნეში თავდაპირველი მარტირიუმის ადგილას აიგო ამჟამად მდგარი დიდი ეკლესია. მისი მშენებლობის ინიციატივა უნდა უკავშირდებოდეს ბოზანტიის იმპერატორ ჰერაკლეს, რომელმაც 627 წელს ირანზე ლაშქრობის დროს გაიარა წრომის მახლობლად. გარდა ისტორიული კონტექსტისა, იმპერიულ პატრონაჟზე მიგვანიშნებს ეკლესიის დიდი ზომა, ამბიციური არქიტექტურული დიზაინი, მაღალი ტექნიკური ხარისხი და აფსიდის მოზაიკური და ფერწერული დეკორი.

კიტი მაჩაბელი

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

1) ავტორი/ავტორები

კიტი მაჩაბელი

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. ადრექრისტიანული ლიტურგიკული ნივთები საქართველოში. ბრინჯაოს საცეცხლურები ISBN 978-9941-8-3098-3

2. დრო და მხატვარი (ელექტრონული გამოცემა)

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი

2. თბილისი

4) გვერდების რაოდენობა

1. 148 გვერდი

2. 127 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. მონოგრაფია ეძღვნება საქართველოს მუზეუმებში არსებულ ადრექრისტიანულ საღვთისმსახურო ნივთებს - ბრინჯაოს საცეცხლურებს, რომლებიც შემკულია სახარების რელიეფური სცენებით. დღეისათვის მსოფლიო მუზეუმებში ადრექრისტიანული ბრინჯაოს საცეცხლურების რამდენიმე ათეული ეგზემპლარი არის დაცული. ქართული მასალა ამ ორიგინალური ლიტურგიკული ნივთების მნიშვნელოვან ნიმუშებს გვთავაზობს. ნაშრომის მიზანია ქრისტიანული ხელოვნების ამ ქმნილებათა მხატვრულ-ისტორიული მნიშვნელობის წარმოჩენა და მათი სამეცნიერო პრაქტიკაში ჩართვა.

წიგნში განხილულია ბრინჯაოს საცეცხლურებთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო წრე, რომელთა შორის აღსანიშნავია ამ საეკლესიო ნივთების ადგილი ღვთისმსახურებაში, მათი წვლილი ქრისტიანული იკონოგრაფიის ჩამოყალიბებასა და გავრცელებაში, კავშირი წმინდა მიწის ევლოგიებთან. დაზუსტებულია ამ ლიტურგიკული ნივთების შექმნის ცენტრები. წმინდა მიწიდან პილიგრიმების მიერ თავიანთ ქვეყნებში ჩატანილი ბრინჯაოს საცეცხლურები, რომლებიც მთელ საქრისტიანოში ვრცელდებოდა, ადრეულ შუა საუკუნეებში კულტურული კავშირების მნიშვნელოვანი საბუთებია.

ნაშრომი წარმოადგენს საქართველოში შემონახული ადრექრისტიანული ხელოვნების ამ მნიშვნელოვანი ნიმუშებისადმი მიძღვნილ პირველ სამეცნიერო ნაშრომს.

2. წიგნში „დრო და მხატვარი“ თავმოყრილია სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა მხატვრულ მოვლენებთან დაკავშირებით (გამოფენები, იუბილეები) დაწერილი და ჟურნალებში გამოქვეყნებული წერილები. კრებული წარმოადგენს ხელოვნებათმცოდნის ნაფიქრისა და განცდილის გაზიარებას, გასული საუკუნის შუა წლებიდან მოყოლებული ქართულ

ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებისა და იმ ქართველ მხატვართა ღვაწლის გახსენებას, რომელთა თანამედროვე ვიყავი და რომელთა შემოქმედებას ინტერესითა და ყურადღებით ვადევნებდი თვალს.

6.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1)ავტორი/ავტორები კიტი მაჩაბელი

2) სტატიის სათაური, ISSN

1. მცხეთა - გვიანრომულ და სასანურ იმპერიათა შორის (გვიანანტიკური ტორეტიკა არმაზისხევიდან)

ISSN - 1512-0872

2. ბოლნისის ქვაჯვარას კაპიტელის ორნამენტული დეკორის სისტემა

ISSN 2667-9477

3. შუა საუკუნეების ბარძიმების ისტორიულ-კულტურული კონტექსტი

ISSN 1512-1321

4. . გიორგი ჩუბინაშვილი - ქართული ხელოვნების მემკვიდრე

ISSN 1512-1321

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა, # VI-VII

2. „ქრონოსი“, N2

3. „საქართველოს სიძველენი“, #24

4. „საქართველოს სიძველენი“, #24

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, თბილისი, 2021

2. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2021

3. გ. ჩუბინაშვილის ცენტრი, თბილისი, 2021

4. გ. ჩუბინაშვილის ცენტრი, თბილისი, 2021

5) გვერდების რაოდენობა

1. 11 გვერდი

2. 28 გვერდი

3. 29 გვერდი

4. 4 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ნაშრომში განხილულია არმაზისხევის პიტიახშთა სამაროვანში აღმოჩენილი ვერცხლის მრავალრიცხოვანი ნაკეთობანი, რომელთა მხატვრულ-ისტორიული ანალიზი საშუალებას იძლევა აღვადგინოთ ქართული ხელოვნების მთავარი ტენდენციები გვიანანტიკურ ეპოქაში. ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეთა ტორეტიკის ნიმუშებმა საშუალება მოგვცა გავეკეთებინა დასკვნები, თუ რა როლი შეასრულა ერთი მხრივ რომაულმა, მეორე მხრივ -

ირანულმა გავლენებმა ამ პერიოდის იბერიის ხელოვნების მთავარ ტენდენციებზე. არმაზისხევის გვიანანტიკური ტორევიკის მაგალითზე ნაჩვენებია, რომ ხმელთაშუაზღვისპირეთის კულტურული სამყაროს ზემოქმედების სფეროში მყოფი საქართველო გვერდს ვერ აუვლიდა ირანული მხატვრული ცენტრების მოძალბებულ გავლენას და ეს დუალიზმი თავს იჩენს არა მხოლოდ ამ ისტორიულ ეტაპზე, არამედ შემდგომი ხანის ქართულ ხელოვნებაში.

2. სტატიაში რელიეფური ორნამენტით შემკული ქვაჯვარას ერთი კაპიტელის მაგალითზე (ბოლნისის მუზეუმში დაცული ქვაჯვარას კაპიტელი) განხილულია ადრეული შუა საუკუნეების ქართული ორნამენტის მნიშვნელოვანი პრობლემები, მათ შორის - მემკვიდრეობითობა, ტრადიციული ორნამენტის მიმართ შემოქმედებითი მიდგომა, გავლენების ათვისება და გადამუშავება. ყურადღება გამახვილებულია შუა საუკუნეების ხელოვნებაში ორნამენტის ესთეტიკურ დანიშნულებაზე და მის სიმბოლურ ფუნქციაზე. ისტორიული განვითარების გზაზე ქართული რელიეფური ორნამენტი მდიდრდებოდა გარე სამყაროდან შემოსული მხატვრული სახეებით. ბოლნისის კაპიტელი, რომლის რელიეფურ დეკორში ათამდე სხვადასხვა ორნამენტული მოტივი არის გამოყენებული, წარმოადგენს იმის შესანიშნავ მაგალითს, თუ როგორ ახერხებდნენ ადრეული შუა საუკუნეების ქართველი ოსტატები შეენარჩუნებიათ მხატვრული ფორმების ტრადიციულობა და შეექმნათ მხატვრულად და იდეურად გააზრებული ორიგინალური ნაწარმოებები.

3. სტატია ეძღვნება შუა საუკუნეების ქართულ ლიტურგიკულ ჭირჭელს - ძვირფასი ლითონის ჭედური დეკორით შემკულ ბარძიმებს, რომელთაგან ჩვენამდე მეთუ საუკუნის რამდენიმე ნიმუშმა მოაღწია - ბედიის ოქროს ბარძიმი ილორის ვერცხლის ბარძიმი და ობუჯის ეკლესიაში შემონახული ვერცხლის ბარძიმის ფრაგმენტები. ქართული ოქრომქანდაკელობის ამ რამდენიმე ნიმუშის მაგალითზე ნაჩვენებია, როგორ გრძელდებოდა ამ ლიტურგიკული ნივთების შექმნის ადრექრისტიანული ტრადიცია შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში. ქართული ბარძიმების კვლევამ დაგვანახვა, როგორ გარდაიქმნებოდა აღმოსავლურ-ქრისტიანული და ბიზანტიური კანონიკური ნიმუშები ქართველ ოსტატთა შემოქმედებაში, რომლებიც მკაცრად იცავდნენ საეკლესიო ხელოვნების ძირითად კანონიკურ პრინციპებს და რომელთაც ხელთ ჰქონდათ აღმოსავლეთქრისტიანული ცენტრებიდან და ბიზანტიიდან შემოსული ლიტურგიკული ნივთები.

4. სტატია ეძღვნება აკად. გ. ჩუბინაშვილის - დიდი მეცნიერისა და მამულიშვილის 135 წლისთავის იუბილეს. გიორგი ჩუბინაშვილი ქართული მეცნიერების იმ მამამთავართა ბრწყინვალე პლეადის წარმომადგენელია, რომლებმაც მეოცე საუკუნის დასაწყისში საფუძველი ჩაუყარეს საქართველოს ეროვნული მეცნიერების თითქმის ყველა დარგს. სტატიაში მოკლედ არის ჩამოყალიბებული გიორგი ჩუბინაშვილის - ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ეროვნული ხელოვნების ფუძემდებლის ფასდაუდებელი ღვაწლი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში. არ დარჩენილა ქართული ხელოვნების არცერთი დარგი, რომლის კვლევაში თავისი უდიდესი წვლილი არ შეეტანოს ბ-ნ გიორგის. გადის დრო და გიორგი ჩუბინაშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობა

კვლავ რჩება იმ საფუძვლად, რომელსაც ემყარება ქართული ხელოვნების ისტორიის საკითხთა კვლევა.

7. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

7.4. სტატიები

1) ავტორი/ავტორები

კიტი მაჩაბელი

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

Две бронзовые кадильницы из Национального Музея Грузии (ბრინჯაოს ორი საცეცხლური საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან)

ISSN 0350-1361

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

Zograf, # 44, 2020 (გამოცემა 2021)

4) გვერდების რაოდენობა

15 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატია ეძღვნება სახარების რელიეფური სცენებით შემკულ, ადრექრისტიანული ხანის ორ ბრინჯაოს საცეცხლურს საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან (შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმი და სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი). ეს არის ბრინჯაოს საცეცხლურების ამ ნუმუშების პირველი სამეცნიერო გამოკვლევა, რომელიც შუქს ფენს ქრისტიანული იკონოგრაფიის ჩამოყალიბებისა და განვითარების ადრეული პერიოდის მნიშვნელოვან საკითხებს. ქრისტეს ცხოვრების ამსახველი რელიეფური სცენების მხატვრულ-იკონოგრაფიული ანალიზის საფუძველზე, ქრისტიანობის ადრეული ეტაპის ხელოვნების სხვა დარგის ქმნილებებთან შეჯერებით (პალესტინური ამპულები, სპილოს ძვლის რელიეფები, ჭედურობის ნაწარმოებები) გამოვლენილია ქრისტიანობის აღმოსავლურ ცენტრებში შექმნილი ბრინჯაოს საცეცხლურების გავრცელების გზები, მოცემულია ამ ლიტურგიკული ნივთების შექმნის ცენტრების დადგენის ცდა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქრისტიანული სამყაროს სხვადასხვა კუთხეებში შექმნილი საცეცხლურების მიმართებას სირიულ-პალესტინურ ორიგინალებთან და საქართველოს წვლილს ამ საეკლესიო ნივთების დამზადების საქმეში.

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

კიტი მაჩაბელი

2) მოხსენების სათაური

1. ქალთა გამოსახულებები ადრექრისტიანულ ქართულ ვიზუალურ სისტემაში.

კატაულას ქვაჯვარას რელიეფები

2. შუა საუკუნეების ქართული ლითონმქანდეკებლობის ისტორიის რეკონსტრუქცია წერილობითი წყაროების მიხედვით
3. შუა საუკუნეების ქართული ლიტურგიკული ნივთები

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. ხელოვნების მკვლევართა XIV საერთაშორისო კონფერენცია. თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი. 5-6.07.21 თბილისი, 2021
2. გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული ცენტრის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონფერენცია „ქართული ხელოვნება. აღქმა, ინტერპრეტაცია, კონტექსტი“. 24-26.11.21. თბილისი
3. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შუა საუკუნეების კვლევის ცენტრის სემინარი "ხელოვნება და რიტუალი". თბილისი, 23.06.21.

1. მოხსენება ეძღვნება ქალთა გამოსახულებებს და მათ მნიშვნელობას ერთ-ერთ ადრექრისტიანულ ქართულ საკულტო ძეგლზე - კატაულას ქვაჯვარაზე (VIII.). ნიშანდობლივია, რომ ქვასვეტზე მამაკაცთა და ქალთა ფიგურების რაოდენობა თანაბარია, ანალოგიურია მათი გამოსახვის წესი, რაც ამ ეპოქის ქართლის ფეოდალურ საზოგადოებაში ქალთა სოციალურ სტატუსზე მეტყველებს. ქალთა-დამკვეთთა გამოსახულებები განხილულია თანადროულ სოციო-კულტურულ კონტექსტში.

2. მოხსენებაში განხილულია ლითონმქანდაკებლობის შესახებ ქართულ წერილობით წყაროებში (სამონასტრო ტიპიკონები, ანდერძები, სიგელ-გუჯრები) არსებული ცნობები და მოცემულია მათი ანალიზი, რის საფუძველზე შესაძლებელია გავადრმავოთ ჩვენი ცოდნა ხელოვნების ამ დარგის შესახებ. წერილობითი წყაროები, გარდა ინფორმაციისა ჭედური ხელოვნების ნაწარმოებთა შესახებ, გვაწვდის საინტერესო მასალას ჭედურობასთან დაკავშირებული ტრადიციული ტერმინების შესახებ, რაც ამდიდრებს ჩვენ ლექსიკას. მოხსენებაში ასევე გაანალიზებული იყო ზოგიერთი გაუგებარი ტერმინები, რომელთა შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებები არსებობს.

3. მოხსენებაში წარმოდგენილი იყო შუა საუკუნეების ქართული ლიტურგიკული ნივთების რამდენიმე ჯგუფი: საცეცხლურები, სამწერობლები და ბარძიმები. ამ საეკლესიო ნივთების საუკეთესო ნიმუშების მაგალითზე, მათი მხატვრულ-სტილური ანალიზის საშუალებით განისაზღვრა მათი ადგილი ჭედური ხელოვნების ისტორიაში. ლიტურგიკულ ნივთებზე არსებული წარწერები განხილული იყო, როგორც ისტორიული საბუთები, რაც ზრდის ჭედური ხელოვნების ამ ქმნილებების მნიშვნელობას ჩვენი კულტურის ისტორიისათვის.

1.

2 არაპროგრამული ადგილობრივი გრანტით დაფინანსებული პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

შალვა ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმის საგანძურში დაცული ექსპონატების „თავგადასავალი, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს კონკურსი - კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა (I ეტაპი).

7. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი

7.5. ჰუმანიტარული მეცნიერებები

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

I ეტაპი - 15/07/2021 - 15/12/2021 (2021-2022 სრული)

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ეკატერინე კვაჭატაძე (პროექტის ხელმძღვანელი)

2. თამარ ხოსროშვილი (მკვლევარი)

3. მარიამ გაბაშვილი (მკვლევარი)

4. ქრისტინე საბაშვილი (მკვლევარი)

5. თამარ ხუნდაძე (მკვლევარი)

6. თამარ დადიანი (მკვლევარი)

7. ნოდარ არონიშვილი (მკვლევარი)

8. ლეილა ხუსკივაძე (კონსულტანტი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ანოტაცია იხ. პროექტის ხელმძღვანელის, ეკატერინე კვაჭატაძის ანგარიშში

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

ლეილა ხუსკივაძე

2) მოხსენების სათაური

ვარძიის სახარების ძვირფასი ყდა

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

2021 წლის 24 ნოემბერი, თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი.

გ. ჩუბინაშვილის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დაარსების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

მოხსენებაში განხილულია ვარძიის სახარების ყდა, რომლის მდიდრული მორთულობა – ოქროს ფირფიტები და არცთუ პატარა ზომის ტიხრული მინანქრები დიდი მხატვრული ეფექტის მატარებელია. ვინაიდან ვარძიის ოთხთავი, ვარძიის მონასტრის გარდა, ერთ დროს გელათშიც ინახებოდა, მას გელათის სახარებითაც მოიხსენიებენ. სწორედ გელათში შეცვალეს ძველი ყდა ახალი ვერცხლის ყდით ძვირფასი მორთულობის გარეშე. ძველი ყდა საქართველოს ფარგლებს გარეთ გაიტანეს. დღეს ამ ყდის ყველა ნაწილის ადგილმდებარეობა ჩვენთვის ცნობილია. მათი წყალობით შესაძლებელი გახდა გელათის სახარების ძვირფასი ყდის კომპოზიციის შთამბეჭდავი სურათის აღდგენა. ყდის ნაწილების ანალიზმა შემდეგი დასკვნები დაადასტურა: ყდის ადრინდელი ნაწილი ტყავისაა, ის ქართულია და მიეკუთვნება XI საუკუნეს. ოქროს ფირფიტები თავისი სტილისტიკით XII საუკუნის ბოლოთი თარიღდება. ორი ტიხრული მინანქარი სხვადასხვა დროისა და წარმომავლობისაა – „წმ. დემეტრე-ორანტის“ ფირფიტა XI საუკუნის ბიზანტიური ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშია, ხოლო „აღსაყდრებული ღმრთისმშობელი მთავარანგელოზებით“ XII საუკუნის ქართული მინანქარია. ვარძიის ყდა ფასეულია როგორც მატერიალური, ისე მხატვრული თვალსაზრისით. მისი შესრულება მაღალი დონისაა. გელათის ყდა შუა საუკუნეების დეკორატიული ხელოვნების ერთ-ერთი გამორჩეული და დახვეწილი ძეგლია.

თამარ ხუნდაძე

1. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმა)

1) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიითითებით

საერო ხელისუფალთა ატრიბუტიკა შუა საუკუნეების ქართულ რელიეფებზე

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4.1. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2) პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

2019-2021

3) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მიითითებით)

თამარ ხუნდაძე (მკვლევარი)

კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივობის მქონე საქართველოს ვიზუალურ ხელოვნებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს უმაღლეს საერო ხელისუფალთა (მეფე-დედოფალთა,

მსხვილ ფეოდალთა) გამოსახულებებს, რომლებიც მათი სოციალური სტატუსის აღმნიშვნელი სამოსითა და ინსიგნიებით წარმოგვიდგებიან. საქართველოში მეფობის კონცეფციის ჩამოყალიბებისა და განვითარების შესაბამისად, სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში ყოველ ატრიბუტს გარკვეული, ზოგჯერ განსხვავებული იდეურ-შინაარსობრივი საზრისი აქვს.

პროექტის - „საერო ხელისუფალთა ატრიბუტიკა შუა საუკუნეების ქართულ რელიეფებზე“, ფარგლებში გამოვლენილ და შესწავლილ იქნა შუა საუკუნეების ქართულ ქვის პლასტიკაში არსებული უმაღლეს საერო ხელისუფალთა გამოსახულებების ატრიბუტები - სამოსი, გვირგვინი-თავსაბური, შარავანდი, კვერთხი-სკიპტრა და სხვ. განისაზღვრა თითოეული ატრიბუტის რაობა, წარმომავლობა, სიმბოლურ-იდეური საზრისი, სოციალური დატვირთვა; კონკრეტულ შემთხვევებში, ამა თუ იმ ატრიბუტის ფორმებისა თუ მხატვრულ გადაწყვეტის მიხედვით, გამოიკვეთა სხვა ქვეყნების კულტურული ზეგავლენა და წარმოჩინდა ისტორიულ-პოლიტიკური კონტექსტი.

პროექტის განხორციელებისთვის შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

1. მოძიებულ იქნა საკვლევი მასალა - ადრეული შუა საუკუნეების, გარდამავალი ხანისა და განვითარებული შუა საუკუნეების (V-XI სს) ქვაზე კვეთილი რელიეფები. (აღსანიშნავია, რომ XI საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართულ სკულპტურაში საერო ხელისუფალთა გამოსახულებები თითქმის აღარ გვხვდება);
2. მოძიებული მასალა დაჯგუფდა ტიპოლოგიურად და ქრონოლოგიურად;
3. დამუშავდა ქართული და უცხოური სამეცნიერო (სახელოვნებათმცოდნეო და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი) ლიტერატურა;
4. დამუშავდა ქართული ისტორიული და ლიტერატურული წყაროები;
5. მოძიებული იქნა პარალელური მასალა სხვა ქვეყნების სახვითი ხელოვნებიდან.

პროექტის პირველ ეტაპზე შესწავლილ იქნა ადრეული შუა საუკუნეების ქვაჯვარებსა და ტაძართა ფასადებზე გამოკვეთილ ერისმთავართა, პიტიახშთა, მამასახლისთა, ასევე წარჩინებულ მანდილოსანთა რელიეფური გამოსახულებების ატრიბუტიკა. უცხოურ პარალელებთან შედარების საფუძველზე, ნათლად გამოჩნდა, რომ ამ ეპოქის (V-VII სს) ქართველ ხელისუფალთა სამოსისა თუ ინსიგნიების გადაწყვეტაში სასაწერო ირანის იკონოგრაფიიდან მომდინარე, ძალაუფლების აღმნიშვნელი ატრიბუტები დომინირებს, როგორცაა ე. წ. „ზაფთიანი“ თავსაბურები (მაგ. ბოლნისის „ლამაზი გორას“ პიტიახშის, ატენის სიონის ნადირობის სცენის მხედრისა და სხვა გამოსახულებები), შრომანისებრი ყვავილი დიდებულთა ხელში (ბრდამორის, უკანგორის, დმანისის, ნაგზაურას ქვაჯვარათა ფიგურები და სხვ.). თუმცა, ასევე თვალსაჩინოა ბიზანტიური ხელოვნების გავლენაც, როგორც მხატვრულ შესრულებაში (მაგ. მცხეთის ჯვრის რელიეფები), ისე შესამოსელის დეტალების ფორმებში (მაგ. სამწევრისის ფილა - ბიზანტიური ტავლიონი, პენდილიებიანი თავსაბური). ამავდროულად, ამ პერიოდის ნიმუშებზე, საერო ხელისუფალთა დიდი ნაწილი, ადგილობრივი (კავკასიური) ხასიათის ცრუსახელოებიანი მოსასხამებით წარმოგვიდგებიან (მაგ. მცხეთის ჯვრის ქტიტორები, ატენის სიონისა და ქვაჯვარათა ისტორიულ პირთა გამოსახულებანი). ამგვარი ტრადიციული სამოსი გვხვდება შემდგომი ხანის სამეფო გამოსახულებებზეც, როგორცაა მაგ., X საუკუნის ლეონ აფხაზთა მეფის რელიეფი კუმურდოს ტაძარში, ტბეთის სკულპტურა და სხვ.).

პროექტის მეორე ეტაპზე შესწავლილ განვითარებული შუა საუკუნეების სამეფო რელიეფურ გამოსახულებებზე, ადგილობრივ სამოსთან ერთად, გვხვდება ბიზანტიური საიმპერატორო კარის წარმომადგენლებისთვის დამახასიათებელი შესამოსელი (მაგ. ოშკის ტაძრის სამხ. ფასადის „ვედრების“ ორსავე მხარეს გამოკვეთილი მეფეთა სკულპტურები). ამ პერიოდის რელიეფებზე უფრო აქტიურად ჩნდება სამეფო ძალაუფლების გამომხატველი ინსიგნიები - კვერთხი და გვირგვინი. ჯვრისებრი სკიპტრა, რომელიც ადრე ბიზანტიური ხანიდან ჩანს იმპერატორთა გამოსახულებებზე, საქართველოში გვხვდება ოშკის ტაძრის ინტერიერში, გუმბათქვეშა ნიშის ორსავე მხარეს წარმოდგენილ მეფეთა (დავით კურაპალატი და ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი) ხელში, დირბის ეკლესიის ლეონ აფხაზთა მეფის, ბრემის სუმბატისა და სხვა რელიეფებზე. გვირგვინით წარმოდგენილი უმაღლესი ხელისუფალი, ქართულ რელიეფებში იშვიათად გვხვდება. მეფენი უმეტესწილად, თავდაუზღუდავი ან სხვადასხვა ფორმის თავსაზღვრავითა თუ ქუდებით გამოისახებიან. თუმცა, „ქართლის ცხოვრებაში“ არაერთგზის გვხვდება პასაჟები, სადაც ვახტანგ გორგასლის, მირიანისა თუ სხვა მეფეთა გვირგვინებია მოხსენიებული და აღწერილი.

ქართულ რელიეფებზე, გვირგვინებით არიან წარმოდგენილნი ოშკის „ვედრების“ კომპოზიციის მეფეთა ფიგურები, რომელთაგანაც, დავით მაგისტროსს, ბიზანტიური სტემის (თვლებით შემკული ბრტყელი რკალი) მსგავსი გვირგვინი, ბაგრატ ერისთავთ-ერისთავს კი, საიმპერატორო პენდილიებიანი გვირგვინი ამშვენებს. სტემებს ვხედავთ კვლავ ოშკის ტაძრის ინტერიერში, სამეფო ნიშის ფიგურათა და ბაგრატის ტაძრის სამხრეთი ფასადის სკულპტურულ თავებზე. ზოგჯერ, სამეფო რელიეფური გამოსახულებები შარავანდმოსილნი არიან (მაგ., კუმურდოს ლეონ აფხაზთა მეფე, დოლისყანის სუმბატ მეფე და სხვ.), რაც ასევე, ბიზანტიური საიმპერატორო იკონოგრაფიიდან მომდინარეობს და სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმომავლობის იდეას გამოხატავს.

პროექტის ფარგლებში განხილულმა მასალამ, VI-XII სს-ის საერო ხელისუფალთა რელიეფური გამოსახულების ატრიბუტიკის მეშვეობით, ნათლად წარმოაჩინა როგორც შუა საუკუნეების საქართველოს მმართველთა ძალაუფლების ადგილობრივი რეგალიები, ისე, სხვადასხვა ეპოქაში საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთეულების დიპლომატიური ორიენტაცია, ამა თუ იმ ქვეყნის (ძირითადად, სასანური ირანისა და ბიზანტიის) პოლიტიკურ-კულტურული ზეგავლენები და კავშირები.

2 არაპროგრამული ადგილობრივი გრანტით დაფინანსებული პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

შალვა ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმის საგანძურში დაცული ექსპონატების „თავგადასავალი“, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს კონკურსი - კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა (I ეტაპი).

7. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი

7.5. ჰუმანიტარული მეცნიერებები

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

I ეტაპი - 15/07/2021 - 15/12/2021 (2021-2022 სრული)

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ეკატერინე კვაჭატაძე (პროექტის ხელმძღვანელი)
2. თამარ ხოსროშვილი (მკვლევარი)
3. მარიამ გაბაშვილი (მკვლევარი)
4. ქრისტინე საბაშვილი (მკვლევარი)
5. თამარ ხუნდაძე (მკვლევარი)
6. თამარ დადიანი (მკვლევარი)
7. ნოდარ არონიშვილი (მკვლევარი)
8. ლეილა ხუსკივაძე (კონსულტანტი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ანოტაცია იხ. პროექტის ხელმძღვანელის, ეკატერინე კვაჭატაძის ანგარიშში

3. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

3.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი
ნიკოლ და მიშელ ტიერები საქართველოს შესახებ (სამეცნიერო სტატიების ფოტოტიპური კრებული).

**7. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი
 SP-21-679**

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
2021 წლის 23 ივლისი - 2021 წლის 23 იანვარი

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. თამარ ხუნდაძე (ხელმძღვანელი)
2. ნესტან ბაგაური (კოორდინატორი)
3. ნათია ხიზანიშვილი (ძირითადი პერსონალი)

დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტი მიზნად ისახავდა ქართული კულტურის დიდი მოამაგეების, ფრანგი მეცნიერების, სორბონის უნივერსიტეტის პროფესორების – ნიკოლ და ჟან-მიშელ ტიერების ქართულ ხელოვნების შესახებ გამოქვეყნებული სტატიების ერთად თავმოყრასა და კრებულის გამოცემას.

ნიკოლ და ჟან-მიშელ ტიერებმა დიდი წვლილი შეიტანეს შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების კვლევისა და პოპულარიზაციის საქმეში. ჩვენთვის განსაკუთრებით ფასეულია ტიერების ღვაწლი ტაო-კლარჯეთის ძეგლების მოძიება-ფიქსაციასა და მეცნიერულ შესწავლაში, ვინაიდან საბჭოთა პერიოდში, ქართველ მეცნიერთათვის თურქეთის ტერიტორიაზე მოქცეული ქართული ძეგლების მოხილვაც კი შეუძლებელი იყო. ექვთიმე

თაყაიშვილისა და ნიკო მარის ექსპედიციების შემდეგ, ტიერები იყვნენ პირველნი, რომლებმაც განაახლეს ტაო-კლარჯეთის ძეგლების კვლევა. ისინი პირველად 1959 წელს ეწვივნენ „თურქეთის საქართველოს“ და ამის შემდგომ, თითქმის ყოველწლიურად აწყობდნენ ექსპედიციებს. მათი მოგზაურობებისა და კვლევების შედეგები სისიტემატიურად იბეჭდებოდა ქართველოლოგიური ჟურნალის „ბედი ქართლისა“-ს და სხვა სამეცნიერო პერიოდულ გამოცემებში, ასევე, წარმოდგენილი იყო საერთაშორისო სიმპოზიუმებსა თუ კონფერენციებზე. ნიკოლ და მიშელ ტიერების გამოკვლევებს ტაო-კლარჯეთის ხელოვნების შესახებ დღემდე არ დაუკარგავთ აქტუალურობა. ცალკე წერილები უძღვნა ნიკოლ ტიერიმ ოშკის, ოთხთა ეკლესიის, იშხნის ტაძართა ფრესკულ მოხატულობებს.

ტაო-კლარჯეთის ძეგლების გარდა, ტიერებს ეკუთვნით გამოკვლევები საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ხელოვნებაზე. აღსანიშნავია, ნიკოლ ტიერის სტატიები, რომლებიც ზემო სვანეთის ეკლესიათა მოხატულობებს ეძღვნება, აგრეთვე, მისი წერილი დავით გარეჯის, ე. წ. საბერეების მონასტრის ერთერთი ეკლესიის ფრესკების შესახებ.

საყურადღებოა, ნიკოლ ტიერის გამოკვლევები დღევანდელი სომხეთის ტერიტორიაზე არსებული XII-XIII სს-ის ტაძრების – ქობაირის, ახტალის, კირანცის და თურქეთის საზღვრებში მოქცეული ანისის ტიგრან ჰონენცის მოხატულობების შესახებ, რომელთაც ის ქართული მხატვრობის წრეს აკუთვნებს. თავის სამეცნიერო ნაშრომებში, ნიკოლ ტიერი განიხილავს შუა საუკუნეების რელიეფური სკულპტურის საკითხებსაც, ამ მხრივ ჩვენთვის საინტერესოა მისი სტატიები ქართული და სომხური ქვაჯვარებისა და ქოროლოს ეკლესიის რელიეფების შესახებ. ქართული ძეგლები, როგორც პარალელური მასალა ყოველთვის ფიგურირებს ტიერების იმ გამოკვლევებშიც, რომლებიც აღმოსავლეთ საქრისტიანოს (კაპადოკია, სომხეთი და სხვ.) ხელოვნებას ეხება.

კრებულის მოსამზადებლად მოვიძიეთ ნიკოლ და ჟან-მიშელ ტიერების მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული სტატიები (30 სტატია). მასალა მოვიძიეთ, როგორც საქართველოში (კერძო კოლექციები, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული ცენტრი და სხვ.), ასევე უცხოეთში (საფრანგეთი: პროფესორ ბერნარ უტიესა და თავად ქალბატონი ნიკოლ ტიერის პირადი არქივები, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკა, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ბიბლიოთეკა, ოქსფორდის ბიბლიოთეკა და სხვ.). სტატიების თავმოყრის პრალელურად, მომზადდა მათი მაღალი ხარისხის ციფრული ასლები.

კრებულის არქიტექტონიკა აგებულია თარიღების მიხედვით: სტატიები იწყება უადრესიდან და ქრონოლოგიური პრინციპითაა დალაგებული. ეს მნიშვნელოვანია, ვინაიდან, რიგ შენთხვევებში ტიერები რამდენიმე ექსპედიციას აწყობდნენ ერთი და იგივე რეგიონში. ასეთ დროს მკითხველი მარტივად მიაღწევნებს თვალს, შეიცვალა თუ არა მეცნიერთა დაკვირვებები და დასკვნები განმეორებითი ექსპედიციისას. ამავე დროს, საინტერესოა, თვალი მივადევნოთ ძეგლების მდგომარეობას - დროთა განმავლობაში მათი მდგომარეობა გაუარესდა თუ იგივე დარჩა. შინაარსობრივი თვალსაზრისით, კრებულში შესული სტატიები ასახავს ექსპედიციებსა და გამოკვლევებს შემდეგი რეგიონების შესახებ: ტაო-კლარჯეთი, კაპადოკია, ანისი, სომხეთში მდებარე ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები, საკუთრივ დღევანდელი საქართველო - ზემო სვანეთი, გარეჯი და სხვ.

კრებულს აქვს წინათქმა და შესავალი ქართულ და ფრანგულ ენებზე, სამიებლები (პირთა, გეოგრაფიულ ადგილთა და ეთნიკურ სახელთა) და ბიბლიოგრაფია.

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

თამარ ხუნდაძე

2) მოხსენების სათაური

შუა საუკუნეების ქართული ქანდაკება

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. 2021 წლის 15-19 ოქტომბერი, თბილისი, მერაბ ბერძენიშვილის კულტურის საერთაშორისო ცენტრი „მუზა“. თანამედროვე ქანდაკების ფორუმი - **ქანდაკება Covid 19 პანდემიის დროს** (პროექტი განხორციელდა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და თბილისის მერიის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის ორგანიზატორი - თბილისის არქიტექტორთა და სკულპტორთა ასოციაცია. პროექტის პარტნიორი - გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული ცენტრი).

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

მოხსენებაში განხილულია შუა საუკუნეების საქართველოში ქანდაკების დარგის თავისებურებისა და მისი განვითარების საკითხები.

შუა საუკუნეების საქართველოში, ისევე, როგორც ზოგადად აღმოსავლეთ საქრისტიანოში, ქანდაკება განსაკუთრებული თავისებურებით გამოირჩევა, კერძოდ, ის არა სივრცეში განთავსებული მრგვალი ქანდაკების, არამედ გარკვეულ სიბრტყესთან დაკავშირებული რელიეფური სკულპტურის სახითაა წარმოდგენილი. ეს თავისებურება გამომდინარეობს თავად ქრისტიანული მსოფლმხედველობიდან, რაც სულის ხსნისა და აღდგომის იდეას ეფუძნება. შესაბამისად, ქრისტიანული ხელოვნების მიზანიც მარადიული, ზეციური საუფლოს ბინადართა ასახვაა. ეს მიწიერი ხორციელებისგან დაცლილი, განსულიერებული ფიგურები წარმოგვიდგებიან ქრისტიანულ ტაძართა ღვთაებრივ სივრცედ მოაზრებულ კედლებზე. ამიტომ, შუა საუკუნეების ქანდაკება მჭიდროდაა დაკავშირებული ეკლესიასთან და მისი განუყოფელი ნაწილია.

ქვის რელიეფურ სკულპტურას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს შუა საუკუნეების ქართულ საეკლესიო ხელოვნებაში. ის გვხვდება როგორც ტაძართა ფასადებზე, ისე მცირე არქიტექტურულ ფორმებზე - ქვაჯვარებზე, კანკელებზე, ემბაზებსა და ტრაპეზებზე. რელიეფური პლასტიკის დღემდე მოღწეული უაღრესი ქართული ნიმუშები V-VI საუკუნეებს განეკუთვნება, მაგ., ბოლნისის სიონის, აკაურთას, აკვანების, თეთრიწყაროს, წალკის ემანის სიონის, ქვემო ბოლნისის ტაძართა და მრავალრიცხოვან ქვაჯვარათა რელიეფები, რომლებშიც ცხოველთა, ფრინველთა, მცენარეთა სიმბოლურ სახეებთან ერთად, გვხვდება სცენები ძველი და ახალი აღთქმიდან თუ ცალკეულ წმინდანთა გამოსახულებანი.

მხატვრული შესრულების მხრივ, ეს რელიეფები ძირითადად, სიბრტყობრივ-გრაფიკული ხასიათისაა. უმეტესწილად მცირე ზომის გამოსახულებანი დაბალი რელიეფითაა შესრულებული, მათი ზედაპირი ბრტყელია და ზემოდან გრაფიკულად ჩაკვეთილი ნახატივითაა დამუშავებული. ამ პერიოდში (V-VI სს) ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული დიფერენცირებული მიდგომა ხუროთმოძღვრული - მონუმენტური და მცირე არქიტექტურული ფორმების რელიეფების კვეთისადმი.

რელიეფის ორგანული დაკავშირება ეკლესიის ხუროთმოძღვრულ ფორმებთან სრულყოფილი სახითაა მოცემული მცხეთის ჯვრის ტაძარში (VI-VII სს), სადაც ვხვდებით მოზრდილი ზომის, მაღალი რელიეფით გამოკვეთილ მონუმენტური ხასიათის გამოსახულებებს.

VIII-IX საუკუნეების ქვის პლასტიკაში კვლავ სიბრტყობრივ-გრაფიკული სტილი დომინირებს (მაგ. თელოვანის, წირქოლის, ოპიზის, ბორჯომის ეკლესიათა, გველდესის კანკელის, უსანეთის სტელის და სხვა რელიეფები). ამ ეპოქის რელიეფური გამოსახულებანი ხასიათდება განსაკუთრებული ექსპრესიულობით, რასაც ქმნის სხეულთა დისპროპორცია - გადიდებული თავები, თვალები, ხელები.

X საუკუნის რელიეფური სკულპტურა მხატვრული შესრულებისა და თემატიკის მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ამ პერიოდის რელიეფთა დიდი ნაწილი კვლავ აგრძელებს წინარე ხანიდან მომდინარე სიბრტყობრივ-გრაფიკული სტილის მხატვრულ ტრადიციებს (მაგ. აზავრეთის, ბავრის, ხოსპიოს, ორჯალარის, ტაბაწყურის, ურავლის აგარის, აძიკვის, ბზის, შეპიაკის, ჯოისუბნის, სხიერის კანკელისა და სხვა რელიეფები). ამ ეპოქის მეორე მხატვრულ-სტილური მიმართულება ხასიათდება ახალი პლასტიკური გამომსახველობით, რაც გამოიხატა ფიგურათა მოცულობითი ფორმებით გადმოცემაში, თუმცა, პირობითობა - დისპროპორცია, სტატიკურობა, კვლავ შენარჩუნებულია (მაგ. ფეტოზანის, ქოროლოს, ზარზმის წყაროს და სხვა რელიეფები). ეს მხატვრული მიმართულება უფრო მკაფიოდ და სრულყოფილად ტაო-კარჯეთის სამეფოს ტბეთისა და ოშკის ტაძართა დიდი ზომის, ჰორელიეფურ, მონუმენტურ სკულპტურაში გამოვლინდა. საფასადო ქანდაკების მონუმენტალიზაციის ტენდენცია გრძელდება XI საუკუნის ძეგლებშიც (მაგ. ქუთაისის ბაგრატის ტაძრის სკულპტურული თავები, ნიკორწმინდის, სვეტიცხოვლის, კაცხის, სამთავისის რელიეფები).

XII-XV საუკუნეების ქართულ ტაძართა ფასადებზე სიმბოლურ-სემანტიკური მნიშვნელობის ორნამენტული მოტივები ჭარბობს, ფიგურული რელიეფები კი იშვიათად გვხვდება (მაგ. ფიტარეთის, წუღრულაშენის, ერთაწმინდას, საფარის წმ. საბას, ზარზმის სამრეკლოს და სხვა ძეგლთა ცალკეული გამოსახულებები).

ქართული საფასადო ქანდაკების ერთგვარ „აღორძინებას“ ვხვდებით გვიანი შუა საუკუნეების (XVI-XVIII სს) ტაძრებში, როგორიცაა ანანურის, საგარეჯოს „პეტრე-პავლეს“, ყინცვისის „გიგოს საყდრის“ რელიეფები. აქ კვლავ ჩნდება ერთიანი იკონოგრაფიული პროგრამით ფასადების გამთლიანების ტენდენცია. ამ პერიოდში თანაარსებობს განსხვავებული სტილური მიმართულების, როგორც მაღალი რელიეფით გამოქანდაკებული, დიდი ზომის მოცულობითი ფიგურები, ისე სიბრტყობრივ-გრაფიკული, დეკორატიული ხასიათის რელიეფები.

2.პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიხედვით

ბრინჯაოს მხატვრული ნაკეთობები თბილისიდან (გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანა)

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

2021-2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მიხედვით)

ნინო გომელაური (მკვლევარი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

დაგეგმილი იყო შემესწავლა თბილისის ტერიტორიაზე, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის თრელისა და ნაქულბაქევის სამაროვანთა მასალები, რომელთა შორისაა ბრინჯაოსაგან დამზადებული გრავირებული სარტყლები, სარტყლის შესაკრავი აბზინდები და მცირე პლასტიკა.

წელს დასრულდა თემის ის ნაწილი, რომელიც ეხება თრელის სამაროვნის ბრინჯაოს მცირე პლასტიკას და ჩატარდა წინასწარული სამუშაოები თემის შემდეგი ნაწილების მომავალი კვლევისათვის, ლიტერატურისა და პარალელური მასალების მოძიების თვალსაზრისით.

1970 წელს დიღმის მასივის ტერიტორიაზე, სამხედრო გზის დასაწყისში გაითხარა მდიდრული ყორღანი (თრელი, სამ. #16), რომელშიც მრავალრიცხოვან ლითონისა და კერამიკულ ნაწარმთან ერთად აღმოჩნდა ბრინჯაოს მცირე ზომის ქანდაკებები. ეს ნაკეთობები სხვადასხვა ტრადიციის რთულ ნაზავს წარმოადგენს. კერძოდ, სტილის გარკვეული ნიშნებით ისინი ენათესავებიან თანადროულ ლურისტანისა და ჩრდ-დას ირანის მასალებს. ამავე დროს, მათში ამოიცნობა ნომადურ კულტურაში ფართოდ გავრცელებული მატერიალური კულტურის ელემენტებიც, თუმცა ადგილობრივ ნიადაგზე ისინი ისეთგვარადაა სახეცვლილი, რომ მათ ზუსტი პარალელები არ ეძებნებათ, როგორც წინა აზიის ირანულ სამყაროში, ასევე მომთაბარეთა კულტურის გავრცელების მთელ ტერიტორიაზე, აღმოსავლეთი ევროპიდან ჩრდილოეთ ჩინეთის ჩათვლით. სწორედ, სამხრეთული და ადგილობრივი ელემენტების შერწყმა განაპირობებს ამ ნივთთა ორიგინალობასა და თავისთავადობას.

მხატვრული ნიშნებითა და ტექნიკური შესრულებით თრელის სკულპტურები უკავშირდება მათი წინამორბედი კულტურის ბრინჯაოს ქანდაკებებს. ჩამოსხმის რთული ტექნიკა, რომელიც გამოყენებულია თრელისა და მისი წინარე ხანის ნაკეთობებში გამოარჩევს ამ მასალებს წინარე, თანადროულ და მომდევნო ხანის ევრაზიულ სამყაროში.

ამდენად, თრელის სკულპტურები დამზადებული უნდა იყოს ადგილობრივ ხელოსანთა მიერ, თუმცა მომხურთა დაკვეთითა და მათი გემოვნების გათვალისწინებით.

აღმოსავლეთ ამიერკავკასიისა და ირანის ძეგლებთან თრელის მასალების შეჯერების საფუძველზე, როსტომ აბრამიშვილის მიერ, ეს ყორღანი ძვ.წ. VIII-VII სს-თაა დათარიღებული.

თრელის ნაკეთობები ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ან თანადროულია ე.წ. სკვითურ სამყაროში გავრცელებული მათი პარალელებისა. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ სკვითური კულტურის ჩამოყალიბებაში, წინააზიის ირანულ სამყაროსთან ერთად, გარკვეული როლი სამხრეთკავკასიურ კულტურასაც უნდა ეთამაშა.

თრელის ამ მდიდრული ყორღანის მასალები განეკუთვნება ნომადთა მოძრაობის იმ პერიოდს, როდესაც, წინააზიაში მათი ცნობილი ლაშქრობების შემდეგ, ისინი იჭრებიან აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში და მოაქვთ აღნიშნული მხატვრული რიგის სიახლეები. მყარი პოზიციის შესაქმნელად მათ სჭირდებოდათ დაეკავებინათ თრელიგორების ბორცვი, რომელსაც ამ ტომებისთვის ქონდა სტრატეგიული მნიშვნელობა, რადგან ეს ტერიტორია აკონტროლებდა მათი მიმოსვლის ძირითად გზას წინააზიიდან სამხრეთ რუსეთის სტეპებისაკენ, მათი ძირითადი საცხოვრისისაკენ.

საგულისხმოა, რომ სამხრეთული მხატვრული ნაკადი არ ჩანს თბილისის გარეთ გამოვლენილ მასალებში. ეს გავლენები არ იყო ძლიერი, მას ქონდა ეპიზოდური ხასიათი და, შესაბამისად, არ მოუხდენია გავლენა საქართველოს შემდგომი ხანის ხელოვნების განვითარებაზე.

ნინო ჭიჭინაძე

1. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმა)

1) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით ათონის ქართველთა მონასტრის კარის ღვთისმშობლის თაყვანისცემის შესახებ

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2) პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები
2021

3) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
ნინო ჭიჭინაძე (მკვლევარი)

კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

კვლევის მიზანს წარმოადგენდა იმ წერილობითი და ვიზუალური წყაროების ანალიზი, სადაც პირდაპირ ან ირიბად ათონის ქართველთა მონასტრის მთავარი სიწმინდის კარის ღვთისმშობლის ხატის თაყვანისცემის დამკვიდრების, თაყვანისცემის ფორმებისა და

ისტორიის შესახებ მოიპოვება ცნობები. ეს წყაროებით, ათვალსაჩინოებენ ღვთისმშობლის აღნიშნული სასწაულმოქმედი ხატის როლს რელიგიურ ცხოვრებაში მონასტერსა და მის გარეთ. განხილული მასალა გვიქმნის წარმოდგენას ივირონის დედაღვთისას ხატის თაყვანისცემის პარადიგმებზე სხვადასხვა დროსა და ადგილას. იმავდროულად, „პორტიტისას“ თაყვანისცემის ფორმები შუეს ჰფენს ზოგადად ხატწერის მართლმადიდებელი ხელოვნების სხვადასხვა მნიშვნელოვან ასპექტებს. ამგვარი კვლევა ჯერ არ ჩატარებულა და ამდენად, პირველად არის თავმოყრილი ხატის შესახებ არსებული ცნობები და დასმულია მნიშვნელოვანი საკითხები - საკუთრივ ივირონის კარის ღვთისმშობლის თაყვანისცემისა და ძალაუფლებისა, თუ კულტურულ იდენტობას შორის ურთიერთმიმართებები. კვლევისას უპირატესობა მიენიჭა ქართულ წყაროებსა და არტეფაქტებს.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

6.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

ნინო ჭიჭინაძე

2) სტატიის სათაური, ISSN

**ათონის მთის ივირონის ქართველთა მონასტერი და მისი ხელოვნების რეპრეზენტაცია
ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსვლაში“
ISSN 1512-1321**

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

საქართველოს სიბეველენი, #23

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

გ. ჩუბინაშვილის ცენტრი, თბილისი, 2021

5) გვერდების რაოდენობა

11 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ტიმოთე გაბაშვილი „მიმოსვლაში“ აღწერს სამონასტრო შენობებს, მათ დეკორს, იქ დაცულ სასწაულმოქმედ ხატებსა და რელიკვიებს. ასევე სამონასტრო ნივთების რიტუალში გამოყენების შესახებ უნიკალურ ცნობებს გვაწვდის. უპირატესად ქართველთა მიერ ივირონისთვის შეწირული ნივთები გამოავლენს ქართულ კვალსა და სხვადასხვა რიგის კავშირებს. ტექსტი, ხშირად განმეორებული კლიშეების მიუხედავად, გვაწვდის საყურადღებო ცნობებს მე-18 საუკუნის ათონის კულტურული ლანდშაფტის შესახებ. ქართველი იერარქის ვიზიტაცა და მის მიერ ქართველთა ნაღვან-ნაბომგარის მოძიება-წარმოჩენა მთაწმინდაზე ქართველთა როლის და ისტორიული კავშირების ჩვენებასა გულისხმობდა. ქართველთა მიერ შეწირულ-ნაბომგები ნივთების რიტუალში გამოყენებისა და

მათი საჯარო პრეზენტაციის გზით აქტუალდებოდა მონასტრის ისტორია, უფრო კონკრეტულად კი ივირონისა და საქართველოს შორის კავშირი.

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

ნინო ჭიჭინაძე

2) მოხსენების სათაური

ათონის მთის ივირონის ქართველთა მონასტრის ხელოვნების პატრონაჟის რეკონსტრუქციისათვის

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

თბილისი, 24-26 ნოემბერი, 2021. გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და მეგლთა დაცვის ეროვნული ცენტრის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონფერენცია „ქართული ხელოვნება. აღქმა, ინტერპრეტაცია, კონტექსტი“.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

მოხსენება შეეხებოდა ათონის მთის ქართველთა მონასტრის ხელოვნების პატრონაჟს, რაც გაცხადებულია როგორც დღეისათვის შემორჩენილ ჯვარ-ხატებსა და საეკლესიო ნივთებში, ისე სხვადასხვა ტიპის წერილობით წყაროებში. ქართველ მთაწმინდელთა „ცხოვრებანი“, ივირონის აქტები - იურიდიული დოკუმენტები - და აღაპები გვაუწყებენ სხვადასხვა რანგის მორწმუნეთა მიერ სამონასტრო ნაგებობათა და მოხატულობათა აგება-შექმნა-განახლებას, ჯვარ-ხატებისა თუ ლიტურგიკულ ნივთთა ბოძებას. საეკლესიო ნივთები მონასტერში სხვადასხვა მიზნებითა და მიზეზებით ივანებდა, თუმცა მათი მბოძებლები უწინარეს ყოვლისა ცოდვათა შენდობასა და სულის ცხოვნებაზე ზრუნავდნენ. მომგებელ-შემწირველები ბოძებული ძღვენის წყალობით მონასტერში საკუთარ „მყოფობას“ უზრუნველყოფდნენ და მონასტრის მკვიდრთა ლოცვა-ვედრებაში მოიხსენიებოდნენ. ივირონის, ამ სამეფო მონასტრის ხელოვნების პატრონაჟის საფუძვლიანი ყოველმხრივი გაანალიზება მონასტრის ისტორიის უფრო სრული რეკონსტრუქციისა და მისი რელიგიურ-პოლიტიკური განზომილების გააზრების საშუალებას მოგვცემს.

8. 2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

ნინო ჭიჭინაძე

2) მოხსენების სათაური

“Royal Icons” of Medieval Georgia (შუა საუკუნეების საქართველოს სამეფო ხატები)

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

Georgia Project Lecture Series, Part 1, Kunsthistorisches Institut in Florenz in collaboration with the George Chubinashvili National Research Centre, Online public lecture (საქართველოს პროექტის ლექციების სერია, ფლორენციის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი გიორგი ჩუბინაშვილის სახ. ეროვნულ კვლევით ცენტრთან თანამშრომლობით, ონლაინ მოხსენება),

25.05.21 (zoom პლატფორმა), (მოხსენების ვიდეო-ჩანაწერი განთავსებულია გ. ჩუბინაშვილის ცენტრის YouTube -გვერდზე).

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

მოხსენებაში განხილული იყო საქართველოს მეფეებთან - დავით აღმაშენებელთან და თამარ მეფესთან ასოცირებული ხატები. წერილობითი და ვიზუალური წყაროების ანალიზის საფუძველზე თვალი გაედევნება გარკვეული კანონზომიერებასა და „ლოგიკას“ თუ რატომ ხდება კონკრეტული ხატი სამეფო პატრონაჟის საგანი. კონკრეტული ხატების მეფეთა მიერ განსაკუთრებული თავყანისცემა მათი (ხატების) იკონოგრაფიითა და პირველსახეთა რაობით იყო განპირობებული. ე. წ. „სამეფო ხატების“ სიმბოლურ-თეოლოგიური მნიშვნელობა განიხილება ძალაუფლების კონტექსტში.

ასმათ ოქროპირიძე

1. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმა)

1) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით
არექიტიპი და მხატვრული ფორმა (დ.კაკაბაძის აბსტრაქტული ქანდაკება „Z“)

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2) პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები
2021

3) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
ასმათ ოქროპირიძე (მკვლევარი)

კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

„Z“ - დავით კაკაბაძის, ქართული აბსტრაქციონიზმის უდიდესი წარმომადგენლის, ერთ-ერთი გამორჩეული ნაწარმოებია. აბსტრაქტული ქანდაკება, რომელსაც პირობითად

სახელად ჰქვია „Z“ ან „განგმირული თევზი“. ეს უნიკალური ქანდაკება თავისი დროის ევროპული ხელოვნების ერთ-ერთ მოწინავე ქმნილებად ითვლება და ამჟამად იელის უნივერსიტეტის კოლექციაშია დაცული.

ქანდაკება „Z“ არაანტროპომორფულია. ერთი შეხედვით იგი სამგანზომილებიანი ორნამენტის შთაბეჭდილებას ახდენს. მისი შინაარსი გაუგებარია, რადგან არც მხატვრის არქივში შემოგვრჩა ქანდაკების საზრისის შესახებ რაიმე ჩანაწერი. არაერთმნიშვნელოვანია ხელოვნებათმცოდნეთა შეხედულებაც თვით სახელის შესახებ. მაგრამ, სავარაუდოდ, ორივე „Z“-იცა და „განგმირული თევზიც“ მხატვართან გაზიარებული უნდა ყოფილიყო, რამდენადაც კოლექციონერისა და მხატვრის - ქეთრინ დრაიერისაგან ეს სახელწოდება დავით კაკაბაძესთან შეუთანხმებლად არ გაჩნდებოდა.

და მაინც რას ნიშნავს ქანდაკება „Z“? მისი გაშიფვრის ერთ-ერთ ალტერნატიულ და ვფიქრობთ, კარდინალურ მეთოდად უნდა ჩაითვალოს არქექტიპების საზრისის მოშველიება. ამ მიზნით გამოკვლევას წინ წაუძღვება არქექტიპების თეორიის ზოგადი მიმოხილვა. მაგრამ გვწამს, რომ ამ თეორიის არსებითი გაშიფვრა შესაძლებელია მხოლოდ ქრისტიანული სახისმეტყველების გათვალისწინებით, რადგან იგი თვით უფალმა დაუდო საფუძვლად შესაქმეს. მითუმეტეს, რომ დავით კაკაბაძე იყო განმაზოგადებელი რვაათასწლიანი ქართული კულტურისა, რომლის პარადიგმაც გულისხმობს ძველ აღთქმაში ქრისტიანობის განუხრელ დაცვას. მოლოდინს, ხოლო ახალ აღთქმაში - მისი სწავლების უღალატო დაცვას. ამასთანავე საგულისხმოა, რომ თავად მხატვარი ასო Z -ში ხედავდა სვასტიკას და მის მოდიფიკაციას - ჯვარს. მეორე სახელი - „განგმირული თევზი“ შეიძლება ითქვას ისევე როგორც „განგმირული ქრისტე“, ხოლო თუ შევუთავსებთ ჯვარს და განგმირულ ქრისტეს, მივიღებთ გოლგოთის მხსნელ საზრისს. ეს დასკვნა (კვადრატი, წრე, მთის ბროლი, ვერტიკალი, ხაზი, პორფირი, ლურჯი, და ა.შ.) დეშიფრირებამ მოგვცა. გრანდიოზული საზრისი დავით კაკაბაძის ქანდაკება „Z“ არის აბსტრაგირებული სარკე ქრისტესი, რომელიც ჯვარს ეცვა და გამოიხსნა მის მიერვე შექმნილი სამყარო. ეს არის ცისა და მიწის შეერთების დრამატული სახე, რომელიც განკაცებული მაცხოვრის ორი ბუნებით გამოიხატა; აგრეთვე სამყაროს „გენეზისი“, „კინეზისი“ და მისი განსრულება, ანუ „სტასისი“, რომელიც მეორედ მოსვლის შემდეგ ზეციურ იერუსალიმში განსრულდება. და ბოლოს, ხაზგასასმელია, რომ კაკაბაძის ქანდაკება არსებითად გამოხატავს ქართული კულტურის პარადიგმის მთავარ საზრისს - გოლგოთას და გამოხსნას.

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

ასმათ ოქროპირიძე

2) მოხსენების სათაური

გადარჩენილი მემკვიდრეობა (დ.კაკაბაძის წიგნი „ქართული ორნამენტის გენეზისი“)

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

2021 წლის 24-25 მაისი, გიორგი ჩუბინაშვილის ცენტრი. სამეცნიერო კონფერენციის: დავით კაკაბაძე, ხელოვნება და სივრცე (მხატვარი, მოაზროვნე, მეცნიერი)

მანანა სურამელაშვილი

2. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

ტრადიციული სამშენებლო მასალები თბილისის ურბანულ არქიტექტურაში და მისი მნიშვნელობა.

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
2021-2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
მანანა სურამელაშვილი (მკვლევარი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

თბილისი ძველი ქალაქია. ასევე ძველი და ხანდაზმულია მის ურბანულ არქიტექტურაში ერთგვაროვანი სამშენებლო მასალებისა და ტექნოლოგიების გამოყენების საუკუნოვანი ტრადიცია. ეს არასაკმარისად შესწავლილი და მნიშვნელოვანი თემაა, რომელიც უშუალოდ უკავშირდება და მუდმივად იკვეთება ქალაქის ისტორიულ ნაწილში წარმოებული სარეაბილიტაციო სამუშაოების მეთოდოლოგიასთან. ამ პროცესების სწორად წარმართვისთვის ტრადიციული სამშენებლო მასალებისა და ტექნოლოგიების ცოდნა ხშირად გადაწყვეტი ხდება, ხოლო საკითხის მნიშვნელობის არაღიარებას სავალალო შედეგებამდე მივყავართ. ამ საკითხზე ინფორმაციის შევსება და მის მნიშვნელობაზე ყურადღების გამახვილება აუცილებელია, რადგან ის ბევრად ჩამორჩება თბილისის მხატვრულ-ისტორიული ღირებულების შეფასებისა, თუ საცხოვრებლის ტიპოლოგიის მეცნიერული შესწავლის მდგომარეობას, მით უფრო, რომ ურბანული არქიტექტურის ეს მხარე დანარჩენი თავისებურებებისგან განუყოფელი და დიდწილად განმსაზღვრელიცაა.

თბილისი ძირითადად აგურით ნაშენი ქალაქია, ისტორიულ უბნებში კარგად იკითხება ამ მასალის დროის ფართო დიაპაზონში გამოყენების ფაქტი, თუმცა განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ეს ჩანს გომის ქუჩის იმ მონაკვეთში, სადაც ხედვის არეში ერთდროულად ექცევა ქალაქის უადრესი, სავარაუდოდ, IV-VIII სს-ის სამშენებლო ფენების შემცველი, მთლიანად აგურით ნაშენი ათეშგა, აგურისავე დეკორით მორთული და აგურით ნაშენი XVII-XVIII ს-ის მიჯნის ბეთლემის ზედა ეკლესიის სამრეკლო და XIX ს-ის აგურის სახლები ხის კონსტრუქციული ელემენტებითა და დეკორით.

სახლების ჩვენამდე მოღწეულ უძველეს XVI-XVIII სს-ის ნაწილშიც, რომელიც თბილისის ძველი უბნების ურბანული განაშენიანების ქვედა სართულებში თითქმის უწყვეტ ქსელს ქმნის, შემოჩენილია მეტნაკლები სისრულით მოღწეული, აგურით ნაშენი სადგომები, რომლის კედლებში რიყის, ან ფლეთილი ქვის რიგებია ჩართული.

ვახტანგ ბერიძე აღნიშნავდა, რომ „დროის მიხედვით მასალა ყველაზე ნაკლებ იცვლება (შეიძლება ითქვას, რომ სრულებით არ იცვლება) გლეხთა საცხოვრებელი სახლის არქიტექტურაში.“ იგივე შეიძლება ითქვას თბილისის სამოქალაქო არქიტექტურაზეც.

საუკუნეების მანძილზე ერთგვაროვანი მასალის სტაბილურ გამოყენებას ქალაქის შემოგარენში ამ მასალებით მდიდარი ადგილობრივი საბადოების არსებობა განაპირობებდა. თბილისის მიდამოებში მოიპოვებოდა სააგურე თიხა, თუმცა მისი დამზადება თვით თბილისის გარეუბნებში ხდებოდა. უცვლელი იყო აგურის კვადრატული ფორმა, სპეციალურ ყალიბებში დამზადებული აგურის ზომები კი (გარდა ადრე შუა საუკუნეებისა, როცა ის განსაკუთრებული სიდიდით გამოირჩეოდა - 30-40 სმ), ძირითადად 19-25 სმ X 19-25 სმ X 33,5-4 სმ შორის მერყეობდა, რის გამოც მასზე დაყრდნობა დათარიღებისთვის არ გამოდგება.

საყურადღებოა, რომ აგური ძველად მხოლოდ კედლის მასალად არ გამოიყენებოდა; ჩატარებული ანალიზის შედეგად გამოკვლეულია, რომ მზადდებოდა „ცემენტის ხსნარი“, რომელიც ჰიდრავლიკური კირისა და აგურის ფხვნილისგან მიიღებოდა 1 : 1 პროპორციით.

თბილისის მიდამოები ასევე მდიდარია გაჯის საბადოებით: მტკვრის მარცხენა მხარეს მდებარეობს ხარისხითა და მარაგით უფრო ცნობილი ნავთლუღის საბადო, რომლის ფენის სისქე 1 მ-მდეა, თეთრი და მოყვითალო ფერი აქვს და შეცემენტების კარგი უნარით ხასიათდება. ამას გარდა აქ ორი სხვა საბადოცაა. გაჯის მნიშვნელოვანი საბადოა მდ. ორხევის მარცხენა მხარესაც.

თაბაშირის კრისტალებიანი გაჯის ყვითელ-ნაცრისფერი მასა წყალთან შერევისას წებოვანი ხდება. სუსტად გამომწვარი სახით გამოიყენება შემაკავშირებელ მაცემენტებლად, კედლის წყობაში ხსნარის სახით და ცვლის კირს; გაჯის უპირატესობას კირთან შედარებით განაპირობებს წყლის ნაკლები საჭიროება ხსნარის მომზადებისას, რაც შემდგომ ხელს უწყობს უფრო სწრაფ გამოშრობას. გარდა ამისა, გაჯის გამოსაწვავად საჭიროა 200 გრად., ხოლო კირისთვის - 950 გრად. თბილისის მშენებლობაში გარდა შემაკავშირებელი ხსნარისა გაჯი კედლის ზედაპირის გასაღესადაც წარმატებით გამოიყენებოდა, არა მხოლოდ ინტერიერში, არამედ ფასადებზეც, თუმცა ამ უკანასკნელის ზუსტი შემადგენლობა დაუდგენელია.

საბუთებიდან ცნობილია, რომ XVIII ს-ის 70-იან წლებში თბილისში აშენდა აგურის ქარხანა, რომელიც გლახა გაბაშვილს ეკუთვნოდა. აგურის საამქროები - აგურხანები, სადაც აგურისა და კრამიტის გამოწვა მოშორებით, თბილისის გარეუბნებში ხდებოდა, რათა ჭკარტილი, ნაცარი, კვამლი და ნახშირი მოერიდებინათ ქალაქის დასახლებული უბნებისთვის. XVIII-XIX სს-ის მიჯნაზე აგურხანები მოწყობილი იყო გარეთუბანში; XIX ს-ში ისინი გაჩნდა ვერაზე, ავლაბარ-ჩულურეთის ხევის პირას, სადაც თიხა ადგილზე მოიპოვებოდა; 1823 წლისთვის ჩულურეთში 10 - აგურის და 1 - გაჯის ქარხანა იყო. სამშენებლო მასალების წარმოებაში თვალსაჩინო ადგილი ეკავა ხიმშიაშვილის ქარხნებს. გარეუბნებშივე იწებოდა კირიც.

გარდა ამისა, კედლებში აგურის წყობის შემაკავშირებლად, როგორც წესი გამოიყენებოდა მიწანარევი, თიხანარევი, ან გაჯნარევი ხსნარი; დუღაბი - კირისა და ქვიშის თხელი ხსნარი, სამირკველსა და კედლის გულში იხმარებოდა, ხოლო მუშაკირი - კირისა და ქვიშის სქელი ხსნარი - კედლის პირის წყობაში. უფრო ჭარბად კირ-ხსნარი გამოყენებული იყო

სანაპიროს გაყოლებით, პირდაპირ მტკვრის ხეობაში ჩადგმული მსხვილი მასშტაბის ქარვასლებისა და საცხოვრებელი ნაგებობების ყრუდ ნაშენ ქვედა სართულებში, რომლებიც წყალდიდობისას მთლიანად იფარებოდა წყლით. სამწუხაროდ, ძველი თბილისის ურბანული მემკვიდრეობის ეს დამახასიათებელი ნაწილი, მტკვრისპირა განაშენიანება. საბჭოთა პერიოდში სანაპიროების მოწყობისას მთლიანად განადგურდა.

ქალაქს ბევრი მეაგურე, მეკრამიტე, მეგაჯე, კალატოზი ჰყავდა; მათზე ქალაქის ზრდის პროცესში მუდამ იყო მოთხოვნა, ხოლო ისტორიული კატაკლიზმების, თუ მიწისძვრების შემდეგ კიდევ უფრო იზრდებოდა მათი საჭიროება.

თბილისურ სახლის მშენებლობაში ფართო გამოყენება ჰქონდა ხეს, რაცგარდა კარ-ფანჯრის ჩარჩოებისა და სართულშუა კონსტრუქციებისა გამოყენებული იყო მის მხატვრულ გაფორმებაში, მაღალმხატვრული გადაწყვეტით, მრავალფეროვანი ტექნიკითა და ვარიაციებით შექმნილ აივნებში, რომლებიც თბილისური სახლის ერთ-ერთ ძირითად დამახასიათებელ ნაწილს შეადგენდა. საუკუნეების წინ ხის მოპოვება თბილისის მიდამოების ტყეებში იქნებოდა შესაძლებელი, თუმცა XIX ს-ში ტივებად შეკრული ხის მორები მტკვარის დინებას ჩამოჰქონდა ბორჯომიდან და ვერის უბნის სანაპიროზე ხდებოდა მათი ნაპირზე გადმოტვირთვა, რის გამოც ეს უბანი სატიოს უბნის სახელით იყო ცნობილი. ფართო გამოყენება ჰქონდა. რომლის აივნები ადაც ცილებელი ხის აივნები კონსტრუქციული და.

თბილისის ადრეული პერიოდის არქეოლოგიური მასალისა და გვიანი შუა საუკუნეების ურბანული მემკვიდრეობის ნიმუშების შედარება ადასტურებს მყარი სამშენებლო ტრადიციებისა და წესების არსებობას, რაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამოცდილების დაგროვების საფუძველზე იყო ჩამოყალიბებული. ასეთებია, მაგალითად სახლების თითქმის უსამირკვლოდ შენება, რასაც ხშირ შემთხვევაში კლდოვანი ნიადაგი განაპირობებდა; მსგავს ადგილზე აგებული სახლების სამეურნეო დანიშნულების ქვედა სართულზე ძალიან ხშირია ინტერიერში კლდის უკანა კედლად ჩართვა, ან ინტერიერში შემოჭრილი კლდის მასივის დატოვება, რაც სიმტკიცესთან ერთად სტაბილური ტემპერატურის შენარჩუნებას, ზაფხულში სიგრილის და ზამთარში სითბოს შენარჩუნებას უზრუნველყოფდა.

თბილისის სეისმურ ზონაში მდებარეობის გამო, რასაც არაერთხელ გამოუწვევია ქალაქის დაზიანება, შემუშავებული იყო ხის მარტივი ანტისეისმური კონსტრუქციები, რასაც კედლის წყობაში ჩატანებული ხის ძელებით შექმნილი ჰორიზონტალური სარტყლების სახე ჰქონდა. ეს სარტყლები იშვიათად იყო ოთხივე მხრიდან შეკრული, თუმცა სქელკედლებიან ნაგებობებს მაინც მატებდა რყევების საწინააღმდეგო მედეგობას და საერთო სიმტკიცეს. იგივე დანიშნულებისთვის გამოყენებული იყო კედლებში განივად დატანებული ხის მოკლე ძელებიც. შენობების უკანა კედლებსა და სხვენის არეში კი, ხშირად გამოყენებული იყო ხის ვერტიკალური კონსტრუქციები, რასაც არც თუ იშვიათად ფახვერკული ტიპის ჯვარედინი ძელების კონსტრუქციები და მათ შორის არსებული არეების ბრტყლად დადებული აგურის წყობით შევსება ახლავს.

4. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

4.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა

არხოტის ხეობის სოფელ ახიელში არსებული ცისკარაულების კოშკის, იგივე „ხარათ ციხის“ რეაბილიტაციის პროექტი

7. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

პროექტს ახორციელებს საქართველოს ეროვნული ფონდი (The National Trust of Georgia) საერთაშორისო ფონდი-ს ALIPH ფინანსური მხარდაჭერით

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
2021- 2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. მარინე მიზანდარი (ხელოვნებათმცოდნე, პროექტის ხელმძღვანელი)

2. მანანა სურამელაშვილი (ხელოვნებათმცოდნე)

3. ნინო კორძაბია (არქიტექტორ-რესტავრატორი)

3. ლელა ნინოშვილი (ქვის და კედლის მხატვრობის კონსერვაცია)

4. ერეკლე ნაროშვილი (არქიტექტორ-რესტავრატორი)

5. გუგა სუთიძე (არქიტექტორ-რესტავრატორი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მიმდინარე წლის გაზაფხულზე დაიწყო არხოტის ხეობის სოფელ ახიელში არსებული ცისკარაულების კოშკის, იგივე „ხარათ ციხის“ რეაბილიტაციის პროექტის განხორციელება, რომლის საწყის ეტაპზე ხელოვნებათმცოდნის მიერ განხორციელდა ნაგებობის შესახებ არსებული ბიბლიოგრაფიული მასალის შესწავლა, მოძიებული იქნა დამატებითი ცნობები არხოტის ხეობის, მისი სოფლებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ, რათა აგვისტოში დაგეგმილ კოშკისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის გაწმენდის ფიზიკური სამუშაოების დაწყებამდე ადგილობრივ და ფრანგ მოხალისეებს (მათ ჩართულობას უზრუნველყოფდა ეროვნული ფონდების საერთაშორისო ორგანიზაცია - INTO და ფრანგული ორგანიზაცია - REMPART) მიწოდებოდათ ეს ინფორმაცია და ზოგადი წარმოდგენა შექმნოდათ მხარისა და კოშკის კულტურულ-ისტორიულ ფასეულობაზე. დამუშავდა ასევე, სახელოვნებათმცოდნეო კვლევა ახიელის კოშკზე, რასაც ითვალისწინებს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ძეგლის რესტავრაცია-კონსერვაციის პროექტის დამუშავებისას.

არხოტის ხეობის სოფელ ახიელში არსებული ცისკარაულების კოშკი, იგივე „ხარათ ციხე“, პირამიდულსახურავიანი კოშკების ტიპს განეკუთვნება და ამ ჯგუფის ნაგებობებს შორის გამოირჩევა თავისი აზიდული პროპორციებით.

არხოტის ხეობის სოფლები, არღუნისა და მიდმახევის სოფლებთან ერთად, ანუ მთლიანად პირიქითა ხევსურეთი, ჩრდილოეთ სასაზღვრო ზოლში მდებარეობს, რის გამოც მისი მოსახლეობის ისტორიულ როლსა და მთავარ დანიშნულებას საუკუნეების განმავლობაში სწორედ საქართველოს საზღვრის დაცვა წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე პირიქითა

ხევსურეთში უწინ კოშკი ხშირად ახლდა საცხოვრებელს და მისი აშენება გვარისთვის საპატიო საქმეს წარმოადგენდა. დღეს კი, მთელ ხევსურეთში კოშკები ცოტადაა შემორჩა. არხოტის ხეობაშიც სოფელი ახიელის ცისკარაულების კოშკის გარდა მხოლოდ ერთი, განსაკუთრებით დიდი გაბარიტების (7.3 მ X 6.65 მ; სიმაღლე 13.65 მ), თუმცა განსხვავებული სტრუქტურის გადახურვით დასრულებული კოშკიდა შემორჩა სოფელ ჭიმღაშია.

პირამიდულსახურავიანი ტიპის კოშკები, რასაც ახიელის კოშკიც განეკუთვნება, ხევსურეთთან ერთად დამახასიათებელია თუშეთის სასიმაგრო არქიტექტურისთვისაც. ამ ტიპის კოშკები ფართოდ არის გავრცელებული ჩრდილოეთ კავკასიაშიც, თუმცა მსგავსებასთან ერთად მათ შორის არსებული სხვაობაც თვალშისაცემია, რაც პროპორციებთან ერთად, დასახლებათა ტერიტორიაზე კოშკების განაწილების წესსა და სიმრავლეში გამოიხატება.

პირამიდულსახურავიანი ტიპის კოშკი, თანაც მთელი სისრულით მოღწეული, ხევსურეთში ახიელის კოშკის გარდა მხოლოდ არღუნის ხეობაში, დათვის-ჯვრის უღელტეხილის ახლოს, ნასოფლარ ლეზაისკართან და ნასოფლარ კისტნის მახლობლად, აბულეთაურთ ციხეშია შემორჩენილი. მარიამ ჯანდიერი და გიორგი ლეჟავა პირიქითა ხევსურეთში ამ ტიპის ნახევრად დანგრეული კოშკების არსებობას გუროს მახლობლად და არხოტის თემის სოფელ კვირიწმინდაშიც მიუთითებენ. ახიელის კოშკი თავისი აზიდული პროპორციებით და ლაკონური არქიტექტურული ფორმებით ამ ტიპის ერთ-ერთი თვალსაჩინო და სრულად შემორჩენილი ნიმუშია.

ფიქლის ფილებით ნაშენ, 19-20 მეტრი სიმაღლის ახიელის კოშკს ერთადერთი შესასვლელი მიწის დონიდან ძალიან მაღლა, მეორე სართულის დონეზე აქვს მოწყობილი. კარის ღიობს მთის არქიტექტურაში გავრცელებული სამშენებლო წესის მიხედვით, ფიქლის ფილების საფეხუროვანი გადმოწევით გამოყვანილი თაღოვანი მოხაზულობა (1.2 მ სიმაღლის) აქვს. კარის მარჯვნივ, ქვის წყობაში შემორჩენილია კიბედ გამოყენებული საფეხურებამოჭრილი მორის მისაყრდნობი კოჭის ბუდე; მტრის თავდასხმის დროს მორს ზევით აწევდნენ და კოშკი შეუღწევადი ხდებოდა. სართულებს შორის კავშირი, გარედან ამოსასვლელი კიბის მსგავსად, საფეხურებამოჭრილი ხის მორებით ხორციელდებოდა, რომელსაც კოშკის სადგომების ჭერში, თუ იატაკში დატოვებულ სამვრომ ხვრელს - „საკომს“ - ადგამდნენ. კოშკის სათავსები ზომით, სიმაღლით, დამუშავებითა და დანიშნულებით სართულების მიხედვით განსხვავებულია.

კოშკის კედლები მცირედ ნაშვერი კარნიზით და ოთხწახნაგა, ფიქლის თხელი ფილებით მოწყობილი 10 შვერილსაფეხურიანი, შუაში ოდნავ გამოზურცული პირამიდული გადახურვით სრულდება, რომელიც წვერში ქვით დახურულ მცირე ბაქანს ქმნის; მასზე დამაგრებულია სახურავის დამასრულებელი დიდი ქვა. სამართლიანად ითვლება, რომ ასეთი კონსტრუქცია კარგად მოფიქრებულ და გამოცდილ ხერხს წარმოადგენდა ორ ათეულ მეტრ სიმაღლეზე კამარის ამოყვანისა და საიმედო სახურავის მოწყობისთვის ხარაჩოს გარეშე. პირამიდის მცირედ გამოზურცული ფორმა დამახასიათებელ და დასრულებულ სახეს აძლევს კოშკის სილუეტს.

ფიქლით ნაშენი მთის არქიტექტურა ზოგადად მოკლებულია დეკორატიულ მორთულობას, თუმცა ახიელის კოშკის მთავარ ფასადზე, სალოდის ქვეშ, ნარჩევი ფილების ოსტატური წყობით გამოყვანილია გოლგოთის ჯვრის გამოსახულება, რაც ფილებს შორის დატოვებულ ჩაღრმავებულ ზოლში ჩამდგარი შავი ჩრდილით იხატება და ნაგებობის მიმზიდველ სამკაულს წარმოადგენს.

მთელი სიმაღლით შემორჩენილი გვიანი შუა საუკუნეების ცისკარაულების კოშკი სოფელ ახიელში დღეს მძიმე ფიზიკურ მდგომარეობაშია, რაც 2001 წელს რუსეთ-ჩეჩნეთის მეორე ომის საბოლოო მოქმედებების დროს ორი ჭურვის მოხვედრამ გამოიწვია. ძლიერმა დარტყმებმა ახიელის კოშკს მნიშვნელოვანი დაზიანება მიაყენა, ნაგებობის კედლების მთლიანობა დარღვეულია და ლოკალურ არეში გაჩენილი გამონგრეული ნაწილების ირგვლივ ბზარებია განვითარებული. აღნიშნული დაზიანება კოშკის დანგრევის სერიოზულ საფრთხეს განაპირობებს, რაც სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარების გადაუდებელ საჭიროებას ქმნის.

ციცინო ჩაჩხუნაშვილი

2.პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიხედვით

ეგრის-აფხაზეთის არქიტექტურა IX-XIV სს-ში

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

2020- 2023

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მიხედვით)

1. ირინე ელიზბარაშვილი (მკვლევარი)

2. ციცინო ჩაჩხუნაშვილი (მკვლევარი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

კვლევის საწყის ეტაპზე ყურადღება გამახვილდა საკუთრივ აფხაზეთის და დღევანდელი სამეგრელოს ტერიტორიაზე არსებულ საეკლესიო არქიტექტურაზე. აღნიშნული მიმართულებით 2021 წელსაც გაგრძელდა მუშაობა,შესწავლისპროცესშია რამდენიმე საეკლესიო ნაგებობა - წალენჯიხის გუმბათიანი ტაძარი და ხობის ეკლესია. რაც შეეხება სქურის დარბაზულ ეკლესიას, მასზე მუშაობა დასრულებულია. შესრულებული კვლევა დაედო საფუძვლად ამ ძეგლის რესტავრაციას. ხობის და წალენჯიხის ტაძრები მრავალფენოვანი, რთული სტრუქტურის მქონე ნაგებობებია. მათი შესწავლის პროცესში გამოიკვეთა ისტორიული ფენები, გამოვლინდა გეგმის კომპოზიციურ-სტრუქტურული ცვლილებები (ხობი), ამ ძეგლებზე წარმოებული გაწმენდითი სამუშაოების საფუძველზე (ხობი) მიმდინარეობს გამოვლენილი მასალის შესწავლა, რაც სამომავლოდ სრულად წარმოაჩენს ამ უდიდესი მხატვრული და ისტორიული ღირებულების ნაგებობების

ისტორიას და მათ მხატვრულ-არქიტექტურულ სახის დროში ცვლილება-განვითარებას. (სამუშაო გრძელდება.)

თემის განზოგადებისთვის აშკარად გამოიკვეთა, რომ აუცილებელია გაფართოვდეს მისი „გეოგრაფია“ და ამჯერად მოიცვას მთლიანად დასავლეთ საქართველოს გარკვეული პერიოდის საეკლესიო არქიტექტურა. პირველ რიგში ეს ეხება ქუთაისის ღმრთისმშობლის მიძინების (ბაგრატის) ტაძარს, სადაც არქეოლოგებისგან შემდგარი ჯგუფი 2005-2012 წწ-ში აწარმოებდა ძეგლის გახსნის ზედამხედველობას, რის საფუძველზეც მოგვიანებით გამოქვეყნდა სამეცნიერო ნაშრომები.

ეგრის-აფხაზეთის საეკლესიო არქიტექტურის შესწავლასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბაგრატის ტაძარში 2009-2010 წწ-ში მიმდინარე სამუშაოების შედეგად გამოვლენილ მასალას, რომელიც გარდა არქეოლოგიური ანალიზისა, სახელოვნებათმცოდნეო კუთხით გაანალიზებას მოითხოვს. სხვადასხვა მიზეზის გამო, ამ ტიპის სამუშაო აქამდე არ შესრულებულა. ამ პრობლემაზე არქეოლოგიური კვლევის ავტორებმაც გაამახვილეს ყურადღება.

2013 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში აღნიშნულია, რომ ტაძრის „ორი უკანასკნელი სამშენებლო ეპოქის კედლების, სართულშუა გამყოფი თაღების, ნალისებური სამი აფსიდის, აფსიდისწინა მრგვალი სვეტების ნაშთები ორგანულადაა ჩართული ბაგრატის ტაძრის სტრუქტურაში და სართულნახევრის სიმაღლეზე დღემდე კარგად იკითხება. ინტერიერის ელემენტები კი იატაკის დონეზეა ნიველირებული“. მათივე მოსაზრებით, ბოლო ორ სამშენებლო პერიოდად იგულისხმება VIII და IX-X საუკუნეები. არქეოლოგიური კვლევის ავტორები იმასაც აღნიშნავენ, რომ გამოვლენილი ფენების ერთმანეთისაგან გასამიჯნად აუცილებელია „დამატებითი ხუროთმოძღვრული კვლევა“ (ო. ლანჩავა, რ. ისაკაძე, შ. ბუაძე, ბაგრატის არქეოლოგია, ონლაინ არქეოლოგია, #5, თბ., 2013, გვ. 237-238).

ბაგრატის ტაძარში გამოვლენილი მასალის სახელოვნებათმცოდნეო ანალიზი მნიშვნელოვანია არა მარტო ჩვენი საკვლევი თემისათვის. არქეოლოგების მიერ შემოთავაზებული სავარაუდო დათარიღება, უკვე ფიგურირებს სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში, რამაც სამომავლოდ შეიძლება მცდარ გადაწყვეტილებებამდე მიგვიყვანოს. მხედველობაში გვაქვს უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი ადრექრისტიანული პერიოდის ეკლესიები, რომელთა თარიღმა და ინტერპრეტაციამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია მკვლევართა შორის. აღსანიშნავია ისიც, რომ ბაგრატის ტაძრის ადრეული სამშენებლო ფენების დათარიღება უკავშირდება საქართველოს ისტორიის გარკვეულ მომენტებს.

როგორც ცნობილია, XVIII საუკუნემდე საეპისკოპოსოს არსებობა ქუთაისში არ დასტურდება. იქიდან გამომდინარე, რომ 1003 წელს დასრულებული ტაძარი ბაგრატ III გამეფების დროს ჯერ კიდევ არ იქნებოდა დასრულებული, მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა იმ საკითხზე, თუ რომელ ეკლესიაში ეკურთხა ერთიანი საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III (975-1014). მეფედ კურთხევის ცერემონიალი საეპისკოპოსო ტაძარში უნდა ჩატარებულიყო, რაც ირიბად, ქუთაისში საეპისკოპოსოს არსებობას უკავშირდება.

4. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

4.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა

1. საქართველოში არსებული ისლამური აბანოების არქიტექტურის კვლევა (სამცხე, კახეთი) .
დამფინანსებელი ორგანიზაცია - **THE BARAKAT TRUST** (გაერთიანებული სამეფო)

6 . ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
2021-2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ირინე ელიზბარაშვილი (მკვლევარი)

2. ციცინო ჩაჩხუნაშვილი (მკვლევარი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

აღმოსავლური ტიპის აბანოები სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოში

(ახალციხე, აწყური, თელავ , გრემი)

საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია და გეოგრაფიული მდებარეობა დიდად განაპირობებდა ქვეყნის კულტურულ მრავალფეროვნებას. ეროვნული შემოქმედებითი ხედვისა და ტრადიციების მატარებელი ჩვენი ქვეყანა, პერიოდულად განიცდიდა მეზობელი ან დამპყრობელი ქვეყნების კულტურის გავლენას. რაც სხვადასხვა სიძლიერით აისახებოდა როგორც ყოფაში, ასევე ხუროთმოძღვრებასა თუ ხელოვნების სხვადასხვა დარგში. ცხადია, ეს გავლენები არათანაბარი იყო და ამავდროულად, ახალ ნიადაგზე ადაპტირებისას იგი ერწყმოდა რა ადგილობრივ ტრადიციებს - თავისებურ მხატვრულ სახეს იღებდა. ბერძნულ-რომაული, ბიზანტიური თუ აღმოსავლური კულტურული გავლენა სხვადასხვა დროს იჩენდა თავს.

ქართულ ყოფაში და კულტურაში მნიშვნელოვანი ადგილი აღმოსავლურ-ისლამურ მხატვრულ აზროვნებას ეთმობოდა. ხუროთმოძღვრებაში იგი სხვადასხვა არქიტექტურული ტიპის დამკვიდრებაში მდგომარეობდა. დაწყებული საკულტო ნაგებობებიდან (მეჩეთი, მინარეთი, ჯამე, მედრესე) საერო არქიტექტურის ნიმუშების ჩათვლით (მავზოლეუმი, აკლდამები, სასახლეები, ქარვასლები, აბანო). ჩვენი კვლევის ობიექტს სწორედ აღმოსავლური აბანოები წარმოადგენს.

აღმოსავლური ტიპის აბანოების გავრცელებას გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში თავისი ისტორიული წანამდღვრები ჰქონდა, რამაც ირანული და თურქული

არქიტექტურული ტიპის აბანოების მშენებლობას და ყოფაში ფართოდ დამკვიდრებას შეუწყო ხელი. მათგან ჩვენ დრომდე მხოლოდ მცირე ნაწილმა მოაღწია.

2021-2022 განსახორციელებელი პროექტის მიზანია საქართველოში არსებული აღმოსავლური ტიპის აბანოების არქიტექტურის კვლევა ქვეყნის იმ რეგიონების მნიშვნელოვან ცენტრებში, რომლებიც უშუალოდ ემეზობლებოდნენ ერთი მხრივ ოსმალეთის იმპერიას, ხოლო მეორე მხრივ – ირანს. ახალციხესთან დაკავშირებით, დაგეგმილია აგრეთვე კვლევითი-სადიეზო სამუშაოები, რომლის მიზანია აქამდე უცნობი ნიმუშების გამოვლენა და დოკუმენტაცია. აღნიშნული ამოცანის შესასრულებლად ძირითად პერსონალთან ერთად პროექტში ჩართულია ორი არქიტექტორი.

პროექტის ფარგლებში 2021 წელს ნაწილობრივ მომზადდა ისტორიული კონტექსტი და შესრულდა საარქივო-კვლევითი სამუშაოები. სამუშაო გეგმით განსაზღვრული ექსპედიციების მოწყობა, გარკვეულ გარემოებათა გამო, ვერ მოხერხდა.

ირინე ელიზბარაშვილი

2.პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

ეგრის-აფხაზეთის არქიტექტურა IX-XIV სს-ში

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

2020-2023

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **ირინე ელიზბარაშვილი (მკვლევარი)**

2. **ციცინო ჩაჩხუნაშვილი (მკვლევარი)**

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ანოტაცია იხ. თანავეტორის, ციცინო ჩაჩხუნაშვილის ანგარიშში

4. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

4.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა

საქართველოში არსებული ისლამური აბანოების არქიტექტურის კვლევა (სამცხე, კახეთი)
დამფინანსებელი ორგანიზაცია - THE BARAKAT TRUST (გაერთიანებული სამეფო)

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
2021 - 2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ირინე ელიზბარაშვილი (მკვლევარი)

2. ციცინო ჩაჩხუნაშვილი (მკვლევარი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ანოტაცია იხ. თანავტორის, ციცინო ჩაჩხუნაშვილის ანგარიშში

მარიამ დიდებულიძე

2.პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

შემოქმედებითი თავისუფლების საკითხი შუა საუკუნეების მხატვრობაში

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4.1. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
2021-2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

მარიამ დიდებულიძე (მკვლევარი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

თემა მიზნად ისახავს შუა საუკუნეების მხატვართა მოღვაწეობის შესახებ არსებული მასალის საფუძველზე მათი შემოქმედებითი თავისუფლების ხარისხის დადგენას და მისი განმაპირობებელი ფაქტორების გამოვლენას. კვლევა გულისხმობს ხელმისაწვდომი მასალის შეგროვებას, გაანალიზებას, ასევე სხვა ეპოქებში ამავე ასპექტის ძირითადი მახასიათებლების დადგენას და სხვადასხვა ეპოქაში მოღვაწე ოსტატების თვით იდენტურობის შედარებას. ეს, გარკვეული თვალსაზრისით, შემოქმედებითი ფსიქოლოგიის სფეროს განეკუთვნება.

თემის ფარგლებში განიხილება შემდეგი საკითხები:

- ინფორმაცია შუა საუკუნეების აღმოსავლეთქრისტიანული ქვეყნების მხატვარ-ოსტატების თაობაზე
- საზოგადოების დამოკიდებულება მხატვართა მიმართ
- შუა საუკუნეების მხატვართა თვით-აღქმა (ფსიქოლოგია)
- საეკლესიო კრებების დადგენილებები
- ეკლესიის მამები ხელოვნების შესახებ
- კანონის ცნება და მისი მნიშვნელობა-ზემოქმედება ხელოვნების ნაწარმოების შექმნის პროცესზე
- ნიმუშთა წიგნების გამოყენება და გავრცელება
- ასლის გაგება შუა საუკუნეების ხელოვნებაში
- ეროვნული ფორმის საკითხი
- შემოქმედებითი პროცესი, სწავლება, განათლება.
- კვლევის პროცესში წამოჭრილი გაუთვალისწინებელი საკითხები.

ზემოთჩამოთვლილი საკითხების კვლევა ორ წელიწადს იგეგმება (2021-2022),

პირველ ეტაპზე (2021 წ.) დადგინდა საჭირო სამეცნიერო ლიტერატურის სია. გაკეთდა არსებული მონაცემების პირველადი ანალიზი. მეორე ეტაპზე იგეგმება მიღებული შედეგების კლასიფიკაცია, განზოგადება და საბოლოო დასკვნის ჩამოყალიბება.

3. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

3.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.არქიტექტურის აღქმა და რეპრეზენტაცია შუა საუკუნეების საქართველოში

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4.1. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

FR2017/ FR17_221

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 2018-2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.მარიამ დიდებულაძე (პროექტის ხელმძღვანელი)

2.დავით ხოშტარია (ძირითადი პერსონალი)

3.მარინე ყენია (ძირითადი პერსონალი)

4.ნატალია ჩიტიშვილი (ახალგაზრდა მეცნიერი, კოორდინატორი)

5.ქრისტინე საბაშვილი (ძირითადი პერსონალი, ახალგაზრდა მეცნიერი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტის მიზანია ჩატარდეს კვლევა, რომელიც გაარკვევს თუ როგორ აღიქვამდნენ არქიტექტურას შუა საუკუნეების ქართველები და ახსნის მისი რეპრეზენტაციის დანიშნულებასა და ფორმებს. კვლევა მოიცავს შუა საუკუნეების საქართველოს მხატვრულ კულტურასა და მის სულიერ და ინტელექტუალურ საფუძვლებთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო წრეს.

პროექტი მოიცავს ექვს კვლევით თემას: 1. არქიტექტურის აღქმა შუა საუკუნეების საქართველოში; 2. არქიტექტურული ნახაზები; 3. არქიტექტურული ფონები კედლის მხატვრობაში, ხატწერაში, წიგნის მინიატურასა და ჭედურ ხელოვნებაში; 4. არქიტექტურის რეპრეზენტაციები საქტიტორო გამოსახულებებში; 5. ეკლესიათა მოდელები როგორც აკროტერიონები და საფლავის ძეგლები; 6. არქიტექტურის რეპრეზენტაცია: შეჯამება.

საპროექტო კვლევა მეტ შუქს მოჰფენს ზოგადად შუა საუკუნეების არქიტექტურასა და ხელოვნებას და კერძოდ, არქიტექტურის შუასაუკუნეობრივ კონცეფციასა და მისი რეპრეზენტაციის ფორმებს. პროექტის შედეგი იქნება არა მხოლოდ ფაქტების დაგროვება, არამედ მეთოდოლოგიურად ინოვაციური გამოკვლევა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს შუა საუკუნეების ქართული სულიერი და მხატვრული კულტურის უფრო ღრმა გაგებას.

პროექტზე მუშაობა უნდა დასრულებულიყო საანგარიშო პერიოდში, 2020 წლის ივნისში, მაგრამ კოვიდ-19-ის პანდემიის გამო ვერ მოხერხდა დასახული ამოცანების სრულად შესრულება, რის გამოც რუსთაველის სამეცნიერო ფონდის თანხმობით პროექტის დასრულების ვადა გადაიდო 2022 წლის 19 ივნისამდე.

პროექტის ფარგლებში მომზადდა შემდეგი მოხსენებები, სტატიები და ნარკვევები:

მარიამ დიდებულიძე, „ეკლესიის შემწირველი ქტიტორების გამოსახულებები შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში“. „საქართველოს სიძველენი,,

მარიამ დიდებულიძე, „იერუსალიმის გამოსახვის თავისებურებანი შუა საუკუნეების ქართულ კედლის მხატვრობაში (მოხსენება წაკითხულ იქნა ჩუბინაშვილის ცენტრის 80 წლისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე, 2021 წლის 25 ნოემბერს).

დავით ხოშტარია, არქიტექტურის გრაფიკული გამოსახულებები შუა საუკუნეების საქართველოში (ნარკვევი გამოქვეყნდება წიგნში, რომელიც გამოიცემა პროექტის დასრულების შემდეგ, 2022 წელს).

ნატალია ჩიტიშვილი, სამგანზომილებიანი არქიტექტურული მოდელები შუა საუკუნეების საქართველოში (ნარკვევი გამოქვეყნდება წიგნში, რომელიც გამოიცემა პროექტის დასრულების შემდეგ, 2022 წელს)

Natalia Chitishvili, General Overview of the Three-Dimensional Architectural Models as Acroteria in Medieval Georgia. Studia Ceranea, N11, 2021, გვ. 11-23.

ქრისტინე საბაშვილი, არქიტექტურის რეპრეზენტაციები შუა საუკუნეების საქართველოს საქტიტორო გამოსახულებებში (ნარკვევი გამოქვეყნდება წიგნში, რომელიც გამოიცემა პროექტის დასრულების შემდეგ, 2022 წელს).

3.1.2

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

2. შუა საუკუნეების მხატვრები საქართველოში

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4.1. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

FR17_271

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
2018-2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ქეთევან მიქელაძე (პროექტის ხელმძღვანელი)

2. მარიამ დიდებულიძე (ძირითადი პერსონალი)

3. თამარ ხოსროშვილი (ახალგაზრდა მეცნიერი, კოორდინატორი)

2.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ანოტაცია იხ. პროექტის ხელმძღვანელის, ქეთევან მიქელაძის ანგარიშში

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

6.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

მარიამ დიდებულიძე

2) სტატიის სათაური, ISSN

ეკლესიის შემწირველი ქტიტორების გამოსახულებები შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში

ISSN 1512-1321

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
საქართველოს სიბეველენი, # 23

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი

5) გვერდების რაოდენობა

39 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატია ეძღვნება შუა საუკუნეების სახვით ხელოვნებაში, კერძოდ კი კედლის მხატვრობაში რეალურად არსებული არქიტექტურის (ძირითადად ეკლესიების) რეპრეზენტაციებს საქტიტორო გამოსახულებებში;

კვლევა მოიცავს შუა საუკუნეების საქართველოს მხატვრულ კულტურასა და მის სულიერ და ინტელექტუალურ საფუძვლებთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო წრეს.

სტატია ფოკუსირებულია საკითხზე, თუ როგორ აღიქვამდნენ არქიტექტურას შუა საუკუნეების ქართველები და მისი რეპრეზენტაციის დანიშნულებასა და ფორმებზე. წაროდგენილ იქნა რამდენიმე მოსაზრება იმის თაობაზე, თუ როგორი იყო არქიტექტურის შუასაუკუნეობრივ კონცეფცია და მისი რეპრეზენტაციის ფორმები.

მოხსენებაში შემოთავაზებულ იქნა არქიტექტურული მოდელებით გამოსახულ ქტიტორულ პორტრეტების კლასიფიკაცია რამდენიმე ნიშნით: ქტიტორის რანგი; მისი გამოსახულების ადგილი მთლიანად მოხატულობაში; ქტიტორის ხელში გამოსახული არქიტექტურული ნაგებობის მსგავსების ხარისხი რეალურად არსებულ კონკრეტულ ნაგებობასთან. ისტორიული ფონი და სხვ. ასევე ქტიტორთა სოციალური სტატუსი. განხილულ იქნა შუა საუკუნეების სახვით ხელოვნებაში და არქიტექტურაში „ასლის“ გაგების სხვადასხვა გადაწყვეტები.

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

მარიამ დიდებულიძე

2) მოხსენების სათაური

იერუსალიმის გამოსახვის თავისებური ნიმუშები შუა საუკუნეების ქართულ კედლის

მხატვრობაში

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

2021 წლის 25 ნოემბერი, თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი. გ. ჩუბინაშვილს სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის 80 წლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია.

2.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

მოხსენება მიემდგნა ქალაქ იერუსალიმის გამოსახულებების იმ თავისებურ ნიმუშებს, რომლებიც გამოვლინდა შუა საუკუნეების ქართულ კედლის მხატვრობაში. კერძოდ, ,მაცხვარიშის, ყინცვისის, ტიმოთესუბნის, აჭის, თანდილის, უდაბნოს ხარების ეკლესიის, უბისის, ჭალის, ამაშუკეთის გელათის ეკლესიების მოხატულობებში.

ბუნებრივია, ძირითადად განხილულია „ბზობის“ სცენები, ვინაიდან სწორედ ამ კომპოზიციაში ყველაზე ნათლად იკვეთება ქალაქ იერუსალიმის გამოსახვის სახითმეტყველებითი ასპექტები. კერძოდ, მისი გაიგივება ზეციურ იერუსალიმთან, ერთი მხრივ, მეორე მხრივ კი ყოვლადწმინდა ღმრთისმშობელ მარიამთან.

მოხსენების შესავალ ნაწილში განხილული იყო საერთოდ აღმოსავლეთ საქრისტიანოში ქალაქ იერუსალიმის გამოსახვის სხვადასხვა დროის და შინაარსის ნიმუშები.

8. 2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

მარიამ დიდებულიძე

2) მოხსენების სათაური

ქართული შუა საუკუნეების კედლის მხატვრობა ბიზანტიური და აღმოსავლეთქრისტიანული ხელოვნების კონტექსტში: XII ს.-ის ყინცვისის ეკლესიის მოხატულობა, როგორც კულტურული ურთიერთკავშირის ნიმუში

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

Georgia Project Lecture Series, Part 1, Kunsthistorisches Institut in Florenz in collaboration with the George Chubinashvili National Research Centre, Online public lecture (საქართველოს პროექტის ლექციების სერია, ფლორენციის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი გიორგი ჩუბინაშვილის სახ. ეროვნულ კვლევით ცენტრთან თანამშრომლობით, ონლაინ მოხსენება),

2021 წლის 18 მაისი (zoom-ის პლატფორმა), (მოხსენების ვიდეო-ჩანაწერი განთავსებულია გ. ჩუბინაშვილის ცენტრის YouTube -გვერდზე).

2.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

მოხსენებაში განხილულ იქნა მე-12-მე-13 საუკუნეთა მიჯნაზე ქართული კედლის მხატვრობის ძეგლების მიმართება აღმოსავლეთქრისტიანული სამყაროს თანადროულ ნიმუშებთან. განხილულ იქნა საერთო წინაპირობები, საერთო თემები, საერთო ნიშნები იკონოგრაფიულ პროგრამებში, თუმცა ძირითადი აქცენტი გაკეთდა იმ თავისებურებებზე, რომლებიც გამოარჩევს თამარის დროინდელ კედლის მხატვრობას თანადროული ბიზანტიური ნიმუშებისგან. ხაზი გაესვა ქართული და ბიზანტიური კედლის მხატვრობებს შორის განვითარების არასინქრონულობას, მიუხედავად ბევრი საერთო ნიშნებისა. განხილულ იქნა, რა მიმართულებით განვითარდა ბიზანტიური მხატვრობა მე-13 საუკუნეში (ახალი ნეოკლასიციზმი, ახალი პლასტიკურობა: სოპოჩანი, მილეშოვო და სხვ), მაშინ როცა საქართველოში განვითარება საწინააღმდეგო მიმართულებით წარიმართა: მეტი დემატერიალიზაციის, მეტი დინამიკის, მონუმენტურობის შესუსტების და სხვ. მაგ., ხარების ეკლესია უდაბნოში, აჭის წმ. გიორგის ეკლესია და სხვ).

მოხსენების ძირითადი ნაწილი დაეთმო ყინცვისის წმ. ნიკოლოზის ტაძრის მე-13 საუკუნის დამდეგის კედლის მხატვრობის პროგრამის ძირითადი თემების განხილვას, გამახვილდა ყურადღება თამარ მეფის, გიორგი მესამის და ლაშა გიორგის დინასტიურ პორტრეტზე და მის მნიშვნელობაზე მოხატულობის საერთო კონტექსტში.

საგანგებოდ განხილულ იქნა ტაძრის აღმშენებლის და რეალური ქტიტორის მწიგნობართუხუცესისა და ჭყონდიდელის ანტონი გლონისთავიძის პიროვნებას, მის ისტორიას და კათოლიკოს ნიკოლოზ გულაბერიძის პიროვნებისა და მოძღვრების გავლენას ყინცვისის მოხატულობის პროგრამის შემადგენლობაზე, განსაკუთრებით წმ. ნიკოლოზის ცხოვრების ძალიან ფართო ციკლი, ეროვნული წმინდანების თემა, მათ შორის წმ. ნინოს ხაზგასმულად აქცენტირებული გამოსახულება - ხატი; ძლევის ჯვრის თემა და სხვ. დადგინდა, რომ მოხატულობის პროგრამა მკვეთრდა გამოსახულ ანტი-მწვალებლურ ხასიათს ატარებს.

მოხსენების მეორე ნაწილი დაეთმო მოხატულობის მხატვრული სახის გარჩევას. ძირითადად კი მისი ფერადოვნებისა. ყინცვისის მოხატულობის კოლორიტი ეფუძნება შუქმნათი ლაჟვარდის უხვ გამოყენებას. იგი განსაზღვრავს ძირითად ფერადოვნულ შთაბეჭდილებას განხილულია ფონის ნიადაგის ზოლისთვის ქათქათა თეთრის გამოყენების სიმბოლური მნიშვნელობა. ასევე სხვადასხვა ფერადოვანი „აკორდების“ ჟღერადობის და გამომსახველობის ეფექტი დღის სხვადასხვა დროის განათებისას.

გარდა ამისა, მოკლედ იყო დახასიათებული ყინცვისის მონასტერში შემონახული კედლის მხატვრობის სხვა ნიმუშები, კერძოდ, მე-13 საუკუნის შუა ხნის ღმრთისმშობლის ეკლესიის საკურთხევლის მოხატულობა და წმ. ნიკოლოზის ტაძრის ნართექსის მე-16-17 საუკუნეთა მხატვრობა, რომელშიც ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის პორტრეტი არის გამოსახული.

(მოხსენების ვიდეო-ჩანაწერი განთავსებულია გ. ჩუბინაშვილის ცენტრის YouTube - გვერდზე).

მარინე ბულია

2.პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიხედვით

ნიმუში და ადგილობრივი ინტერპრეტაცია

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4.1. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

6.5 სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებანი

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
მარინე ბულია (მკვლევარი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

კვლევა ემდგნება სხვადასხვა დროს, განსხვავებული მხატვრული ცენტრებიდან გავრცელებული, განსხვავებული მხატვრული ტრადიციების ამსახველი მოდელების როლს შუა საუკუნეების ხელოვნებაში. მათ გავლენას მხატვრული ნაწარმოების შინაარსსა და ფორმაზე, მათი ადაპტაციის თავისებურებებსა და ადგილობრივ ინტერპრეტაციას.

კვლევის 2021 წლის ეტაპი მიემდვნა არქიტექტურული მისესისის თემას, რომელიც შუასაუკუნოვანი რელიგიური კულტურის უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენდა.

მთელ საქრისტიანოში საკრალური ლანდშაფტისა თუ სახელოვანი ტაძრების როგორც ფიზიკურ, ისე სულიერ თუ სიმბოლურ მოდელთა შორის წმინდა მიწა და მისი სიწმინდეები, უპირველეს ყოვლისა კი, უფლის საფლავის როტონდა პირველობდა (ამგვარი არქიტექტურული იმიტაციის მაგალითები, სხვადასხვა ასპექტით, საფუძვლიანად არის შესწავლილი და გაშუქებული მედიევალისტურ სამეცნიერო ლიტერატურაში). თუმცა არსებობდა არქიტექტურული მიმესისის სხვაგვარი მაგალითები, რომლებიც სხვა წმინდანთა სახელოვან ტაძრებსა თუ loca sancta-ს უკავშირდებოდა.

(ასეთი მაგალითები განსაკუთრებულად გამრავლდა 1204 წელს ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ. გამარჯვებული ევროპელებისთვის პალესტინურ სიწმინდეებთან ერთად, მისაბამ მოდელად, ახლა უკვე კონსტანტინოპოლის სახელგანთქმული ტაძრები და ქალაქის ურბანული სტრუქტურა იქცა).

საქართველოში, რომლის საკრალური ლანდშაფტი ასევე არსებითად პალესტინური იყო, არქიტექტურული მიმესისის ასეთ იშვიათ და განსხვავებულ მაგალითად იქცა დავითგარეჯის დოდორქის მონასტრის წმ. დიმიტრის პატარა ეკლესიაც, რომლის შემამკობელი მოხატულობა (საქართველოსთვის უნიკალური, წმინდანის ჰაგიოგრაფიული ციკლი) და ეკლესიაში დაბრძანებული წმინდანის რელიკვია ცხადად მიგვანიშნებს, რომ ის ეკლესია-რელიკვარიუმს წარმოადგენდა და თესალონიკის წმ. დიმიტრის სახელობის სახელგანთქმული ბაზილიკის memori-დ იყო შექმნილი.

ასეთ ვარაუდს უფრო ამყარებს სამლოცველოს აფსიდის მეტად უჩვეული ხუროთმოძღვრული სტრუქტურა და მისი მხატვრული გადაწყვეტა, რომელსაც პარალელი ვერც გარეჯში და ვერც ზოგადად ქართულ თუ ბიზანტიურ ხუროთმოძღვრებაში მოეძებნა.

დოდორქის ამ პატარა ეკლესიის საკურთხეველი, რომელიც რეალურად კონქით დასრულებულ მცირე ზომის ნიშას წარმოადგენს, კლდის ქანშია გამოკაფული. მის გარშემო მოქცეული კედლები კი ნაშენია. ნაშენია ასევე საკურთხეველის თავზე მოწყობილი დიდი, ეკლესიის მთელი სიგანის მომცველი (2.50 მ.), 12 სმ-ის სიღრმის მქონე, ერთიანად წითლად დაფერილი ტიმპანისებრი ნიშაც, რომელიც ერთგვარად აგვირგვინებს სამლოცველოს მთელ აღმოსავლეთ ნაწილს და მძლავრ, მქლერ, იმთავითვე ყურადღებასიპყრავ ფერადოვან და

არქიტექტურულ აქცენტად იკითხება ამ პატარა ქვაბოვანი ეკლესიის სადა სივრცეში, რომელიც სულ რამდენიმე მცირე ზომის ნიშითაა დანაწევრებული. ნიშა მხატვრულად ისეა გაფორმებული, რომ მისი თაღი, რომელიც რეალურად საკურთხევლის სატრიუმფო თაღს წარმოადგენს, 'ეყრდნობა' იმ ნაგებობათა სვეტებს, რომლებიც ნიშის ქვემოთ განთავსებულ ხარების სცენაშია გამოსახული. მათი კრამიტით დახურული სფერული სახურავები ორივე მხრიდან წარწერის ველშია შეჭრილი. როგორც ვიზუალურმა დათვალიერებამ, ისე ფერწერული ფენის ტექნიკურმა კვლევამ აჩვენა, რომ ნიშა არასდროს ყოფილა მოხატული, არამედ მხოლოდ წითლად, ჯერ ოქრით, ზემოდან კი სინგურით დაფერილი.

ვფიქრობ, ასეთი სტრუქტურის საგანგებოდ ამ სამლოცველოსთვის შექმნა, მისი ძვირფასი სინგურით დაფრვა, ამასთან, საკურთხევლის მომიჯნავედ, თითქოს მის მცველებად მეომარი წმინდანების - დიმიტრის და მის მოპირდაპირედ გიორგისა და თევდორეს დაყენება, მკაფიოდ მიგვანიშნებს, რომ მას განსაკუთრებული ფუნქცია ჰქონდა მინიჭებული და ის რაღაც ძვირფასი ნივთის, სავარაუდოდ, წმინდანის ქლამინდის ნაწილის დასაბრძანებლად იყო განკუთვნილი.

დოდორქის სააფსიდო სტრუქტურას მიმსგავსებული, პორტიკის ტიპის, ორ სვეტს დაყრდნობილი ტიმპანისებრი არქიტექტურული ელემენტი საკმაოდ ხშირად გვხვდება ადრექრისტიანული ხანის - IV-VII საუკუნეთა სპილოს ძვლის, მარმარილოს თუ ვერცხლის სხვადასხვა ტიპის ნაკეთობებზე. ის პირობითად ფონურ ნაგებობას აღნიშნავს, რომლის წინაც წმინდანი, ან რაიმე სცენაა ხოლმე გამოსახული. ასეთივე ტიპის ნაგებობის ფონზეა წარმოდგენილი წმინდა დიმიტრი თესალონიკის მისი სახელობის ბაზილიკის V-VI საუკუნის მოზაიკებზე, რომლებიც 1917 წლის ხანძრამდე ჩრდილოეთის მცირე კოლონადის თავზე იყო მოქცეული. ეს ნაგებობა მკვლევართა მიერ წმინდანის კივორიონთან არის გაიგივებული.

ვინაიდან წმინდანის ხორციელი ნაწილების არსებობის შესახებ დანამდვილებით არაფერი იყო ცნობილი, წმინდა დიმიტრის მთავარ სიწმინდედ და პილიგრიმთა თავყვანისცემის მთავარ ობიექტად იქცა სწორედ კივორიონი (κίβριον) - Miracula-ს (წმინდანის სასწაულების ტექსტის) მიხედვით, წმინდა დიმიტრის ბაზილიკის მთავარი ნავის შუა წელზე, ჩრდილოეთ კოლონადასთან მდგარი ჰექსაგონალური ფორმის, ექვს სვეტს დაყრდნობილი კონუსური გადახურვის მქონე ვერცხლის სტრუქტურა, რომელიც გადმოცემით, წმინდანის საფლავზე (ταφός) იყო აღმართული და მისი ზებუნებრივი მყოფობის ადგილად მიიჩნეოდა. Miracula-ს მიხედვით, სწორედ კივორიონი წარმოადგენდა მორწმუნეებთან წმინდანის ურთიერთობის მთავარ საშუალებას. ის მათ კივორიონიდან ესაუბრებოდა და გამოხატავდა თავის ნებას, კივორიონიდან კურნავდა, სიზმრებსა თუ ხილვებში კი მის ფონზე მდგომი ან იქიდან გამომავალი ეცხადებოდა. ანუ კივორიონი წმინდანის არყოფნისას, მისი ფიზიკური მყოფობის ილუზიას ქმნიდა. საყურადღებოა, რომ წმინდანის რელიკვიების (სისხლი, მრონი) იმპერიაში გავრცელება, ისევე როგორც მის გარეთ მათი ექსპორტირება ხდებოდა რელიკვარიუმებით, რომელთა უმეტესობა თავისი ფორმით სწორედ კივორიონთან იყო ასოცირებული. ზოგი მათგანი უშუალოდ იმეორებდა ამ სიწმინდეს (კრემლის იარაღის პალატის რელიკვარიუმი 1059-67), ზოგის შიგთავსი კი მისი ინტერიერის არქიტექტურული სტრუქტურის მიხედვით იყო გამართული და უშუალოდ წმინდანის საფლავს განასახიერებდა (რელიკვარიუმები ბრიტანეთის მუზეუმისა (XII-XIII სს.) და დამბარტონ

ოქსის კოლექციებიდან (XIII ს.); სამი რელიკვარიუმი ჰალბერშტადტის კათედრალის საგანძურიდან (X, XI, XII სს.), ათონის ლავრის რელიკვარიუმი (XI ს.) და ა.შ.).

სავარაუდოდ, დოდორქის ამ `მონუმენტური რელიკვარიუმის` აფსიდის ერთობ უცნაური სტრუქტურაც სიმბოლურად სწორედ კივორიონს განასახიერებდა, პირობითად `იმეორებდა` მის, აფსიდის ფორმას ყველაზე იოლად მოსარგებ ელემენტს სვეტებს დაყრდნობილ ღია ტიმპანებს და იქ დაბრძანებულ რელიკვიასთან ერთად, სხვა რელიკვარიუმების მსგავსად, წმინდანის საფლავს განასახიერებდა (არქიტექტურული მიმესისის მსგავს მაგალითს წარმოადგენდა ასევე წმ. დიმიტრის სამლოცველო, რომელიც IX საუკუნეში ბიზანტიის იმპერატორმა ლეო VI ბრძენმა სწორედ კივორიონის ხატად მიაშენა კონსტანტინოპოლის დიდი სასახლის სახელგანთქმულ ფაროსის ეკლესიას, რომელიც იმპერატორების კუთვნილი, უმნიშვნელოვანესი რელიკვიების სამყოფელს წარმოადგენდა).

კარგადაა ცნობილი, რომ შუა საუკუნეებში განსაკუთრებულად სათაყვანებელი წმინდა ადგილებისა თუ საკრალური სივრცეების სიმბოლური გადმოტანისას, არ იყო აუცილებელი მათი ტოპოგრაფიისა თუ არქიტექტურული ფორმების ზუსტი გამეორება, პირიქითაც, ოსტატების მხრიდან ნიმუშის უშუალო მსგავსების მიმართ ერთგვარი `გულგრილობაც` კი შეიმჩნევა. პროტოტიპთან სულიერი კავშირისა და სრული იდენტობისთვის ხშირად მისი მხოლოდ ერთი დეტალის, ამა თუ იმ ელემენტთა რაოდენობის, საზომი ერთეულის ან თუნდაც სახელობის გამეორება იყო საკმარისი. მით უფრო ძლიერი იყო არქეტიპთან სულიერი ერთობა, თუკი ის ნივთიერადაც იყო გამოხატული და ახლადშექმნილ სივრცეში მასთან დაკავშირებული ხატები და რელიკვიები იყო დაბრძანებული. სწორედ რელიკვია იქცეოდა ამ სივრცის ნივთიერ და სულიერ ღერძად და თავის გარშემო წარმოქმნიდა საკრალურ სივრცეს, რომელიც მორწმუნეში სახელოვან locus sanctus-სთან სულიერი სიახლოვის, მასში რეალური მყოფობისა და მისი მოლოცვის შეგრძნებას ბადებდა.

ქართველები რომ წმინდა დიმიტრის თესალონიკურ სიწმინდეს კარგად იცნობდნენ და მისი განსაკუთრებული საკრალური მნიშვნელობაც ესმოდათ ეჭვს არ იწვევს. მართალია, ადრეულ ხანაში საქართველოსა და იმპერიის `მეორე ქალაქს` შორის მიმოსვლისა ანდა ჩვენში წმინდა დიმიტრის კულტის გავრცელების შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი, მაგრამ ის კი დანამდვილებით ვიცით, რომ IX საუკუნეში დიმიტრი უკვე იმდენად დიდ წმინდანად, მისი საფლავი კი იმდენად დიდ სიწმინდედ იყო აღიარებული, რომ პალესტინის, რომისა და კონსტანტინოპოლის პირველი რანგის სიწმინდეებთან ერთად, მის მოსალოცად თესალონიკს დიდი წმინდანი, ილარიონ ქართველი სწვევია. თუკი წმინდა ილარიონის შემთხვევა მხოლოდ ერთი წიგნიერი სასულიერო პირის პერსონალური ღვთისმოსაობის გამოხატულებად შეიძლება მივიჩნიოთ, ტიმარიონის სახელით ცნობილი ბიზანტიური ანონიმური სატირული დიალოგი პირდაპირ გვატყობინებს, რომ XII საუკუნეში ქართველი პილიგრიმები წმინდანის საფლავის მოსალოცად და მისი სახელობის დიდ დღესასწაულში - დემეტრიაში მონაწილეობის მისაღებად თესალონიკს უკვე მასობრივად სტუმრობდნენ. ასე რომ, იქიდან არც კივორიონის მოდელის შემოტანა უნდა იყოს გასაკვირი და არც წმინდა დიმიტრის ნაწილის.

გარეჯში შექმნილი თესალონიკური სიწმინდის მემორია ნათლად წარმოაჩენს თუ რაოდენ მრავალფეროვანი იყო შუა საუკუნეების საქართველოს საკრალური ლანდშაფტი,

იმავდროულად კი, ბიზანტიურ სამყაროსთან მჭიდრო კავშირსა და იქაურ მოწინავე ტენდენციებთან თანაზიარობას ადასტურებს.

3. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

3.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

წმ. დიმიტრის თაყვანისცემა შუა საუკუნეების საქართველოში. უცნობი მოხატულობა დავითგარეჯიდან

7. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი

7.5. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4. ხელოვნება (ხელოვნება, ხელოვნების ისტორია)

FR-18-30-30

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
2019-2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. მარინე ბულია (პროექტის ხელმძღვანელი)

2. მზია ჯანჯალია (კოორდინატორი)

3. ნინო ციციშვილი (მირითადი პერსონალი, ახალგაზრდა მეცნიერი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი უდიდესი წმინდანის, დიდმოწამე დიმიტრი თესალონიკელი-მრონმდინარის კულტი, მისი წმინდა ნაწილების ისტორია, მათ თაყვანისცემასთან დაკავშირებული რელიგიური, ისტორიული, პოლიტიკური და სოციალური საკითხები, ამასთან, შუა საუკუნეების ხელოვნებაში წმინდანის ცალკეული გამოსახულებები თუ ჰაგიოგრაფიული ციკლები უკვე კარგა ხანია ბიზანტინისტური კვლევების არეალშია მოქცეული და დღემდე ინარჩუნებს თავის აქტუალურობას.

საქართველოში მკვლევართა ყურადღება მხოლოდ წმ. დიმიტრის ცხოვრების ქართულმა რედაქციებმა მიიპყრო, მის თაყვანისცემასთან დაკავშირებული სხვა საკითხები კი დიდწილად, სამეცნიერო ინტერესის მიღმა აღმოჩნდა და ეს თითქმის არც უნდა იყოს გასაკვირი - საქართველოში წმინდა დიმიტრის კულტის გავრცელების შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი, ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშებზე წარმოდგენილი მისი გამოსახულებები კი, ერთი შეხედვით, არც განსაკუთრებული მრავალრიცხოვნებით გამოირჩევა და არც ტიპობრივი მრავალგვარობით.

2015 წელს დავითგარეჯის დოდორქის მონასტერში აღმოჩენილი მცირე სამლოცველო და მისი, XII საუკუნის II ნახევარსა და XIII საუკუნის დასაწყისის შორის შექმნილი მოხატულობა, რომელიც ძირითადად საქართველოსთვის უნიკალური, წმ. დიმიტრის ჰაგიოგრაფიული ციკლისგანაა შედგენილი, არსებითად ცვლის ჩვენს ცოდნას შუა საუკუნეების საქართველოში

ამ დიდი წმინდანის თაყვანისცემის შესახებ და წამოჭრის, როგორც კონკრეტულად მისი ცხოვრების ციკლების, ისე წმინდა ნაწილებისა და ზოგადად კულტის გავრცელების არეალსა და ქრონოლოგიასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებს, რომლებიც მეტად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ქართველოლოგიური, არამედ ბიზანტიისტური კვლევებისთვისაც.

ნაშრომი, წერილობითი წყაროების, დავითგარეჯის დოდორქის მონასტრის წმ. დიმიტრის სახელობის სამლოცველოს ისტორიის, მისი მოხატულობის, ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშებზე (მხატვრობა, ქანდაკება, მინიატიურა, მინანქარი, ჭედური და ფერწერული ხატები) წარმოდგენილი წმინდანის გამოსახულებების, მის კულტთან დაკავშირებული საეკლესიო სიძველეებისა და რელიკვიების ისტორიის შესწავლის საფუძველზე, შუა საუკუნეების საქართველოში წმინდა დიმიტრის თაყვანისცემასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების კვლევის პირველ მცდელობას წარმოადგენს

კვლევის ძირითადი საკითხები და შედეგები:

წმ. დიმიტრის თაყვანისცემის ისტორიისთვის

გამოკვლევის ამ ნაწილში განხილულია წმ. დიმიტრის კულტის წარმოშობისა და გავრცელების ისტორია; წმინდანის თაყვანისცემის ძირითადი თავისებურებები, რათა ქართული მასალა წარმოჩინდეს როგორც ბიზანტიურ, ისე ზოგადქრისტიანულ კონტექსტში.

დოდორქის წმ. დიმიტრის ეკლესია და მისი მოხატულობა

1. მოხატულობის იკონოგრაფიული ანალიზი

გაანალიზდა მოხატულობის პროგრამის შინაარსი და ცალკეული თემების იკონოგრაფიული თავისებურებები; განისაზღვრა მოხატულობის შესრულების თარიღი.

კვლევის საფუძველზე, რომელიც განხორციელდა ფართო ბიზანტიური პარალელური მასალის მოხმობით, დადგინდა, რომ:

ა) მოხატულობის პროგრამა, რომელიც სააფსიდო სცენების (პლატიტერას ტიპის ჩვილადი ღმრთისმშობელი საკურთხევლის კონქში, ხარება საკურთხევლის აქეთ-იქით) და საქართველოსთვის უნიკალური, წმ. დიმიტრის ცხოვრების ციკლისგან არის შედგენილი, განკაცებული უფლის დიდებასა და წმ. დიმიტრის მოწამეობრივ და სამხედრო ღვაწლს გამოხატავს და ზეციური დაცვა-მფარველობის იდეითაა გაერთიანებული.

ბ) მოხატულობის არსებითი ნაწილის სქემა, ისევე როგორც წმინდანის ცხოვრების სცენათა უმრავლესობის იკონოგრაფიული რედაქციები ბიზანტიური ნიმუშების მიხედვითაა გამართული, თუმცა იმავდროულად, შეიცავს საქართველოსთვის ტრადიციულ თემებსაც და წმინდანის ცხოვრების სცენების ისეთ უნიკალურ იკონოგრაფიულ ელემენტებსაც, რომლებიც არც ბიზანტიურ ტექსტებში გვხვდება და არც ამ შინაარსის გამოსახულებებში.

გ) სცენების უცნობი იკონოგრაფიული ელემენტები, რომელთა ნაწილი მნიშვნელოვნად ცვლის წმინდანის ცხოვრების ცალკეული ეპიზოდების შინაარსს, XI

ს-ში წმ ეფთვიმე მთაწმინდელის მიერ თარგმნილი ქართული რედაქციიდანაა ნასესხები.

დ) წმინდანის ცხორების სცენების მოკლე იკონოგრაფიული რედაქციები, მუნწად მონიშნული არქიტექტურული თუ პეიზაჟური ანტურაჟითა და ნარატიულობის სრული უგულებელყოფით, XII ს-ის II ნახ-ის ამ შინაარსის უადრეს ბიზანტიურ ნიმუშს უახლოვდება, შესაბამისად, ისიც დაახლოებით ამ დროისთვის უნდა იყოს შესრულებელი.

2. დოდორქის მოხატულობის სტილის ანალიზი

მოხატულობის სტილის თავისებურებები გაანალიზდა ბიზანტიური და ქართული მხატვრობის სტილური ტენდენციების კონტექსტში; დაზუსტდა მოხატულობის შესრულების თარიღი.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ:

ა) შესრულების ზოგადი პრინციპებით დოდორქის მოხატულობა XII ს-ის II ნახ. - XIII ს-ის დასაწ. იმ ნიმუშებს უახლოვდება, რომელთა უმრავლესობა წინა ხანის კლასიკური ტენდენციების გამგრძელებლად არის მიჩნეული და ტრადიციულად, დედაქალაქის სახელოსნოებთან ან იქაური ოსტატების ხელობასთან არის ასოცირებული.

ბ) წერის მცირედ განსხვავებული ხერხები, რომლებიც მოხატულობის ვიზუალური ჰომოგენურობის მიღმა იხილვება, სავარაუდოდ, განსხვავებული ნიმუშების არსებობას მიანიშნებს.

გ) მოხატულობაში, რომელიც ერთი შეხედვით, შორს დგას გვიანკომუნენოსური ხანის მანიერისტული ნაკადის ნიმუშებისგან, სწორედ მათთვის დამახასიათებელი სტილიზაციის ცალკეული ნიშნებსაც ავლენს.

დ) მოხატულობის შესრულებაში, სცენათა იკონოგრაფიული რედაქციებისა და ზოგადი სქემის მსგავსად, სხვადასხვა - ქართული და ბიზანტიური მხატვრული ტრადიციების, ამასთან კი განსხვავებული სტილური ნაკადების თანაარსებობა დასტურდება.

ე) სტილის თავისებურებები ადასტურებს მოხატულობის იკონოგრაფიული რედაქციების ანალიზის საფუძველზე დადგენილ თარიღს და ის განისაზღვრება XII ს-ის II ნახ.- XIII ს-ის დასაწყისით.

ვ) დოდორქის წმ. დიმიტრის სამლოცველოს მოხატულობაში ჩართული წმინდანის ცხოვრების ციკლი ყველაზე ადრეული გამოდის დღეისთვის ცნობილ, ამგვარი შინაარსის ფერწერულ ნიმუშთა შორის, ასეთნაირად ადასტურებს, რომ ასეთ ციკლებს არა პალეოლოგოსთა დროიდან, როგორც ეს დღემდე იყო მიჩნეული, არამედ გაცილებით უფრო ადრეული ხანიდან ქმნიდნენ, მათი გავრცელების არეალი კი არა მხოლოდ ბიზანტიასა და მის სლავურ სამეზობლოს, არამედ მართლმადიდებელი სამყაროს აღმოსავლეთ რეგიონებსაც მოიცავდა.

3. წმ. დიმიტრის რელიკვიების თაყვანისცემასთან დაკავშირებული რელიგიური, ისტორიული, პოლიტიკური და სოციალური საკითხების კვლევა (ასეთი ტიპის კვლევა პირველად განხორციელდა ქართულ სახელოვნებათმცოდნეო მეცნიერებაში). წმინდანის მარტვილობის სცენაში უანალოგოდ ჩართული უმნიშვნელოვანესი რელიკვიის - წმინდანის ქლამინდის გამოსახულების მხატვრულ-ისტორიული კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ:

ა) წმინდანის რელიკვია, რომელსაც რელიგიურის გარდა, უნმიშვნელოვანესი პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა მინიჭებული, სამეფო ოჯახის საკუთრებას წარმოადგენდა.

ბ) სამლოცველო ე.წ. მონუმენტურ რელიკვარიუმს წარმოადგენდა და წმინდანის რელიკვიისთვის საგანგებოდ იყო შექმნილი, როგორც თესალონიკის წმ. დიმიტრის საფლავის ბაზილიკის memoria.

გ) დოდორქის სამლოცველოს თანადროულად, სამართლმადიდებლოს სხვადასხვა რეგიონებში (რუსეთი, ბულგარეთი,) წმინდანის სახელობის ტაძარ-რელიკვარიუმების შექმნა, წმინდანის კულტის გავრცელებასთან დაკავშირებულ ტენდენციას ასახავს. წმ. დიმიტრის მნიშვნელოვანი რელიკვიის საქართველოში შემოტანაც და მისთვის საგანგებოდ წმინდანის ცხოვრების სცენებით მოხატული ტაძარ რელიკვარიუმის შექმნაც, XII ს-ის II ნახ. - XIII ს-ის დასაწყისში სამართლმადიდებლოში მიმდინარე რელიგიურ-იდეოლოგიური, პოლიტიკური და კულტურული პროცესების ნაწილად უნდა იყოს მიჩნეული.

დ) XIII-XIV საუკუნით დათარიღებული ნაკაწრი წარწერით დგინდება, რომ ამ ხანაში წმ. დიმიტრის ეკლესია სამწირველოს წარმოადგენდა, რაც არ გამოორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ეს პატარა ეკლესია-რელიკვარიუმი, იმთავითვე სამწირველოს ფუნქციას ასრულებდა და სამეფო ოჯახის რომელიმე წევრის სულის საოხად იყო შექმნილი.

წმ. დიმიტრის გამოსახულებები შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში

ამოცანა გულისხმობდა შუა საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშებზე (ჭედური და ფერწერული ხატები, მინიატიურები, რელიკვიები, სანაწილეები და ა.შ) წარმოდგენილი წმ. დიმიტრის გამოსახულებების კვლევის საფუძველზე, საქართველოში ამ წმინდანის იკონოგრაფიის თავისებურებების შესწავლას და მისი განვითარებისთვის თვალის მიდევნებას, როგორც ადგილობრივი, ისე ბიზანტიური მხატვრულ-იკონოგრაფიული ტრადიციების გათვალისწინებით. მასალები მოძიებული, სისტემატიზირებული და გამოკვლეული იქნა თბილისის, ქუთაისის, თელავის, ზუგდიდისა და მესტიის სამუზეუმო კოლექციებსა და არქივებში.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ:

ა) წმ. დიმიტრის ყველაზე ადრეული გამოსახულებები ქართულ სახვით ხელოვნებაში ჩნდება X-XI საუკუნეებში და გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით განაგრძობს არსებობას. განსხვავებული ინტენსივობით ისინი სახვითი ხელოვნების ყველა დარგში (მონუმენტური და დაზგური ფერწერა, ჭედურობა, მინანქარი, რელიეფი, ხელნაწერი წიგნის მხატვრობა, ნაქარგობა) გვხვდება, თუმცა განსაკუთრებულად მრავლადაა წარმოდგენილი XI – XIII საუკუნეების ჭედურობის, მინანქრისა და დაზგური და მონუმენტური ფერწერის ნიმუშებზე. გვიან შუა საუკუნეებში კი მინიატურაშიც.

გ) წმინდანის ადგილობრივი იკონოგრაფია არსებითად ბიზანტიურ ტრადიციას ასახავს, როგორც ტიპობრივად, ისე ქრონოლოგიური განვითარებით. ადრეულ ნიმუშებზე იგი უწვერულ ყმაწვილად წარმოსდგება პატრიციელთა სამოსითა და მოწამის ჯვრით ხელში. XI საუკუნიდან ჩნდება როგორც სრულფიგურიანი მეომარი წმინდანის, ისე მხედრის გამოსახულებები. ხშირია ე.წ. სინთეზური იკონოგრაფიული ტიპი, რაც მოწამის და მეომრის ატრიბუტების ერთდროულად გამოსახვას

გულისხმობს. ამგვარი გამოსახულებები მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში გვხვდება სხვადასხვა დარგის ნიმუშებზე.

გ) წმ. დიმიტრი როგორც მონუმენტურ მხატვრობაში, ისე ფერწერულ და ჭედურ ხატებზე, უპირატესად, სხვა წმინდა მეომართა გუნდებშია წარმოდგენილი. XI-XIII საუკუნეებში ჩნდება დამოუკიდებელი გამოსახულებები, რაც, დოდორქის მოხატულობასთან ერთად, ამ დროისთვის საქართველოში წმ. დიმიტრის კულტის აქტუალიზაციას და პოპულარობას მიანიშნებს.

წმ. დიმიტრის რელიკვიები საქართველოში

გამოკვლევაში მოყვანილია წმ. დიმიტრის იმ ნაწილების ისტორია, რომლებიც საქართველოში იქნა მოძიებული სხვადასხვა სამუზეუმო და საეკლესიო კოლექციებსა თუ წერილობით წყაროებში. განისაზღვრა საქართველოში წმინდანის თაყვანისცემის მასშტაბები და თავისებურებები, რომლებიც ადასტურებს, რომ მისი კულტის გავრცელება საქართველოში არსებითად, ბიზანტიური თანამეგობრობის ქვეყნების თანადროულად წარიმართა, ხოლო მოწინავე მხატვრულ-კულტურულ ტენდენციებთან თანაზიარობის თვალსაზრისით, საქართველო ერთ-ერთი მოწინავე იყო მთელ სამართლმადიდებლოში.

პროექტის ფარგლებში შესრულებული სამუშაოს ცალკეული შედეგები გამოქვეყნდა საერთაშორისო კონფერენციის *Davit Gareji. Multidisciplinary Study and Development Strategy* (Tbilisi, 2020) მასალებში (Marina Bulia, Vita Cycle of St Demetrius of Thessaloniki and His Holy Relics at Dodorka Monastery (წმ. დიმიტრი თესალონიკელის ცხოვრების ციკლი და წმინდა ნაწილები დოდორქის მონასტერში) და საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში *Zograf*, 44, 2020, Marina Bulia, Reliquary- Chapel of St. Demetrius at Davitgareji Desert (Georgia) (წმინდა დიმიტრის ეკლესია-რელიკვარიუმი დავითგარეჯის უდაბნოში (საქართველო)).

მომდევნო ეტაპზე იგეგმება ნაშრომის გამოცემასთან დაკავშირებული სამუშაოების განხორციელება - ტექსტის რედაქტირება, თარგმნა, დაკაბადონება და ბეჭდვა.

7. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

7.4. სტატიები

1) ავტორი/ავტორები

მარინე ბულია

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

Reliquary- Chapel of St. Demetrios at Davitgareji Desert (Georgia) (წმ. დიმიტრის ეკლესია-რელიკვარიუმი დავითგარეჯის უდაბნოში (საქართველო)).

ISSN 0350-1361

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

Zograf, #44. 2020 (გამოიცა 2021 წელს)

4) გვერდების რაოდენობა

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატიაში განხილულია დავითგარეჯის დოდორქის ღმრთისმშობლის სახელობის მონასტერში ახლახანს აღმოჩენილი კლდეში ნაკვეთი სამლოცველო, რომლის დაახლოვებით, XII საუკუნის მე-2 ნახევარსა და XIII საუკუნის დასაწყისს შორის შექმნილი მოხატულობა არსებითად შედგება წმ. დიმიტრის ცხოვრების ციკლისგან, რომელსაც საქართველოში ანალოგი არ აქვს. ციკლი მრავალმხრივია ყურადსაღები - ის ამგვარი ციკლების ჩამოყალიბების ქრონოლოგიასა და გავრცელების არეალთან, უცნობი იკონოგრაფიული რედაქციების წარმომავლობასთან, წმ. დიმიტრის რელიკვიების ისტორიასთან, სამლოცველოს ფუნქციასთან, ზოგადად კი ქართული და ბიზანტიური მხატვრული და კულტურული ტრადიციების ინტერაქციასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს წამოჭრის.

ქეთევან მიქელაძე

2.პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

შუა საუკუნეების მხატვართა 'ხელმოწერები' (ფუნქცია, მნიშვნელობა, ეკლესიის სივრცეში განთავსება)

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4.1. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

2021-2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

ქეთევან მიქელაძე (მკვლევარი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

შუა საუკუნეების ქართულ კედლის მხატვრობაში მხატვრები ორი ტიპის - საქტიტორო და საკუთრივ მათ წარწერებში არიან დასახელებულნი, რომელთაც პირობითად 'ხელმოწერას' ვუწოდებთ; პირობითად, რადგან მის დანიშნულებას არ წარმოადგენდა ნამუშევარზე ავტოგრაფის დასმა. შუა საუკუნეების მხატვარი თავის საქმიანობას წმინდა აქტად მიიჩნევდა, რომელსაც ის უფლის მიმადღებული ნიჭით, მისი ნებით, მომგებლის

დავლებით და ეკლესიის დადგენილი კანონების დაცვით ასრულებდა. მხატვრის ხელს წმინდა ხატებს ღმერთი ახატინებდა. შეიძლება ითქვას, რომ შუა საუკუნეების ხელოვნების შექმნის პროცესში ოსტატი ბოლო ადგილზეა ღმერთის, ეკლესიის და ქტიტორის შემდეგ. შესაბამისად, მხატვარი თავის მოხატულობას საავტორო ნამუშევრად არ მიიჩნევდა და ამიტომ ვერც მისი წარწერა იქნებოდა საავტორო ხელმოწერა, არამედ მას უფლისადი 'მიწერილი' პრივატული სავედრებლის ფუნქცია ჰქონდა. შემთხვევითი არ არის, რომ მხატვრის წარწერა შუა საუკუნეებში მიღებული ტრადიციული სავედრებელი ფორმულის სახით ჩამოყალიბდა.

მხატვარის ყველაზე გავრცელებული და ტრადიციული წარწერა მოკლე და ლაკონიურ სავედრებელს წარმოადგენს (მაგ., 'მაცხოვარ, მეოხ ექმენ დავითს, მხტვარსა'). მისი ყველაზე ადრეული ნიმუშები საბერეების სამონასტრო კომლექსის ეკლესიების IX-X სს-ით დათარიღებულ მოხატულობებში დასტურდება და მომდევნო საუკუნეებშიც არაერთხელ გვხვდება. მხატვრები ზოგჯერ ვრცელ წარწერებსაც აკეთებენ, მაგრამ ისინი გავრცობილია არა მხატვრის შესახებ ინფორმაციის, არამედ ქტიტორის, თარიღის დასახელების ხარზე (მაგ. მხატვარ გრიგოლ გულჯავარასშვილის წარწერა მცხეთის სვეტიცხოვლის კათედრალის სვეტზე). გვხვდება ისეთი სავედრებელი წარწერებიც (ბეთანია, ოზაანი, გელათის 1550 წწ-ის ფერწერული ფენის წარწერა), რომლებშიც ავტორის ხელობა ან მისგან გაწეული ღვაწლი არ არის აღნიშნული (მაგ. 'ქრისტე ღმერთო, შეუნდვენ მიქაელს'), მაგრამ ისინი მხატვრებს მიეწერებათ. ასეთი ტიპის წარწერათა მაინცდამაინც მხატვრებისთვის მიკუთვნებას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს: მდებარეობა, შესრულების დრო, პალეოგრაფიული მახასიათებლები, ხელწერა, მის დასაწერად გამოყენებული მასალა.

ჩვენამდე მოღწეული შუა საუკუნეების მხატვართა წარწერები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მხატვრის 'ხელმოწერის' ტრადიცია საქართველოში მონუმენტური მხატვრობის განვითარების ადრეულ ეტაპზე, IX-X საუკუნეებში მაინც ჩაისახა. მხატვრის 'ხელმოწერას' საუკუნეების მანძილზე არსებითი ცვლილებები არ განუცდია. უპირატესობას ლაკონიურ სავედრებელს ანიჭებენ. ამ ტიპის მხატვრის წარწერები ფართოდ იყო გავრცელებული ბიზანტიურსა და პოსტბიზანტიური წრის კედლის მხატვრობაშიც. მხატვრები, ჩვეულებრივ, ინდივიდუალურ სავედრებელს წერენ და ვისიმე სხვის, მაგალითად, ოჯახის წევრის შეწყალებას არ ითხოვენ; იშვიათად ასახელებენ ქტიტორს, მოხატულობის თარიღს. მხატვრები 'ხელმოწერებში', საკუთარი სახელის გარდა იშვიათად გვაწვდიან სხვა რამ დეტალს თავის შესახებ.

კიდევ ერთი საგულისხმო საკითხია - ვინ კითხულობდა წარწერებს, ვინ იყო მათი პოტენციური მკითველი. ეკლესიის კედლებზე გაბნეულ წარწერებს იქნება ეს მხატვრის, ქტიტორის, ან თუნდაც მომლოცველის ორი - ზეციური და ამქვეყნიური მკითხველი ჰყავდა. ისინი უპირველესად უფლისთვის იყო განკუთვნილი, მეორე მხრივ, მიწიერი ადამიანისთვის, რასაც წარწერათა ტექსტიც მოწმობს და მათი მდებარეობაც. ეს საკითხი, ისევე როგორც, მხატვართა წარწერების ცალკეულ გამოსახულებებთან ურთიერთმიმართების კვლევა მომავალი წლისთვისაა დაგეგმილი.

3. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

3.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

შუა საუკუნეების მხატვრები საქართველოში

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

6.5. სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებანი

FR17_271

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

2018-2022

(პროექტი უნდა დამთავრებულიყო 2020 წელს, მაგრამ Covid-19-ის პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გამო მისი სრულფასოვნად განხორციელება ვერ მოხერხდა და ვადა გაგრძელდა 2022 წლის 1 მარტამდე).

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ქეთევან მიქელაძე (პროექტის ხელმძღვანელი)

2. მარიამ დიდებულიძე (ძირითადი პერსონალი)

3. თამარ ხოსროშვილი (კოორდინატორი, ახალგაზრდა მეცნიერი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტი მიზანად ისახავს შუა საუკუნეების ეკლესიის მომხატველ ოსტატთა ფართო კულტურულ-სოციალურ კონტექსტში კვლევას; მხატვართა შესახებ ცნობებისა და მონაცემების მოძიებასა და ანალიზს; მხატვრის საზოგადოებრივი მდგომარეობის, მისი სოციალური სტატუსის, ქტიტორისა და მხატვრის ურთიერთდამოკიდებულებისა და თანამშრომლობის წარმოჩენას.

2021 წელს განხორციელდა რამდენიმე სამეცნიერო მივლინება ქვეყნის შიგნით კედლის მხატვრობის ძეგლთა ადგილზე შესწავლისა და ფოტოფიქსაციის მიზნით. ამ ეტაპზე მიმდინარეობს კვლევის შედეგების დამუშავება და ნაშრომის მომზადება ელექტრონული გამოცემისთვის.

შუა საუკუნეების ხელოვნების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი მისი ანონიმურობაა. ოსტატი თავის შექმნილ ნაწარმოებს იშვიათად აწერდა ხელს, რაც ამ ხელოვნების დანიშნულებითა და ოსტატის თავის საქმის მიმართ დამოკიდებულებითაა გაპირობებული.

შუა საუკუნეების ხელოვნების შემქმნელ ოსტატთა, მათ შორის, მხატვართა შესახებ ძალზე მწირი ინფორმაცია მოგვეპოვება; არ შემორჩენილა მათი ბიოგრაფიები; ისტორიულ

წყაროებში კი მათ თაობაზე ცნობები იშვიათად გვხვდება და, უმთავრესად, ზოგადი ხასიათის.

მხატვართა შესახებ ძირითად წყაროს მათი სახელის შემცველი ფერწერული წარწერები და მათ მიერ შექმნილი მოხატულობები წარმოადგენს. პროექტის ფარგლებში შევისწავლეთ კედლის მხატვრობის 40 ძეგლი და ამდენივე ფერწერული წარწერა.

მხატვრის სახელის შემცველი საექტიტორო წარწერები, ისე როგორც, მხატვართა 'ხელმოწერები' ქართულ კედლის მხატვრობაში მე-9-10 სს-დან ვრცელდება და მთელი შუა საუკუნეების მანძილზე აგრძელებს არსებობას; წარწერები მეტად მწირ ინფორმაციას შეიცავს მხატვართა შესახებ, ძირითადად მათი სახელის აღნიშვნით შემოიფარგლება, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში მხატვრებთან დაკავშირებული სხვა, მეტად მნიშვნელოვანი დეტალებიც გვხვდება, რომელთა მიხედვით ცნობილი ხდება, რომ მხატვრის ხელობას ზოგჯერ მაღალი იერარქიის სასულიერო პირებიც (იერუსალიმის ჯვარის მამა, სამთავნელი ეპისკოპოსი, თესალონიკელი პროტოსვინგელოზი) ფლობდნენ, არსებობდა მეფის მხატვრის თანამდებობა/წოდება და სხვა. ფერწერული წარწერებიდან ან საექტიტორო პორტრეტიდან (ზოგ ეკლესიაში ორივეა) ვიცით მხატვართა დამკვეთის ვინაობაც, ზოგჯერ მოხატულობის შესრულების დრო. საინტერესო ცნობებს შეიცავს წარწერები შუა საუკუნეების ეკლესიის მოხატვის პროცესთან დაკავშირებითაც.

ფერწერული წარწერები მოწმობს, რომ მე-14-17 სს-ში საქართველოში ქრისტიანული აღმოსვლეთის სხვადასხვა ცენტრებიდან (კონსტანტინოპოლი, თესალონიკი, ათონის მთა) ჩამოსული მხატვრები მოღვაწეობდნენ.

მხატვართა შესახებ ცნობები წერილობითი წყაროებში გვიანი შუა საუკუნეებიდან მატულობს. ამ ეპოქის დოკუმენტებიდან ცნობილია, რომ მე-16-17 სს-ში საქართველოში მოსკოველი მხატვრები მუშაობდნენ, რომლებიც ძირითადად კედლის მხატვრობის რესტავრაციას აკეთებდნენ; მე-17 ს-ში დასტურდება ევროპელი მხატვრების ჩამოსვლის შემთხვევები, თუმცა მათ მიერ შექმნილ ნამუშევრებს ჩვენამდე არ მოუღწევია.

პირდაპირი დოკუმენტური ცნობები მხატვრის საზოგადოებრივი მდგომარეობისა და სტატუსის, ან მისი და დამკვეთის ურთიერთდამოკიდებულებისა თუ თანამშრომლობის თაობაზე არ მოგვეპოვება, მაგრამ საკუთრივ მოხატულობები, მათი იკონოგრაფიული პროგრამები (ზოგ შემთხვევაში მაინც), მხატვრის სახელის შემცველი წარწერები, ამ უკანასკნელთა ეკლესიის სივრცეში განთავსების წესი და რიგი სხვა მონაცემები ამ კუთხით გარკვეული ვარაუდების გამოთქმის საშუალებას იძლევა. ეს, ისევე როგორც, შუა საუკუნეების მხატვრებთან და მათ შემოქმედებასთან დაკავშირებული რიგი სხვა საკითხები საგანგებოდ იქნება გაშუქებული ნაშრომში და მის საბოლოო ვერსიაში აისახება.

7. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

7. 4. სტატიები

1)ავტორი/ავტორები

ქეთევან მიქელაძე

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

Byzantinoslavika, Revue internationale des etude byzantines, 1-2, 2021

4) გვერდების რაოდენობა

22 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატიაში თავმოყრილია შუა საუკუნეების საქართველოში მოღვაწე ბერძენ მხატვართა შესახებ ცნობები; განხილულია მათი სახელის შემცველი ფერწერული წარწერების დანიშნულება და როგორ აღიქვამდნენ ბერძნულენოვან წარწერებს საქართველოში.

შუა საუკუნეების ქართულ კედლის მხატვრობაში შემორჩენილი ბერძენ მხატვართა წარწერები უტყუარი საბუთია იმისა, რომ საქართველოში ქრისტიანული აღმოსავლეთის სხვადასხვა რელიგიურ-კულტურული ცენტრებიდან, მათ შორის, კონსტანტინოპოლიდან, თესლონიკიდან, ათონის მთიდან ჩამოსახული მხატვრები მოღვაწეობდნენ. წარწერით დამოწმებული ყველაზე ადრეული ბერძენი მხატვარი კონსტანტინოპოლელი მანუელ ევგენიკოსია, რომელმაც წალენჯიხის ტაძარი მოხატა (1384-1396). დანარჩენები მე-16-17 საუკუნეებში მოღვაწეობდნენ.

ბერძენი მხატვრები ძირითადად ბერძნულენოვან წარწერებში (წალენჯიხა /1384-1396/, გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძრის 1550-იანი წწ-ის მოხატულობა, ბიჭვინტის გუმბათიანი ტაძრის სამხრეთ-დასავლეთი კაპელა /მე-16 ს./, ბოზნევის წმ. იოანე მახარებლის ეკლესია /1684/, წინარეხის მაღალანთ ეკლესიის კანკელი /1680-იანი წწ./) არიან მოხსენებულნი, თუმცა ისინი რამდენიმე ქართული წარწერაშიც (წალენჯიხა, გელათის ღვთისმშობლის გუმბათის წარწერები /1520-იანი წწ./) სახელდება. წარწერები უმთავრესად მხატვართა 'ხელმოწერებს' წარმოადგენს; მხოლოდ გრემის მთავარანგელოზთა ეკლესიის მოხატულობის (1577) საქტიტორო წარწერაშია დასახელებული ბერძენი მხატვარი.

მხატვართა წარწერების ძირითადი დანიშნულება შეწყალების სავედრებელში გამოიხატებოდა, რომელიც უფლისთვის იყო განკუთვნილი და, ცხადია, ამ შემთხვევაში ენას არ ჰქონდა მნიშვნელობა. მაგრამ, ამავე დროს, ბერძნულენოვანი წარწერები მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო მოხატულობათა მომგებლეთათვის, რადგან ისინი მხატვრის წარმომავლობის დასტური იყო; მათ ავტოგრაფის ძალა ჰქონდათ და მოხატულობაზე, თუ შეიძლება ითქვას, ბერძნულ დამდას ნიშნავდა, რაც ქტიტორთათვის საამაყო უნდა ყოფილიყო.

ბერძნულენოვან წარწერებს, მკითხველიც ეყოლებოდა, რადგან საქართველოში ბერძნული იცოდნენ, პირველყოვლისა სასულიერო პირებმა; მას საერო საზოგადოების ზოგიერთი წარმომადგენელიც ფლობდა, მაგრამ ეს არ იყო ფართო წრე. ისეთ მონასტრებში როგორიც იყო, მაგალითად, გელათი და ბიჭვინტა, ბერძნული წარწერების წაკითხვა არ გაუჭირდებოდათ, მაგრამ ყველა და ყოველთვის მათ ვერ წაიკითხავდა. მაგრამ კედელზე

დაწერილ წარწერებს ვიზუალური ზემოქმედების ძალაც აქვს. ის მაყურებელზე მაშინ მოქმედებს, როცა მას მისი წაკითხვის, ვერბალური მნიშვნელობის გაგების უნარი არ შესწევს. საფიქრებელია, რომ ბერძნული წარწერებიც ადგილობრივ საზოგადოებაზე სწორედ ვიზუალურ შთაბეჭდილებას ახდენდა. ისინი თუმცა გაუგებარი, მაგრამ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებლად აღიქმებოდა.

ტუნწი ინფორმაციის მიუხედავად წარწერები ბერძენ მხატვრებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ფაქტებს გვაუწყებს. ზოგიერთ მათგანში დასახელებულია მათი წარმომავლობა (კონსტანტინოპოლი, ათონისმთა, თესალონიკი), რაც, ერთი მხრივ, წარმოდგენას გვიქმნის რომელ კულტურულ არეალს მიეუკუთვნებოდნენ ეს მხატვრები, სად დაოსტატდნენ, ან მუშაობდნენ საქართველოში ჩამოსვლამდე, მეორე მხრივ, კი მოწმობს, საქართველოს ურთიერთობებს შუა საუკუნეების მნიშვნელოვან რელიგიურ-კულტურულ და სამხატვრო ცენტრებთან.

გიორგი ჭანიშვილი

1. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმა)

1) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით
გოხნარის (ადიკვის) წმ. გიორგის ეკლესია

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4.1. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2) პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები
2021

3) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
გიორგი ჭანიშვილი (მკვლევარი)

კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ადიკვის ეკლესია არის ვულკანური ჯიშის ღია მონაცრისფრო ბაზალტის თლილი კვადრებით აგებული საშუალო ზომის დარბაზული შენობა, მინაშენებით სამხრეთიდან მთელ სიგრძეზე და ჩრდილოეთიდან მხოლოდ აღმოსავლეთ მონაკვეთზე. საერთო ზომები: 10.17X11.1მ. (ძირითადი ეკლესია 10.7X5.76მ. სამხრეთი მინაშენი 10.7X2.91. ჩრდილოეთი მინაშენი 4.6X2.3). მთავარი ეკლესიის გადახურვა და კედლების ზედა ნაწილები მონგრეულა. სანახევროდ დანგრეულია სამხრეთი მინაშენი. ჩრდილოეთისა კი, მხოლოდ გეგმა იკითხება. ეკლესიას ირგვლივ შემოფარგლავს ქვის წყობის, თავისუფალი გეომეტრიული ფორმის დაბალი ზღუდე, რაც დამახასიათებელია ამ რეგიონის თითქმის ყველა ეკლესიისათვის. ზღუდის შიგნით ძველი სასაფლაოა.

X-XII სს-ში აგებული დარბაზული ეკლესია წარმოადგენს ქართული საკულტო არქიტექტურის საინტერესო ძეგლს. ნაგებობაში მკვეთრად არის გამოვლენილი ეპოქისათვის დამახასიათებელი სამშენებლო ხელოვნების და არქიტექტურული სტილის ღირებულებები, შენობის კომპოზიციური გადაწყვეტის მეთოდი და პროპორციები, სამშენებლო ტექნოლოგია; ამჟამად მუშავდება სარეაბილიტაციო პროექტი (არქიტექტორ-რესტავრატორები: მ. გელაშვილი, გ. ქალეზაშვილი; გეოლოგები დ. მღებრიშვილი, გ. ბიძინაშვილი). პროექტის შედგენისას გათვალისწინებულია ჩემი კვლევის რეკომენდაციები.

მარიამ გაბაშვილი

2. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

გრავნილისებრი ორნამენტები შუა საუკუნეების ქართულ ქვაზეკვეთილობაზე (Inhabited Scrolls)

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2) პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები
2021

3) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
მარიამ გაბაშვილი (მკვლევარი)

კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2021 წ. შესრულებული სამუშაოები მიეძღვნა აღნიშნულ თემაზე არსებული პარალელური მასალის მოძიებას და დამუშავებას. მასალა მოიცავს სხვადასხვა ქრონოლოგიურ ეტაპზე და განსხვავებულ კულტურათა წიაღში წარმოქმნილ ხელოვნების ნაწარმოებს, რომელთა გვერდით ქართული წინაქრისტიანული ხელოვნების ნიმუშებიც შედის. დასამუშავებელი მასალის მეორე ძირითადი ნაწილი სამეცნიერო აკადემიურ ლიტერატურას ეკუთვნის, რომელშიც შედის ანტიკურ, აქემენიდურ, სასანურ, ნაწილობრივ აზიურ და წინაქრისტიანულ ქართულ მასალაზე შესრულებული გამოკვლევები.

გრავნილისებრ ორნამენტებს შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში თუ მხოლოდ ქვაზეკვეთილობასა და ჭედური ხატების რეპერტუარში ვხვდებით, წინაქრისტიანულ ხელოვნებას ისინი მოზაიკის სახით შემორჩნენ. ამ მხრივ საგულისხმოა, ძალისის რომაული ხანის ნაქალაქარის ტრიკლინიუმში შემორჩენილი მოზაიკა, სადაც ვაზისა და ბროწეულის ხვრელები ადამიანის (მამაკაცის) თავია ჩართული. ეს მოტივი უცხო არ არის ანტიკური ხანის მოზაიკური ხელოვნებისთვის. რომაული პერიოდის მოზაიკებში მრავლად გვხვდება

გრაგნილისებრი ორნამენტების სხვადასხვა ვარიაცია. შეიძლება ითქვას, რომ ორნამენტის ეს გამორჩეული ტიპი ანტიკური ხანის მხატვრულ ერთობლიობაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს და ერთ-ერთი პოპულარული თემათაგანი ხდება, იმდენად, რომ რენესანსის მხატვრობაში, კერძოდ, პლაფონებისა თუ დეკორატიული გაფორმების სხვადასხვა გადაწყვეტაში, ანტიკიზირებულ თემებსა და მოტივებში, ის ხშირად გამოიყენება (საკმარისია გავიხსენოთ, რაფაელისა და მისი სკოლის მიერ შესრულებული „კუპიდონისა და ფსიქეას ლოჯიის“ პლაფონის მოხატულობა ვილა ფარნეზინაში, რომი). გრაგნილისებრი ორნამენტის თემა რომაულ ხელოვნებაში არა მხოლოდ კედლის მხატვრობასა და მოზაიკაში დამკვიდრებული, არამედ ის, ქვაზეკვეთილობის დეკორატიული შემკულობის რეპერტუარშიც გვხვდება. ამის ნათელი მაგალითია არქიტექტურული ნაგებობების ფასადები და ინტერიერები, სარკოფაგები, სამსხვერპლოები, ფრიზები სხვადასხვა ზედაპირებზე და ა.შ. ამათგან საკმარისია დავასახელოთ ცნობილი „მშვიდობის საკურთხეველი“, იგივე Ara Pacis, რომლის შემკულობა ვარდულებისა და პალმეტების გრაგნილისებრი ორნამენტებითაა გამშვენებული.

აქემენიდური და სასანური ირანის მხატვრულ შემოქმედებაში გრაგნილისებრი ორნამენტები ძირითადად გამოვლენილია ქსოვილისა და ლითონმქანდაკელობის დარგში. ამ პერიოდის ქსოვილებში გრაგნილისებრი ორნამენტების რეპერტუარში გარდა მცენარეულისა, ზოომორფული სახეებიც შედის, რომელიც გამდიდრებულია აღმოსავლეთის კულტურებისთვის საყვარელი ფანტასტიკური მოტივებით: სენმურვებით, ფასკუნჯებით თუ სხვა ჰიბრიდული ცხოველების მთელი გალერეით (ქსოვილებზე დატანილი გრაგნილისებრი ორნამენტების ასეთი „იკონოგრაფია“ ქრისტიანულ ხანაში ბიზანტიური ხატების ზურგის შემამკობელიც ხდება. ისინი საქართველოში, კერძოდ, სვანეთში შექმნილი ხატების მაგალითზეც შეიძლება ვნახოთ, თუმცა ეს საკითხი, მომდევნო წლის თემატიკას ეკუთვნის და აქ აღარ გავავრცობ). აქემენიდური და სასანური ხელოვნების ერთ-ერთი წამყვანი დარგი - ტორევტიკაც ორნამენტის ამ სახეობას დიდად სწყალობს. ტორევტიკის მრავალფეროვან ნიმუშებში ხშირად შევხვდებით ამ პოპულარულ თემას რომელიც მათი დეკორატიული შემკულობის განუყოფელი ნაწილია (ვერცხლისა და ოქროს თასები, ფიალები, ლანგრები, სურები და ა.შ.).

რაც შეეხება აზიურ ნიმუშებს აქაც გრაგნილისებრი ორნამენტები ქსოვილებზე და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმზეა წარმოდგენილი. სტილითა და შესრულების მანერით ისინი ერთი მხრივ გამოირჩევა ზემოთდასახელებულთაგან, მეორე მხრივ კი მათ შორის საერთო მხატვრული მოდული აშკარად ვლინდება.

როგორც თავშივე აღვნიშნე თემა გარდამავალია და 2021 წელს შესრულებული სამუშაო აქ წარმოდგენილი კვლევით არ შემოიფარგლება. ის გაგრძელდება მომავალ წელსაც, შეივსება და განვითარდება როგორც სინქრონულ ისე დიაქრონულ ჭრილში.

2 არაპროგრამული, ადგილობრივი გრანტით დაფინანსებული პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

შალვა ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმის საგანძურში დაცული ექსპონატების „თავგადასავალი“, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს კონკურსი - კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა (I ეტაპი).

7. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი

7.5. ჰუმანიტარული მეცნიერებები

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

I ეტაპი - 15/07/2021 - 15/12/2021 (2021-2022 სრული)

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ეკატერინე კვაჭატაძე (პროექტის ხელმძღვანელი)

2. თამარ ხოსროშვილი (მკვლევარი)

3. მარიამ გაბაშვილი (მკვლევარი)

4. ქრისტინე საბაშვილი (მკვლევარი)

5. თამარ ხუნდაძე (მკვლევარი)

6. თამარ დადიანი (მკვლევარი)

7. ნოდარ არონიშიძე (მკვლევარი)

8. ლეილა ხუსკივაძე (კონსულტანტი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ანოტაცია იხ. პროექტის ხელმძღვანელის, ეკატერინე კვაჭატაძის ანგარიშში

3. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

3.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

საერთაშორისო კონფერენცია: „კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე“ საქართველო და საერთაშორისო გამოცდილება“

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

OTG-II-19-106

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

2019-2021

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. თამარ ბელაშვილი (პროექტის ხელმძღვანელი)

2. თამარ ხოსროშვილი (კოორდინატორი)

3. მარიამ გაბაშვილი (ძირითადი პერსონალი)

4. მანანა თევზაძე (ძირითადი პერსონალი)

დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტი ითვალისწინებდა საერთაშორისო კონფერენციის მოწყობას 2020 წლის ივნისის თვეში, თუმცა არსებული კოვიდვითარების გამო ის გადაიდო ერთი წლით და განხორციელდა 2021 წელს. პროექტი ეხება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვას საერთაშორისო სამართლის ქრილში. პროექტის მიზანია ამ მიმართულებით მსოფლიოს საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება საქართველოს შესაბამისი ინსტიტუციებისა და ქართული საზოგადოებისთვის, ასევე ფართო აუდიტორიისათვის. კონფერენციაში ქართულ მხარესთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის და უკრაინის ლურჯი ფარის საერთაშორისო საზოგადოების წევრებმა.

კონფერენციის თემატიკა მოიცავს როგორც აფხაზეთის, ისე ცხინვალის რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისადმი მიძღვნილ საკითხებს, კერძოდ, ოკუპაციისა და საომარი მოქმედებების, კონფლიქტების დროს მიყენებულ ან შესაძლო დაზიანებებს, არასანქცირებულ არქეოლოგიურ გათხრებს, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დამახინჯებას და სახეცვლილებას და ა.შ. კონფერენციის საგანგებო სხდომა მიემდგნა სამეცნიერო-კვლევით საკითხებს. აღნიშნულმა ღონისძიებამ უფრო მკაფიოდ მოჰფინა ნათელი იმ პრობლემებს რასაც ოკუპირებულ ტერიტორიებზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან მიმართებაში ვაწყდებით. პროექტში მთავარი აქცენტი დასმული იყო მსოფლიო გამოცდილების გაზიარებაზე მსგავს პრობლემებთან მიმართებაში, არა მხოლოდ ჰუმანიტურალ-სამეცნიერო, არამედ სამართლებრივი კონტექსტითაც (ჰააგის კონვენციები, იუნესკოს კონვენციები, UNIDROIT-ის (International Institute for the Unification of Private Law) კანონები და ა.შ.). კონფერენციის შედეგად შესაძლებელი გახდება კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით და სამომავლო ქმედებების დაგეგმვა.

საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა 2021 წლის 24-25 ივნისს, ონლაინ Zoom პლატფორმაზე. მომზადდა საკონფერენციო კრებული, რომელშიც მოხსენებების სრული ვერსიები ქართულ და ინგლისურ ენებზე დაიბეჭდება. კრებული გადაცემულია დასაბეჭდად.

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

მარიამ გაბაშვილი

2) მოხსენების სათაური

მხატვრული კავშირების რამდენიმე ასპექტი მტკვარ-არაქსისა და ანატოლიის ადრებრინჯაოს ხანის კულტურებში - ქვაცხელა, გუდაბერტყა, არსლანთეფე

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

24-26/11/2021, თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი. გიორგი ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დაარსების 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „ქართული ხელოვნება: აღქმა, ინტერპრეტაცია, კონტექსტი“. Zoom პლატფორმა

2.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულია)

მსოფლიო კულტურის ისტორიაში ადრეული ბრინჯაოს ხანა ის საგულისხმო ეტაპია რომელიც განსაზღვრავს ადამიანისა და საზოგადოებების განვითარების მნიშვნელოვან მიღწევებს. ეს ხანა კულტურათა მრავალფეროვან სპექტრს მოიცავს რომელთა რიგებში მტკვარ-არაქსის კულტურას დიდი ადგილი უჭირავს. არქეოლოგთა მნიშვნელოვანი ნაწილი თანხმდება სამხრეთ კავკასიისა და ანატოლიის მჭიდრო კულტურული ურთიერთობების შესახებ სხვადასხვა ქრონოლოგიურ ეტაპზე. ადრე ბრინჯაოს ხანაში ეს ურთიერთობები გარკვეულ სიმაღლეზე ადის და საგულისხმო კავშირებს ავლენს როგორც დაკრძალვის წესებში, ისე კერამიკულ და ლითონმქანდაკებლობის ნაწარმში. მოხსენებაში განხილულია მტკვარ-არაქსისა და ანატოლიურ კულტურებში გამოვლენილი საერთო მხატვრული ტენდენციები ურბნისში, ქვაცხელას №2 სამარხში, გუდაბერტყას სამლოცველოსა და აღმოსავლეთ ანატოლიაში, არსლანთეფეს „სამეფო სამარხში“ აღმოჩენილი სპილენძის დიადემების მიხედვით. დიადემების ფორმები, მხატვრული სტილი, მათზე გადმოცემული გამოსახულებების შესრულების საერთო ტექნიკა (პუნსონირება), სიუჟეტური და სიმბოლური მსგავსება, ასევე მასალის იდენტობა (ყველა მათგანი სპილენძისაა), მათ საერთო მხატვრულ წარმომავლობაზე უნდა მეტყველებდეს. ცხადი ხდება ქვაცხელასა და გუდაბერტყაში აღმოჩენილი დიადემების ერთ მხატვრულ სახელოსნოში დამზადების ფაქტი. რაც შეეხება აღმოსავლურანატოლიურ ნიმუშებს, მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო თუ როგორ შეიძლებოდა ეს მხატვრული ფორმები და სტილი გავრცელებულიყო სამხრეთ კავკასიიდან და კერძოდ, შიდა ქართლის ტერიტორიიდან აღმოსავლეთ ანატოლიაში. ერთ-ერთი მყარი ვარაუდის მიხედვით საქმე გვაქვს პასტორალურ მიგრაციასთან. ამის მეშვეობით, ადრებრინჯაოს ხანაში, აღმოსავლეთ ანატოლიაში შემოდის სამხრეთ კავკასიური მძლავრი კულტურული ელემენტები რაც აისახება სამშენებლო ტრადიციაში, წითელი და შავკეციანი, ასევე შავპრიალა მტკვარ-არაქსული ტიპის კერამიკის გავრცელებაში, დიადემების გარდა ლითონის ისეთ სამკაულებში როგორიცაა სპირალურთავიანი და მარყუჟისებრ თავიანი საკინძები, ასევე საბრძოლო იარაღის ტიპოლოგიაში - სატევრებსა და შუბის პირებზე. ყოველივე ამას ემატება სამარხის ისეთი ტიპი, როგორიცაა ქვაყუთის სამარხი - გავრცელებული ამ პერიოდის სამხრეთ კავკასიაში და სრულიად უცხო აღმოსავლეთ ანატოლიის მესოპოტამიური წრისთვის. ეს კულტურული კავშირები იმდენად სიღრმისეულად შეიჭრა არსლანთეფესა და ზემო ევფრატის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ კულტურულ ფენებში, რომ დროებით წყდება მანამდე გაბატონებული მესოპოტამიური ტრადიცია.

მარინე ყენია

2.პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

სვანური ფერწერული სკოლა XIII-XIV საუკუნეებში

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

2021-2023

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

მარინე ყენია (მკვლევარი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტი ითვალისწინებს სვანური ფერწერული სკოლის განვითარების ორი მნიშვნელოვანი ეტაპის ამსახველ მოხატულობათა ჯგუფების ანალიზს, კერძოდ, XIII საუკუნის ანსამბლებისა ქვემო (ტვიბი, მამი, მუწდი) და ზემო (ჟიბიანის ლამარია, ფხოტრერი, მესტიის ფუზდი, წვირმის თარინგზელ-ზაგარი, ჭოხულდი; ხე, თანდილი) სვანეთში, ისევე როგორც XIV საუკუნის მოხატულობებისა ზემო სვანეთში (იენაში, ლაღამი [ზედა ეკლესია], ფარის სვიფი, მხერი, ლაშთხვერი; ღეშტერის კაიშე-თარგლეზერი).

პროექტის 2021 წლის ეტაპზე დასრულებულია XIII საუკუნის მოხატულობათა ანალიზი: გამოვლენილია მათი საერთო იდეური გადაწყვეტის თავისებურებანი, კანონზომიერებანი, რომელნიც საფუძვლად უდევს ანსამბლის საერთო სისტემის აგების თავისებურებებს, ისევე, როგორც მხატვრობის სტილური მახასიათებლები; დადგენილია ზოგად-ეპოქალურ სულიერ თუ მხატვრობის განვითარების საერთო ტენდენციათა ასახვა ამ ანსამბლებში, რაც, გარკვეულწილად, აფართოვებს ჩვენს ცოდნას ქართული კედლის მხატვრობის ისტორიაზე და ავსებს მისი განვითარების საერთო სურათს განსახილველ ეპოქაში.

თავისი ხასიათისა და წამოჭრილ პრობლემათა სპეციფიკიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე კვლევა არ შეხებია ე.წ. ხალხურ მოხატულობათა ჯგუფს (ხე, თანდილი), რაც პროექტის განხორციელების მომდევნო ეტაპებზეა გათვალისწინებული.

პროექტის ამ ეტაპის პრაქტიკულ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ კვლევის საფუძველზე ჩამოყალიბებული დაკვირვებანი თუ დასკვნები დამატებით მასალად შეიძლება გამოდგეს ქართული კედლის მხატვრობის მკვლევართათვის და მის შემსწავლელ სტუდენტთათვის.

ეკატერინე გედევანიშვილი

1. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმა)

1) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

იკვის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობა

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2) პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები
2016-2021

3) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
კატერინე გედევანიშვილი (მკვლევარი)

*კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

იკვის წმ. გიორგის ეკლესიის შემკულობა შუა საუკუნეების ქართული მხატვრობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ძეგლს წარმოადგენს. სამეცნიერო ლიტერატურაში ის უპირველეს ყოვლისა, მასში ასახული წმ. გიორგის „ცხოვრების“ ციკლით იპყრობს ყურადღებას. იკვის ჰაგიოგრაფიული ციკლი მონუმენტურ მხატვრობაში ასახული ერთ-ერთი უადრესი განვრცობილი ციკლია დიდმოწამის ცხოვრებისა. გარდა ამისა, მასში ისეთი სცენები ჩნდება, რომელიც მხოლოდ ქართულ სახვით ხელოვნებაშია დადასტურებული. ნაშრომი საგანგებო ყურადღებას უთმობს წმ. გიორგის ამ უნიკალურ სცენებს და მათი ინტერპრეტაციის ისტორიულ ვერსიას წარმოგვიდგენს. იკვის შემკულობის იკონოგრაფიული პროგრამა სხვა მხრივაცაა საგულისხმო. სრულებით უნიკალურია მისი გუმბათის თემატიკა - აქ ვნების განვრცობილი ციკლია ასახული, სადაც ჯვარცმასთან ერთად გარდამოხსნა და საფლავად დადებაა ასახული, რაც სრულებით უმაგალითო გუმბათური შემკულობის პროგრამას გულისხმობს. ნაშრომი ამ არჩევანს ქართულ-სომხური ეკლესიის საღვთისმეტყველო კამათს მიაწერს, რომელიც სწორედ უფლის განკაცებისა და ვნების საკითხის გარშემო იშლება.

იკვის იკონოგრაფიული პროგრამა კიდევ სხვა უნიკალურ გადაწყვეტას გვთავაზობს. მოხატულობის მოგვიანო ფენა (მე 13 საუკუნის დასაწყისი) დღე განკითხვის თემატიკას წარმოგვიდგენს, სადაც სრულებით მოულოდნელად ჯოჯოხეთის სცენების გვერდით „იერუსალემს შესვლის სცენა“ ასახული. ნაშრომი ამ უჩვეულო არჩევანს ლიტურგიკული საკითხავების მოშველიებით, -ჯოჯოხეთის წარმოტყვევნის სიმბოლურ ხატებად განმარტავს. ისევ და ისევ ვნების თემატიკის აქცენტირებით - ვნების პირველი სცენის წარმოდგენით, სამყაროს ხსნის სოტორეოლოგიური კონტექსტია გამახვილებული და ჯოჯოხეთის სცენები, „იერუსალემს“ შესული უფლის გამოსახულებითაა „დამხობილი“. ეს ტრიუმფალური მიმართულება კარგად ეწერება ქართული სახვითი ხელოვნებისთვის სწორედ თამარის ეპოქის ძეგლთა სულისკვეთებას, სადაც დღე განკითხვის სცენები უპირატესად სწორედ ხსნასა და ბიზანტიური კულტურისგან განსხვავებით, სამოთხისეულ ნეტარებაზე ამახვილებს ყურადღებას

ნაშრომში საგანგებო ადგილი ეთმობა ძეგლის სტილისტურ ანალიზს. ძეგლი, რომლის თარიღი სამეცნიერო ლიტერატურაში დაზუსტებული არაა (ის უმთავრესად მე11-მე12 საუკუნის მიჯნით, ან მე12 საუკუნედაა განსაზღვრული), სტილისტური ანალიზისა და

იკონოგრაფიული თემატიკის მოშველიებით თარიღის დაზუსტების მცდელობასაც წარმოადგენს. ნაშრომში გამოთქმულია მოხატულობის დონატორთა სავარაუდო ვინაობაც .

3. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

3.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

წმინდა მეომართა კულტი და გამოსახულება შუა საუკუნეების ქართულ კულტურაში

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

FR-19-10194

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

2019-2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ეკატერინე გედევანიშვილი (პროექტის ხელმძღვანელი)

2. ირმა მამასახლისი (კოორდინატორი, ახალგაზრდა მეცნიერი)

3. ქეთევან მამასახლისი (ძირითადი პერსონალი)

4. ნიკოლოზ ალექსიძე (ძირითადი პერსონალი, ახალგაზრდა მეცნიერი)

5. თამარ დადიანი (ძირითადი პერსონალი, ახალგაზრდა მეცნიერი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტი გულისხმობს წმ. მეომართა კულტისა და გამოსახულების ინტერდისციპლინარულ კვლევას, სადაც წმინდანთა კულტის ისტორია სახვითი ხელოვნებისა და ორიგინალური თუ თარგმნილი სასულიერო ლიტერატურის კონტექსტში იქნება განხილული. ე. გედევანიშვილის ავტორობით მონოგრაფიულ ნაშრომში შევა წმ. მხედრების კულტისა და მათი იკონოგრაფიის ფორმირებისა და განვითარებისადმი მიძღვნილი ზოგადი თავი. ქართული სახვითი ხელოვნების მასალა განხილულ იქნება ქრისტიანული აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურის ფართო კონტექსტში. საგანგებო ადგილი დაეთმობა საეკლესიო მოხატულობაში წმ. მხედართა გამოსახულების ტოპოგრაფიულ ტრადიციას, სადაც ქართული სახვითი ხელოვნება არაერთ თავისებურებას ამჟღავნებს.

ამავე ავტორის მიერ ცალკე იქნება წარმოდგენილი წმ. გიორგისა და წმ. დემეტრესადმი მიძღვნილი თავი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წმ. გიორგის ფიგურა, რომელიც საუკუნეების მანძილზე საქართველოს მფარველ წმინდანად იქცევა. შესაბამისად, მისი ცხოვრების ციკლი არაერთ თავისებურებას შეიცავს. წმ. გიორგის სახვითი ისტორია ქართულ სახელოვნებათმცოდნეო ლიტერატურაში კარგად შესწავლილ თემად ითვლება. თუმცა, ამ უკანასკნელ დროს გამოვლენილი ახალი მასალა ამ თემის ახლებურად გაშუქების საშუალებას გვაძლევს. ამასთან ერთად, ამ წლების მანძილზე დაგროვილი ცოდნის გათვალისწინებით, საშუალება გვეძლევა უფრო თამამად წარმოვადგინოთ შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების "ნოვატორობა" და გადამწყვეტი მნიშვნელობა ამ წმინდანის

ცხოვრების ციკლის ჩამოყალიბებაში, სადაც არაერთი სცენა პირველად სწორედ ქართულ ხელოვნებაში დასტურდება. ნაშრომში საგანგებო ადგილი დაეთმო ქართული სახვითი ხელოვნებისთვის დამახადიათებელ იმ თავისებურებათა განხილვას, რაც სხვა საქრისტიანო ქვეყნებში არ გვხვდება (მაგ., წვეროსანი წმ. გიორგის იკონოგრაფია, ჰეროდეს მლახველი წმ. გიორგი და სხვა).

ნაშრომის ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი საეკლესიო ტრადიციაში წმ. გიორგის „ეროვნული“ დღესასწაულის - ძვ. სტილით 10 ნოემბრის, დღესასწაულის ტრადიციაა. ავტორი ჰიმნოგრაფიული თხზულებების მოშველიებით ამ ტრადიციის სიმბოლური განმარტების ცდას იძლევა.

7. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

7.4. სტატიები

1) ავტორი/ავტორები

ეკატერინე გედევანიშვილი

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

The Khakhuli Dome Decoration: Eschatological and Historical Context (ხახულის გუმბათის დეკორაცია: ესქატოლოგიური და ისტორიული კონტექსტი)

ISSN 978-80-210-9888-6

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

Convivium Supplementum. Georgia as a Bridge Between Cultures. Dynamics of Artistic Exchange, 1, 2021

4) გვერდების რაოდენობა

19 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატია მიზნად ისახავს ხახულის ღმრთისმშობლის ეკლესიის გუმბათის იკონოგრაფიული პროგრამის განხილვას. ხახულის გუმბათის შემკულობაში წარმოდგენილი წმ. ელია წინასწარმეტყველის ამაღლებისა და წმ. ელისესადმი ხალენის გადაცემის სცენა, „ჯვრის ამაღლებისა და დიდების“ კომპოზიციასთან ერთობით ისტორიულ კონტექსტშია განხილულია. ბიბლიური სიუჟეტის ასახულობა გუმბათის პროგრამაში ტრადიციულ ესქატოლოგიურ კონტექსტთან ერთად, საქართველოში დაფლული სიწმინდის - სვეტიცხოველში უფლის კვართთან ერთად დაფარული ხალენის მოგონებასაც უნდა გულისხმობდეს. ნაშრომში საგანგებოდაა მოხმობილი წყაროები, რომლებიც ამ რელიკვიათა სულიერ მნიშვნელობას წარმოაჩენს (ქართლის მოქცევა, ისტორიული სიგელ-გუჯრები და სხვა) და ამ გამოსახულების ამგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას გვაძლევს. სულიერ მნიშვნელობასთან ერთად, გასათვალისწინებელია საქართველოს იმჟამინდელი პოლიტიკური ვითარებაც. ფაქტობრივად, ქართლიდან გამეფებული ქართველი მეფეებისთვის მცხეთის რელიკვიის მოხმობა და მისი მნიშვნელობის წარმოჩენა პოლიტიკური გეზის - საქართველოს გაერთიანებისთვის სწრაფვის, გამოხატულებაც უნდა გამხდარიყო.

ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია წმ. ელია წინასწარმეტყველის სრულებით საგანგებო კულტი ბიზანტიაში - ის ფაქტობრივად, მაკედონური დინასტიის მფარველი წმინდანი ხდება, მისი ხალენის რელიკვია კი ნეამონის ტაძრის ერთ-ერთ უმთავრეს რელიკვიად სახელდება. ამდენად საქართველოში „ეროვნულ“ სიწმინდედ, სახელმწიფოებრივ პალადიუმად წარმოჩენილი ხალენი მეფე დავით კურაპალატს მისი სამეფო ძალაუფლების ლეგიტიმურობასაც შესძენდა.

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

ეკატერინე გედევანიშვილი

2) მოხსენების სათაური

1. **იფრალის წმ. მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიაში ასახული ისუ ნავეს გამოცხადების სცენის სიმბოლური ინტერპრეტაციისათვის**

2. **ქართულ სატაძრო მოხატულობებში წმ. მხედართა განთავსების ერთი ადგილობრივი ტრადიციის სიმბოლური ინტერპრეტაციისთვის**

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **23 სექტემბერი, 2021, თბილისი, საქართველოს ეროვნული არქივი, მე-4 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია**

2. **24-26 ნოემბერი, 2021, თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი. სამეცნიერო კონფერენცია „ქართული ხელოვნება: აღქმა, ინტერპრეტაცია, კონტექსტი“,**

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1. ევსები კესარიელის ისტორიულ-პანეგირიკული თხზულებების გავლენით ბიზანტიურ ლიტერატურაში ერთგვარ ტრადიციად ყალიბდება ქრისტიანული მმართველისა და ძველი აღთქმის პერსონაჟთა სიმბოლური კავშირი, რაც მოგვიანებით უშუალო ასახულობას სახვით ხელოვნებაშიც ჰპოვებს. მაკედონურ საიმპერატორო დინასტიაში ბიბლიურ მეფეებთან - დავითთან და სოლომონთან ერთად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას, სხვათა გვერდით, ისუ ნავეს ფიგურაც იძენს - ისრაელის ერის წინამძღოლი, ისუ მე ნავესი, რომელსაც ისრაელის ხალხი აღთქმულ მიწაზე შეჰყავს.

„მეფის მხატვარი თევდორეს“ იფრალის ეკლესიის მოხატულობაში ისუ ნავეს გამოცხადების სცენას (1096) ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი ეთმობა. ი.იაკობაშვილმა პირველმა ივარაუდა ამ ბიბლიური სიუჟეტის ასახულობაში წმ. დავით აღმაშენებლის ისტორიული ალუზია. ამ აზრს სხვა მკვლევარებიც იზიარებენ (ნ. ბურჭულაძე, ნ. ჩიხლაძე). თუმც სამეცნიერო ლიტერატურაში ამ გამოსახულების ისტორიულ- სიმბოლური კონტექსტის განვრცობა აღარ მოხდა.

წინამდებარე მოხსენება აღნიშნული სცენის ინტერპრეტაციას ეძღვნება. როგორც ლიტურგიკულმა და ეგზეგეტიკურმა ტექსტებმა და სახვითმა პარალელებმა ცხადყო, ამ ბიბლიურ ეპიზოდში ქრისტეს წინასახედ ნაგულები ისუ ძე ნავეს ისტორია, ხშირად კონკრეტული საზრისის მომცველიცაა. ერთგვარ გასაღებად აქ მთავარანგელოზ მიქაელის ფიგურა ჩნდება, რომელიც ბიბლიურ ტექსტში არაა დასახელებული, იფრალში კი ის საგანგებოდაა იდენტიფიცირებული.

მიქაელ მთავარანგელოზი პატრისტიკულ და ლიტურგიკულ ტექსტებში „ერის -ახალი ისრაელის“ წინამძღოლადაა დასახელებული., ეს უკანასკნელი კი „ღვთის მხილველ გონებადაა“ განმარტებული. ამგვარად წმ. დავითთან დაკავშირებულ ამ მოხატულობაში წარმართთა წინააღმდეგ მებრძოლი მეფისა და მთელი ერის, როგორც „ახალი ისრაელის“ მფარველობისა და წინამძღოლობის თემაა წარმოჩენილი, რაც ასახულია კიდევ, იფრალის სცენის წარწერის თავისებურებაში.

იფრალის ისუ ნავეს სცენის „ღმრთის მხილველი მეფისა და ერის“ კონტექსტი უშუალო პარალელიზმს ბადებს ბიზანტიურ სამყაროში უკვე მაკედონურ დინასტიაში მძლავრად წარმოჩენილი „რჩეული ერის“ საიმპერატორო კონცეფტთან, რომელსაც საქართველოში თავისი საუკუნოვანი ისტორიული საფუძვლები ჰქონდა.

2. მოხსენება შეეხება ქართულ სატაძრო მოხატულობებში წმ. მხედართა გამოსახულების კამარაზე განთავსების ტრადიციას, რაც არეართ სვანურ ძეგლშია დადასტურებული (მაგ., იფხისა და აცის ეკლესიები). სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ტრადიცია უპირატესად ამ ძეგლტა ადრინდელიობით იხსნება - ამ არჩევან განაპირობებს საიმდროოდ ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი სატაძრო მოხატულობის იერარქიული სტრუქტურა. თუმც ამ ტრადიციას ჩვენ მოგვიანებითაც ვხვდებით,

მოხსენება კამარაზე განთავსებული წმ. მხედრების გამოსახულებას წმ. გერმანე პატრიარქის ტექსტით ინსპირირებულ იკონოგრაფიულ ტრადიციად განიხილავს, სადაც წმ. მხედართა „ზეციურ“ზონაში განთავსება მათი ზეციური მხედრობის თანაზიარების მნიშვნელობას ატარებს. მოხსენებაში აღნიშნული სიმბოლური პარალელი არაერთი ქართული ჰაგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული მაგალითითაა შემაგრებული.

8. 2.უცხოეთში

1)მომხსენებელი/მომხსენებლები

ეკატერინე გედევანიშვილი

2) მოხსენების სათაური

Mobility of Text - a Key to Understanding the Murals of the Svipi Façade Painting (ტექსტის მობილობა - გასაღები სვიფის ეკლესიის საფასადო მხატვრობის გასაგებად)

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

Sacred Mobilities in Byzantium and Beyond: People, Objects and Relics

1-2 ივნისი, 2021, Institute of Classical Studies, University of London (კლასიკური კვლევების ინსტიტუტი, ლონდონის უნივერსიტეტი)

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

მოხსენება მიემდვნა სვიფის საფასადო შემკულობის იკონოგრაფიულ პროგრამას. ამ სვანური ძეგლის საფასადო შემკულობა უნიკალურ სიუჟეტურ სცენას წარმოგვიდგენს. მე 12 საუკუნის მოხატულობა ძველი აღთქმის სამების გამოსახულებას წარმოგვიდგენს - სამეცნიერო ლიტერატურაში აბრაამის სტუმართმოყვარეობის სახელწოდებით შესულ სცენას, რომელსაც ახლავს სამი წმ. მხედრის გამოსახულებანი, რომლებიც, ფაქტობრივად, ძველი აღთქმის სიუჟეტის განუყოფელ ნაწილად აღიქმება. ნაშრომში განხილულია ამ გამოსახულების სიმბოლური მნიშვნელობა და მოძებნილია მისი შესაძლო ლიტერატურული პირველწყარო. საკუთრივ, ლეონ ბრძენის საგალობელთა კრებული, სადაც სწორედ აბრაამისა და წმ. მხედართა სასუფეველში შეხვედრისა და ზეციური ნადიმის თემაა წარმოჩენილი.

ქრისტიანე საბაშვილი

1.პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმა) :

1.პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით
ადრე შუა საუკუნეების ქვის მოდელები მომგებელთა კომპოზიციებში და ასლის და რეალური არქიტექტურის მიმართების საკითხი ბენისის ეკლესიის მოდელის მაგალითზე.

6. ჰუმანიტარიული მეცნიერებანი

6.4. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია

2) პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები
2020 -2021

3) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
ქრისტიანე საბაშვილი (მკვლევარი)

*კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

2021 წლის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული კვლევითი პროექტი წარმოადგენს ვრცელი თემის ნაწილს, რომელიც ხორციელდება ეტაპობრივად და ეხება შუა საუკუნეების არქიტექტურის რეპრეზენტაციას საქტიტორო პორტრეტებში. 2021 წლის თემა ეხება ასლის და რეალური არქიტექტურის მიმართების საკითხს ბენისის ეკლესიის მოდელის მაგალითზე. თემაში განხილულია ბენისის ეკლესიის საქტიტორო გამოსახულების გამოსახვის თავისებურება, კერძოდ კი უანალოგო კომპოზიცია, რომელიც ორ ერთნაირ ეკლესიას წარმოადგენს. რელიეფზე გამოსახულ ქტიტორს ხელთ ეკლესიის მოდელი

უჭირავს, რომელსაც ელესიას ტიპის ღვთისმშობელს მიაგებს. მიმგებლის ხელთ არსებული ეკლესიის მოდელის ქვემოთ გამოსახულია ოდნამ მომცრო ზომის ანალოგიური ეკლესია. თემისა მიზანი იყო გაერკვია არსებობს თუ არა საქტიტორო პრორტრეტებში გამოსახვის ანალოგიური პრაქტიკა, მოიძებნება თუ არა პარალელები ქვეყნის ფარგლებს გარეთ. რა მიზნით გამოსახა ოსტატმა ორი ერთნაირი ეკლესია ერთ რელიეფზე . არის თუ არა არსებული მოდელი იმ ეკლესიის არქიტექტურას მიმსგავსებული რომლის ფასადებზეც არის ის წარმოდგენილი.

კვლევის საბოლოო შედეგი სტატიის სახით გაერთიანდა ვრცელ თემაში რომელიც მიეძღვნა საქტიტორო გამოსახულებებს ეკლესიის გამოსახულებით შუა საუკუნის საქართველოში.

2 არაპროგრამული ადგილობრივი გრანტით დაფინანსებული პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

შალვა ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმის საგანძურში დაცული ექსპონატების „თავგადასავალი“, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს კონკურსი - კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა (I ეტაპი).

7. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები

7.5 ჰუმანიტარული მეცნიერებები

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

I ეტაპი - 15/07/2021 - 15/12/2021 (2021-2022 სრული)

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ეკატერინე კვაჭატაძე (პროექტის ხელმძღვანელი)
2. თამარ ხოსროშვილი (მკვლევარი)
3. მარიამ გაბაშვილი (მკვლევარი)
4. ქრისტინე საბაშვილი (მკვლევარი)
5. თამარ ხუნდაძე (მკვლევარი)
6. თამარ დადიანი (მკვლევარი)
7. ნოდარ არონიშვილი (მკვლევარი)
8. ლეილა ხუსკივაძე (კონსულტანტი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ანოტაცია იხ. პროექტის ხელმძღვანელის, ეკატერინე კვაჭატაძის ანგარიშში

3. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

3.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

არქიტექტურის აღქმა და რეპრეზენტაცია შუა საუკუნეების საქართველოში

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4.1. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

FR2017/ FR17_221

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
2018-2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. მარიამ დიდებულიძე (პროექტის ხელმძღვანელი)

2. დავით ხოშტარია (ძირითადი პერსონალი)

3. მარინე ყენია (ძირითადი პერსონალი)

4. ნატალია ჩიტიშვილი (ახალგაზრდა მეცნიერი, კოორდინატორი)

5. ქრისტინე საბაშვილი (ძირითადი პერსონალი, ახალგაზრდა მეცნიერი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ანოტაცია იხ. პროექტის ხელმძღვანელის, მარიამ დიდებულიძის ანგარიშში

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები
ქრისტინე საბაშვილი

2) მოხსენების სათაური
უფლის საფლავის რემინისცენცია ბზის წმინდა გიორგის ეკლესიის რელიეფზე (X ს)

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

22-26 ნოემბერი, 2021, თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი. გიორგი ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დაარსების 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია: „ქართული ხელოვნება: აღქმა, ინტერპრეტაცია, კონტექსტი“. Zoom- პლატფორმა.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

მოხსენების თემა ეხებოდა სოფელ ბზის (ახალსოფელი) წმ. გიორგის ტაძრის ფასადზე წარმოდგენილი საქტიტორო კომპოზიციის ეკლესიის მოდელის თავისებურებას. მოდელის არქიტექტურული სტრუქტურის გამო მისი მიჩნევა არსებული ეკლესიის არქიტექტურის „ასლად“, როგორც ეს სხვა საქტიტორო (უმეტესი) გამოსახულებების შემთხვევაში გვაქვს, საეჭვოა. სავარაუდოდ, ამ კომპოზიციაში გამოსახული ეკლესიის მოდელი, უფლის საფლავის ნაგებობის რეპლიკას უნდა წარმოადგენდეს. უფლის საფლავის ნაგებობა ქრისტიანულ ხელოვნებაში ადრეული პერიოდიდანვე აქტიურად გამოისახებოდა, თუმცა საქტიტორო კომპოზიციების ჩვენთვის ცნობილ ნიმუშებში არსებულ მოდელებზე აშკარა მინიშნება მასზე არსად ყოფილა. ბზის ეკლესიის რელიეფის ოსტატის ორიგინალური მიდგომა და გამოსახული არქიტექტურის თავისებური გადაწყვეტა გარკვეულწილად ამგვარ მინიშნებად შეიძლება ჩავთვალოთ, რაც მოხსენებაში დაწვრილებით იქნა განხილული.

ნათია ნაცვლიშვილი

1. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმა)

1) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით
ზემო გორულის ეკლესია და მისი მამულები დარეჯანი

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4.1. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2) პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები
2021

3) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
ნათია ნაცვლიშვილი (მკვლევარი)

კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ზემო გორულის ეკლესია ფლეთილი ქვით ნაგები მცირე ზომის დარბაზული შენობაა. სუფთად გათლილი კვადრები მხოლოდ კუთხეების ამოსაყვანად არის გამოყენებული. კონქი და კამარა აგურისაა. სამხრეთ და დასავლეთ კედლებში გაჭრილი კარის ჩარჩოები, ასევე დასავლეთ, სამხრეთ და აღმოსავლეთ ფასადებში მოწყობილი მცირე ზომის სარკმლები უხვად არის დეკორირებული ქვაზე ნაკვეთი ორნამენტით. მშენებლობის დროს ეკლესიის თავდაპირველი ჩანაფიქრი შეიცვალა. ამოქოლეს ჩრდილოეთი კარი, ხოლო მისი საპირისთვის განკუთვნილი ქვები აღმოსავლეთი სარკმლის მოსაჩარჩოებლად გამოიყენეს.

სამშენებლო წარწერის მიხედვით ეკლესიის ქტიტორი ქსნის ერისთავის ასული დარეჯანია, რომლის დაკვეთითაც მშენებლობა როსტომ მეფის (1632-1657) ხანაში დაწყებულა. წარწერის დაზიანებული ბოლო მონაკვეთის გამო მშენებლობის დასრულების თარიღი გაურკვეველია,

თუმცა წარწერიდან ცხადია, რომ ეს სხვა მეფის დროს მომხდარა. ვ. ბერიძე ვარაუდობს, რომ ეს უნდა იყოს გიორგი XI (1676-1688/1703-1709). ამდენად, სამცხიერო ლიტერატურაში ზემო გორულის ეკლესიის მშენებლობის თარიღად 1632-1688 წლებია მიღებული.

2018 წელს სარესტავრაციო სამუშაოების დროს ინტერიერში აღმოჩნდა საფლავის ქვა. მასზე გამოსახულია ქალი, რომელსაც მუხლამდე კაბა და ქუსლიანი და წაწვეტებულცხვირიანი ფეხსაცმელი აცვია. ქალის ფეხებთან მრგვალი და წვეთის ფორმის მქონე საგნები და ორი სურათი გამოსახული. ქალს მარჯვენა ხელი ზემოთ აქვს აწეული და მართკუთხა ფორმის საგანზე, სავარაუდოდ ეკლესიის გეგმაზე მიუთითებს, მკლავში მოხრილი მარცხენა ხელი კი მკერდთან აქვს მიტანილი. ქვის ზედა ნაწილში გაკეთებული წარწერის მიხედვით, საფლავი 1663 წელს გარდაცვლილ მეითრის შვილს დარეჯანს ეკუთვნის. საფიქრებელია, რომ ეკლესიის სამშენებლო წარწერაში მოხსენიებული დარეჯანი და აქ დაკრძალული დარეჯანი ერთიდაიგივე ადამიანია. თუ ეს მართლაც ასეა მაშინ, ეკლესიის მშენებლობა არა გიორგი XI-ის არამედ ვახტანგ V შაჰნავაზის (1657-1676) დროს დასრულდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ზემო გორული მამათა მონასტერი იყო, იქ მხოლოდ მისი დამფუძნებელი ქალი შეიძლება დაეკრძალათ.

წერილობით წყაროებში უცნობია ქსნის რომელ ერისთავს ეჭირა ქართლის მეფის კარზე მეითრის თანამდებობა. საგულისხმოა, რომ საფლავის ქვის ქვაზე როსტომ მეფის მიერ ამ ახლად შემოღებული თანამდებობის მითითება უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ვიდრე ქსნის ერისთავობის. ეს იმით აიხსნება, რომ მეითრობა საპატიო თანამდებობად ითვლებოდა, რადგან ეს მოხელე უშუალოდ მეფესთან დაახლოებული პირი იყო და პირადად მას ექვემდებარებოდა. საფიქრებელია, რომ ქსნის ერთ-ერთ ერისთავს მეითრის თანამდებობა თბილისის მოურავ მანუჩარსა და ფარსადან ჩოლოყაშვილს შორის ანუ 1660-იანი წლების დასაწყისსა და 1689 წლებს შორის ეკავა.

3. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

3.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

ქალები, ძალაუფლება და არქიტექტურის პატრონაჟი გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4.1. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

YS-21-629

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

2021-2023

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

ნათია ნაცვლიშვილი (მკვლევარი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2021 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის შედეგები რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა მიმდინარე წლის 30 ნოემბერს გამოაცხადა. პროექტის განხორციელება ახლა იწყება.

დაგეგმილი საპროექტო კვლევის საგანია ქალთა არქიტექტურული პატრონაჟი გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს კულტურული, სოციალური, რელიგიური და ეკონომიკური ცხოვრების ფონზე. პროექტის იდეა აღმოცენდა შუა საუკუნეების ისტორიაში ქალების როლისადმი გაზრდილი ინტერესის პასუხად. დასავლურ მეცნიერებაში ამ ინტერესმა სტიმული მისცა მრავალ პუბლიკაციას, რომლებიც შეისწავლის ქალთა აქტივობის სხვადასხვა ასპექტებს, მათ შორის ზოგადად კულტურისა და კონკრეტულად არქიტექტურის პატრონაჟს.

გვიანი შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებასა და არქიტექტურაში ქალთა პატრონაჟის არაერთი ცხადი მტკიცებულება მოიპოვება. მიუხედავად იმისა, რომ წერილობითი წყაროები, მათ შორის სამშენებლო წარწერები, ადასტურებს ქალების დაფინანსებით შექმნილ ხელოვნების ნიმუშებსა და არქიტექტურულ ნაგებობებს, დღემდე მხოლოდ რამდენიმე მათგანმა მიიპყრო ისტორიკოსებისა და ხელოვნების მკვლევართა ყურადღება; დედოფლებისა და დიდგვაროვანი ქალების არქიტექტურული პატრონაჟი საგანგებო კვლევის საგანი დღემდე არ გამხდარა. პროექტი ამ მდგომარეობის გამოსწორებას ემსახურება. მან უნდა უპასუხოთ კითხვებს, რომლებიც აქამდე არ დასმულა ქალების, როგორც შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურისა და ხელოვნების დამკვეთებისა და პატრონების როლთან და მათ არქიტექტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით: რამდენად იყვნენ მაღალი სოციალური კლასის წარმომადგენელი ქალები ფინანსურად დამოუკიდებელი არქიტექტურის პატრონაჟისა; რა როლი ეკავათ ქალ დამკვეთებს შენობის დიზაინის პროცესში; მშენებლობის დაფინანსება დიდგვაროვან ქალთა პოლიტიკური გეგმის ნაწილს წარმოადგენდა თუ მხოლოდ მათი კეთილი ნება იყო; რა როლს თამაშობდა არქიტექტურა შუა საუკუნეების ქალ მმართველთა პრესტიჟისა და პოლიტიკური ძალაუფლების შექმნასა და რეპრეზენტაციაში; განსხვავდება თუ არა გვიანი შუა საუკუნეების ქართველ ქალთა პატრონაჟი ახლო აღმოსავლეთისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნების გამოცდილებისგან, როგორია განსხვავებები და მსგავსებები და სხვა.

კვლევის შედეგად შესწავლილი უნდა იქნას ქალების დამოკიდებულება ძალაუფლებისა და არქიტექტურის პატრონაჟისადმი, განხილული იქნება, თუ როგორ იყენებდნენ ნაშენ გარემოს დედოფლები და დიდგვაროვანი ქალები საკუთარი ძალაუფლებისა და გავლენის წარმოსაჩენად. კვლევამ ხელი უნდა შეუწყოს გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს

არქიტექტურასა და მშენებლობაში ქალების როლის უკეთ გარკვევას და, ზოგადად, ახალი შუქი უნდა მოჰყვინოს ამ პერიოდის ისტორიას.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

6.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

ნათია ნაცვლიშვილი

2) სტატიის სათაური, ISSN

**მარიამ დადიანი და არქიტექტურული პატრონაჟი გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში
ISSN 1512-1321**

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

საქართველოს სიძველენი, # 23

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

გ. ჩუბინაშვილის ცენტრი, თბილისი, 2021

5) გვერდების რაოდენობა

25 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატიაში განხილულია ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ქალი ქტიტორის - მარიამ დადიანის (1599/1609-1680) არქიტექტურული პატრონაჟი გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში. 1634 წელს მარიამ დადიანი ირანის ვასალ როსტომ მეფეზე (მეფობდა 1633-1658 წლებში) დაქორწინდა და ქართლის დედოფალი გახდა. მან მუსლიმ მეფესთან ქორწინების შემდეგ არამართო ქრისტიანობა შეინარჩუნა, არამედ შეძლო საკუთარ დომენში მეფესთან გათანაბრებული უფლებებიც ჰქონოდა.

როსტომ მეფის გარდაცვალების შემდეგ მარიამი ცოლად გაჰყვა ვახტანგ V-ს (მეფობდა 1658-1675 წლებში), ქართლის კიდევ ერთ მუსლიმ მეფეს. ამ ქორწინების საშუალებით მან შეინარჩუნა დედოფლის სტატუსი და განაგრძო სააღმშენებლო საქმიანობა. ისლამური სამყაროსგან განსხვავებით, სადაც „ქალები უმეტესწილად აშენებენ როგორც ქვრივები და დედები და არა როგორც ცოლები“ (პ. ბლესინგი), მარიამი ორივე მუსლიმი ქმრის სიცოცხლეშივე აქტიური ქტიტორი იყო, რაც განაპირობა როგორც მისმა ძლიერმა პიროვნულმა თვისებებმა, ისე შუა საუკუნეების საქართველოს კულტურულმა ტრადიციამ და პოლიტიკურმა სიტუაციამ.

მარიამმა ქართლის სამეფოში რამდენიმე ეკლესია ააშენა და განაახლა (თბილისის წმ. იოანე ნათლისმცემელი - თეთრაშენი, არადეთი, ზღუდერი, გორის მთავარანგელოზი).

განსაკუთრებით დიდია მისი როლი დანგრეული კათედრალების აღდგენაში (ბოლნისი, რუისი, ურბნისი, სვეტიცხოველი). შენობების ფიზიკური გადარჩენის გარდა, კათედრალების აღდგენის პოლიტიკა ირანული კულტურის ძლიერი გავლენის ქვეშ მყოფ საქართველოში ქრისტიანული იდენტობის გაძლიერების მცდელობადაც უნდა მივიჩნიოთ.

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8. 2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

ნათია ნაცვლიშვილი

2) მოხსენების სათაური

Bell Towers in Medieval Georgia: Architecture and Ritual (სამრეკლოები შუა საუკუნეების საქართველოში: არქიტექტურა და რიტუალი)

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

Georgia Project Lecture Series, Part 1, Kunsthistorisches Institut in Florenz in collaboration with the George Chubinashvili National Research Centre, Online public lecture (საქართველოს პროექტის ლექციების სერია, ფლორენციის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი გიორგი ჩუბინაშვილის სახ. ეროვნულ კვლევით ცენტრთან თანამშრომლობით), **ონლაინ საჯარო მოხსენება 2021 წლის 14 დეკემბერი.**

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

დასავლეთ ევროპისაგან განსხვავებით, სამრეკლო შედარებით გვიან გაჩნდა აღმოსავლეთ საქრისტიანოს ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში. დიდი ხნის მანძილზე ბიზანტიის იმპერიასა და მის მეზობელ აღმოსავლეთის ქვეყნებში უცნობი იყო ზარის რელიგიური ფუნქციით გამოყენება. ლათინური სამყაროსგან განსხვავებით, სადაც ზარს უკვე მეექვსე საუკუნიდან ფართოდ იყენებდნენ მლოცველთა ღმრთისმსახურებაზე მოსახმობად, აღმოსავლური ეკლესია უპირატესობას ანიჭებდა სემანტრონს - ხის დაფას, რომელზეც ხის ჩაქუჩით ურტყამდნენ. საქართველოში ამ ინსტრუმენტს სარეკელი ან ძელი ერქვა.

ჰაგიოგრაფიული ძეგლები და სამონასტრო ტიპიკონები ადასტურებს, რომ სარეკელი საქართველოში ადრე შუა საუკუნეებიდანვე ფართოდ გამოიყენებოდა და ჩვენთან წმინდა მიწიდან გავრცელდა. სინას მთის ქართულმა ხელნაწერმა (#12) შემოგვინახა სარეკელის კურთხევის წესი, რაც ადასტურებს, რომ ინსტრუმენტის გამოყენებას ამ დროს უკვე ჩამოყალიბებული სახე ჰქონდა. სარეკელის მოხმარების წესები აღწერილია 1042 წელს გიორგი მთაწმინდელის მიერ თარგმნილ დიდ სვინაქსარსა და მეთორმეტე საუკუნის დასაწყისში დავით აღმაშენებლის მიერ შიომღვიმის მონასტრისათვის დამტკიცებულ სვიმეონწმინდის ტიპიკონში.

როგორც ცნობილია, სამრეკლოები საქართველოში მეცამეტე საუკუნიდან ჩნდება. ვ. ბერიძე ყველაზე ძველად იჯარეთის მონასტრის სამრეკლოს (1250-იანი წლები) მიიჩნევს, ხოლო ყველაზე ადრეული დათარიღებული სამრეკლო გუდარეხის მონასტერში დგას (1278). თავდაპირველი სახით სამრეკლოები წარმოადგენდა ორსართულიან ნაგებობებს, რომელთა პირველი სართული სხვადასხვა ფუნქციისაა (კარიბჭე, სამლოცველო, კრიპტა), ხოლო მეორე სართული ზარის დასაკიდად განკუთვნილ, თაღებით გახსნილი ფანჯატურია. თავიდან ისინი მხოლოდ მონასტრებში შენდებოდა.

საუკუნეების განმავლობაში სამრეკლოს არქიტექტურამ გავითარების ფართო გზა განვლო და მარტივი ნაგებობიდან რთული სტრუქტურის შენობად ჩამოყალიბდა (მაგალითად, მეთექვსმეტე საუკუნის ნინოწმინდასა და ახალ შუამთაში სამრეკლოები ოთხსართულიან, საცხოვრებელი ოთახების შემცველ შენობებს წარმოადგენს) და ქართული სამონასტრო და სამრეკლო ეკლესიების განუყოფელ ნაწილად იქცა.

ნატალია ჩიტიშვილი

1. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმა)

1) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით
სამრეკლო სივრცის დაყოფა ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიებში

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4.1. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2) პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები
2020-2021

3) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
ნატალია ჩიტიშვილი (მკვლევარი)

***კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)***

ადრექრისტიანული პერიოდიდან მოყოლებული, ქრისტიანული ტაძართმშენებლობა ითვალისწინებდა შენობის სივრცის დაყოფას საერო და სასულიერო ხარისხის, სქესისა თუ სხვა ნიშნის გათვალისწინებით. ადრექრისტიანული წერილობითი წყაროები ცხადყოფს, რომ არ არსებობდა ყველა ქრისტიანული ეკლესიისათვის სავალდებულო, ერთიანი ჩამოყალიბებული სახელმძღვანელო მოდელი. ყველა ეკლესიას ჰქონდა მრევლის შენობაში განაწილების თავისი პრაქტიკა მსახურების ადგილობრივი ტრადიციების შესაბამისად და ტაძრის გეგმარებითი სტრუქტურის გათვალისწინებით. ამ პრაქტიკის შესაბამისად ხდებოდა სივრცის სხვადასხვა ნაწილის მოწყობა და მათი ერთმანეთისგან გამიჯვნა სხვადასხვა საშუალებით, იქნებოდა ეს ფარდა, ქვისა ან ხის ბარიერები თუ რაიმე სხვა. ზოგადი ტრადიციით, ქალები და კაცები ცალ-ცალკე უნდა ყოფილიყვნენ. წერილობითი წყაროების

მონაცემების შეჯერებით ირკვევა რომ ქალთათვის შეიძლებოდა ცალკე ადგილი ყოფილიყო გამოყოფილი: 1) ტაძრის დასავლეთ ნაწილში, მამაკაცთა უკან, და ეს სივრცე განივად ყოფილიყო გაშლილი; 2) სივრცე, ჩრდილოეთის ან სამხრეთის ნაწილში; 3) პატრონიკეზე, თუ შენობას ის ჰქონდა. წყაროებში საუბარია საერო და სასულიერო პირთა დიფერენცირებაზე, მონათლულთა და კათაკმეველთა გაყოფაზე, და ქალთა და კაცთა განცალკევებაზე (და ასევე სქესის შიგნით განცალკევებაზე ასაკისა და ოჯახური მდგომარეობის მიხედვით - ასაკოვანი ადამიანები, გათხოვილები, გაუთხოვრები, ბავშვები), ხოლო მაღალ და დაბალ სოციალურ სტატუსზე არაფერი ითქმის.

საქართველოში, წერილობითი წყაროების უქონლობისა და არქეოლოგიური მონაცემების სიმწირის გამო, ამ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობა რთულია, თუმცა ცალკეული დასკვნების გამოტანა შესაძლებელია. ირკვევა, რომ ბოლნისის სიონში სივრცე დანაწევრებული უნდა ყოფილიყო სქესის გათვალისწინებით, ამასთან გაყოფა ხდებოდა არა გრძივად (ნაგებად), არამედ განივად, რაც ნიშნავს, რომ ქალები ტაძრის დასავლეთ ნაწილში იდგნენ, ხოლო კაცები - მათ წინ, საკურთხეველთან უფრო ახლოს. ამ მოსაზრებას ამყარებს მის ინტერიერში დღემდე შემორჩენილი საინტერესო არქიტექტურული დეტალები, მცირე ბუდეები, რომლებშიც სივრცის გამტახტავი ბარიერები იყო ჩამაგრებული. მნიშვნელოვანია, რომ ქალებისათვის გამოცალკევებულ დასავლეთის სივრცეს თავისი ცალკე შესასვლელი ჰქონდა - აქ მოხვედრა შეიძლებოდა მხოლოდ ჩრდილოეთი კედლის დასავლეთ ნაწილში გაჭრილი კარიდან.

შიდა სივრცის დანაწევრების განსხვავებული ნიმუშებია მიკვლეული V საუკუნის მეორე ნახევრის სვეტიცხოვლის ვახტანგისეულ ბაზილიკასა და შედარებით მოგვიანო ხანის სამთავისის ძველ ბაზილიკაში. ორივე ტაძარში ინტერიერის გეგმარების ერთიდაიგივე ხერხია გამოყენებული. კერძოდ, ორსავე სამნავიან ბაზილიკაში ჩრდილოეთი და სამხრეთი ნაგები ერთი საფეხურით არის შემადგენელი შუა ნავთან შედარებით. ეს გვაფიქრებინებს, რომ აქ საქმე უნდა გვქონდეს სამრევლო სივრცის სხვაგვარ, წერილობით წყაროებში ასევე დადასტურებულ ხერხთან, კერძოდ ტაძრის ინტერიერის სივრცე დანაწევრებასთან. გვერდით სივრცეთა ერთი საფეხურით აწევა იმისი მაჩვენებელია, რომ შუა ნავში განვითარებულ მსახურებას მრევლი მცირედ შემადგენელი გვერდითა ნაგებიდან ადევნებდა თვალყურს.

ამდენად, მუშაობამ, რომელიც გულისხმობდა აღმოსავლეთ საქართველოში დღემდე შემორჩენილი არქეოლოგიური მასალის შესწავლა-განხილვას ქრისტიანული აღმოსავლეთის წერილობით და არქეოლოგიურ მასალასთან კავშირში, აჩვენა, რომ ქართლის სამეფოში გვხვდება სამრევლო სივრცის დანაწევრების ორი, აღმოსავლეთ საქრისტიანოში კარგად ცნობილი საშუალება: სივრცის დანაწევრება განივად (ბოლნისის სიონი, ქვემო ბოლნისი, ვანათი) და გრძივად (ვახტანგისეული სვეტიცხოველი, სამთავისის ძველი ბაზილიკა)

3. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

3.1.

არქიტექტურის აღქმა და რეპრეზენტაცია შუა საუკუნეების საქართველოში

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4.1. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

FR2017/ FR17_221

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
2018-2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. მარიამ დიდებულძე (პროექტის ხელმძღვანელი)
2. დავით ხოშტარია (ძირითადი პერსონალი)
3. მარინე ყენია (ძირითადი პერსონალი)
4. ნატალია ჩიტიშვილი - (ახალგაზრდა მეცნიერი, კოორდინატორი)
5. ქრისტინე საბაშვილი (ძირითადი პერსონალი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ანოტაცია იხ. პროექტის ხელმძღვანელის, მარიამ დიდებულძის ანგარიშში

7. ბექდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
7.4. სტატიები

1) ავტორი/ავტორები
ნატალია ჩიტიშვილი

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

1. **Altars in Medieval Georgian Churches: Preliminary Notes on Their Arrangement, Decoration, and the Rite of Consecration** (ტრაპეზები შუა საუკუნეების ქართულ ეკლესიებში: წინასწარული მოსაზრებები მათი მოწყობის, დეკორის და კურთხევის წესის შესახებ)
ISSN 978-80-210-9888-6

2. **General Overview of the Three-Dimensional Architectural Models as Acroteria in Medieval Georgia** (სამგანზომილებიანი არქიტექტურული მოდელების როგორც აკროტერიონების ზოგადი მიმოხილვა შუა საუკუნეების საქართველოში)
(იბეჭდება)

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. **Convivium Supplementum, Georgia as a Bridge Between Cultures, Dynamics of Artistic Exchange**
2. **Studia Ceranea, N11**

4) გვერდების რაოდენობა

1. **15 გვერდი**
2. **8 გვერდი**

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. სტატიის პირველ ნაწილში განხილულია თუ რა ტიპის ტრაპეზები გვხვდება შუა საუკუნეების საქართველოში, როგორ იყო ისინი შემკული და რა მასალისგან მზადდებოდა. ძირითადად, ეს იყო ორი ტიპის ტრაპეზი, სვეტებიანი და ბლოკური ტიპისა. ეს უკანასკნელი

შესაძლოა ყოფილიყო ერთიან ქვაში გამოკვეთილი, ან ქვებით ნაგები. როგორც წესი, ქვებისგან ნაგები ტრაპეზები შემდგომ ნალესობით იფარებოდა და იხატებოდა. სავარაუდოდ, არსებობდა ლითონის ჭედური ტრაპეზებიც, როგორც გვაფიქრებინებს წერილობითი მასალა. სტატიის მეორე ნაწილი შეეხება ტრაპეზის ზემოთ მდგარ ბალდახინებს. ისინი ფართოდ იყო გავრცელებული როგორც ქრისტიანულ აღმოსავლეთში, ასევე დასავლეთში მოყოლებული ჯერ კიდევ ადრეული შუა საუკუნეებიდან. როგორც მწირი არქეოლოგიური მასალა აჩვენებს მსგავსად ქრისტიანული სამყაროს სხვა რეგიონებისა, ტრაპეზების ზემოთ ასევე აღიმართებოდა ხოლმე ბალდახინები, რომლებიც ან საკურთხევის იატაკში იყო ჩამაგრებული, ან კიდევ უშუალოდ ტრაპეზის კუთხეებში. ბალდახინთა არსებობა საქართველოში ცალკეული წერილობითი ცნობებითაც დასტურდება. სხვადასხვა მიზეზთა გამო, ჩვენამდე მხოლოდ ერთი, გვიანი პერიოდის ხის ბალდახინია მოღწეული, რომელშიც კარგად ჩანს როგორც ძველი, შუა საუკუნეების ტრადიცია, ასევე საქართველოში ახალი ევროპული სტილისთვის დამახასიათებელი მხატვრული თავისებურებები.

მესამე ნაწილი სტატიისა კი ეთმობა ორ საკითხს: I – რა ვიციტ შუა საუკუნეების ტრაპეზთა კურთხევის წესების შესახებ უშუალოდ ლიტურგიკული ტექსტებიდან და II – როგორი თანხვედრაა ამ ტექსტებსა და არქეოლოგიურ მასალას შორის. ჩვენამდე შემორჩენილი კურთხევანები, რომლებიც აღწერენ ტრაპეზთა კურთხევის წესსა და მათში წმინდა ნაწილთა განთავსების რიტუალს, მიუყვება კონსტანტინოპოლურ წესს, რომელიც პირველად ითარგმნა XI ს-ის დასაწყისში ათონის მთაზე მოღვაწე ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების მიერ. შემდგომი, შედარებით ვრცელი რედაქციები ამ წეს-განგებულებებისა ასევე ზედმიწევნით მისდევს ბერძნულ ტექსტებს. თუმცა არქეოლოგიური მასალა ზედმიწევნით არ ადასტურებს ტექსტებით გათვალისწინებულ მითითებებს. რაც გვაფიქრებინებს, რომ გარდა ტექსტუალურად მიღებული მითითებებისა, ასევე ძლიერი იყო ზეპირი ტრადიცია, რომლის მიხედვითაც კონკრეტულ შემთხვევაში ხდებოდა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება თუ სად უფრო უმჯობესი იყო განთავსებულიყო წმინდა ნაწილები.

2. აკროტერიონი არის არქიტექტურული ელემენტი, რომელიც შენობის ფრონტონის ზედა წვერზე თავსდება. ქართულ სატაძრო არქიტექტურაში ფართოდ გამოიყენებოდა ეკლესიის შენობის მოყვანილობის აკროტერიონები. შემორჩენილი ნიმუშების რაოდენობით, ეს ჩვენში შუასაუკუნოვანი სამგანზომილებიანი არქიტექტურული მოდელის ყველაზე გავრცელებული სახეობა ჩანს. აკროტერიონებისათვის ეკლესიის ფორმის მიცემა, საქართველოს გარდა, სომხეთშიც დასტურდება. შემორჩენილ ნიმუშებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ეს ტრადიცია სამხრეთკავკასიური მოვლენაა, რომლის ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი უნდა ყოფილიყო ქვით მშენებლობის და ქვაში სახეების კვეთის მაღალი კულტურა. საქართველოში ეკლესიის მოდელის სახის აკროტერიონები, სავარაუდოდ, X საუკუნიდან ჩნდება (უადრესია ნიმუშები კურცხანის ხეობიდან, თრიალეთის ახალქალაქიდან და ტირძისის სამების ეკლესიიდან). შემდგომ ხანებში ისინი ნელ-ნელა სატაძრო არქიტექტურის არსებით ნაწილად იქცევა, განსაკუთრებით აქტიურად კი მათ XIII საუკუნიდან მოყოლებული აკეთებენ XIX საუკუნემდე. გავრცელების არეალი დიდწილად ქართლითა და სამცხე-ჯავახეთით შემოიფარგლება, თუმცა ცალკეული ნიმუშები მოიძებნება სხვა რეგიონებშიც, ძირითადად იმ ძეგლებზე, რომლებიც ქვის ლორწინით იყო გადახურული.

საქართველოში გვხვდება როგორც გუმბათიანი, ასევე უგუმბათო ეკლესიის ფორმის აკროტერიონები. არსებულ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ძირითადად აკროტერიონებად გამოიყენებოდა ჯვარგუმბათოვანი ეკლესიის მოდელები - როგორც ჩახაზული, ისე თავისუფალი ჯვრის ტიპისა. შედარებით ნაკლებად მიმართავენ

აკროტიკონების შემქმნელი ქვისმთლელები უგუმბათო არქიტექტურას, კერძოდ დარბაზულ (ცალნავიან) ტიპს. რაოდენობრივი არათანაფარდობა გუმბათიან და უგუმბათო მოდელებს შორის აიხსნება იმით, რომ ოსტატებისთვის თვითმიზანი არასოდეს ყოფილა რეალური ტაძრის არქიტექტურული ფორმის ზუსტი ასახვა. შორიდან აღქმისას ჯვარგუმბათოვანი ეკლესიის სტრუქტურა უფრო თვალსაჩინო და გაიგივებადი არქიტექტურული ფორმაა, ვიდრე დარბაზული ეკლესიის ერთიანი მართკუთხა მოცულობა. ამიტომაც უგუმბათო ეკლესიებზეც კი უმეტესად ჯვარგუმბათოვანი სახის აკროტიკონები იდგმებოდა.

საქართველოში ფუნქციურად აკროტიკონი სახურავის კეხზე აღმართული ჯვრის კვარცხლბეკს წარმოადგენდა და გარდა ამისა, ზოგიერთ აკროტიკონზე შემორჩენილი გამოსახულებებისა და წარწერების მიხედვით დამატებით ჰქონდა ასევე ვოტივური დანიშნულებაც. მას ყოველთვის ჰქონდა ეკლესიის ფორმა, მაგრამ არ იმეორებდა ნამდვილ არქიტექტურას. როგორც წესი, მოდელი არ ასახავს იმ ტაძარს, რომელსაც ადგას (ერთი გამონაკლისი არის სომხეთში - ჰარიჭავანძი). კონკრეტული შენობების რეპროდუცირების ნაცვლად, მოდელის შემქმნელი ოსტატები იყენებდნენ თავიანთი დროისათვის დამახასიათებელ სტრუქტურულ და დეკორატიულ ელემენტებს და თავისუფლად ახდენდნენ მათ კომპონირებას. ისინი ცვლიდნენ რეალურ პროპორციებს და აქცენტირებულად ზრდიდნენ გუმბათს ჯვარგუმბათოვან მოდელებში ან ამოკლებდნენ გრძივ ღერძს ცალნავიან მოდელებში. შედეგად, აკროტიკონები წარმოადგენენ განზოგადებულ არქიტექტურულ მოდელებს, რომლებშიც საერთო დიზაინითა და გარკვეული რაოდენობის არსებითი ელემენტებით მნახველი იოლად ამოიცნობს ეკლესიის ზოგად იერს.

თამარ დადიანი

2. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

წმ. თევდორეს იკონოგრაფია შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

2021- 2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

თამარ დადიანი (მკვლევარი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

წლიური თემა ეხება წმ. თევდორეს იკონოგრაფიას შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების სხვადასხვა დარგში (ქვის რელიეფი, ჭედურობა, ხატწერა, მონუმენტური მხატვრობა) და

გულისხმობს ვრცელ შედარებით ანალიზს უცხოური (ძირითადად კაბადოკიური) მასალის მოხმობით (მეორე ეტაპზე). თემის ნაწილი, ცალკე თავის სახით, შოთა რუსთაველის ეროვნული ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტში შედის („წმინდა მეომართა კულტი და გამოსახულებანი შუა საუკუნეების ქართულ კულტურაში“).

მუშაობის პირველ ეტაპზე (20121 წლის განმავლობაში) მოხდა ქართული მასალის დამუშავება-დახარისხება (მანამდე, ზემოთხსენებული პროექტის ფარგლებში, წყაროები და ლიტერატურა შეისწავლა) და წმ. თევდორეს ძირითადი იკონოგრაფიული სქემების გამოკვეთა, საქართველოში მისი გამოხატვის ტრადიციებისა და ადგილობრივი თავისებურებების ჩვენება. როგორც შედეგი, გამოჩნდა წმ. თევდორეს იკონოგრაფიის განვითარების ძირითადი ეტაპები, კონკრეტულ გამოსახულებათა იკონოგრაფიული ასპექტები და ნიუანსები, მათი მიმართება ამა თუ იმ რელიეფურ, ჭედურ თუ ფრესკულ ანსამბლთან სხვა სცენებთან. წმინდანის გამომხატველი უადრესი კომპოზიციები პირველად რელიეფში გვხვდება, VII საუკუნიდან მოყოლებული, და წმინდანის იკონოგრაფიის ჩამოყალიბების საწყის ეტაპებს გვიჩვენებს. როგორც წმ. თევდორეს გამოსახულებათა ანალიზი ცხადყოფს, ადრეულ შუა საუკუნეებში ქარისტიანულ ხელოვნებაში მხოლოდ ორი ტიპის იკონოგრაფიული სქემები გვხვდება – ფეხზე მდგომი ან ცხენზე ამხედრებული წმ. მეომარი. უკანასკნელ შემთხვევაში წმ. გიორგის თანხლებით. იმის მიუხედავად, რომ წმინდანის ცხოვრების ამსახველი ფრესკული ციკლის აღწერა გრიგოლ ნოსელის ჰომილიაში (IV ს.) შემორჩა, ხელოვნების ძეგლებზე ამგვარი ციკლები არსად გვხვდება და, როგორც ჩანს, შემდგომ ეპოქებში არ განვითარებულა. საქართველოსა და მეზობელ კაბადოკიაში კი წმ. თევდორეს სახე მჭიდროდ დაუკავშირდა წმ. გიორგის იკონოგრაფიას. უფრო მეტიც – ისინი ერთად იხსენიებიან „წმ. გობრონის მარტვილობაში“, რაც ამ ორი წმინდანის გაერთიანების ლიტერატურულ ტრადიციასზეც მეტყველებს. ამგვარად, სხვადასხვა დარგში წარმოდგენილი კომპოზიციური სქემების თავმოყრის გზით, წმ. თევდორეს იკონოგრაფიის სრული სურათის შექმნის შესაძლებლობა მოგვეცა.

2. არაპროგრამული ადგილობრივი გრანტით დაფინანსებული პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

შალვა ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმის საგანძურში დაცული ექსპონატების „თავგადასავალი“, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს კონკურსი - კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა (I ეტაპი).

7. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი

7.5 ჰუმანიტარული მეცნიერებები

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

I ეტაპი - 15/07/2021 - 15/12/2021 (2021-2022 სრული)

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ეკატერინე კვაჭატაძე (პროექტის ხელმძღვანელი)

2. თამარ ხოსროშვილი (მკვლევარი)

3. მარიამ გაბაშვილი (მკვლევარი)

4. ქრისტინე საბაშვილი (მკვლევარი)

5. თამარ ხუნდაძე (მკვლევარი)
6. თამარ დადიანი (მკვლევარი)
7. ნოდარ არონიშვილი (მკვლევარი)
8. ლილა ხუსკივაძე (კონსულტანტი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ანოტაცია იხ. პროექტის ხელმძღვანელის, ეკატერინე კვაჭატაძის ანგარიშში

3. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

3.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

წმინდა მემართა კულტი და გამოსახულება შუა საუკუნეების ქართულ კულტურაში

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

FR-19-10194

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

2019-2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ეკატერინე გედევანიშვილი (პროექტის ხელმძღვანელი)

2. ირმა მამასახლისი (კოორდინატორი, ახალგაზრდა მეცნიერი)

3. ქეთევან მამასახლისი (ძირითადი პერსონალი)

4. ნიკოლოზ ალექსიძე (ძირითადი პერსონალი, ახალგაზრდა მეცნიერი)

5. თამარ დადიანი (ძირითადი პერსონალი, ახალგაზრდა მეცნიერი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ანოტაცია იხ. პროექტის ხელმძღვანელის, ეკატერინე გედევანიშვილის ანგარიშში

თამარ ხოსროშვილი

2. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

XVIII საუკუნის მხატვრები

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
2020-2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
თამარ ხოსროშვილი (მკვლევარი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ძალზე მწირად არის შემორჩენილი XVIII საუკუნის კედლის მხატვრობა საქართველოში, კიდევ უფრო მწირია ინფორმაცია მომხატველთა შესახებ. იმ თითზე ჩამოსათვლელ ნიმუშებს კი, რაც დღემდეა შემორჩენილი (ხოზი, გელათი...), არც ერთს ამკობს მხატვრის წარწერა. თუმცა, თუ შუა საუკუნეების მხატვრების შესახებ ინფორმაციას მხოლოდ მათ მიერ გაკეთებული მინაწერები გვაწვდის, მეთვრამეტე საუკუნის მხატვრებზე ცოტა რამ მაინც მოიძებნება არქივებში, მეცხრამეტე საუკუნის გაზეთებსა თუ ამვე პერიოდის ავტორთა წიგნებში. სწორედ ეს წყაროები დამუშავდა წელს. XVIII საუკუნის ორი მხატვარი იხსენიება აქტიურად მეცხრამეტე საუკუნის ავტორთა მიერ რამდენიმე წიგნსა თუ გაზეთში, მათზე ინფორმაცია ეროვნულ არქივშიც არის შემორჩენილი. ესენი გიორგი ინასარიძე და ნიკოლოზ აფხაზი არიან. ამ ეტაპზე სწორედ მათ შესახებ მოვიძიე ინფორმაცია

მხატვარი ნიკოლოზ აფხაზი მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწეობდა. მისი დაბადებისა თუ გარდაცვალების თარიღი ზუსტად არ არის ცნობილი, თუმცა სხვადასხვა საარქივო მონაცემებზე დაყრდნობით ეს პერიოდი სადღაც 1850-იანი წლების დასაწყისსა და 1806 წლებს შორის ექცევა.

ნიკოლოზ აფხაზს განათლება რუსეთში მიუღია. იგი საქართველოში მეფე ერეკლე მეორის მოწვევით დაბრუნდა. ამ ინფორმაციას თავად მეფის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტებიდან ვიგებთ.

დღესდღეობით რაც აფხაზის ნამუშევრებიდან შემოგვრჩა, გარდა იმ ხელმოწერილი პორტრეტისა, ანანურის ეკლესიის კანკელია. კანკელს მხატვრის წარწერა არ აქვს, თუმცა ის რომ ნიკოლოზს მოუხატავს, ამას რამდენიმე მეცხრამეტე საუკუნის ავტორი ადასტურებს.

ნიკოლოზ აფხაზის შესახებ ძალიან საინტერესო ინფორმაციაა დაცული პლატონ იოსელიანის წიგნში “ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა”.

2.2. არაპროგრამული ადგილობრივი გრანტით დაფინანსებული პროექტები

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

შალვა ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმის საგანძურში დაცული ექსპონატების „თავგადასავალი“, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს კონკურსი - კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა (I ეტაპი).

7. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი

7.5 ჰუმანიტარული მეცნიერებები

2) პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები
2021

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ეკატერინე კვაჭატაძე (პროექტის ხელმძღვანელი)
2. თამარ ხოსროშვილი (მკვლევარი)
3. მარიამ გაბაშვილი (მკვლევარი)
4. ქრისტინე საბაშვილი (მკვლევარი)
5. თამარ ხუნდაძე (მკვლევარი)
6. თამარ დადიანი (მკვლევარი)
7. ნოდარ არონიშვილი (მკვლევარი)
8. ლეილა ხუსკივაძე (კონსულტანტი)

*დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

ანოტაცია იხ. პროექტის ხელმძღვანელის, ეკატერინე კვაჭატაძის ანგარიშში

3. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული
სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

3.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო
მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

შუა საუკუნეების მხატვრები საქართველოში

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

6.5. სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებანი

FR17_271

2) პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები:

2018 - 2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ქეთევან მიქელაძე (პროექტის ხელმძღვანელი)
2. მარიამ დიდებულიძე (ძირითადი პერსონალი)
3. თამარ ხოსროშვილი (კოორდინატორი, ახალგაზრდა მეცნიერი)

*გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და
პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

ანოტაცია იხ. პროექტის ხელმძღვანელის, ქეთევან მიქელაძის ანგარიშში

3.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო
მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

2. საერთაშორისო კონფერენცია: „კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე“ საქართველო და საერთაშორისო გამოცდილება“

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

OTG-II-19-106

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
2019-2021

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. თამარ ბელაშვილი (პროექტის ხელმძღვანელი)

2. თამარ ხოსროშვილი (კოორდინატორი)

3. მარიამ გაბაშვილი (ძირითადი პერსონალი)

4. მანანა თევზაძე (ძირითადი პერსონალი)

დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ანოტაცია იხ. პროექტის მონაწილის, მარიამ გაბაშვილის ანგარიშში

ეკატერინე კვაჭატაძე

1. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმა)

1) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით
შუა საუკუნეების საფასადო ქანდაკებისა და ხალხური ტრადიციის მიმართება XVIII-XIX საუკუნეების ქართულ მემორიალურ ძეგლებზე

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2) პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები
2018-2021

3) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
ეკატერინე კვაჭატაძე (მკვლევარი)

კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

საქართველოს მემორიალური ძეგლები ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია ქართული კულტურის ისტორიისა, რომელიც ამთლიანებს ქართული ხელოვნებისა და

არქიტექტურის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორის, ეპიგრაფიკისა და სხვა სულიერი და მატერიალური ღირებულების შემქმნელი დარგების მრავალსაუკუნოვან შემოქმედებას.

ჩვენი სახელოვნებათმცოდნეო კვლევის საგანი კი ამ მრავალფეროვნებასა და მრავალრიცხოვნებაში დროითად მოსაზღვრული ეპოქის (გვიანი შუა საუკუნეებიდან XX საუკუნის 30-იანი წლების ჩათვლით) ფიგურულგამოსახულებიანი რელიეფებით შემკული საფლავის ქვებია. აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ეს ნაშრომი საფლავის ძეგლთა სახელოვნებათმცოდნეო სამეცნიერო კვლევის პირველი მცდელობაა.

საქართველოს უმრავლეს მხარეში ჩვენ მიერ განხორციელებული ექსპედიციების შედეგად მოპოვებული მდიდარი მასალის საფუძველზე შეიქმნა საკვლევად განსაზღვრული ეპოქის რელიეფური დეკორით გაფორმებული საფლავის ძეგლთა საერთო სურათი, სადაც თვალი გაედევნება რეგიონულ თავისებურებებს, სხვადასხვა სტილურ თუ მხატვრულ ტენდენციებს. განვიხილავთ უმთავრესად საფლავის ქვათა ფიგურულრელიეფიან გამოსახულებათა რეპერტუარს, იკონოგრაფიას, მხატვრულ და სახვით სპეციფიკას, რათა გამოვავლინოთ ამ გამოსახულებათა შუა საუკუნეების ქანდაკების ტრადიციასთან მიმართებისა და მისი მემკვიდრეობითობის რაგვარობა (თვისებრიობა) ახალი დროის მსოფლმხედველობრივი და მხატვრული ტენდენციების ცვლილებათა ფონზე. შუა საუკუნეები საქართველოში XVIII საუკუნის ჩათვლით გახანგრძლივდა. ამ დიდი ეპოქის ქვაზე კვეთილობის ტრადიციაც თითქმის 14 საუკუნეს ითვლის. შუა საუკუნეების ქართული ქანდაკების განვითარების დამასრულებელ ეტაპზე - გვიან შუა საუკუნეებში სახისმეტყველებითი რთული პროგრამების შექმნის კვალად, თვალშისაცემია მხატვრული და საშემსრულებლო ოსტატობის ერთგვარი დაკნინება, ფორმის გაუბრალოება-გამარტივება. ამის მიუხედავად ხუროთმოძღვრული ქანდაკება ბოლომდე ინარჩუნებს ტრადიციის უწყვეტობასა და მდგრადობას. ამ ეპოქის ქართულ ქანდაკებას უმეტესად ეკლესიათა საფასადო რელიეფური პლასტიკის ძეგლებით ვიცნობთ. საყურადღებოა, რომ სწორედ გვიან შუა საუკუნეებში ჩნდება საფლავის ძეგლებზე სრული ტანით გამოსახულ გარდაცვლილთა ქვაზე კვეთილი პირველი ნიმუშები. ბევრად განსხვავებულია მოკრძალებულად, სადად, ხანაც ძალზე მწირად შემკული, ნაკლებად შემორჩენილი ადრეული ხანის საფლავის ქვები (V-XIV სს.), რომლებიც, სამწუხაროდ, თანდათან ნადგურდება და სულ უფრო უკვალოდ იკარგება. მათზე, უმეტესად, მხოლოდ ჯვრები და ეპიტაფიები ამოკვეთილი ან მეომრის მარჯვენა მკლავი მშვილდ-ისრითა და ხმლით, ხანაც - გუთანით. გვხვდება აგრეთვე ცხვრისა და ცხენის მრგვალი ქანდაკებებიც, რომელთა ზედაპირები სხვადასხვა მსუბუქი სახოვანი კვეთილობებით არის ხოლმე დამშვენებული.

შუა საუკუნეების ტრადიციის შენარჩუნების მცდელობას, თუ ზოგჯერ ინერციას ვხედავთ ახალ დროშიც - XIX საუკუნეში, რაც სახვითი, იკონოგრაფიული სქემებისა თუ თემატური რეპერტუარის თავისებურ მსგავსებაშიც გამოვლინდა. ამ მხრივ ორ ძირითად მიმართულებას გამოვყოფთ: ერთი მხრივ, შუა საუკუნეების მქანდაკებლობის ტრადიციის გამგრძელებელი საფლავის ქვათა რელიეფები (ეთნოგრაფიული-ხალხური ნაკადი), ხოლო, მეორე მხრივ, დასავლეთევროპული და ბერძნული ნიმუშების გავლენით

შექმნილი საეკლესიო ხუროთმოძღვრული ქანდაკება, რომელიც ამ დროისათვის უკვე სპორადულად გვხვდება.

როგორც აღვნიშნეთ, გამოსახულებებით უფრო მდიდარია გვიანი საფლავის ქვები (XVIII-XIX, XX საუკუნის დასაწყისი), რომელთა მხატვრულ გაფორმებაში შუა საუკუნეების რელიეფური ქანდაკების სახვითი აზროვნება თავისებურ სახეცვალებად განვითარებას განაგრძობს. ამ ხანის საფლავის ძეგლები შუა საუკუნეების მონუმენტური სკულპტურის რამდენადმე შეწყვეტილი ტრადიციის „თავშესაფარი“ და, ამავდროულად, ხალხური შემოქმედების თავისუფალი „ასპარეზი“ ხდება. მათზე გამოკვეთილი რელიეფიანი გამოსახულებები უმეტესად ხალხური, ხელოსნური ხასიათისაა, თუმცა გვხვდება, საკმაო ოსტატობით და დახელოვნებით შესრულებული ნიმუშებიც.

2 არაპროგრამული ადგილობრივი გრანტით დაფინანსებული პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

შალვა ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმის საგანძურში დაცული ექსპონატების „თავგადასავალი“, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს კონკურსი - კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა (I ეტაპი).

7. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი

7.5 ჰუმანიტარული მეცნიერებები

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

I ეტაპი - 15/07/2021 - 15/12/2021 (2021-2022 სრული)

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ეკატერინე კვაჭატაძე (პროექტის ხელმძღვანელი)
2. თამარ ხოსროშვილი (მკვლევარი)
3. მარიამ გაბაშვილი (მკვლევარი)
4. ქრისტინე საბაშვილი (მკვლევარი)
5. თამარ ხუნდაძე (მკვლევარი)
6. თამარ დადიანი (მკვლევარი)
7. ნოდარ არონიშვილი (მკვლევარი)
8. ლილა ხუსკივაძე (კონსულტანტი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტი „შალვა ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმის „საგანძურში“ დაცული ექსპონატების „თავგადასავალი“ არის წელიწადნახევრიანი კვლევა, რომლის პირველი ეტაპი მოიცავს პერიოდს: 2021 წლის 15 ივლისიდან 2021 წლის 15 დეკემბრამდე.

პროექტი გულისხმობს შალვა ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმის „საგანძურში“ დაცული ექსპონატების გამორჩეული ნიმუშების ადგილმონაცვლეობის ისტორიის კვლევას იმ ეტაპამდე, სანამ ისინი შალვა ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმის საგანძურში

დაიდებდა ბინას. პროექტის დაწყებისთანავე გადაირჩა საკვლევი ექსპონატები. დოკუმენტური მასალის მოძიების მიზნით პროექტის მსვლელობა წარიმართა წინასწარ გაწერილი თანმიმდევრობის მიხედვით.

1. ნაშრომის საბოლოო სტრუქტურის აწყობა;
2. სამუშაოები ბიბლიოთეკაში.
პროექტის ფარგლებში დაგეგმილი იყო ინფორმაციის მოძიება ბიბლიოთეკებში. ამ მიზნით დამუშავდა პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში არსებული მასალები; როგორც მყარი, ასევე ელ.რესურსები;
3. სამუშაოები ეროვნულ არქივში.
ჩატარდა სამუშაოები ცენტრალურ არქივში (საისტორიო და კინოფონოფოტოდოკუმენტების განყოფილება). სწორედ იქ მოძიებული დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა და გაირკვა არაერთი დეტალი, ამა თუ იმ ექსპონატის შესახებ. შესაბამისად, პროექტის ამ ეტაპზე წარმოდგენილ მასალაში უხვადაა დამოწმებები და მითითებები, სწორედ ცენტრალური არქივის დოკუმენტაციიდან.
4. სამუშაოები მუზეუმის არქივში.
პროექტის დაწყებისთანავე განხორციელდა სამუშაოები საკუთრივ შ.ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის ფონდში, არქივში და დაცვა-აღრიცხვის განყოფილებაში. გადაირჩა საგანძურის ექსპონატთაგან ექსპოზიციაში არსებული უმნიშვნელოვანესი მხატვრული ღირებულების მქონე ნიმუშები და შეგროვდა მუზეუმში არსებული ინფორმაცია ამ ექსპონატების შესახებ.
5. არსებული მასალის მოძიება-თავმოყრა.
ამ ეტაპისთვის მოძიებული, დამუშავებული და სისტემატიზებულია საგანძურში დაცული რამდენიმე ათეული ექსპონატის შესახებ პროექტით გათვალისწინებული ინფორმაცია, მათი მიგრაციის შესახებ, სანამ ისინი მოხვდებოდნენ მუზეუმში.

3. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

3.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი
მემორიალური ძეგლები XVIII-XIX საუკუნეების საქართველოში

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

7. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი

HE-18-339

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
26.07.2018 - 25.02.2022 (ვადაგაგრძელებული)

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ეკატერინე კვაჭატაძე (პროექტის ხელმძღვანელი)

2. გიორგი პაპაშვილი (კოორდინატორი)
3. მანონ ლილუაშვილი (ძირითადი პერსონალი)
4. ნოდარ არონიშიძე (ძირითადი პერსონალი, ახალგაზრდა მეცნიერი)
5. სამსონ ლეჟავა (ტექსტის რედაქტორი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტის III საანგარიშო პერიოდში შესრულდა საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემდეგი ამოცანები: საველე სამუშაოები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, ძეგლთა ფოტოფიქსაცია, აზომვა, აღწერა-აღწერა, კლასიფიკაცია; მოპოვებული ძეგლების ანოტირებული ნუსხის შედგენა, საარქივო-საბიბლიოთეკო სამუშაოები; გამოქვეყნდა ერთი სტატია საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად ჟურნალში, ხოლო მეორე სტატია ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალში. პროექტის ფარგლებში შესრულებული სამუშაოების შესახებ გ. ჩუბინაშვილის სახელობის ეროვნულ კვლევით ცენტრში წაკითხულ იქნა პროექტის საანგარიშო მოხსენება სამეცნიერო საზოგადოებისათვის, შეიქმნა საინფორმაციო ვებ-გვერდი (გვერდზე: www.gch-centre.ge).

III საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოეწყო საველე სამუშაოები შემდეგი ისტორიულ მხარეებსა და მუნიციპალიტეტებში: წალკის მუნიციპალიტეტი - დაშბაში, კუში, რეხა, ხანდო; ჯავახეთის მხარე - ნინოწმინდა, ახალქალაქი, საღამო, სათხე, სარო, ფია, გოგაშენი, აფნია, ჩუწჩხა, პტენა, ბარალეთი, ერკოტა, ბნელა, თოკი, კოთელია; იმერეთის მხარე - ბორითი, ამაშუკეთი, უბისა, წევა, ზესტაფონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, კისორეთი, ჭოგნარი; სამეგრელოს მხარე - დიდი ჯიხაში, დანირი, ბანძა, მარტვილი, ეკი, ყულიშკარი, ცაიში, ხობი; გურიის მხარე - ზომლეთი, ჩოხატაური; თბილისი - ანჩისხატის ეზო, დიდუბის პანთეონი; ქვემო ქართლი - ბოლნისი, დმანისი.

მზადდება მონოგრაფია: „მემორიალური ძეგლები XVIII-XIX საუკუნეების საქართველოში“. პროექტის მონაწილეები მუშაობენ სხვადასხვა თემატურ თავებზე: სამსონ ლეჟავა - მემორიალური კულტურის მსოფლმხედველობრივ საკითხებზე, ეკატერინე კვაჭატაძე - საფლავის ძეგლთა რელიგიური გამოსახულებების შუა საუკუნეების ქანდაკების ტრადიციასთან მიმართებაზე, გიორგი პაპაშვილი - საფლავის ძეგლების თანადროულ მატერიალურ კულტურაზე, მანონ ლილუაშვილი არქიტექტურული ფორმისა და მრგვალი ქანდაკების სახის საფლავის ქვებზე, ნოდარ არონიშიძე - საფლავის ძეგლთა ანოტაციებზე. სრულდება ანოტაციებისა და წიგნში შემავალი თავების თარგმანი ინგლისურ ენაზე. მუშავდება წიგნის სტრუქტურა, ხდება ფოტომასალის სისტემატიზება.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

6.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

ეკატერინე კვაჭატაძე

2) სტატიის სათაური, ISSN

1. On the Tradition of Decorating Gravestones in 17th - 19th cc. Georgia (საფლავის ქვების მორთვის ტრადიციის შესახებ მე-17-მე-18 საუკუნეების საქართველოში)

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. მოამბე (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია), ტ.15, №3, 2021
2. ACADEMIA, 8-9, თბ., 2020-2021

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
2. თბილისი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

5) გვერდების რაოდენობა

1. 6 გვერდი
2. 6 გვერდი

გრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. მემორიალური ძეგლები საქართველოს მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის უაღრესად მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ეს ძეგლები ქართული შუა საუკუნეების ისტორიულ და სახვით მემკვიდრეობას ინახავენ. საქართველო განსაკუთრებულად გამორჩეულია საუკუნეების მანძილზე აქ გავრცელებული მემორიალურ ძეგლთა ტიპების დიდი მრავალფეროვნებით: ლოდისებური საფლავის ქვები; ობელისკები; მატურები; ეკლესიის მოდელები; ჯვრის, აკვნის, სკივრის ფორმის, აგრეთვე ცხვრის, ცხენის მრგვალი ქანდაკებები; არქიტექტურის სახით გადაწყვეტილი ბაღდაჩინები, ადამიანის სტატუები და სხვა. აღსანიშნავია, რომ მართლმადიდებლური ეკლესია კრძალავდა ადამიანის მრგვალი ქანდაკების შექმნას. ამიტომ შუა საუკუნეების ქართული ქანდაკების სახვითი ტრადიცია, ფორმათმეტყველებითი ენა უმეტესად დაბალი რელიეფის სახით ჩამოყალიბდა, თუმცა გვაქვს გამორჩეული ფასეულობის ჰორელიეფური ნიმუშებიც. საგულისხმოა, რომ დღეისათვის შემორჩენილი საფლავის ქვების უმრავლესობა გვიან პერიოდს (XVII-XIX, XX-საუკუნის დასაწყისი) განეკუთვნება, ხოლო ადრეული ხანის მემორიალური ძეგლები, სამწუხაროდ, თანდათან ნადგურდება და სულ უფრო უკვალოდ იკარგება. საფლავის ქვის რელიეფურ გამოსახულებათა იკონოგრაფიაში ნათლად აისახა ეპოქის სახვითი ტენდენციები, ეკონომიკურ-სოციალური ფონი და, ბუნებრივია, გარდაცვლილის პროფესიული საქმიანობა, ყოფის ელემენტები. XVII საუკუნიდან მოკიდებული XX საუკუნის 30-40 -იანი წლების ჩათვლით მემორიალურ ქვებზე გვხვდება როგორც ადამიანთა ფიგურები, ისე ზოომორფული გამოსახულებები. ამგვარ ნიმუშთა რეპერტუარში, შუა

საუკუნეებთან შედარებით, თანადროული ეთნოგრაფიული, სოციალური სურათის ამსახველი, ლაკონიურად გადმოცემული ყოფითი ელემენტები ჭარბობს. ამ ხანის საფლავის ქვები უფრო ხშირად შემკულია ჯვრების, ანგელოზების გამოსახულებებით, აგრეთვე გარდაცვლილ ადამიანთა სრულტანიანი ფიგურებით, თავისი დროის კოსტიუმებით, აქსესუარებით, სოციალური და პროფესიული თემატიკის ამსახველი საგნებით (საბრძოლო თუ სამეურნეო, საფეიქრო იარაღები, საკერავი მანქანა, მაკრატელი და სხვა, აგრეთვე ღვინის სურა, მაგიდა, საკურთხი და ა.შ.); ხშირია ასტრალური ნიშნებიც (მზე, მთვარე, ვარსკვლავები), ცხოველთა გამოსახულებები (ირემი, შველი, ცხვარი, ცხენი, ფრინველები და სხვა). XX საუკუნის დასაწყისიდან ვრცელდება პიედესტალზე დადგმული იმპორტირებული ან ადგილობრივი ხელობის სტატუები, რომლებიც, უმეტესად, მგლოვიარე ქალს განასახიერებს. XX საუკუნის დასაწყისში საფლავის მემორიალებს ამკობს როგორც ქართული შუა საუკუნეების მხატვრული და სახვითი ხერხების კვალად შესრულებული რელიეფური ქანდაკებები, ისე მოდერნის, ნეოკლასიკური თუ ნეობაროკული სტილის დეკორი.

2. ეპისკოპოს პარტენოზ ხარჭაშნელის საგვარეულო საძვალედ აგებული ღვთაების ეკლესია მდებარეობს ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ფიჩხოვანთან. ეკლესიის ინტერიერში ჩრდილო-დასავლეთით, იატაკის ქვეშ ვიწრო და გრძელი კრიპტაა მოწყობილი. იგი ეპისკოპოს პარტენოზ ხარჭაშნელის საძვალეს წარმოადგენს, ხოლო მის თავზე, ეკლესიის სივრცეში, დასვენებული იყო საფლავის ფილა პარტენოზის რელიეფური გამოსახულებით. ეპისკოპოსის გამოსახულებიანი საფლავის ქვა, ამჟამად, თელავში ერეკლე მეფის კარის ეკლესიის ინტერიერში ინახება.

სამშენებლო წარწერის მიხედვით, ხარჭაშნელი ეპისკოპოსი, მოძღვართ-მოძღვარი პარტენოზი 1713 წ. 3 მაისს გარდაიცვალა. აქედან გამომდინარე, დაბეჯითებით შეგვიძლია ეპისკოპოსის გამოსახულებიანი საფლავის ქვის დათარიღებაც, იგი 1713 წლისთვის უნდა იყოს შესრულებული.

პარტენოზ ხარჭაშნელის საფლავის ქვა წარმოადგენს მართკუთხა მოყვანილობის, რუხი ფერის მოზრდილ ფილას (255×76×21). ეპისკოპოს პარტენოზ ხარჭაშნელის მთელი სხეულით მოცემული გამოსახულება ფილის ზედაპირს თითქმის სრულად ავსებს. პარტენოზს მოსავს საეპისკოპოსო შესამოსელი. ეპისკოპოს პარტენოზ ხარჭაშნელის საფლავის ქვის რელიეფი მაღალმხატვრულად და დახვეწილი ოსტატობით არის შესრულებული. იგი XVIII ს. რელიეფური პლასტიკის პროფესიული ნაკადის ძეგლთა საუკეთესო ნიმუშთაგანია.

სამწუხაროდ, ეპისკოპოსოს შესახებ წერილობით წყაროებში ძუნწი ინფორმაცია მოიპოვება. საძვალის განსაკუთრებულობა მეტყველებს, რომ ის უთუოდ, მაღალი წრიდან იყო, სავარაუდოდ, ჩოლოყაშვილების გვარისა. აღსანიშნავია, რომ ახმეტა ჩოლოყაშვილების სამემკვიდრეო მამული გახლდათ და ხარჭაშნელ ეპისკოპოსთა შორის არაერთი, სწორედ, ამ გვარის წარმომადგენელია.

როგორც აღვნიშნეთ, ეპისკოპოსის საფლავის ქვის ანალოგიური გამოსახულება შუა საუკუნეების საქართველოში დღეისათვის ჩვენთვის უცნობია. ის უფრო თანადროული კედლის მხატვრობისა და მოგვიანო საფლავის გადასაფარებლის ნაქარგ ნიმუშებთან ამჟღავნებს იკონოგრაფიულ და სტილურ სიახლოვეს.

ხარჭაშნელი ეპისკოპოს პართენის სკულპტურული გამოსახულება აგრძელებს გვიანი შუა საუკუნეების რელიეფური ქანდაკების საუკეთესო ტრადიციას, რომელიც ე.წ. “აღორძინების” ეპოქის მაღალი მხატვრული ღირსებით გამორჩეულ ძეგლებშია შემონახული (ანანური, დავით-გარეჯი, საგარეჯოს “პეტრე-პავლე”, სვეტიცხოვლის აღმოსავლეთი ფასადის “ვედრება”). თუმცა, ამავდროულად, ნათელია ახალი დროის საერო ტენდენციაც, რაც ეპისკოპოსის ფიგურის, მისი შესამოსელის ფაქიზად და ხელშესახებად, კონკრეტულ-ნიუანსირებულ დეტალიზაციაშიც აშკარად ვხვდებით. გამოსახულება შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელი მონუმენტურობის ფორმათგანცდასთან და განზოგადების მაღალ ხარისხთან ერთად ინდივიდუალურ პორტრეტულ ნიშნებსაც ატარებს. ეპისკოპოსის რელიეფში ნათლად იკვეთება, ზოგადად, იმ დროის სამართლმადიდებლოს ხელოვნებისთვის დამახასიათებელი სეკულარული ტენდენციები, რაც ევროპულ ნიმუშებზე ორიენტაციას გულისხმობს.

მანონ ლილუაშვილი

1. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმა) –

1) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიხედვით

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის ევროპული ტიპის საფლავის ძეგლები საქართველოში

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4.1. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2) პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

2020-2021

3) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

მანონ ლილუაშვილი (მკვლევარი)

კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

საქართველოში გავრცელებულ ახალი დროის საფლავის ძეგლებს შორის ცალკე ჯგუფად გამოიყოფა მრგვალი ქანდაკება. ცნობილია, რომ შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში მქანდაკებლობა მრავალ საუკუნეს ითვლის, მაგრამ მან როგორც დამოუკიდებელმა დარგმა განვითარება ვერ ჰპოვა და არსებითად საკულტო ხუროთმოძღვრებაზეა მიბმული. XIX საუკუნიდან საქართველოში რუსული ხელისუფლების გაბატონების შემდეგ მემორიალურ ძეგლებში ფეხს იკიდებს მრგვალი ქანდაკება, რომელიც თითქმის მთლიანად არის დაკავშირებული ევროპულ ტრადიციასთან. საქართველოში საფლავზე აღმართული მრგვალი ქანდაკების უადრეს ნიმუშს თბილისში, მთაწმინდაზე ვხვდებით. ეს არის რუსი პოეტის ალექსანდრე გრიბოედოვის საფლავის ძეგლი, რომელიც 1832 წელს შეიქმნა. ქანდაკების ავტორად რუსეთში მოღვაწე იტალიური წარმოშობის მოქანდაკე სანტინო კამპიონი ითვლება. შემორჩენილი დათარიღებული ნიმუშების მიხედვით, მრგვალი ქანდაკებებით საფლავების გაფორმება 1880-იანი წლებიდან იწყება, რაც მოწმობს მემორიალურ კულტურაში ახალი მხატვრული გემოვნების დამკვიდრებას. ადრეულ ეტაპზე ასეთი ქანდაკებები საქართველოში არ მზადდებოდა. ისინი ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოჰქონდათ, რაც ბუნებრივია, დიდ სახსრებს მოითხოვდა. ამდენად, როგორც წესი, ისინი იდგმებოდა მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენელთა საფლავებზე და პრესტიჟულად ითვლებოდა. ნიშანდობლივია, რომ ასეთ ძეგლებს უმეტესად ბავშვებისა და ახალგაზრდების საფლავებზე ვხვდებით, რაც ცხადია გამოხატავს ჭირისუფლის განსაკუთრებულ გლოვასა და გარდაცვლილის საფლავის საგანგებოდ შემკობის სურვილს.

მარმარილოსა თუ სხვადასხვა ჯიშის ქვაში გამოკვეთილი ქანდაკებები აშკარაა ძველი ხელოვნებითაა შთაგონებული. ჩვენში ყველაზე მეტად გავრცელებულია მწუხარე ქალის ქანდაკებები ხელში გვირგვინით, ზოგჯერ სვეტთან ან ჯვართან ერთად; ფრთოსანი ანგელოზის ფიგურები, რომლებსაც ხან ბავშვის, ხანაც ქალის სახე აქვს. იშვიათად არის ქრისტეს და იოანე ნათლისმცემლის გამოსახულებები. საფლავზე დადგმული ეს ქანდაკებები სხვადასხვა ინტერპრეტაციით გვხვდება, მაგრამ ყველა მათგანისთვის დამახასიათებელია ჩაფიქრებული, სევდიანი სახეები და მწუხარების გამომხატველი ხელების ჟესტიკულაცია, სხეულთა ფორმა კი ხაზგასმულია დრაპირებული სამოსით.

შემორჩენილ ძეგლებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ევროპული ტიპის საფლავის ძეგლების დამზადება საქართველოშიც დაიწყო. მათ ძირითადად ამზადებდნენ მარმარილოს სახელოსნოებში, თუმცა სოფლებში ადგილობრივი თვითნასწავლი ოსტატებიც ცდილობენ ფეხი აუწყონ ახალ ტენდენციებს და ქმნიან ქანდაკებებს, რომლებიც აშკარად ევროპული ნიმუშებით არის ნასაზრდოები.

ევროპული ტიპის საფლავის ქანდაკებების მხატვრული ღირებულებისგან დამოუკიდებლად, ისინი ფასეულია როგორც მემორიალურ ძეგლებში ახალი თემის გამოყენების მცდელობის ილუსტრაცია.

3. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

3.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

მემორიალური ძეგლები XVIII-XIX საუკუნეების საქართველოში

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

7. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი

HE-18-339

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

26.07.2018 - 25.02.2022 (ვადაგაგრძელებული)

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ეკატერინე კვაჭატაძე (პროექტის ხელმძღვანელი)
2. გიორგი პაპაშვილი (კოორდინატორი)
3. მანონ ლილუაშვილი (ძირითადი პერსონალი)
4. ნოდარ არონიშიძე (ძირითადი პერსონალი, ახალგაზრდა მეცნიერი)
5. სამსონ ლეჟავა (ტექსტის რედაქტორი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ანოტაცია იხ. პროექტის ხელმძღვანელის, ეკატერინე კვაჭატაძის ანგარიშში

ქეთევან აბაშიძე

1. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმა)

1) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით
ჰუჯაბის ჯვარგუმბათოვანი ტაძარი

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2) პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები
2021

3) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
ქეთევან აბაშიძე (მკვლევარი)

**კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

ჰუჯაბის ივერიის ღვთისმშობლის სახელობის სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს ქვემო ქართლის ტერიტორიაზე „ბოლნისის ხევში“, მდ. ფოლადაურის სათავეებთან ლელვარის მთის ძირში. სამონასტრო კომპლექსის მთავარ ნაგებობას ჯვარგუმბათოვანი ტაძარი წარმოადგენს. იგი მონოგრაფიულად საგანგებოდ შესწავლილი არ ყოფილა, თუმცა სახელოვნებათმცოდნეო ლიტერატურაში აზრი მისი სამშენებლო თარიღის შესახებ გამოკვეთილი იყო.

არქიტექტურული კომპლექსის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ჰუჯაბის მონასტერი მუდამ ფუნქციონირებდა, ადრე შუასაუკუნეებიდან გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით. ქვეყნის მხელბედობიდან გამომდინარე ზოგჯერ მცირე ხნით იგი დაცარიელდებოდა კიდეც, განსაკუთრებით განვითარებულ შუა საუკუნეებში, მაგრამ სულიერი ცხოვრება ამ სავანეში არ წყდებოდა... ვიდრე 1935–1936წწ–მდე.

კვლევის ამ ეტაპზე, განხილული მასალის შეჯერებით ვფიქრობთ, უტყუარად შეიძლება დავასკვნათ, რომ ჰუჯაბის სამონასტრო კომპლექსის სივრცითი დაგეგმარება, ეკლესიების ხუროთმოძღვრული ტიპები და სამშენებლო ხასიათი, ჯვარგუმბათოვანი ტაძრის ხუროთმოძღვრული ტიპი – გეგმა, ინტერიერის სივრცითი მოცულობების და გარე მასების გადაწყვეტა, მათი პროპორციული თანაფარდობები, ტაძრის ფასადების რელიეფურ–დეკორატიული მორთულობის სისტემა და მხატვრული გადაწყვეტა, ნაგებობის ნაირფერადი სახე, ქვაზე რელიეფური გამოსახულებების კვეთის ხასიათი და ორნამენტული სახეების რეპერტუარი, მათი ფასადებზე განთავსება–განაწილების პრინციპი, კედლის მხატვრობა და სხვ. მჭიდრო კავშირს ამჟღავნებს როგორც ზოგადად ქართულ, ასევე რეგიონალურ, ქვემო ქართლურ საეკლესიო ხუროთმოძღვრებასთან. XII ს-ის და XIII ს-ის პირველი მეოთხედის „სამეფისკარო“ მონასტრების ზემოთჩამოთვლილ მთავარ ტაძართა ერთგვარ „ჯაჭვში“ ჰუჯაბის ჯვარგუმბათოვანი ტაძარი უმნიშვნელოვანესი და განუყოფელი რგოლია. იგი პირდაპირ მსგავსებას ამჟღავნებს ფიტარეთისა და წულრულაშენის ეკლესიების სამშენებლო ხასიათთან იმდენად, რომ ზოგჯერ ფიქრობ კიდეც, საერთო მაშენებელ–მიმგებელი ხომ არ ჰყავდათ, ან მასწავლებელ–მოსწავლის ურთიერთობასთან ხომ არა გვაქვს საქმე...

ჰუჯაბის მონასტერი და მისი ჯვარგუმბათოვანი ტაძარი საქართველოს და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიისა და მასთან მჭიდროდ შეკავშირებული, მისი წიაღიდან წამოსული საეკლესიო ხუროთმოძღვრებისაგან განუყოფელია. ხუროთმოძღვარი ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ტაძართმშენებლობაში გამოცდილი, ეროვნული საეკლესიო სამშენებლო ტრადიციების კარგად მცოდნე და თავისი ეპოქის სულისკვეთებით განმსჭვალული შემოქმედია. ჰუჯაბის ჯვარგუმბათოვანი ტაძარი, როგორც საეკლესიო ხელოვნების მხატვრული ნაწარმოები და თანადროული ისტორიისა და საეკლესიო

ცხოვრების ამსახველი ნიმუში კულტურულად ქართული ხუროთმოძღვრული აზროვნების ნაყოფია, და ამასთან, ქართული ეკლესიის ისტორიისა და სახელმწიფოს ერთობლივ კუთვნილებას გვიცხადებს.

ეთერ ედიშერაშვილი

2.პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

პერსონალია და ისტორიული ანარეკლები ქართული ისტორიული საბუთების მხატვრობაში

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

2021- 2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

ეთერ ედიშერაშვილი (მკვლევარი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სამუშაოს პირველ ეტაპზე განხორციელდა მასალის მოკრება, მისი ქრონოლოგიური, რეგიონული ნიშნებით დამუშავება და ორგანიზება. მოძიებულ და დამუშავებულ იქნა შესაბამისი სამეცნიერო ბიბლიოგრაფია, რომელიც მოიცავდა საბუთების გამოქვეყნებულ ტექსტებს, საკვლევ მასალასთან დაკავშირებულ ისტორიულ წყაროებს და სახელოვნებათმცოდნეო ლიტერატურას. ამაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პანდემიის პირობებში გახსნილმა უცხოურმა საცავებმა და ბიბლიოთეკებმა, რადგან ქართული საბიბლიოთეკო სივრცე სამწუხაროდ საკმაოდ შეზღუდულია სახელოვნებათმცოდნეო ლიტერატურის მხრივ, რაც ერთგვარ დაბრკოლებას ქმნის საფუძვლიანი მუშაობის თვალსაზრისით. ამავე ეტაპზე შედგა მასალის დეტალური იკონოგრაფიული აღწერილობა და განისაზღვრა ის ძირითადი საკითხები, რომლებზეც მუშაობაც უკვე დაწყებულია და დასრულდება 2022 წლის ბოლოს.

საუკუნეების განმავლობაში ცალკეული დიპლომატიკური წესების მიხედვით ჩამოყალიბებული ქართული ისტორიული საბუთების მხატვრობა ტექსტთან ერთად, თანადროული ისტორიული წყაროების მსგავსად, თავისი ეპოქის ერთგვარ მხატვრულ-ისტორიულ ქრონიკად იქცა, რის კიდეც ერთ განმაპირობებელ ფაქტორს საკუთრივ იურიდიული დანიშნულების ორიგინალური ტექსტის გარდა, მოგვიანო მინაწერებიც წარმოადგენდა.

ისტორიული საბუთში მისი გამცემის - მეფის თუ დიდებულის ბრძანებულების/ნების ამსახველი ტექსტი, კანონიერების მტკიცებულების ნიშნები – ხელრთვა, ბეჭედი და

მხატვრული გაფორმება ერთად იყრის თავს, რაც მოხატულ ისტორიულ საბუთს შუა საუკუნეების საერო ხელოვნების მნიშვნელოვან ნიმუშად აქცევს. მოხატული საბუთების, როგორც მხატვრული ფენომენის ერთ-ერთ საყურადღებო ასპექტს საბუთების მხატვრობაში ასახული პოლიტიკური რეალიების გამოძახილი და ისტორიული პერსონებია, რომელთა პორტრეტული გამოსახულებების მიღმა თანადროული კულტურულ-ისტორიული კონტექსტი იკითხება.

საბუთების მხატვრობაში წარმოდგენილი პორტრეტული გამოსახულებების ამოკითხვისას ყველაზე მკაფიო გზავნილად მათი იკონოგრაფია და სიმბოლური ნიშან-ხატები იქცევა, რომელთა საშუალებითაც თითოეული პირის ფსიქოლოგიური პორტრეტი ისახება, წარმოჩინდება მათი საქმიანობის მახასიათებლები. ამას თან ერთვის სტილური ხერხებით შექმნილი ვიზუალური იერსახე და მთლიანობაში პორტრეტები პერსონალურ ბეჭდებად, ერთგვარ დამლად, ავტოგრაფად წარმოგვიდგება.

საკითხის შესწავლა ითვალისწინებს ეპოქის, თანადროული ისტორიული და კულტურული გარემოს გათვალისწინებით, ინტერდისციპლინური კვლევის მეთოდოლოგიით მეფეთა მიერ გაცემულ ისტორიულ საბუთებში ასახული პერსონალური პორტრეტების წარმოჩენას და იმ პოლიტიკური რეალიების ანარეკლების სურათის წარმოჩენას, რაც სხვადასხვა ეპოქის საბუთების მხატვრულ გაფორმებაში აისახა.

2022 წელს იგეგმება 2021 წელს დაწყებული სამუშაოს გაგრძელება, რომელიც ითვალისწინებს საკვლევი თემის კომპლექსურად შესწავლას თანადროულ ისტორიულ და კულტურულ კონტექსტში. სამუშაო მოიცავს ქართული ისტორიული საბუთების მხატვრობაში ასახული იკონოგრაფიული, სტილური მახასიათებლებისა და თავისებურებების შეჯერებას წყაროებთან, ტექსტსა და თანადროული სახვითი ხელოვნების ნიმუშებთან, რომლებიც გამოკვეთს საბუთების მხატვრობაში გამჟღავნებული მეფეთა ფსიქოლოგიური პორტრეტების მახასიათებლებს და ასევე, თანადროული პოლიტიკური მოვლენების გავლენებს, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართული ისტორიული დოკუმენტების მხატვრობის იერსახის ფორმირებაში.

3. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

3.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

1. საქართველო და ბიზანტიური თანამეგობრობა: პოლიტიკა, კულტურა და იდენტობა იმპერიის საზღვრებზე (XI საუკუნე)"

7. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი

7.6 ჰუმანიტარული მეცნიერებები

7.6.1 ისტორია და არქეოლოგია

დამატებითი მიმართულებები:

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.2 ენები და ლიტერატურა

6.4 ხელოვნება (ხელოვნება, ხელოვნების ისტორია, საშემსრულებლო ხელოვნება, მუსიკა)

6.4.1 ხელოვნება, ხელოვნების ისტორია

FR-19-225

2.პატრონაჟი და პოლიტიკის ანარეკლები გვიანი შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში (მეფეთა და დიდებულთა მოხატული საბუთები)

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი
PHDF-21-1456

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 2020-2023

2. 2021-2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

მზია სურგულაძე (პროექტის ხელმძღვანელი)

მზია ჯანჯალია (ძირითადი პერსონალი)

მაია მაჭავარიანი (ძირითადი პერსონალი)

თამარ ოთხმეზური (ძირითადი პერსონალი)

ნათელა დუნდუა (ძირითადი პერსონალი)

გიორგი ჭეიშვილი (ძირითადი პერსონალი)

ეთერ ედიშერაშვილი (დამხმარე პერსონალი)

2.

ეთერ ედიშერაშვილი (ძირითადი პერსონალი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ანოტაცია იხ. პროექტის ძირითადი შემსრულებლის, მზია ჯანჯალიას ანგარიშში

2. “პატრონაჟი და პოლიტიკის ანარეკლები გვიანი შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში (მეფეთა და დიდებულთა მოხატული საბუთები)” პროექტის ფარგლებში მოხდა XI საუკუნის ქართული სახვითი ხელოვნების: მინიატურის, ჭედურობის, რელიეფური ქანდაკებისა და მინიატურის ნიმუშების მოკრება, შედგა მოძიებული ნიმუშების დეტალური სიები, დამუშავდა მასალის შესახებ არსებული სამეცნიერო ბიბლიოგრაფია.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო გრანტის ფარგლებში მიმდინარეობს გრანტის I ეტაპზე განსაზღვრული სამუშაოები: ამ ეტაპზე სამუშაოს ფარგლებში ხორციელდება XVI-XVIII საუკუნეებში მეფეების გაცემული მოხატული ისტორიული საბუთების გაუშიფრავი და გამოუქვეყნებელი ტექსტების გაშიფვრა, პარალელურად მიმდინარეობს ნიმუშების დეტალური აღწერა-სისტემატიზაცია და თანადროული სახვითი ხელოვნების დარგებში პარალელური მასალის მოძიება/მოკრება/დამუშავება.

ნოდარ არონიშიძე

1. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმა)

1) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიხედვით

1. მატანის ცხრაკარა - დათარიღების საკითხი (წინასწარული მოსაზრებები)

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2. ახალი შუამთა (სარეკონსტრუქციო სამუშაოები)

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2) პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. 01.20.2021 – 11.10.2021

2. 03.10.2021 – 10.25.2021

3) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მიხედვით)

1. ნოდარ არონიშიძე (მკვლევარი)

2. ნოდარ არონიშიძე (მკვლევარი, ხუროთმოძღვრული ანალიზი),

თემურ ქანთარია ჯაბადარი (მკვლევარი, დეკორის ანალიზი)

კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1, ნაშრომი წარმოადგენს შუა საუკუნეების გამორჩეული ძეგლის, მატანის „ცხრაკარას“ ცენტრალური და იმავდროულად უძველესი ნაგებობის ახლებურ კვლევას. მატანის კომპლექსის უძველესი ნაგებობა მიჩნეული იყო V საუკუნის ძეგლად და მისი ამგვარი დათარიღება გ. ჩუბინაშვილს ეკუთვნის. მკვლევარის მიერ ძეგლის V საუკუნით დათარიღებას, ცხადია, გააჩნდა გარკვეული სამეცნიერო საფუძველი და ის უმთავრესად ძველი შუამთის ბაზილიკასთან კავშირს გულისხმობდა. გეგმარებითი თვალსაზრისით ესოდენ მსგავსი ძეგლები, როგორებიცაა ძველი შუამთის V საუკუნის ბაზილიკა და მატანის „ცხრაკარა“ აჩენდა გარკვეულ ასოციაციას, რაც გახდა საფუძველი მატანის აღნიშნული ძეგლის ასევე V საუკუნით დათარიღებისა.

ახალი კვლევებისა და ძეგლის ადგილზე შესწავლის საფუძველზე მატანის „ცხრაკარა“ V საუკუნიდან გადათარიღდა VIII-IX საუკუნეებში. ძეგლის სახელოვნებათმცოდნეო მეთოდოლოგიით შესწავლამ და პარალელური მასალის ახლებურმა დათარიღებამ აჩვენა, რომ რეალურად მატანის ბაზილიკა მეტ სიახლოვეს ავლენს გარდამავალი ხანის ძეგლებთან, ხოლო მისი მსგავსება ძველი შუამთის ბაზილიკასთან მხოლოდღა მისი მიბაძვით იქნა გამოწვეული. ძეგლის ძველი დათარიღების ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად მიჩნეულ იქნა ახლეთის „ღვთაების“ ეკლესია, რომელიც საიმდროოდ VI საუკუნით იყო დათარიღებული, შესაბამისად გ. ჩუბინაშვილმა ახალ შუამთასთან თავჩენილი გეგმარებითი სიახლოვისა და ახმეთის დასახელებული ნაგებობის გეგმარებით-სივრცითი მოწყობის მსგავსების საკითხი მატანის „ცხრაკარასთან“ ამ უკანასკნელის V საუკუნით დათარიღების საფუძველად მიიჩნია.

მოგვიანებით, სამეცნიერო კვლევების საფუძველზე ახმეტის „ღვთაების“ ეკლესია გადათარიღდა და მისი აგების დროითი მონაკვეთი VIII-IX საუკუნეებით განისაზღვრა. ამრიგად, ის მათარიღებელი პარალელები, რომლებიც „ცხრაკარას“ ადრეულობით დათარიღების საფუძველს წარმოადგენდა, შეიცვალა და, უფრო მეტიც, ის უშუალოდ გარდამავალი ხანის ნიშნებითან გაიგივდა.

აღსანიშნავია, რომ მატანის ბაზილიკის გადათარიღებისთვის მნიშვნელოვან წყაროდ იქცა გარდამავალი ხანის ორნავიანი ეკლესიების უმნიშვნელოვანესი ჯგუფი, რომელიც სრულად VIII-IX საუკუნეების ნიშნულ აღმშენებლობას წარმოადგენს. შესაბამისად გეგმარებითი თავისებურებების, სივრცითი მოწყობის, დეკორატიული ელემენტებისა თუ საერთო სტილისტური გააზრებით მატანის „ცხრაკარა“ VIII-IX საუკუნეების ძეგლად უნდა ჩაითვალოს.

2. უპირველესად აღსანიშნავია, რომ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ დამტკიცებული, „სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო“ სამუშაოების დოკუმენტაციის, უმთავრესად კი გეგმარებითი ანაზომის მიხედვით, რომელიც ძეგლის აღნიშნული განახლება-შეკეთებისთვის წინასწარულად იქნა მომზადებული, იგულისხმება ძირითადი ნაგებობის გარე პერიმეტრზე, მის სამ მხარეს (ჩრდილოეთი, სამხრეთი და დასავლეთი) გარშემოსავლელის (სტოა-გალერეა) აღდგენა.

იმისათვის, რომ სრულად წარმოჩინდეს „სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო“ სამუშაოების შედეგები, რომელიც დიდწილად უკვე დასრულებულია და დარჩენილია მხოლოდ მცირე მონაკვეთების „შევსება“, საჭიროდ მიგვაჩნია გააზრებულ იქნეს ყველა დეტალი, განსაკუთრებით და უპირველესად კი, რაღა თქმა უნდა, მოგვიწევს წარმოდგენილი გეგმარებითი ანაზომისა და არსებული მშენებლობის ურთიერთმიმართებათა გამორკვევა. მოცემულ საკითხზე მსჯელობა საზოგადოდ არ მიგვაჩნია მართებულად იმ შემთხვევისთვის, როდესაც სარესტავრაციო სამუშაოები არსებული გეგმის მიხედვით ხორციელდება, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ახალი შუამთის ტაძრის სტოა-გარშემოსავლელის მოცემული სასტენდო გეგმა არ თანხვდება უკვე განხორციელებულ მშენებლობას, გვიწევს მათ შორის არსებულ სხვაობათა წარმოჩენა.

თავისთავად, უკვე დასახელებული სხვაობა წარმოდგენილ გეგმასა და განხორციელებულ სამუშაოებს შორის, რაღა თქმა უნდა, არც მთლად გამართლებული და კორექტულია, იმის გათვალისწინებით, რომ ყოველგვარი სარესტავრაციო პროექტი გადის რამდენიმე საფეხურს მისი დამტკიცების ეტაპზე. გარდა ამისა, თავისთავადაც, რომ არაფერი ვთქვათ საბჭოებზე წარდგენილი და შემდგომ შეცვლილი გეგმარებითი გატაყვეტის შესახებ, ვთვით არაა მართებული ამგვარად არათანმიმდევრული სამუშაოები, როდესაც საქმე ეხება არა გეგმარებით ანაზომთან მცირე სახის სხვაობას, არამედ ისეთ მასშტაბურ აცდენებს, რომელიც ახალი შუამთის შემთხვევაშია მოცემული.

ჩვენ განვიხილეთ ახალი შუამთის მონასტრის მტავარი ტაძრის სამხრეთი სტოა-გარშემოსავლელის აღდგენის პროექტი და მისი სხვადასხვა ასპექტი, თუმცა ამჯერად მხოლოდ პუნქტობრივად მოვიხილავთ დ. სვანიძის მიერ საბჭოზე წარდგენილ პროექტს და მისი შემდგომი განხორციელებისას „დაშვებულ“ ცდომილებებს:

1. კვლავ გარშემოსავლელის სამხრეთი მონაკვეთი - პროექტით გათვალისწინებული იყო, მთავარი ტაძრის სამხრეთ კედელზე, გარშემოსავლელის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, სწორედ იმ მონაკვეთზე, სადაც გარშემოსავლელის კამარები ცენტრალური ტაძრის კედელზე გადადის, ორი შვერილი პილასტრის დატანა, თუმცა განხორციელებულ მოცულობაში ისინი არსად ფიქსირდება. აქვე უნდა ითქვას, რომ ის მდომარეობა, რომელიც ამჟამად ფიქსირდება ანუ კედელზე არსებული შეისრული თაღი, აღებული ვითომდა

სადავლეთი კედლის მორთულობის მოტივიდან, ასევე არ ფიქსირდება ვ. წილოსანის გეგმარებით ანაზომზე. შესაბამისად, ვხვდებით ერთი მხრივ, ცდომილებას ვ. წილოსანის პირველწყაროსთან, ხოლო მეორე მხრივ, არსებით აცდენას დ. სვანიძის გეგმარებით გადაწყვეტასა და რეალურ განხორციელებას შორის.

2. ზემოთ დასახელებული, პირველი ე. წ. აცდენიდანაა გამომდინარე მეორე „უხერხულობა“, რომელიც ცენტრალური ტაძრის სამხრეთი შესასვლელის გვერდით არსებულ პილასტრს უკავშირდება - პილასტრს, რომელზეც კარიბჭის მხრიდან გადმომაკალი თაღები ეყრდნობა. მოცემულ პილასტრთან ერთ-ერთი, კარის მარჯვნივ არსებული, დ. სვანიძის ანაზომზე შევრილი სახით იკითხება, ხოლო რეალურად არ არავითარი შევრილი პილასტრი არ ფიქსირდება.

3. სამხრეთი გალერეის სამხრეთი კედლის გადაწყვეტისას მნიშვნელოვანი ცდომილებაა დაფიქსირებული, როდესაც პროექტში ჩადებულ, გვერდითი ფასადის გრაფიკულ ანაზომზე, კარიბჭის მარცხნივ, წარმოდგენილია ორი შეწყვილებული შესასვლელი, რომლითაც გალერეასთან დაკავშირებაა შესაძლებელი, თუმცა რეალური განხორციელების შემთხვევაში აღნიშნული „კარები“ სარკმლებით იქნა ჩანაცვლებული, მიზეზი ასევე გაურკვეველია.

- რა მიმართებას ქმნის მასალათა სხვაობა - გასააზრებელია საზოგადო მიდგომათა რაგვარობა, რადგან მთელი ძირითადი ტაძრის მშენებლობა აგურის მასალით არის ნაგები და ამავდროულად შემოდის სხვადასხვა ფერის, ზომისა და ჯიშის ქვა. აღსანიშნავია, რომ მასალათა შორის ყველაზე მეტად აქტიურად შეუსაბამო შეიძლება ნიჩბისის ქვაა, მწვანე და ყვითელი შეფერილობისა და ნარევობის. შემოდის ასევე შირიმის ნაწილები, რომლებიც ასევე სრულებით გაუაზრებლად და გაუთვალისწინებლადაა გადანაწილებული.

- გეგმაზე არსებული ნაწილებიდან, რომლებიც არ თანხვდება არსებულ მშენებლობას, მნიშვნელოვანია ორი ნაწილი, მათ შორის ერთია ჩრდილოეთით არსებული დამატებითი სამლოცველო აფსიდით, რომელიც გეგმაზე ფიქსირდება და ადგილზე კი არაა განხორციელებული, რაც სავარაუდოდ შემდგომში შეიძლება განხორციელდეს, რადგან საძირკვლის დონეზე გვხვდება დასხმული ბეტონი, რაც შესაძლოა ბაზისზე მიანიშნებდეს. გარდა ამისა, აღსანიშნავია კიდევ ერთი ასეთივე დეტალი, რომელიც ამავე სათავეს სამხრეთ კედელს გულისხმობს, სადაც ასევე არაა გამართული კედელი და უნდა იყოს. დასხმულია ბეტონი აღსანიშნავად იმისა, რომ შესაძლოა აქ კედელი აიგოს სამომავლოდ.

- მნიშვნელოვანია ასევე გაიმიჯნოს რესტავრაციათა დროითი ჩარჩოები, რათა არ მოხდეს აღრება უშუალოდ თავდაპირველსა და შემდგომი დროის გადაკეთებათა. ადგილზე განირჩევა 2007-2008 წლების სარესტავრაციო სამუშაოები, რომელთა ხარისხიც საკმაოდ დაბალია და ძალზე უხეშ ჩარევას წარმოადგენს სამშენებლო მასალის ხმარების თვალსაზრისით. მეტრადრე ეს ეხება ცენტრალური ტაძრის ზედა ნაწილს, როდესაც მოხდა ტაძრის გადახურვა და შესაბამისად გამაგრება კარნიზებისა. კარნიზთა გამაგრებასა და მათი პროფილირების გამეორების ძირითად საშუალებად ცემენტის ხსნარია ნახმარი, რაც გამაგრების შემთხვევაში არ იმდენად, მაგრამ კარნიზთა პროფილირების დაზუსტებაში აშკარად გაუგებარ როლს ასრულებს. ესაა კარნიზთა გარკვეულ მონაკვეთებზე, უსისტემოდ წარმული ცემენტის ხსნარი, რაც სხვადასხვა შემთხვევაში განსხვავებულ მნიშვნელობას იძენს. ზოგან ამომტვრეული ნაწილის შემავსენებლია, ზოგან სახურავის თუნუქის დამწერი და ზოგან კარნიზის პროფილის მარეგულირებელი.

- აღსანიშნავია, რომ იგეგმება არსებული სახურავის შეცვლა, რომელიც 2007-2008 წლებშია დახურებული ძირითად ტაძარს და სურთ სპილენძის გადახურვის მოწყობა. არსებობს მოსახრება, რომ გარშემოსავლელის გადახურვისთვის შესაძლოა ნახმარი იქნას კრამიტი, რაც ასევე სხვა მასალის შემოყვანას გულისხმობს. გასააზრებელია, რომ უნდა

მოხდეს კომპლექსური სამუშაოების წარმოება, რათა დავიდან იქნეს აცილებული ეკლექტურობა და დარღვევები, რაც შეიძლება უსისტემო სამუშაოებს მოჰყვეს.

2. არაპროგრამული ადგილობრივი გრანტით დაფინანსებული პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

შალვა ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმის საგანძურში დაცული ექსპონატების „თავგადასავალი“, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს კონკურსი - კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა (I ეტაპი).

7. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი

7.5 ჰუმანიტარული მეცნიერებები

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

I ეტაპი - 15/07/2021 - 15/12/2021 (2021-2022 სრული)

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ეკატერინე კვაჭატაძე (პროექტის ხელმძღვანელი)

2. თამარ ხოსროშვილი (მკვლევარი)

3. მარიამ გაბაშვილი (მკვლევარი)

4. ქრისტინე საბაშვილი (მკვლევარი)

5. თამარ ხუნდაძე (მკვლევარი)

6. თამარ დადიანი (მკვლევარი)

7. ნოდარ არონიშიძე (მკვლევარი)

8. ლეილა ხუსკივაძე (კონსულტანტი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ანოტაცია იხ. პროექტის ხელმძღვანელის, ეკატერინე კვაჭატაძის ანგარიშში

3. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

3.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

მემორიალური ძეგლები XVIII-XIX საუკუნეების საქართველოში

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

7. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი

HE-18-339

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
26.07.2018 - 25.02.2022 (ვადაგაგრძელებული)

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ეკატერინე კვაჭატაძე (პროექტის ხელმძღვანელი)
2. გიორგი პაპაშვილი (კოორდინატორი)
3. მანონ ლილუაშვილი (ძირითადი პერსონალი)
4. ნოდარ არონიშიძე (ძირითადი პერსონალი, ახალგაზრდა მეცნიერი)
5. სამსონ ლეჟავა (ტექსტის რედაქტორი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ანოტაცია იხ. პროექტის ხელმძღვანელის, ეკატერინე კვაჭატაძის ანგარიშში

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

6.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. ნოდარ არონიშიძე, თემურ ქანთარია-ჯაბადარი
2. ნოდარ არონიშიძე

2) სტატიის სათაური, ISSN

1. ახალი შუამთა (სარეკონსტრუქციო სამუშაოები) - *გადაცემულია დასაბეჭდად*
ISSN 1512-4088

2. მატანის ცხრაკარა - დათარიღების საკითხი (წინასწარული მოსაზრებები) - *გადაცემულია დასაბეჭდად.*

ISSN 1512-1321

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. **Ars Georgica**

www.georgianart.ge

2. საქართველოს სიძველენი - N25

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი
2. თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი

5) გვერდების რაოდენობა

1. 25 გვერდი
2. 25 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. უპირველესად აღსანიშნავია, რომ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ დამტკიცებული, “სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო”

სამუშაოების დოკუმენტაციის, უმთავრესად კი გეგმარებითი ანაზომის მიხედვით, რომელიც ძეგლის აღნიშნული განახლება-შეკეთებისთვის წინასწარულად იქნა მომზადებული, იგულისხმება ძირითადი ნაგებობის გარე პერიმეტრზე, მის სამ მხარეს (ჩრდილოეთი, სამხრეთი და დასავლეთი) გარშემოსავლელის (სტოა-გალერეა) აღდგენა.

იმისათვის, რომ სრულად წარმოჩინდეს „სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო“ სამუშაოების შედეგები, რომელიც დიდწილად უკვე დასრულებულია და დარჩენილია მხოლოდ მცირე მონაკვეთების „შეესება“, საჭიროდ მიგვაჩნია გააზრებულ იქნეს ყველა დეტალი, განსაკუთრებით და უპირველესად კი, რაღა თქმა უნდა, მოგვიწევს წარმოდგენილი გეგმარებითი ანაზომისა და არსებული მშენებლობის ურთიერთმიმართებათა გამორკვევა. მოცემულ საკითხზე მსჯელობა საზოგადოდ არ მიგვაჩნია მართებულად იმ შემთხვევისთვის, როდესაც სარესტავრაციო სამუშაოები არსებული გეგმის მიხედვით ხორციელდება, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ახალი შუამთის ტაძრის სტოა-გარშემოსავლელის მოცემული სასტენდო გეგმა არ თანხვდება უკვე განხორციელებულ მშენებლობას, გვიწევს მათ შორის არსებულ სხვაობათა წარმოჩენა.

თავისთავად, უკვე დასახელებული სხვაობა წარმოდგენილ გეგმასა და განხორციელებულ სამუშაოებს შორის, რაღა თქმა უნდა, არც მთლად გამართლებული და კორექტულია, იმის გათვალისწინებით, რომ ყოველგვარი სარესტავრაციო პროექტი გადის რამდენიმე საფეხურს მისი დამტკიცების ეტაპზე. გარდა ამისა, თავისთავადაც, რომ არაფერი ვთქვათ საბჭოებზე წარდგენილი და შემდგომ შეცვლილი გეგმარებითი გატაყყეტის შესახებ, ვთვით არაა მართებული ამგვარად არათანმიმდევრული სამუშაოები, როდესაც საქმე ეხება არა გეგმარებით ანაზომთან მცირე სახის სხვაობას, არამედ ისეთ მასშტაბურ აცდენებს, რომელიც ახალი შუამთის შემთხვევაშია მოცემული.

ჩვენ განვიხილეთ ახალი შუამთის მონასტრის მტავარი ტაძრის სამმხრივი სტოა-გარშემოსავლელის აღდგენის პროექტი და მისი სხვადასხვა ასპექტი, თუმცა ამჯერად მხოლოდ პუნქტობრივად მოვიხილავთ დ. სვანიძის მიერ საბჭოზე წარდგენილ პროექტს და მისი შემდგომი განხორციელებისას „დაშვებულ“ ცდომილებებს:

1. კვლავ გარშემოსავლელის სამხრეთი მონაკვეთი - პროექტით გათვალისწინებული იყო, მთავარი ტაძრის სამხრეთ კედელზე, გარშემოსავლელის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, სწორედ იმ მონაკვეთზე, სადაც გარშემოსავლელის კამარები ცენტრალური ტაძრის კედელზე გადადის, ორი შვერილი პილასტრის დატანა, თუმცა განხორციელებულ მოცულობაში ისინი არსად ფიქსირდება. აქვე უნდა ითქვას, რომ ის მდომარეობა, რომელიც ამჟამად ფიქსირდება ანუ კედელზე არსებული შეისრული თაღი, აღებული ვითომდა სადავლეთი კედლის მორთულობის მოტივიდან, ასევე არ ფიქსირდება ვ. წილოსანის გეგმარებით ანაზომზე. შესაბამისად, ვხვდებით ერთი მხრივ, ცდომილებას ვ. წილოსანის პირველწყაროსთან, ხოლო მეორე მხრივ, არსებით აცდენას დ. სვანიძის გეგმარებით გადაწყვეტასა და რეალურ განხორციელებას შორის.

2. ზემოთ დასახელებული, პირველი ე. წ. აცდენიდანაა გამომდინარე მეორე „უხერხულობა“, რომელიც ცენტრალური ტაძრის სამხრეთი შესასვლელის გვერდით არსებულ პილასტრს უკავშირდება - პილასტრს, რომელზეც კარიბჭის მხრიდან გადმომავალი თაღები ეყრდნობა. მოცემულ პილასტრთაგან ერთ-ერთი, კარის მარჯვნივ არსებული, დ. სვანიძის ანაზომზე შვერილი სახით იკითხება, ხოლო რეალურად არ არავითარი შვერილ პილასტრი არ ფიქსირდება.

3. სამხრეთი გალერეის სამხრეთი კედლის გადაწყვეტისას მნიშვნელოვანი ცდომილებაა დაფიქსირებული, როდესაც პროექტში ჩადებულ, გვერდითი ფასადის გრაფიკულ ანაზომზე, კარიბჭის მარცხნივ, წარმოდგენილია ორი შეწყვილებული შესასვლელი, რომლითაც გალერეასთან დაკავშირებაა შესაძლებელი, თუმცა რეალური

განხორციელების შემთხვევაში აღნიშნული „კარები“ სარკმლებით იქნა ჩანაცვლებული, მიზეზი ასევე გაურკვეველია.

- რა მიმართებას ქმნის მასალათა სხვაობა - გასააზრებელია საზოგადო მიდგომათა რაგვარობა, რადგან მთელი ძირითადი ტაძრის მშენებლობა აგურის მასალით არის ნაგები და ამავდროულად შემოდის სხვადასხვა ფერის, ზომისა და ჯიშის ქვა. აღსანიშნავია, რომ მასალათა შორის ყველაზე მეტად აქტიურად შეუსაბამო შეიძლება ნიჟისის ქვაა, მწვანე და ყვითელი შეფერილობისა და ნარევობის. შემოდის ასევე შირიმის ნაწილები, რომლებიც ასევე სრულებით გაუაზრებლად და გაუთვალისწინებლადაა გადანაწილებული.

- გეგმაზე არსებული ნაწილებიდან, რომლებიც არ თანხვდება არსებულ მშენებლობას, მნიშვნელოვანია ორი ნაწილი, მათ შორის ერთია ჩრდილოეთით არსებული დამატებითი სამლოცველო აფსიდით, რომელიც გეგმაზე ფიქსირდება და ადგილზე კი არაა განხორციელებული, რაც სავარაუდოდ შემდგომში შეიძლება განხორციელდეს, რადგან საძირკვლის დონეზე გვხვდება დასხმული ბეტონი, რაც შესაძლოა ბაზისზე მიანიშნებდეს. გარდა ამისა, აღსანიშნავია კიდევ ერთი ასეთივე დეტალი, რომელიც ამავე სათავის სამხრეთ კედელს გულისხმობს, სადაც ასევე არაა გამართული კედელი და უნდა იყოს. დასხმულია ბეტონი აღსანიშნავად იმისა, რომ შესაძლოა აქ კედელი აიგოს სამომავლოდ.

- მნიშვნელოვანია ასევე გაიმიჯნოს რესტავრაციათა დროითი ჩარჩოები, რათა არ მოხდეს აღრება უშუალოდ თავდაპირველსა და შემდგომი დროის გადაკეთებათა. ადგილზე განირჩევა 2007-2008 წლების სარესტავრაციო სამუშაოები, რომელთა ხარისხიც საკმაოდ დაბალია და ძალზე უხეშ ჩარევას წარმოადგენს სამშენებლო მასალის ხმარების თვალსაზრისით. მეტრადრე ეს ეხება ცენტრალური ტაძრის ზედა ნაწილს, როდესაც მოხდა ტაძრის გადახურვა და შესაბამისად გამაგრება კარნიზებისა. კარნიზთა გამაგრებასა და მათი პროფილირების გამეორების ძირითად საშუალებად ცემენტის ხსნარია ნახმარი, რაც გამაგრების შემთხვევაში არ იმდენად, მაგრამ კარნიზთა პროფილირების დაზუსტებაში აშკარად გაუგებარ როლს ასრულებს. ესაა კარნიზთა გარკვეულ მონაკვეთებზე, უსისტემოდ წარმული ცემენტის ხსნარი, რაც სხვადასხვა შემთხვევაში განსხვავებულ მნიშვნელობას იძენს. ზოგან ამომტვრეული ნაწილის შემავსენებელია, ზოგან სახურავის თუნუქის დამწერი და ზოგან კარნიზის პროფილის მარეგულირებელი.

- აღსანიშნავია, რომ იგეგმება არსებული სახურავის შეცვლა, რომელიც 2007-2008 წლებშია დახურებული ძირითად ტაძრის და სურთ სპილენძის გადახურვის მოწყობა. არსებობს მოსახრება, რომ გარშემოსავლის გადახურვისთვის შესაძლოა ნახმარი იქნას კრამიტი, რაც ასევე სხვა მასალის შემოყვანას გულისხმობს. გასააზრებელია, რომ უნდა მოხდეს კომპლექსური სამუშაოების წარმოება, რათა დავიდან იქნეს აცილებული ეკლექტურობა და დარღვევები, რაც შეიძლება უსისტემო სამუშაოებს მოჰყვეს.

2. ნაშრომი წარმოადგენს შუა საუკუნეების გამორჩეული ძეგლის, მატანის „ცხრაკარას“ ცენტრალური და იმავდროულად უძველესი ნაგებობის ახლებურ კვლევას. მატანის კომპლექსის უძველესი ნაგებობა მიჩნეული იყო V საუკუნის ძეგლად და მისი ამგვარი დათარიღება გ. ჩუბინაშვილს ეკუთვნის. მკვლევარის მიერ ძეგლის V საუკუნით დათარიღებას, ცხადია, გააჩნდა გარკვეული სამეცნიერო საფუძველი და ის უმთავრესად ძველი შუამთის ბაზილიკასთან კავშირს გულისხმობდა. გეგმარებითი თვალსაზრისით ესოდენ მსგავსი ძეგლები, როგორებიცაა ძველი შუამთის V საუკუნის ბაზილიკა და მატანის „ცხრაკარა“ აჩენდა გარკვეულ ასოციაციას, რაც გახდა საფუძველი მატანის აღნიშნული ძეგლის ასევე V საუკუნით დათარიღებისა.

ახალი კვლევებისა და ძეგლის ადგილზე შესწავლის საფუძველზე მატანის „ცხრაკარა“ V საუკუნიდან გადათარიღდა VIII-IX საუკუნეებში. ძეგლის სახელოვნებათმცოდნეო მეთოდოლოგიით შესწავლამ და პარალელური მასალის ახლებურმა დათარიღებამ აჩვენა, რომ რეალურად მატანის ბაზილიკა მეტ სიახლოვეს ავლენს გარდამავალი ხანის ძეგლებთან, ხოლო მისი მსგავსება ძველი შუამთის ბაზილიკასთან მხოლოდდა მისი მიბაძვით იქნა გამოწვეული. ძეგლის ძველი დათარიღების ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად მიჩნეულ იქნა ახლეტის „ღვთაების“ ეკლესია, რომელიც საიმდროოდ VI საუკუნით იყო დათარიღებული, შესაბამისად გ. ჩუბინაშვილმა ახალ შუამთასთან თავჩენილი გეგმარებითი სიახლოვისა და ახმეტის დასახელებული ნაგებობის გეგმარებით-სივრცითი მოწყობის მსგავსების საკითხი მატანის „ცხრაკარასთან“ ამ უკანასკნელის V საუკუნით დათარიღების საფუძველად მიიჩნია. მოგვიანებით, სამეცნიერო კვლევების საფუძველზე ახმეტის „ღვთაების“ ეკლესია გადათარიღდა და მისი აგების დროითი მონაკვეთი VIII-IX საუკუნეებით განისაზღვრა. ამრიგად, ის დათარიღებული პარალელები, რომლებიც „ცხრაკარას“ ადრეულობით დათარიღების საფუძველს წარმოადგენდა, შეიცვალა და, უფრო მეტიც, ის უშუალოდ გარდამავალი ხანის ნიშნებითაა გაიგივდა.

აღსანიშნავია, რომ მატანის ბაზილიკის გადათარიღებისთვის მნიშვნელოვან წყაროდ იქცა გარდამავალი ხანის ორნაჟიანი ეკლესიების უმნიშვნელოვანესი ჯგუფი, რომელიც სრულად VIII-IX საუკუნეების ნიშნულ აღმშენებლობას წარმოადგენს. შესაბამისად გეგმარებითი თავისებურებების, სივრცითი მოწყობის, დეკორატიული ელემენტებისა თუ საერთო სტილისტური გააზრებით მატანის „ცხრაკარა“ VIII-IX საუკუნეების ძეგლად უნდა ჩაითვალოს.

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

ნოდარ არონიშვიძე

2) მოხსენების სათაური

მატანის ცხრაკარა - დათარიღების საკითხი (წინასწარული მოსაზრებები)

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი - (11.25.2021)

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ნაშრომი წარმოადგენს შუა საუკუნეების გამორჩეული ძეგლის, მატანის „ცხრაკარას“ ცენტრალური და იმავდროულად უძველესი ნაგებობის ახლებურ კვლევას. მატანის კომპლექსის უძველესი ნაგებობა მიჩნეული იყო V საუკუნის ძეგლად და მისი ამგვარი დათარიღება გ. ჩუბინაშვილს ეკუთვნის. მკვლევარის მიერ ძეგლის V საუკუნით დათარიღებას, ცხადია, გააჩნდა გარკვეული სამეცნიერო საფუძველი და ის უმთავრესად ძველი შუამთის ბაზილიკასთან კავშირს გულისხმობდა. გეგმარებითი თვალსაზრისით ესოდენ მსგავსი ძეგლები, როგორებიცაა ძველი შუამთის V საუკუნის ბაზილიკა და მატანის

„ცხრაკარა“ აჩენდა გარკვეულ ასოციაციას, რაც გახდა საფუძველი მატანის აღნიშნული ძეგლის ასევე V საუკუნით დათარიღებისა.

ახალი კვლევებისა და ძეგლის ადგილზე შესწავლის საფუძველზე მატანის „ცხრაკარა“ V საუკუნიდან გადათარიღდა VIII-IX საუკუნეებში. ძეგლის სახელოვნებათმცოდნეო მეთოდოლოგიით შესწავლამ და პარალელური მასალის ახლებურმა დათარიღებამ აჩვენა, რომ რეალურად მატანის ბაზილიკა მეტ სიახლოვეს ავლენს გარდამავალი ხანის ძეგლებთან, ხოლო მისი მსგავსება ძველი შუამთის ბაზილიკასთან მხოლოდღა მისი მიბაძვით იქნა გამოწვეული. ძეგლის ძველი დათარიღების ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად მიჩნეულ იქნა ახმეტის „ღვთაების“ ეკლესია, რომელიც საიმდროოდ VI საუკუნით იყო დათარიღებული, შესაბამისად გ. ჩუბინაშვილმა ახალ შუამთასთან თავჩენილი გეგმარებითი სიახლოვისა და ახმეტის დასახელებული ნაგებობის გეგმარებით-სივრცითი მოწყობის მსგავსების საკითხი მატანის „ცხრაკარასთან“ ამ უკანასკნელის V საუკუნით დათარიღების საფუძველად მიიჩნია. მოგვიანებით, სამეცნიერო კვლევების საფუძველზე ახმეტის „ღვთაების“ ეკლესია გადათარიღდა და მისი აგების დროითი მონაკვეთი VIII-IX საუკუნეებით განისაზღვრა. ამრიგად, ის მათარიღებელი პარალელები, რომლებიც „ცხრაკარას“ ადრეულობით დათარიღების საფუძველს წარმოადგენდა, შეიცვალა და, უფრო მეტიც, ის უშუალოდ გარდამავალი ხანის ნიშნებითან გაიგივდა.

აღსანიშნავია, რომ მატანის ბაზილიკის გადათარიღებისთვის მნიშვნელოვან წყაროდ იქცა გარდამავალი ხანის ორნავიანი ეკლესიების უმნიშვნელოვანესი ჯგუფი, რომელიც სრულად VIII-IX საუკუნეების ნიშნულ აღმშენებლობას წარმოადგენს. შესაბამისად გეგმარებითი თავისებურებების, სივრცითი მოწყობის, დეკორატიული ელემენტებისა თუ საერთო სტილისტური გააზრებით მატანის „ცხრაკარა“ VIII-IX საუკუნეების ძეგლად უნდა ჩაითვალოს.

თინათინ ხოშტარია

2.პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები -

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

ბოზნევის წმ. იოანე მახარებლის ტაძრის მოხატულობა (XVII საუკუნის ქართული მონუმენტური მხატვრობის ისტორიიდან)

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
2020-2023

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
თინათინ ხოშტარია (მკვლევარი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ნაშრომი ეხება ტანას ხეობაში მდებარე ბოზნევის წმ. იოანე მახარებლის მცირე ზომის დარბაზული ტაძრის კედლის მხატვრობას, რომელიც იქ შემორჩენილი წარწერების მიხედვით, 1683 წელსაა შესრულებული.

საბედნიეროდ ეს ის შემთხვევაა, როდესაც დამკვეთისა და მხატვრის ვინაობა ცნობილია . ჩრდილოეთ კედელზე, მედალიონში ჩასმულ წმინდანებს შუა, ლურჯ ფონზე, თეთრად, ბერძნული წარწერაა წარმოდგენილი (ის თ. ყაუხჩიშვის აქვს წაკითხული) : „ვედრება ცოდვილისა მომხატველისა, მონისა დანიელისა მთაწმინდელი ბერმონაზვნისა ამ ტაძრის მომხატველისა“. ამგვარად, ტაძრის მომხატველი ათონიდან ჩამოყვანილი მხატვარია. დამკვეთად კი იმ დროისთვის ცნობილი მოღვაწე იოსებ თბილელი ჩნდება. რომლის საქტიტორო პორტრეტიც სამხრეთ -დასავლეთ კედელზეა წარმოდგენილი. ბოზნევის ეკლესიის ორი წარწერაიდან ერთი ლაპიდარულია, მეორე კი ფრესკული. პირველი მათგანი სამხრეთის კედელზე, ეკლესიის ერთადერთი შესასვლელის ზემოდანაა ჩატანებული, ფრესკული წარწერა კი შიგ ეკლესიაშია, შესასვლელთან, ქტიტორის გამოსახულების მახლობლად. წარწერა ასომთავრულადაა დაწერილი, ხოლო ფასადზე მხედრული ასოებია ამოტვიფრული. წარწერიდან ირკვევა, რომ ტაძარი იოანე მახარებლის სახელზე იყო აგებული; უკანასკნელ სტრიქონს ბოლოში გადარჩენილი აქვს ტოა, რომელიც ქორონიკონს წარმოადგენს, რითაც მოხატულობის შესრულების თარიღი ზუსტად განისაზღვრება. ფრესკულ წარწერაში იკითხება, რომ ტაძარი იოსებ თბილელის შეკვეთით და ხარჯით შეიმკო.

XVII საუკუნის ბოლო მეოთხედი საკმაოდ რთული და წინააღმდეგობრივი ეტაპია ქართულ მონუმენტური მხატვრობის განვითარების ისტორიაში. ამ დროს ქართული მხატვრობა არა ერთგზის მიმართავს წინა ხანის ნიმუშებს და სახეებს, მაგრამ ამავდროულად მას აშკარად ატყვია „ახალი“, რამდენადმე განსხვავებული განწყობილების კვალი. ბოზნევის მოხატულობასაც ნათლად ემჩნევა ეპოქის სტილის მახასიათებელი ნიშნები, მაგრამ, ამავე დროს, ის მკაფიო ინდივიდუალობითაც გამოირჩევა. გარდა ამისა, აშკარაა გარეშე, ბიზანტიური, კერძოდ ათონური სკოლის ზეგავლენა, რაც მისი შესწავლის პროცესში ბერძნულ - ათონური ნიმუშების ცოდნასა და ამავდროულად ადგილობრივი ნიმუშების გამოვლინებას მოითხოვს.

სამწუხაროდ, ბოზნევის მხატვრობა დაზიანებული სახით შემოგვრჩა. გამოსახულებათა სრული და ზუსტი იდენტიფიკაციისთვის ჩავატარეთ იკონოგრაფიული და მხატვრულ-სტილური კვლევები, მოხატულობის თეოლოგიური შინაარსი შევისწავლეთ, მისი ინდივიდუალობის და ეპოქალური თავისებურების კონტექსტში.

აღიწერა მოხატულობის ცალკეული კომპოზიციები, ნაწილობრივ განვმარტეთ ცალკეულ სცენათა საღვთისმეტყველო შინაარსი, მოხატულობის თეოლოგიური პროგრამა და მისი მთავარი იდეური აქცენტები.

მეტნაკლებად მოვიძიეთ პარალელური იკონოგრაფიული მასალა. ამ მიზნით მოვინახულე საქართველოში შემდეგი ძეგლები შემოქმედის მაცხოვრის ტაძრი, ერკეთის მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზოს ტაძრი, ჯუმათის მთავარანგელოზის მონასტერი, გელათის წმ. გიორგის ტაძარი, ყინცვისის მცირე_ეკლესია. ბოზნევის მოხატულობა ზოგადი ხასიათით გვიანი შუა საუკუნეების ე.წ. პროფესიული ნაკადის ბერძნული ორიენტაციის ნიმუშებთან

პოულობს კავშირს. მხატვრობა პოსტბიზანტიური ტაძრებისთვის დამახასიათებელი სქემითა და სტილით არის შესრულებული. უცხოურ ნიმუშებთან შედარება საშუალებას მოგვცემს უკეთ წარმოვაჩინოთ ამ მოხატულობის სტილური თავისებურებანი.

ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის შედეგები მნიშვნელოვანი იქნება ქართული შუა საუკუნეების მხატვრობის შემდგომი შესწავლისთვის და განსაკუთრებით XVII საუკუნის მკვლევარებს გაუწევს დახმარებას, რომელნიც შეისწავლიან, როგორც გვიანი შუასაუკუნეების სახვით ხელოვნებას ისე ამ ეპოქის სულიერ კულტურას.

ნინო ციციშვილი

2.პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით
დამკვეთის როლი ისლამური ხელოვნების ელემენტების შემცველ საეკლესიო ხელნაწერთა მხატვრული გაფორმების გადაწყვეტაში (XV-XVIII სს)

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
2021- 2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
ნინო ციციშვილი (მკვლევარი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2021 წელს დაიწყო მუშაობა გარდამავალ წლიურ სამეცნიერო თემაზე „დამკვეთის როლი ისლამური ხელოვნების ელემენტების შემცველ საეკლესიო ხელნაწერთა მხატვრული გაფორმების გადაწყვეტაში (XV-XVIII სს)“.

ხელნაწერის მხატვრული გაფორმება ზოგადეპოქალური მხატვრულ - კულტურული ტენდენციების გარდა, ხშირად დამკვეთის გემოვნების და მისწრაფებების მკაფიო გამოხატულებადაც იქცევა. საეკლესიო ხელნაწერი და მისი მხატვრული გაფორმება, რომელიც, ერთი მხრივ, რელიგიური დოგმატის და კანონიკური იკონოგრაფიული სქემების კარნახით იქმნება, მეორე მხრივ იმ ინდივიდუალური მხატვრული შტრიხების შემცველიცაა, რასაც კონკრეტული ადამიანის დამოკიდებულება, გემოვნება, მისი საქმიანობა თუ მსოფლმხედველობა განაპირობებს, სწორედ ამიტომ დამკვეთის როლი ერთ-ერთ საგულისხმო ფაქტორს წარმოადგენს ხელნაწერის მხატვრული გაფორმებისას. ამავე თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია დამკვეთის სოციალური სტატუსი, მისი საქმიანობის

არეალი, საერო თუ სასულიერო იერარქიისადმი კუთვნილება, პოლიტიკური შეხედულებები თუ მსოფლმხედველობრივი აღქმა და სხვა. საკითხის კომპლექსურად გააზრებისა აუცილებლობიდან გამომდინარე, გასათვალისწინებელია თითოეული ის ასპექტი, რაც სხვადასხვა დროს ადამიანის, როგორც შემოქმედის, გარემო პირობებს წარმოადგენდა და მისი ცნობიერების, მსოფლმხედველობის თუ თუნდაც ესთეტიკის ჩამოყალიბებას, კონკრეტული მიმართულებით წარმართვას უწყობდა ხელს. ამ ყოველივეს გათვალისწინებით, წლიური თემის სამეცნიერო კვლევის ფარგლებში დაიგეგმა ისლამური გავლენების შემცველი XV-XVIII სს-ის საეკლესიო ხელნაწერთა მოხატულობის შესრულებისას დამკვეთის როლის და მნიშვნელოვნების განსაზღვრა თანადროული ისტორიული, პოლიტიკური და ზოგადკულტურული კონტექსტის გათვალისწინებით. წლიური სამეცნიერო გეგმით შესასრულებელი სამუშაო საკმაოდ დიდ ქრონოლოგიურ მონაკვეთს მოიცავს (XV-XVIII საუკუნეები), ამიტომ დაიგეგმა მისი ორ ეტაპად შესრულება: 2021 წლის მანძილზე კი შესრულდა შემდეგი სამუშაოები: მოიკრიბა და დამუშავდა XV-XVI საუკუნეების ნიმუშები, რომელთა ანდერძ-მინაწერებში დადასტურებულადაა გამჟღავნებული მათი დამკვეთების სახელები. არსებულ მასალაზე დაყრდნობით ხელნაწერების დამკვეთი ისტორიული პირების გარშემო მოძიებულ იქნა დამატებითი ინფორმაცია მათი მონაწილეობის შესახებ თანადროულ სახელოვნებო და ზოგადკულტურულ პროცესებში. რიგ შემთხვევაში გამოვლენილი კავშირი ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშებთან აფართოვებს ცოდნას საკუთრივ ისტორიული პირის ინტერესთა სფეროს, მისი მსოფლალქმის თავისებურებების შესახებ და დამატებით ინფორმაციას იძლევა არა მხოლოდ განსახილველი მასალის, არამედ თანადროული სახელოვნებო პროცესების მიმდინარეობის შესახებ. თემის გარშემო დამუშავებულ იქნა შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა. ამავე პრინციპით დამუშავდა და სისტემატიზირდა XVII-XVIII საუკუნის ნიმუშების ნაწილი და ამ ნიმუშებში აქ მოხსენიებული დამკვეთების გარშემო არსებული ინფორმაცია. წლიური სამეცნიერო გარდამავალია, მისი დასრულება იგეგმება 2022 წელს.

3. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

3.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

წმ. დიმიტრის თაყვანისცემა შუა საუკუნეების საქართველოში. უცნობი მოხატულობა დავითგარეჯიდან

7. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი

6.3უმანიტარული მეცნიერებანი

6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

FR.18.3030

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

2019-2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. მარინე ბულია (პროექტის ხელმძღვანელი)
2. შზია ჯანჯალია (კოორდინატორი)
3. ნინო ციციშვილი (ძირითადი პერსონალი, ახალგაზრდა მეცნიერი)

დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ანოტაცია იხ. პროექტის ხელმძღვანელის, მარინე ბულიას ანგარიშში

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

ნინო ციციშვილი

2) მოხსენების სათაური

XV-XVI საუკუნეების საეკლესიო მინიატურის მხატვრული თავისებურებანი ისტორიული რეალიების კონტექსტში

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

2021 წლის 1 დეკემბერი, თბილისი, გ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ეროვნული ცენტრი. კორნელი კეკელიძის სახელობის სამეცნიერო სემინარი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

სემინარის ფარგლებში წარმოდგენილ მოხსენებაში განხილული იყო XV-XVI საუკუნეების ქართული საეკლესიო ხელნაწერების ერთი ჯგუფი - ფსალმუნი, 1494 წ. ხეც. A 351; სახარება, 1502 წ. ქსიმ K 375; სახარება, 1504 წ. ხეც Q 921; ვალეს ოთხთავი, 1514 წ. ხეც. A 401; სახარება, XVI საუკუნის დასაწყისი, ქსიმ K 362; სახარება, XVI საუკუნის დასაწყისი, ხეც A 685b, რომელთა მხატვრობაში ე.წ. პოსტპალეოლოგუსრი სტილის პარალელურად ჩნდება სპარსულ-ოსმალური ორნამენტული სახეები. ისეთ საკრალურ სივრცეში, როგორც საეკლესიო ხელნაწერია, ისლამური ხელოვნების მკაფიო დადასტურება, იმ პროცესების მხატვრული გამოხატულებაა, რომელიც ქვეყანაში შიდა აშლილობით თუ სპარსეთისა და ოსმალეთის მომძლავრებული ექსპანსიური პოლიტიკით, ისლამურ აღმოსავლეთთან ნებით თუ უნებლიეთ გააქტიურებული კულტურული ურთიერთობებითაა მნიშვნელოვანწილად განპირობებული. სწორედ ამიტომ, ამ მხატვრული მოვლენის უკეთ გასააზრებლად აუცილებლად გასათვალისწინებელია თანადროული ზოგადისტორიული კონტექსტი ამავედროულად, არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება დამკვეთის პიროვნებას. ამ თვალსაზრისით, საგულისხმოა, რომ წარმოდგენილი მასალის დიდი ნაწილი ისტორიულ სამცხეს და ათაბაგთა სახლელს უკავშირდება დადასტურებულად, ხოლო რამდენიმე ნიმუში მხატვრულ - სტილური თვალსაზრისით ექვევა ამავე არეალში. თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი და ძლიერი ფეოდალური სახლის წარმომადგენლების როლი კი თანადროული საქართველოს ისტორიაში სადღეისოდ კითხვებს არ აჩენს. მათი პოლიტიკური ამბიციები და ფართოდ გაშლილი კულტურული საქმიანობა ერთმანეთს მჭიდროდ ერწყმის და ეს ყოველივე ამ ხელნაწერების მხატვრულ გაფორმებაში

თვალსაჩინოდ აირეკლება. XV-XVI საუკუნეების ჯაყელების სახლეულის დაკვეთით გადაწერილ - მოხატული საეკლესიო ხელნაწერების ამ ჯგუფის მხატვრობაში სპარსული და ოსმალური ორნამენტული ფორმების გაჩენა/დამკვიდრების მიზეზ-შედეგობრივი კავშირების სიღრმისეულად გააზრება მნიშვნელოვნად ავსებს დღეისთვის არსებულ სამეცნიერო ცოდნას იმ ხანად ქართულ საეკლესიო მინიატურასა და, ზოგადად ქართულ სახვით ხელოვნებაში მიმდინარე მხატვრულ-კულტურული პროცესებს შესახებ.

დავით ჩიხლაძე

2.პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები -

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

ქართული კლდის არქიტექტურის განვითარების საფეხურების დაზუსტებისთვის: სატორგეს და სამსარის კლდეში ნაკვეთი გუმბათური ტაძრებისა და მათი თანმხლები სტრუქტურების შედარების მცდელობა

6. ჰუმანიტარული მეცნიერებები

6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია).

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
2020-2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
დავით ჩიხლაძე (მკვლევარი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სამონასტრო კომპლექსების, გარეჯის უდაბნოს სატორგისა და ჯავახეთის სამსარის გუმბათური ეკლესიების შედარებისა და კვლევის პროცესის ადრეულ ეტაპზევე გამოვლინდა ზოგადად, და განსაკუთრებით კი გარეჯის უდაბნოს მონასტრებში, კლდეში ნაკვეთი გუმბათური ეკლესიების სტრუქტურირების პრინციპებზე წარმოდგენის შექმნის აუცილებლობა, შესაბამისად, კვლევა სამ წელიწადზე გადანაწილდა, რომელთაგან პირველი სწორედ ამ საკითხის გარკვევას დაეთმო. პანდემიით გამოწვეული შეფერხებების პირობებში, რაც ბიბლიოთეკების შეზღუდვასა და საველე გასვლების ორგანიზების გართულებაში გამოიხატა, ჩვენს ხელთ არსებული მასალის საფუძველზე ვცადეთ მაქსიმალურად სავსედ მიმოგვეხილა აღნიშნული საკითხი.

ამ ამოცანის შესასრულებლად პირველ რიგში მივუბრუნდით ზოგადად კლდეში ეკლესიების გამოკვეთის ტრადიციისა და მისი ქრონოლოგიური ჩარჩოების პრობლემას, რაშიც მკვლევარ დ.თუმანიშვილის კლდეში ნაკვეთი საბერეების კომპლექსისადმი მიძღვნილი სტატიით ვიხელმძღვანელებთ. სტატიაში გამოთქმულ მოსაზრებებთან სტატიის გამოქვეყნების შემდგომ გამოვლენილი მასალის, მათ შორის სულ უკანასკნელ წლებში დოდორქის

მონასტერში მიკვლეული გუმბათური და დარბაზული ეკლესიების, დადარების შემდეგ გამოიკვეთა ის სამუშაო მასალა, რომლის სისტემატიზირება და განზოგადება კლდეში ნაკვეთი გუმბათური ეკლესიების სტრუქტურირების პრინციპებზე წარმოდგენის შექმნის შესაძლებლობას იძლევა

ამ მასალაზე დაკვირვებამ მოგვცა საშუალება გამოგვეყო, ერთი მხრივ, ის ფაქტორები, რომლებიც გუმბათური ტიპის ტაძრის კლდეში გამოკვეთისას მისი იერ-სახის ფორმირებაზე ზემოქმედებენ, მეორე მხრივ ის რედაქტირების პრინციპები, რომლებიც კლდის გუმბათური ტაძრის სტრუქტურირებას განსაზღვრავენ, ნახსენები ფაქტორებიდან გამომდინარე. ამასთან გავითვალისწინეთ ქრონოლოგიური და მხატვრულ-სტილისტური ასპექტებიც, რომლებსაც კლდეში გუმბათური ტაძრების შექმნაზე საკუთარი, მნიშვნელოვანი გავლენა გააჩნიათ.

2021 წლის სამუშაო პერიოდში განვიხილავთ გუმბათური ტაძრების კლდეში გამოკვეთისას მისი სტრუქტურირების პრინციპების ჩვენს მიერ მიღებული დასკვნებს გარეჯის სატორგისა და ჯავახეთის სამსარის კლდის გუმბათური ტაძრების მიმართ, რაც მათი შედარებისა და გააზრების განსხვავებულ სიღრმეს მოგვცემს.

ახალი და თანამედროვე ხელოვნების განყოფილება

მარიამ გაჩეჩილაძე

2.პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

1. XX ს-ის 1920-50-იან წლებში გამოცემული ჟურნალების მხატვრული გაფორმება

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2. ჩუბინაშვილი ცენტრში დაცული მხატვარ სერგო ქობულაძის არქივის დამუშავება

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

3. ჩუბინაშვილი ცენტრში დაცული მხატვარ ჯემალ ლოლუას არქივის დამუშავება

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი,

6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 2020-2022

2. 2016-2021 (პროექტი საჭიროებს გაგრძელებას, მასალის სიუხვისა და სირთულის გამო).

3. 2017-2021 (პროექტი საჭიროებს გაგრძელებას, მასალის სიუხვისა და სირთულის გამო).

პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. მარიამ გაჩეჩილაძე (მკვლევარი)

2. მარიამ გაჩეჩილაძე (მკვლევარი, პროექტის ხელმძღვანელი)

(მასალის დასკანერება, შესწავლა-კლასიფიკაცია-გაანალიზება, არქივიზაცია)

სოფიო ჩიტორელიძე (მკვლევარი)

(მასალის დასკანერება, შესწავლა-კლასიფიკაცია-გაანალიზება)

მარინა მეძმარიაშვილი (მკვლევარი)

(ხელნაწერი ტექსტის გაშიფვრა-გაანალიზება, თარგმნა (რუსულიდან-ქართულად)

დალი ლებანიძე (მკვლევარი)

(ხელნაწერი ტექსტის გაშიფვრა-გაანალიზება, თარგმნა (რუსულიდან-ქართულად).

3. მარიამ გაჩეჩილაძე (მკვლევარი, პროექტის ხელმძღვანელი)

(მასალის დასკანერება, შესწავლა-კლასიფიკაცია-გაანალიზება, არქივიზაცია, პუბლიკაცია).

სოფიო ჩიტორელიძე (მკვლევარი)

(მასალის დასკანერება, შესწავლა-კლასიფიკაცია-გაანალიზება) (პროექტის წევრი)

2.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. პროექტი „XX ს-ის 1920-50-იან წლებში გამოცემული ჟურნალების მხატვრული გაფორმება“ გულისხმობს სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და წამყვანი დარგის, გრაფიკის შემადგენელი სახეობის საჟურნალო გრაფიკის განვითარების ისტორიულ ჭრილში წარმოდგენას. ჟურნალ-გაზეთების მხატვრული გაფორმების საქმეში დაარსებიდან დღევანდელ დღემდე წამყვანი მხატვარ-გრაფიკოსები იყვნენ და არიან ჩართულნი. არა მარტო გრაფიკოსები, ბევრი სხვა დარგში მიმუშავე მრავალი ხელოვანიც იყო და არის დაკავებული ფართო საზოგადოებისთვის განკუთვნილი ამ უმნიშვნელოვანესი სახეობის მხატვრულ სრულყოფაში.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისის ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ვხვდებით ტექსტების თავსართებად და ბოლოსართებად თუ სატიტულო ფურცლის გასაფორმებლად გამოყენებულ მხატვრული დეკორის ელემენტებით, სატიტულო

ნახატებითა და ეთნოგრაფიული ჩანახატებით ილუსტრირებულ გამოცემებს. გრაფიკული ნახატი ჩაერთო გაზეთებსა და ჟურნალებში: (ჟ. „საქართველოს მოამბე“, 1863; „კალენდარი სომეხთა და ქართველთა“, 1880; „მოლა ნასრედინი“, 1906; „ემშაკის მათრახი“, 1907–1908, 1915–1917 და 1919–1921; „Le Caucase illustré“, 1899–1901, „თეატრი და ცხოვრება“, 1910, 1914–1920, 1923–1926; „მხედარი“, 1920; „ნაკადული“, 1904–1927; „საქართველო“ (1915–1917 წლებში გაზეთს ჰქონდა სურათებიანი დამატება), „სახალხო გვარდიელი“, 1920–1921, „თოლაშულისის სარტყელი“ (1919), „სახალხო გაზეთი“, „შევარდენი“ და სხვა გამოცემებში.

პერიოდული პრესის მხატვრულად გაფორმების საქმეში აქტიურად იყვნენ ჩაბმულები ალექსანდრე მრევლიშვილი, მოსე თოიძე, გიგო გაბაშვილი, ანტონ გოგიაშვილი, გიგო ზაზიაშვილი, გრიგოლ ტატიშვილი, ალექსანდრე ზალცმანი, ჰენრიკ ჰრინგესკი, მიხეილ ჭიაურელი, შალვა ქიქოძე, პლატონ ღიბრაძე (*მღებრძლე*), კოტე ქავთარაძე, ოსკარ შმერლინგი, გერმანიიდან ჩამოსული კარიკატურისტი მხატვარი *იოზეფ როტერი*.

1920-იანი წლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოცემაა ჟურნალი „ლიტერატურა და სხვა“ 1924-25, #1 (გამოიცა ერთი ნომერი. რედაქტორი — ნიკოლოზ ცაცავა. ჟურნალში თანამშრომლობდნენ ბ. აბულაძე, შ. ალხაზიშვილი, ა. ბელიაშვილი, ბ. გორდეზიანი, პ. ნოზაძე, დ. შენგელაია, ნ. შენგელაია, ნ. ჩაჩავა, ს. ჩიქოვანი, ბ. ჟღენტი, მხატვარი). ჟურნალის ყდის კომპოზიცია ეკუთვნის ავანგარდისტ მხატვარს კირილე ზდანევიჩს. ტექსტის გასაფორმებელ ელემენტებს აქა-იქ ჩართული წრიული და ოთხკუთხა მოხაზულობის, შავ ფერად დატანილი მცირე ნაწილაკები წარმოადგენს. ჟურნალში ჩართულია ასევე მიხეილ გოცირიძის ილუსტრაციები (მოთხრობების გაფორმებაში - „შეთქმულება“ და „ცეკვა“) კუბო-ფუტურისტული მხატვრობით შესრულებული დინამიკური, ემოციურად დატვირთული კომპოზიციები. ტექსტებში გამოკვეთილია გამორჩეული „ამონარიდები“ და ამ მცირე ოთხკუთხა მოხაზულობებში განთავსებული ტექსტთა ამონარიდები ქმნიან მხატვრულად გაცოცხლებულ ჟურნალის გვერდებს. აქა-იქ კვლავ ჩნდება შავად ჩანართი ოთხკუთხედები, ან სასვენი ნიშნებისა (კითხვისა თუ ძახილის ნიშანი) თუ ერთ ან ორ სიტყვიანი ტექსტების *ამოდიდებული* ვარიანტები. *ბორდით* გამოყოფილი სტრიქონები. გაზრდილი სასათაურო შრიფტები, როგორც ქართული ასევე რუსული და ლათინური წარწერები.

1910-1920-იან წლების ჟურნალ-გაზეთების მხატვრული გაფორმების თვალსაზრისით განხილვისას იკვეთება, რომ გამოყენებულია სხვადასხვა მიმდინარეობისა და მიმართულების მხატვრული ხერხები. მხატვრული ელემენტები ხშირად მხოლოდ შრიფტით შექმნილი კომპოზიციებით შემოიფარგლება, თუმცა ხდება ასევე ილუსტრაციებით შემკობაც (ჟ. „ნაკადული“). შესრულების თვალსაზრისით ვლინდება ყველა ის თავისებურება რაც ზოგადად ახასიათებს XX საუკუნის დასაწყისის ქართულ სახვით ხელოვნებას. მიმართავენ როგორც რეალისტურ, ასევე ევროპული მოდერნიზმისთვის დამახასიათებელ ნიშნებს, კუბო-ფუტურისტული მხატვრობის ხერხებს, არის აბსტრაქტული ხელოვნებისა და წმინდა ეროვნული მოტივების გამოყენების ფაქტები, ჩნდება ეკლექტური ელემენტებიც.

ახლის მიზეზების მკაფიო მაგალითს ფუტურისტ მხატვართა მიერ, 1924 წელს გამოცემული ჟურნალის „H₂SO₄“ წარმოადგენს. ბენო გორდეზიანის მიერ ამ პერიოდის ამგვარად შეფასება, რადგან იგი თვითონვე იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელიც აქტიურად იყო ჩაბმული თანამედროვე ხელოვნების მიზნის პროცესებში და მის მიერ შემუშავებული ნახატისა და შრიფტების გათამაშებით იქნა კიდევ შედგენილი ჟურნალი „H₂SO₄“. თუმცა ისიც ნათელია:

რომ არ მომხდარიყო განვითარების რეალური პროცესის ხელოვნური შეჩერება, რაც გამოწვეული იყო საბჭოთა იდეოლოგიის ზეწოლით, ალბათ ზოგადად ქართული თანამედროვე ხელოვნების განვითარების პროცესი ბევრად უფრო უმტკივნეულოდ და ორგანულად წარიმართებოდა. თუმცა მნიშვნელოვანია ის, რომ შემდგომ - 1930-იანი წლებიდან დღევანდლამდე უწყვეტად მიედინება და ვითარდება ქართული წიგნისა და პერიოდული გამოცემების მხატვრული გაფორმების პროცესი. გარკვეულწილად 10-წლეულებად შეიძლება გამოვყოთ მხატვრული მიდგომებისა და სტილის ცვალებადობა. 1930-40-იანი წლების პერიოდული გამოცემების გასაფორმებელი ელემენტები *სოც-რეალისტური* იდეოლოგიითაა გაჯერებული - თხრობითი შინაარსის ნატურალისტური ნახატითაა შესრულებული ილუსტრაციები.

1950-იანი წლების მიწურულიდან შემდგომი ათწლეულების მანძილზე თანდათან ხდება გრაფიკული ხელოვნებისათვის დამახასიათებელ ლაკონიურ „მეტყველებაზე“ გადასვლა (*„ბი: „დროშა“, „ოქტომბრელი“, „პიონერი“ ჟ. „ცისკარი, „დილა“ და ა.შ.)..*

საჟურნალო-საგაზეთო მხატვრობაში ჩართულნი არიან წამყვანი მხატვრები ელენე ახვლედიანი, ოსკარ *შმერლინგი*, სევერიან კეცხოველი, ზურაბ ლეჟავა, გიორგი (გოგი) როინიშვილი, გოგი თოთიბაძე, რევაზ ცუცქირიძე, იოსებ გაბაშვილი, რობერტ სტურუა, შალვა ცხადაძე, სევერიან მაისაშვილი, ნოდარ მალაზონია, ჯემალ ლოლუა, ალექსანდრე (შურა) ბანძელაძე, ზურაბ ფორჩხიძე, თენგიზ სამსონაძე, ედუარდ ამბოკაძე და სხვები.

1930-იანი წლებიდან საჟურნალო-საგაზეთო გრაფიკაში დამკვიდრდა *სოც-რეალისტურმა* მიდგომა, *მრავალსახეობრივი* გახდა ქართული ბეჭდური შრიფტისა და დეკორის ელემენტები. გამრავალფეროვნდა შესრულების ტექნიკა.

ამ წლების საჟურნალო მხატვრობაში აქტიურად შემოქმედებითი მუშაობას იწყებს ალექსანდრე (შურა) ბანძელაძე, მონაწილეობს საბავშვო ჟურნალი „დილას“ გაფორმებაში; „პიონერის“ ნომრებს ასურათებს, 1952 წლიდან თანამშრომლობას იწყებს ჟურნალთან „დროშა“, 1957 წელს ჟურნალ „*ცისკარის*“ რამდენიმე ნომრისთვის ასრულებს ილუსტრაციებს, თანამშრომლობს ჟურნალ „ნიანგთანაც“.

ჟურნალი „დილას“ სამხატვრო რედაქტორის საქმიანობას ოთხი ათეული წლის მანძილზე წარმართავს *მხატვრი* გოგი როინიშვილი, რომელმაც ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო მოღვაწეობა, როდესაც ჟურნალი „ოქტომბრელების“ სახელით გამოდიოდა, (კიდევ უფრო ადრე კი 1904 წელს დაარსებულ ჟურნალს „ნაკადული“ ეწოდებოდა).

1950 წლიდან ჟურნალებში განთავსებული სტატიების ილუსტრაციები ზოგ შემთხვევაში ტექსტშივე იყო განთავსებული, მოთხრობისა თუ ნოველის შინაარსის ცალკეული ეპიზოდების ამსახველ ჩანახატებს წარმოადგენდა და ფრაგმენტულად იყო ჩართული თხრობაში, ზოგჯერ კი კომპოზიციას ჟურნალის მთლიანი გვერდი ეთმოებოდა. ჩართული ილუსტრაციები ხან სათანადო ტექსტს უკავშირდებოდა, ხან კი დამოუკიდებელ დაზგური სურათს წარმოადგენდა.

ჟურნალი „ნიანგის“ მხატვრობაში აქტიური წვლილი შეიტანეს ნოდარ მალაზონიამ (1958 წლიდან იყო ჟურნალის მთავარი მხატვარი), ჯემალ ლოლუამ (1989 წლიდან მთავარი

მხატვრის მოვალეობას ასრულებდა), გიგლა ფირცხალავამ (ქმნიდა პოლიტიკურ კარიკატურებს).

2-3. ჩუბინაშვილის ცენტრს გადმოეცა წამყვანი მხატვარ-გრაფიკოსების **სერგო ქობულაძისა და ჯემალ ლოლუას** არქივები, რომლებიც მოიცავენ დასახელებული მხატვრების ორიგინალებსა და მე-20 საუკუნის უმნიშვნელოვანეს წერილობით დოკუმენტებს. მათი გაცნობა და შესწავლა აუცილებელია, რათა გამოვლინდეს ახალი მასალები, რომელზე დაყრდნობითაც ნათელი გახდება: მხატვართა შემოქმედების დღემდე უცნობი დეტალები. არქივებში დაცული მრავალრიცხოვანი მასალა მოითხოვს დიდ დროსა და რამდენიმე მეცნიერის ერთობლივ მუშაობას. 2021 წლის მანძილზე მოხდა ორივე მხატვრის არქივის თანმიმდევრული შესწავლა-დამუშავება, რაც გულისხმობს მასალის დასკანერებას, კლასიფიკაციას. მიმდინარეობს მხატვარ სერგო ქობულაძის პირად არქივში დაცული გამორჩეული დოკუმენტების ქართულ ენაზე თარგმნა და მომზადება საპუბლიკაციოდ.

2.2. არაპროგრამული ადგილობრივი გრანტით დაფინანსებული პროექტები

1) გარდამავალი პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

XX საუკუნის ქართული ქანდაკება

პროექტი ხორციელდება საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დაფინანსებით

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2) პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

2021-2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. მარიამ გაჩეჩილაძე (პროექტის ხელმძღვანელი)
2. სოფიო ჩიტორელიძე (მკვლევარი)
3. ცისია კილაძე (მკვლევარი)
4. სამსონ ლეჟავა (მკვლევარი)
5. მარინა მემმარიაშვილი (მკვლევარი)
6. დალი ლეზანიძე (მკვლევარი)
7. ნანა მირცხულავა (მკვლევარი)
8. ნინო ჭინჭარაული (მკვლევარი)
9. თემურ ქანთარია-ჯაბადარი (მკვლევარი)
10. მარიანა ოკლეი (მკვლევარი)

გარდამავალი კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტი „XX საუკუნის ქართული ხელოვნება - საბჭოთა პერიოდი ქანდაკება“ არის ორ წლიანი ფუნდამენტური კვლევა ქართული სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის - ქანდაკების - შესახებ.

პროექტი გულისხმობს სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და წამყვანი დარგის განვითარების ისტორიულ ჭრილში წარმოდგენას.

სკულპტურული ძეგლების მოთხოვნილება ჩვენს ქვეყანაში XIX საუკუნის შუა ხანებიდან წარმოიქმნა, მაგრამ თბილისში დადგმული პირველი სკულპტურების ავტორები უცხოელი, ჩამოსული მოქანდაკეები იყვნენ.

პროფესიული ქართული ქანდაკების ჩამოყალიბება ძირითადად XX ს.-ში ხდება. საუკუნის დასაწყისიდანვე ქანდაკების დარგში მუშაობდნენ კ. ყაზბეგი, ვ. კოტეტიშვილი, ბ. შებუევი, მ. ჭიაურელი.... მაგრამ მისი აქტიური განვითარება იაკობ ნიკოლაძის სახელს უკავშირდება, რომელიც ერთ-ერთი პირველთაგანია ვინც ქართული პლასტიკური ხელოვნების მნიშვნელოვანი ნამუშევრები შექმნა, იგი 1922 წლიდან, თბილისის სამხატვრო აკადემიის დაარსებიდანვე ქანდაკების ფაკულტეტს უდგება სათავეში და მრავალ თაობას უზიარებს ევროპული განათლებით მიღებულ საკუთარ ცოდნას.

გამოკვეთილი იქნება ასევე ქართული ქანდაკების სკოლის კიდევ ერთ-ერთი ფუძემდებლის ნიკოლოზ (კოლია) კანდელაკის ღვაწლი, რომელიც 1926 წლიდან უერთდება სამხატვრო აკადემიის პედაგოგთა წრეს.

მოხდება წარმოჩენა ამ ორი დიდი პედაგოგის - იაკობ ნიკოლაძისა და ნიკოლოზ კანდელაკის „სკოლის“ როლის და იმის თუ რა გავლენა მოახდინეს მათ მომავალი თაობების აღზრდაზე და *მოქანდაკებელ* ხელოვანად ჩამოყალიბებაზე.

მკაფიოდ იქნება გამოკვეთილი აკადემიის *პირველ კურსდამთავრებულ* მოქანდაკეთა როლი, რომელთა სახელს უკავშირდება ქართული საბჭოთა ქანდაკების შემდგომი აღმავლობა. თაობისა რომელმაც მყარი საფუძველი შეუქმნა როგორც მონუმენტურ მრავალ ქანდაკების, ასევე დაზგურ პორტრეტის, საპარკო სკულპტურების, არქიტექტურასთან შერწყმულ რელიეფებისა თუ რევოლუციისა და მეორე მსოფლიო ომის თემატიკასთან დაკავშირებული მონუმენტების არსებობას. მათი სახელები დღეს საყოველთაოდაა ცნობილი: თამარ აბაკელია, რუბენ თავაძე, ვალენტინ თოფურიძე, სილოვან კაკაბაძე, ელენე მაჩაბელი, კონსტანტინე მერაბიშვილი, შოთა მიქატაძე, ივანე პატარიძე, გიორგი სესიაშვილი, ნინო წერეთელი და სხვ.

ყველა ამ წამყვანი ხელოვანის შემოქმედება საგანგებოდ იქნება განხილული და მკაფიოდ გამოიკვეთება თითოეულის მიერ შეტანილი წვლილი ქანდაკების განვითარებაში. ასევე მკაფიოდ გამოიკვეთება თავსმოხვეული საბჭოური „მონუმენტური პროპაგანდის“ ფარგლებში, რევოლუციონერ პირთა ქანდაკებების გარდა მრავლად დადგმული ქართველ საზოგადო მოღვაწეთა, მწერალთა თუ პოეტთა ბიუსტები, მასში გამოვლენილი ეროვნული თავისებურებები.

ქანდაკების დარგის განვითარების გზა, თემატური თავისებურებები თუ შესრულების სტილის ცვალებადობა გამოიკვეთება თითოეული, წამყვანი ხელოვანის შემოქმედების განხილვისა და ანალიზის საფუძველზე.

XX ს.-ის წინმსწრები პერიოდის ზოგადი მიმოხილვის შემდგომ გამოიკვეთება 1920-40-იანი, 1950-70-იანი, 1980-იანი წლების თაობებში მოღვაწე წამყვან ხელოვანთა შემოქმედება და თითოეული, წამყვანი მოქანდაკის, მიერ თანამედროვე ქართული ქანდაკების განვითარებაში შეტანილი წვლილი.

წიგნი იქნება უზვად ილუსტრირებული; თანდართული იქნება გამართული სამეცნიერო აპარატი (ანბანურად დალაგებული ხელოვანთა შემოქმედებითი ბიოგრაფიები; თანმიმდევრულ თარიღებად დალაგებული გამოფენებისა და კონკურსების ნუსხა; გამოცემის თარიღების მიხედვით დალაგებული ქართული ქანდაკების შესახებ არსებული ლიტერატურის ნუსხა; კონკრეტულ მოქანდაკეთა შესახებ არსებული ლიტერატურის ნუსხა; ილუსტრაციების ნუსხა - თარიღის, ზომებისა და მასალის მითითებით; პირთა საძიებელი; სარჩევი).

2021 წელს (15.07-15.12 ინტერვალში) შესრულებული სამუშაო:

დაწყებულ იქნა მუშაობა წლების მანძილზე გამოცემული სრულყოფილი ბიბლიოგრაფიის შედგენაზე. განხორციელდა ქართული ქანდაკების შესახებ არსებული მასალების მოძიება როგორც ეროვნულ, ასევე ყველა იმ დაწესებულების ბიბლიოთეკაში, სადაც მსგავსი მასალა შესაძლოა ყოფილიყო. (შეიკრიბა და დასკანერდა წლების მანძილზე გამოცემული კატალოგები, მნიშვნელოვანი სტატიები, წიგნები და ა.შ.). დამუშავდა სათანადო ლიტერატურა. შედგა ქანდაკების შესახებ არსებული ძირითადი მონოგრაფიული ნაშრომების, სხვადასხვა გამოცემებში ჩართული პუბლიკაციების და წლების მანძილზე პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული სტატიების თარიღებად დალაგებული ნუსხა.

მოძიებული და დასკანერებული იქნა წლების მანძილზე გამოცემული საგამოფენო კატალოგები.

ამ ეტაპზე აღნიშნული ინფორმაცია მოიცავს 96 ნაბეჭდ გვერდს, რაც მუშაობის შემდგომ ეტაპზე უდაოდ გაიზრდება.

6.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

1)ავტორი/ავტორები

1.მარიამ გაჩეჩილაძე

2. გოგი წერეთელი, უილიამ მეილანდი, მარიამ გაჩეჩილაძე, ვახტანგ ჯავახიძე, ლერი ალიმონაკი, მიხო მოსულიშვილი, დავით ანდრიაძე

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. ქართული პლაკატი

ISBN 978-9941-494-42-0

2. გოგი წერეთელი

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2021

2. „გრაფიკის თანამედროვე ცენტრი“, თბილისი, 2021

4) გვერდების რაოდენობა

1. 344 გვერდი

2. 316 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. წიგნი წარმოგვიდგენს ქართული პლაკატის ხელოვნების ჩასახვისა და განვითარების ისტორიას XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან XX საუკუნის დასასრულამდე. გვაცნობს როგორც პოლიტიკურ და სარეკლამო ხასიათის პლაკატებს, ისე კინო-ფილმების, თეატრის და სხვა ტიპის წარმოდგენებისთვის შესრულებულ აფიშებს.

გრაფიკის ამ მონუმენტური სახეობის ისტორიულ ჭრილში განხილვა ნათლად გვიჩვენებს თუ როგორ აირეკლება მასში, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ამსახველი ისტორიულ-კულტურული მოვლენები.

უხვად ილუსტრირებული გამოცემის ვიზუალური გაცნობაც კი საკმარისია, რომ ცხადად დავინახოთ პლაკატის როლი ჩვენს ცხოვრებაში, თვალწინ წარმოგვიდგება ისტორიის მსვლელობის თანმიმდევრული თხრობა. აშკარა ხდება გრაფიკული ხელოვნების, ამ ერთ-ერთ წამყვანი სახეობის ადამიანზე ზემოქმედების ძალა, ასევე ის თუ როგორ მძლავრ იარაღს წარმოადგენდა იგი პოლიტიკური ვითარების შესაბამისად მასების „დასამოძღვრად“.

1920-30-იანი წლების პლაკატების მთავარი *მესიჯი* საბჭოთა კავშირისათვის საჭირო იდეოლოგიის დამკვიდრება იყო.

1940-იან წლებში ქართული პლაკატი მეორე მსოფლიო ომის პრობლემატიკითაა დატვირთული და მაღალ პროფესიულ დონეზეა წარმოდგენილი. შესაბამისად მას წამყვანი ადგილი უკავია ომის თემაზე შექმნილ რუსეთისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების პლაკატებს შორის.

1950-იანი წლების დასაწყისიდან მისი განვითარების ტემპი შენელდა და ხარისხობრივი დონეც დაეცა. ამ პერიოდში შექმნილი პლაკატები მათზე დატანილი ლოზუნგებითა და დიქტატორული ხასიათის ნახატებით, ტოტალიტარული სახელმწიფოს მიერ ადამიანთა „ზომბირების“ მძლავრ საშუალებად სრულიად შეგნებულად იქნა გამოყენებული.

მნიშვნელოვანი გარდატეხა და რადიკალური ცვლილება ქართული სარეკლამო ხელოვნების განვითარების ისტორიაში 1958 წელს, მოსკოვში ჩატარებული ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადისათვის შესრულებულმა აფიშებმა განაპირობა. ისინი მაქსიმალურად *პასუხობენ* რეკლამის ფუნქციას. ნამუშევრები ლაკონიურია, ყოველგვარი ზედმეტი დეტალიზაციის გარეშე, ძირითადი გამომსახველობა შრიფტით და ფერითაა მიღწეული.

1950-იანი წლების ბოლოს მოპოვებული წარმატება 1960-იან წლებშიც იქნა შენარჩუნებული. ამ დროს, პოლიტიკური პლაკატის პარალელურად, წამყვანი ადგილი სარეკლამო-სააფიშო ხელოვნებამ დაიკავა.

1970-იანი წლების აფიშების ხელოვნებაში შეიმჩნევა კიდევ უფრო მეტი მისწრაფება ნახატის გამარტივებისკენ. ხდება ლაკონიზმის, შრიფტის, ფერის როლის გაძლიერება და გამომსახველობის მაქსიმალური გამძაფრება. 1970-1980-იან წლებში ასევე აქტიურად ვითარდება პოლიტიკური პლაკატიც. 1989 წლის 9 აპრილისა და მის შემდგომ წლებში საქართველოს ისტორიაში განვითარებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა, როგორც ხელოვნების ყველა სხვა დარგის, ისე პლაკატის განვითარების პროცესიც შეანელა. 1990-ანი წლებიდან კი პოლიტიკური პლაკატი, ქვეყანაში მრავლად არსებული პარტიების საარჩევნო მარათონში ჩაერთო.

XX საუკუნის დასასრულისკენ მდგომარეობა თანდათან შეიცვალა და პლაკატის ხელოვნებასაც სახვითი ხელოვნების სხვა დარგებთან ერთად ნელ-ნელა გამოცოცხლება დაეტყო. უფრო მეტიც - თანამედროვე ციფრულმა ტექნოლოგიებმა, მას წინანდელზე ფართო განვითარების შესაძლებლობებიც კი მისცა.

2. წიგნი წარმოგვიდგენს თანამედროვე ქართული გრაფიკული ხელოვნების ერთ-ერთი წამყვანი ოსტატის გოგი წერეთელის შემოქმედებას (ტექსტი ქართულ და ინგლისურ ენებზე).

წიგნის ტექსტუალური ნაწილი მოიცავს თავად მხატვრის მიერ სხვადასხვა წლებში განხორციელებულ ჩანაწერებს, რომელიც დოკუმენტურად ასახავს მის შემოქმედებით ცხოვრებას.

ავტორთა მიერ წარმოდგენილია მისი შემოქმედების კვლევა და არჩეული ნოვატორული გზა (უილიამ მეილანდი) გამოკვეთილია მხატვრის როლი ზოგადად ქართული გრაფიკული ხელოვნების, ძირითადად კი წიგნის გრაფიკისა და ექსლიბრისის განვითარებაში (მარიამ გაჩეჩილაძე) და მასთან დაახლოებული ადამიანების მიერ დაფიქსირებული პიროვნული და შემოქმედებითი ცხოვრების ამსახველი მოგონებები (ვახტანგ ჯავახაძე, ლერი ალიმონაკი, მიხო მოსულიშვილი, დავით ანდრიაძე).

წიგნს ახლავს სრულყოფილი აპარატი რომელიც მოიცავს მხატვრის ბიო-ბიბლიოგრაფიას და მის მიერ გაფორმებული წიგნების ნუსხას (შემდგენელი მარიამ გაჩეჩილაძე)

- გოგი წერეთელი XX საუკუნის სამოც-სამოცდაათიანელთა თაობის ქართველ გრაფიკოს მხატვართა შორის განსაკუთრებული ადგილი აქვს დამკვიდრებული.

გოგი წერეთელი 1964-1972 წლებში სწავლობს თბილისის სამხატვრო აკადემიის დაზგური გრაფიკის ფაკულტეტზე. მისი იყვნენ ქამყვანი ქართველი გრაფიკოსები ლადო გრიგოლია, სერგო ქობულაძე და ლადო ქუთათელაძე, თითოეულმა მათგანმა

თავისი წვლილი შეიტანა მის აღზრდაში. სტუდენტობის წლებიდანვე იღებს მონაწილეობას გამოფენებში და მაშინვე შესამჩნევი ხდება, რომ იგი თავისი თაობის ერთ-ერთ გამორჩეულ ხელოვანად ყალიბდება.

აკადემიის დასრულების შემდეგ სამი წელი დაყო სერგო ქობულაძის მიერ დაარსებულ „გრაფიკის შემოქმედებით სახელოსნოში“. მოგვიანებით, გარკვეული დროის მანძილზე, გოგი წერეთელი თავადვე უძღვებოდა და აგრძელებდა თავისი მასწავლებლის დაწყებულ საქმეს.

გოგი წერეთელს თავისი განსაკუთრებული ხელწერა აქვს შემუშავებული. მხატვრის შემოქმედება თანაბარწილად მოიცავს დაზგურ და წიგნის გრაფიკას, ქმნის ექსლიბრისებსაც.

მისი ადრეული გრაფიკული სერიები ლირიზმითა და პოეტურობით გამოირჩევა. 1990-იან წლებში იგი ძირითადად ნახატის აბსტრაგირების ხერხს მიმართავს. დაზგურ გრაფიკაში მრავალფეროვანია მისი ტექნიკა: ოფორტი, ლინოგრაფიურა, ლითოგრაფია...

სტუდენტობის წლებიდანვე მხატვრულ ცხოვრებაში ჩაბმული ხელოვანი, თბილისის სამხატვრო აკადემიის დამთავრებიდან სიცოცხლის ბოლომდე უწყვეტ შემოქმედებით მოღვაწეობასთან ერთად ქართველ გრაფიკოსთა თაობების აღზრდასაც ემსახურებოდა.

მხატვარმა შემოქმედების ოთხ ათეულ წელზე მეტი ხნის მანძილზე ბევრ წარმატებას მიაღწია - იყო საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს დამსახურებული მხატვარი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორი.

6.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1)ავტორი/ავტორები

მარიამ გაჩეჩილაძე

2) სტატიის სათაური ISSN

მალხაზ კუხაშვილი

ISSN 1512-4088

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

Ars Georgica, სერია B, 2021 წელი (II ნაწილი)

<http://georgianart.ge/> (ელექტრონული გამოცემა)

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი

7 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მხატვარი-გრაფიკოსი მალხაზ კუხაშვილის შემოქმედებითი ცხოვრება 1960-იანი წლების ბოლოდან იწყება და დღემდე აქტიურად და უწყვეტად ვითარდება. მისი შემოქმედება მხოლოდ გრაფიკული ხელოვნების ფარგლებში არ ჩატეულა, მხატვარმა არანაკლები წვლილი შეიტანა კინოსა და ტელევიზიის მხატვრობის ისტორიაში. იგი არის რამდენიმე ათეული მხატვრული, მუსიკალური და დოკუმენტური ფილმის, ასევე, რუსთაველის თეატრის სპექტაკლების მხატვარი.

ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში, 1968 წლიდან, იგი მუშაობას იწყებს საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიაში. 1982-1993 წლებში კი ტელევიზიის მთავარი მხატვრის პოზიცია უკავია. პარალელურად ასწავლის სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტზე, ამავე სასწავლებელში, 2000 წლიდან *ტელე-კინო* სახელოსნოში მუშაობს პედაგოგად და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტზეც ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. 1968 წლიდან დღემდე აქტიურად მონაწილეობს გამოფენებში, როგორც საქართველოში ასევე, საზღვარგარეთ. არის საქართველოს მხატვართა კავშირისა და კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი. მალხაზ კუხაშვილი არის რამდენიმე ასეული დაზგური ნამუშევრის ავტორი, გაფორმებული აქვს როგორც საბავშვო, ასევე, სხვადასხვა შინაარსის ნაწარმოებები, იქნება ეს რომანი - დეტექტიური თუ ისტორიული, ასევე სამეცნიერო ხასიათი წიგნები.

მხატვრული შრიფტითა და დეკორის ელემენტების ჰარმონიული შერწყმით ქმნის სრულყოფილ წიგნის მაკეტებს, ასევე, ილუსტრაციებით ასურათხატებს მრავალ ნაწარმოებს. გარდა წიგნის გრაფიკისა, იგი არის რამდენიმე მნიშვნელოვანი პლაკატისა და გრაფიკის მინიატურული სახეობის ექსლიბრისის ავტორი. განსაკუთრებული წვლილი, მალხაზ კუხაშვილს, საბავშვო საჟურნალო და წიგნის მხატვრობაში აქვს შეტანილი.

მალხაზ კუხაშვილი შემოქმედებით ასპარეზზე გამოსვლისთანავე, 1968 წლიდან აქტიურად ებმება ჟურნალ „დილას“ მხატვრობაში და 2000-იან წლებში გამოცემული ჟურნალის ნომრებსაც გაფორმებასაც ახდენს. მხატვარი საოცარი პასუხისმგებლობით ეკიდება მოზარდთათვის განკუთვნილი მოთხრობებისა თუ ლექსების ილუსტრირების საქმეს. ცდილობს, ჩასწვდეს ბავშვის ბუნებას და ტექსტთან ერთად, შეხამებული ილუსტრაციით ადვილად მისაწვდომი გახადოს ლექსისა თუ სხვადასხვა ტიპის ნაწარმოების შინაარსი, მიიზიდოს ბავშვის ყურადღება, შეაყვაროს კითხვა, გაუღვიძოს ცოდნისადმი წვდომის სიყვარული. გარდა ჟურნალ „დილისა“, მალხაზ კუხაშვილს ძალზე ბევრი საბავშვო წიგნიც აქვს გაფორმებული. ის მიდგომა, რაც საბავშვო ჟურნალში ვლინდება, მხატვრის მიერ საბავშვო წიგნის გაფორმების წლების მანძილზე განხორციელებულ ნიმუშებსაც გასდევს. ხშირად, მხატვარი, წიგნის მთელ მაკეტს აფორმებს - ყდიდან, ფორზაციდან და ტიტულიდან დაწყებული, თითოეული ფურცლის მხატვრობით, წიგნის გვერდების მოვარაყებითა თუ საზედაო ასო-ნიშნებითა და თავსართ-ბოლოსართების შემკულობით, ილუსტრაციების ჩართვით დამთავრებული. მხატვარი მარტო საბავშვო წიგნების გაფორმებას არ უდგება

ასეთი მაღალი პასუხისმგებლობითა და სიყვარულით. თუნდაც, თვალი შევავლოთ ბალადის: „ლექსი ვეფხისა და მოყმისა“ მხატვრულ გაფორმებას (შესრულებულია 1995 წელს)

მალხაზ კუხაშვილი განსაკუთრებული სიფაქიზითა და სიყვარულით უდგება ქართული ანბანის ასო-ნიშნების მოხაზულობის ფორმათა მხატვრულად შესრულებას, ასევე, წიგნისთვის „ძველი თბილისი“ შესრულებულ ილუსტრაციებში თბილისური ყოფისთვის დამახასიათებელ სცენების წარმოდგენას, ეროვნული სამოსისა თუ მახასიათებელი ტიპაჟების გამოსახვას.

განსაკუთრებულია მალხაზ კუხაშვილის მიერ შეტანილი წვლილი თანამედროვე ქართული ექსლიბრისის ხელოვნების განვითარებაში. მხატვარმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს წიგნის მოყვარულთა საზოგადოების ინიციატივით გამართულ გამოფენებში, რომლებიც 2002, 2006 და 2009 წლებში შედგა. ხელოვანმა ამ მინიატურულ კომპოზიციებში, ექსლიბრისისათვის აუცილებელი ლაკონიური ენით, მინიმალური მიმანიშნებელი ელემენტებით გამოხატა თითოეული წიგნის ნიშნის მფლობელის პროფესიული თუ პირადი ინტერესები, აგრეთვე, გარეგნული მახასიათებელი ნიშნები. ავტორმა ნათლად აღსაქმელი, მარტივი ელემენტებისგან შედგენილი მკაფიო ნახატი, ინდივიდუალურად გადაწყვიტა ყველა მათგანის ხასიათისა თუ შინაგანი სამყაროს, ინტერესთა სფეროსა თუ გარეგნული მსგავსების გამოხატვის ძირითადი მახასიათებლები.

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

მარიამ გაჩეჩილაძე

2) მოხსენების სათაური

მხატვარ მალხაზ კუხაშვილის გამოყენებითი გრაფიკა

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

თბილისი, 2021 წლის 24-26 ნოემბერი. გ. ჩუბინაშვილის ცენტრი. გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დაარსების 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია: ქართული ხელოვნება: აღქმა, ინტერპრეტაცია, კონტექსტი“

კონფერენცია ჩატარდა ონლაინ რეჟიმში. ჩანაწერი იხ.:

<https://www.facebook.com/ChubinashviliCentre/videos/312197660906728>

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

მასალა მომზადებულია გამოსაქვეყნებლად. განთავსდება - გ.ჩუბინაშვილის.სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის ელექტრონულ ჟურნალში “ARS GEORGICA”, ნაწილი II.

სამსონ ლეჟავა

2. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიხედვით

დავით კაკაბაძე და ხალხური ხელოვნება

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

2021-2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მიხედვით)

სამსონ ლეჟავა (მკვლევარი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

გარდამავალი პროექტი „დავით კაკაბაძე და ხალხური ხელოვნება“ - ნაშრომის ამოცანაა გამოკვეთოს დავით კაკაბაძის ხელოვნების როლი და ადგილი.

დავით კაკაბაძე XX საუკუნის მიწურულში, თავდაპირველად, ქუთაისში გადასვლამდე, იზრდებოდა იმერეთში, სოფლის გარემოცვაში, ეკოლოგიურად სუფთა გარემოში, რომელიც დიდწილად მაინსპირირებელი იყო მისი შემოქმედებისა. ის არა მხოლოდ თეორიულად შეისწავლიდა და აფიქსირებდა ხალხურ ხელოვნებას, არამედ კოლექციასაც ქმნიდა ეთნოდიზაინის ნიმუშებისა. გადამწყვეტი კი მაინც ის არის, რომ დავითის შემოქმედების შინაგანი პრინციპები და ხალხური ხელოვნების წყობის კანონზომიერებანი ურთიერთშეხმობილია. მაგ. მასთან აშკარად ჩანს ოდის მკაფიო ტექტონიკის, ნათელი აღნაგობის, გამონაკვეთულობის, მაღალი რანგის სიმწყობრის მახასიათებელთა ღრმა მონათესავე მიდგომა, ჩენილი „მინიმალიზმში“, თავისებურ „კლასიკურობაში“, ფორმალისტულში, განსრულება-დინამიკის ერთობლიობაში. ეჭვს არც იწვევს მის იმერულ ლანდშაფტთა და მაგ. თუშური ფარდაგის სადა გეომეტრიზმის ურთიერთმცნობელობა, რაც მისსავე მოგონებებშიც არის ფიქსირებული, რაც ამ შემთხვევაში. თუშურთან არდაცილებული ხევისურული ფარდაგის ანალიზისას გაცხადდა. აქ დავითი, პ. კლექს ანალოგიურად, ტრადიციულ ტექსელს ძალიან აქტუალურად მიიჩნევს სივრცითი აგების პოზიციებიდან და თვლის არსებითად XX საუკუნის ხელოვნებისთვის, მისი სივრცითი კონცეფციისთვის. ამას გარდა, ხაზგასასმელია მისი ერთადერთი ნატურმორტი, რომლის „პროტაგონისტებია“ ქართული საღვინე ჭურჭლის ნიმუშები, სარცხი და ხაპი - ტრადიციული ღვინის კულტურის ატრიბუტები, რომელნიც გულვებულია მარნის სივრცეში. მათში სისადავე, მონუმენტურობა და სტატიკა დინამიკის შთამბეჭდავი ბალანსია ჩენილი.

მთლიანობაში, ზემოაღნიშნული მიმართების ანალიზი ხასიათდება ერთი მხრივ - კონკრეტულ არტეფაქტებზე დაფუძნებით, მეორე მხრივ ჯი - „არქეტიპების“ თეორიის კვალობაზე. კვლევის პროცესი აშკარად მიმდინარეობს,

2.2. არაპროგრამული ადგილობრივი გრანტით დაფინანსებული პროექტები

1) გარდამავალი პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

XX საუკუნის ქართული ქანდაკება

პროექტი ხორციელდება საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დაფინანსებით

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2) პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

2021-2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. მარიამ გაჩეჩილაძე (პროექტის ხელმძღვანელი)

2. სოფიო ჩიტორელიძე (მკვლევარი)

3. ცისია კილაძე (მკვლევარი)

4. სამსონ ლეჟავა (მკვლევარი)

5. მარინა მემძარიაშვილი (მკვლევარი)

6. დალი ლებანიძე (მკვლევარი)

7. ნანა მირცხულავა (მკვლევარი)

8. ნინო ჭინჭარაული (მკვლევარი)

9. თემურ ქანთარია-ჯაბადარი (მკვლევარი)

10. მარიანა ოკლეი (მკვლევარი)

გარდამავალი კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ანოტაცია იხ. პროექტის ხელმძღვანელის, მარიამ გაჩეჩილაძის ანგარიშში

3. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

3.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

მემორიალური ძეგლები XVIII-XIX საუკუნეების საქართველოში

6. ჰუმანიტარული მეცნიერებები

6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

7. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები

HE-18-339

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

26.07.2018 - 25.02.2022 (ვადაგაგრძელებული)

- 3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
 1. ეკატერინე კვაჭატაძე (პროექტის ხელმძღვანელი)
 2. გიორგი პაპაშვილი (კოორდინატორი)
 3. მანონ ლილუაშვილი (ძირითადი პერსონალი)
 4. ნოდარ არონიშვილი (ძირითადი პერსონალი, ახალგაზრდა მეცნიერი)
 5. სამსონ ლეჟავა (ტექსტის რედაქტორი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ანოტაცია იხ. პროექტის ხელმძღვანელის, ეკატერინე კვაჭატაძის ანგარიშში

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

6.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

სამსონ ლეჟავა

2) სტატიის სათაური, ISSN

1. დავით კაკაბაძე და კოლხური ოდა-სახლი

ISSN 1512-4088

2. ნიკო ფიროსმანაშვილი და ძველი აღმოსავლეთის ხელოვნება

ISSN 1512 - 0899

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. Ars Georgica, სერია B, 2021 წელი (I ნაწილი)

<http://georgianart.ge/> (ელექტრონული გამოცემა)

2. ACADEMIA. 8-9 (2020-2021)

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი

2. თბილისი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

5) გვერდების რაოდენობა

2. 5 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ტექსტი იხ. შემდეგ ბმულზე

<http://georgianart.ge/index.php/ka/component/content/article/263.html?ed=22>

2. ტექსტი იხ. შემდეგ ბმულზე

<https://drive.google.com/file/d/1XEOxGgTvCFb3dWHSDJYLsfBPYn8GpPZD/view>

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

სამსონ ლეჟავა

2) მოხსენების სათაური

დავით კაკაბაძე და კოლხური ოდა სახლი

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

2021 წლის 24-25 მაისი, გიორგი ჩუბინაშვილის ცენტრი. სამეცნიერო კონფერენციის: დავით კაკაბაძე, ხელოვნება და სივრცე (მხატვარი, მოაზროვნე, მეცნიერი), ორგანიზატორი სამსონ ლეჟავა

მოხსენება გამოქვეყნებულია ჟურნალში ACADEMIA, # 8-9

ტექსტი იხ. შემდეგ ბმულზე

<https://drive.google.com/file/d/1XEOxGgTvCFb3dWHSDJYLsfBPyN8GpPZD/view>

მარინა მეძმარიაშვილი

2. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიხედვით

1. მხატვარი ვასილი შუხაერი საქართველოში

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2. ჩუბინაშვილი ცენტრში დაცული მხატვარ სერგო ქობულაძის არქივის დამუშავება

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 2021-2023

2. 2016-2021 (პროექტი საჭიროებს გაგრძელებას, მასალის სიუხვისა და სირთულის გამო).

პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. მარინა მემმარიაშვილი (მკვლევარი)

2.

მარიამ გაჩეჩილაძე (პროექტის ხელმძღვანელი)

(მასალის დასკანერება, შესწავლა-კლასიფიკაცია-გაანალიზება, არქივიზაცია)

სოფიო ჩიტორელიძე (მკვლევარი)

(მასალის დასკანერება, შესწავლა-კლასიფიკაცია-გაანალიზება)

მარინა მემმარიაშვილი (მკვლევარი)

(ხელნაწერი ტექსტის გაშიფვრა-გაანალიზება, თარგმნა (რუსულიდან-ქართულად)

დალი ლებანიძე (მკვლევარი)

(ხელნაწერი ტექსტის გაშიფვრა-გაანალიზება, თარგმნა (რუსულიდან-ქართულად).

2.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. 2021 წლის მანძილზე ვმუშაობდი მხატვარ ვასილი შუხაევის შესახებ არსებული მასალის შესწავლაზე: შევისწავლე საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდებში არსებული ვ. შუხაევის ნამუშევრები. გავეცანი ნაშრომებს მხატვრის შესახებ: И. Мямлин. Василий Иванович Шухаев. Лен. 1972; Н. Элизбарашвили. В. Шухаев. Жизнь и творчество. М. 2010

დავწერე მხატვრის ბიოგრაფია და განვიხილე მისი მოღვაწეობის ორი ეტაპი, პირველი რუსეთში, მეორე საფრანგეთში.

ვ. შუხაევი სწალობდა რუსეთში, მოღვაწეობა გააგრძელა ჯერ ფინეთში შემდგომ საფრანგეთში, იმ პერიოდში შეასრულა მრავალი ფერწერული ტილო: პორტრეტები, ნატურმორტები, პეიზაჟები.

ფანქარით შეასრულა პორტრეტების ვრცელი გალერეა აგრეთვე საფრანგეთში მუშაობდა თეატრალურ ხელოვნების დარგშიც. პარიზში ყოფნის დროს დაუმეგობრდა იქ მყოფ ქართველ მხატვრებს, დ. კაკაბაძეს, ლ. გუდიაშვილს და ე. ახვლედიანს. 1936 წელს დაბრუნდა რუსეთში. 1937 წელს ვ. შუხაევი იყო რეპრესირებული და 1947 წლამდე იმყოფებოდა მაგადანში. 1947 წლიდან ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საქართველოში. ამ პერიოდს შევისწავლი და განვიხილავ შემდგომში.

2 ანოტაცია იხ. პროექტის ხელმძღვანელის, მარიამ გაჩეჩილაძის ანგარიშში

2.2. არაპროგრამული ადგილობრივი გრანტით დაფინანსებული პროექტები

1) გარდამავალი პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

XX საუკუნის ქართული ქანდაკება

პროექტი ხორციელდება საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დაფინანსებით

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2) პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები
2021-2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. მარიამ გაჩეჩილაძე (პროექტის ხელმძღვანელი)
2. სოფიო ჩიტორელიძე (მკვლევარი)
3. ცისია კილაძე (მკვლევარი)
4. სამსონ ლეჟავა (მკვლევარი)
5. მარინა მემმარიაშვილი (მკვლევარი)
6. დალი ლებანიძე (მკვლევარი)
7. ნანა მირცხულავა (მკვლევარი)
8. ნინო ჭინჭარაული (მკვლევარი)
9. თემურ ქანთარია-ჯაბადარი (მკვლევარი)
10. მარიანა ოკლეი (მკვლევარი)

გარდამავალი კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ანოტაცია იხ. პროექტის ხელმძღვანელის, მარიამ გაჩეჩილაძის ანგარიშში

ლალი ანდრონიკაშვილი

1. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმა)

1) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

2020-21 წლებში თბილისის ისტორიულ ცენტრში მიმდინარე და დაგეგმილი ურბანული პროექტების განხილვა-ანალიზი (მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოში მუშაობის და სახელოვნებათმცოდნეო კვლევების შედეგების მიხედვით). ა) გუდიაშვილის მოედნის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის პროექტი, ბ) თბილისში არსებული ტექნიკურ-სამრეწველო დანიშნულების ობიექტების რეკონსტრუქციის პროექტების კვლევითი ნაწილი: თბილისის №1 ღვინის ქარხანა, პეტრიაშვილის ქ. №1; ყოფილი „თბილთბოელექტროსადგური“, დ. აბაშიძის ქ. №10 და №1 პურის ქარხანა, ჩუბინაშვილის ქ. №55.

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორია, არქიტექტურული დიზაინი)

2) პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები
2020-2021

3) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
ლალი ანდრონიკაშვილი (მკვლევარი)

**კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)**

ა) თბილისის ისტორიულ ცენტრში 2020-21 წლის განმავლობაში მიდინარე და დაგეგმილი მსხვილი სარეაბილიტაციო, თუ ურბანული პროექტების შესწავლა, გაანალიზება და ქალაქის შემდგომი განვითარებისთვის მათი მნიშვნელობის შეფასება აუცილებელია დედაქალაქის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და რევიტალიზაციისათვის. უკანასკნელი წლების განმავლობაში თბილისის მუნიციპალიტეტთან არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოში მუშაობამ და პარალელურად ამავე სფეროში კვლევითმა საქმიანობამ განაპირობა წარმოდგენილი წლიური თემის შინაარსი.

2020-21 წლის განმავლობაში ქალაქის ისტორიულ ცენტრში დაიგეგმა და განხორციელდა მთელი რიგი პროექტებისა, რომელთა ინიციატორი იყო როგორც თბილისის განვითარების ფონდი, ასევე კერძო ინვესტორი. ყველა ეს პროექტი განხილული იყო ზემოხსენებული საბჭოს მიერ და ხანგრძლივი შესწავლისა და რეკომენდაციების შემუშავების შემდგომ მიეცა დადებითი შეფასება.

მრავალი პროექტიდან გამოვყავით ქალაქისთვის მეტად მნიშვნელოვანი მსხვილი მოცულობის და არქიტექტურული ღირებულების ობიექტები:

გუდიაშვილის მოედანი - ისტორიული ექსკურსი გუდიაშვილის (ყოფ. ალავერდოვის, აბასაბადის) მოედანი ქვემო კალას უბანში ისტორიული ძეგლებით მდიდარ გარემოში მდებარეობს. გუდიაშვილის მოედანი ერთ-ერთია იმ იშვიათი მოედანებისგან, რომლებიც ძველი თბილისის ისტორიული ნაწილის ფარგლებში არსებობს. უბნის ეს ნაწილი ქვემო კალას და სოლოლაკის მიჯნაზე მდებარეობს, რაც კარგად იკითხება ისტორიულ რუკებზე. სწორედ აქ ერწყმის ერთმანეთს შუასაუკუნეებრივი თბილისის კლასიკური ქუჩათა ქსელი უკვე XIX ს-ში, საიმპერიო მმართველობის დროს დაგეგმარებულ სწორხაზოვან ქუჩათა ქსელს.

გუდიაშვილის მოედნის განაშენიანების უმეტეს ნაწილს კულტურული მემკვიდრეობის ღირებულების აღმნიშვნელი სტატუსი აქვს, რაც განპირობებულია ამ ძველთბილისური შენობების განსაკუთრებულად სახასიათო, მრავალმხრივი არქიტექტურული ღირებულებით. დანარჩენი შენობები ფონური განაშენიანების ნიშანს ატარებდა, თუმცა, უმეტესობა მათგანი დღეს დანგრეულია.

გუდიაშვილის მოედნის მიმდებარე სივრცეში რამდენიმე განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ქუჩა და ჩიხი არსებობს, რომელთა მნიშვნელობა ისტორიული ქალაქის შუაგულისთვის გადაუჭარბებლად საკვანძოა, რადგანაც ამ განაშენიანების ხილულ მიწისზედა ღირებულებასთან ერთად, თითოეული მათგანი მიწის ქვევით არსებული ერთ და ორდონიან სარდაფების სისტემებს შეიცავს, რომელთა კვლევა და შემდგომი ინტეგრირება რეაბილიტირებულ არეალში გადაუდებელი აუცილებლობაა.

ლ. გუდიაშვილის მოედნის მიმდებარე არეალში ჩატარებული საველე კვლევის

შედეგად მკაფიოდ გამოიკვეთა ზოგადად თბილისის ურბანული მემკვიდრეობისთვის დამახასიათებელი სიძველეთა შენარჩუნების მყარი ტრადიცია. არეალის საცხოვრებელი სახლების უმეტესობა ძველ ფუძეზეა დაშენებული და სარდაფის სართულში დაცულ სხვადასხვა დანიშნულების ძველ სადგომებს, ან მათ ფრაგმენტებს შეიცავს, ხოლო ის სახლები, რომლებშიც ძველი ფენები არ შემორჩა, ძირითადად ახლად გადაგეგმარებულ და გაფართოებულ ქუჩებზე ნაწილდება, სადაც, ჩანს მიწისქვეშა სამშენებლო ფენები სწორედ ამ პროცესში ჩაიჭრა და სერიოზულად დაზიანდა. გვიანი შუა საუკუნეების - XVII-XVIII სს-ის სარდაფები საპროექტო არეალის მთელ ტერიტორიაზეა გამოვლენილი; XIX ს-ის სხვადასხვა პერიოდის სახლების ქვეშ დაცული ძველი სადგომების განსაკუთრებული სიმრავლე ბ. ახოსპირელის ჩიხებში აღინიშნება, თუმცა ძველი სარდაფების საყურადღებო ნიმუშები ბ. კუფტინზე, გ. ჯიბლაძეზე, აბო თბილელზე და სხვა ქუჩებზეც მრავლად ფიქსირდება.

შეუცვლელია მდიდარი მასალის შემცველი სარდაფის სადგომების მეცნიერული მნიშვნელობა საცხოვრებლის ტრადიციული ტიპებისა და ქალაქგეგმარების დაკარგული სურათის აღდგენისას. ამავე დროს, დიდია ადამიანების თვალისგან დამალული, ინტერესის აღმვრელი, მიწისქვეშ დაცული “ძველი ქალაქის” მიმზიდველობა, რომლისთვის თანამედროვე მისაღები ფუნქციის მინიჭება ხელს შეუწყობს მათ “გაცოცხლებას” და ხელმისაწვდომს გახდის დათვალიერებას ფართო საზოგადოების მიერ. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული ზრუნვისა და დაცვის საგანს წარმოადგენს კონსერვაციის არეალის შენობების ქვეშ არსებული გვიანი შუა საუკუნეებისა და XIX ს-ის სარდაფები, რომელიც თბილისის ურბანული მემკვიდრეობის სპეციფიკურ, დიდი კულტურული-ისტორიული ფასეულობის მქონე ნაწილია. მით უფრო, რომ მათი გაჯანსაღება პირდაპირ უკავშირდება ნაგებობათა ფიზიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

გუდიაშვილის მოედნის განაშენიანების უმეტეს ნაწილს კულტურული მემკვიდრეობის ღირებულების აღმნიშვნელი სტატუსი აქვს, რაც განპირობებულია ამ ძველთბილისური შენობების განსაკუთრებულად სახასიათო, მრავალმხრივი არქიტექტურული ღირებულებით. დანარჩენი შენობები ფონური განაშენიანების ნიშანს ატარებდა, თუმცა, უმეტესობა მათგანი დღეს დანგრეულია.

გუდიაშვილის მოედნის მიმდებარე სივრცეში რამდენიმე განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ქუჩა და ჩიხი არსებობს, რომელთა მნიშვნელობა ისტორიული ქალაქის შუაგულისთვის გადაუჭარბებლად საკვანძოა, რადგანაც ამ განაშენიანების ხილულ მიწისზედა ღირებულებასთან ერთად, თითოეული მათგანი მიწის ქვევით არსებული ერთ და ორდონიან სარდაფების სისტემებს შეიცავს, რომელთა კვლევა და შემდგომი ინტეგრირება რეაბილიტირებულ არეალში გადაუდებელი აუცილებლობაა.

1. კვლევითი სამუშაოები – სამეცნიერო-სამიეზო და პრაქტიკული სამუშაოები, რომელთა მიზანის წარმოადგენდა ძეგლთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება, მათ შორის, მისი მდგომარეობის, დაზიანებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების დადგენა,

სარეაბილიტაციო ღონისძიებათა შესახებ რეკომენდაციების შემუშავება;

2. სარეაბილიტაციო სამუშაოები – ძეგლის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული, საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, ამ კანონით დადგენილი წესით ჩატარებული სამუშაოების ერთობლიობა. უძრავ ძეგლზე მისი კვლევის ან რეაბილიტაციის მიზნით ჩასატარებელია შემდეგი სახის სამუშაოები: დაზვერვა; გაწმენდა; გ) კონსერვაცია; რესტავრაცია; რეკონსტრუქცია; ვ) ადაპტაცია; ზ) უძრავი ძეგლის ცვლილება.

3. მოძრავ ძეგლზე მისი კვლევის ან რეაბილიტაციის მიზნით ჩასატარებელია შემდეგი სახის სამუშაოები: დაზვერვა; გაწმენდა; გ) კონსერვაცია; დ) რესტავრაცია.

4. არქეოლოგიურ ძეგლზე ან სხვა სახეობის ძეგლის განამარხებულ ფრაგმენტზე კვლევის ან რეაბილიტაციის მიზნით დაგეგმილია არქეოლოგიური სამუშაოები.

5. არქეოლოგიურ ძეგლზე არქეოლოგიური სამუშაოების ფარგლებში დაგეგმილია ამ კანონით ძეგლის მიმართ განსაზღვრული საკონსერვაციო, გაწმენდითი და სარესტავრაციო სამუშაოები.

6. ძეგლის დაკარგული ფორმების, ფრაგმენტებისა და ელემენტების აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ ძეგლის რესტავრაციის ან რეკონსტრუქციის აღსადგენი ფორმების, ფრაგმენტებისა და ელემენტების სრული იდენტიფიკაციის შემთხვევაში, ზუსტ მეცნიერულ მონაცემებზე დამყარებული საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე. დაუშვებელია დოკუმენტური მასალისა და სამეცნიერო კვლევის უგულებელყოფა.

7. კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სიაში შეტანილ ობიექტზე, მასზე ექსპერტიზის სრულყოფილად ჩატარების, ასევე ობიექტის ჯერ კიდევ გამოუვლენელი, ისტორიული ან კულტურული ღირებულების მქონე ელემენტების შესაძლო დაზიანების ან განადგურების თავიდან აცილების მიზნით, შესაძლებელია მხოლოდ დაზვერვითი, გაწმენდითი, არქეოლოგიური და პრევენციული კონსერვაციის სამუშაოების ჩატარება.

8. ძეგლზე სამუშაოების ჩატარების მეთოდოლოგია და წესი დგინდება მინისტრის ნორმატიული აქტით.

საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონი №528 - სსმ I, №34, 04.12.2008 წ., მუხ.212

წარმოდგენილი პროექტი - გუდიაშვილის მოედნის განაშენიანების კონსერვაცია-რესტავრაციას გულისმობს, რომელიც ერთმნიშვნელოვნად უნდა შესრულდეს დიდი გულისყურითა და სიფრთხილით. გასათვალისწინებელია შემდეგი სახის რეკომენდაციები:

9. პროექტისათვის რეკომენდირებული იყო რესტავრატორის ჩართულობა, რომელიც დეტალურად შეისწავლიდა ნაგებობების კონსტრუქციულ-არქიტექტურულ მდგომარეობას და სწორედ მის დასკვნაზე დაყრდნობით შემუშავდებოდა რესტავრაცია-კონსერვაციის პროექტი, რომელიც დაეყრდნობოდა სწორ, გამართულ სარესტავრაციო მეთოდოლოგიას;

10. ამავედროულად მნიშვნელოვანი იყო შენობების ფიზიკური მდგომარეობის შეფასება და შესაბამისი კონსტრუქციული დასკვნების მომზადება, რომელიც თანხვედრაში იქნებოდა რესტავრაცია-კონსერვაციის პროექტთან;

საბედნიეროდ შემორჩენილ საარქივო მასალაზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდა სარესტავრაციო პროექტის ძირითადი ხაზის წარმართვა. შენობების საფასადე კომპოზიცია (იგულისხმება ამჟამინდელი სურათი. XX ს-ის დასაწყისი) ძლიერ არც დაზიანებული და არც სახეცვლილი იყო და შესაბამისად, რესტავრაცია ჩაუტარდა მხოლოდ იმ დეტალებს, რომლებიც დაზიანებულია. ერთმნიშვნელოვნად არ უნდა მომხდარიყო მათი ახლით ჩანაცვლება, არამედ ფაქიზი მკურნალობითა და დელიკატური ჩარევით გადაწყდა პრობლემური უბნები.

პროექტის ფარგლებში შესწავლილ და რეკომენდირებულ იქნა აზო თბილელის ქ. №6; აზო თბილელის ქ. №2; საიათნოვას ქ. №1; გუდიაშვილის მოედანი №4, გუდიაშვილის მოედანი №9 ; ლერმონტოვის ქ. №1; ლერმონტოვის ქ. №3, რესტავრაცია-რეაბილიტაციის პროექტები, რის შედეგებს მოჰყვა გუდიაშვილის მოედნის არეალის სრული რევიტალიზაციის პროცესი.

ბ) თბილისში არსებული ტექნიკურ-სამრეწველო დანიშნულების ობიექტების რეკონსტრუქციის პროექტების კვლევითი ნაწილი: თბილისის №1 ღვინის ქარხანა პეტრიაშვილის ქ. №1; ყოფილი „თბილთბოელექტროსადგური“ - დ. აბაშიძის ქ. №10 და №13ურის ქარხანა - ჩუბინაშვილის ქ. №55; ქალაქის ტერიტორიულ ზრდა-განვითარებას თან ახლავს რეალობით განპირობებული რიგი პრობლემები. დღეისათვის ერთ-ერთ ასეთ პრობლემათა რიგს მიეკუთვნება ფუნქციადაკარგული პოსტსამრეწველო ობიექტების მომავლის განსაზღვრის საკითხი. გასული საუკუნის შუა წლებში, მრეწველობის განვითარებამ ქალაქების მოსახლეობის სწრაფი ზრდა და სამრეწველო ზონების საცხოვრებელი განაშენიანების საზღვრებში მოქცევა განაპირობა. შედეგად, საწარმოო ობიექტების უმრავლესობა მათთან კავშირის არმქონე სამოქალაქო საზოგადოებრივი და საცხოვრებელი განაშენიანებით „გარშემორტყმული“ აღმოჩნდა.

ქალაქების ცენტრში დარჩენილმა ამ საწარმოო ობიექტებმა თანდათან დაკარგეს არქიტექტურული და ქალაქთგეგმარებითი ღირებულება, რაც მათი საბოლოო დეგრადაციის მიზეზი გახდა. კვლევამ გვიჩვენა, რომ მსოფლიოს თანამედროვე ქალაქებისათვის სხვადასხვა მიზეზით (დეინდუსტრიალიზაცია, მრეწველობის სტაგნაცია, თუ მაღალტექნოლოგიური საწარმოო პროცესების დანერგვა), წარმოქმნილი პოსტსამრეწველო ობიექტებისა და მათი ტერიტორიების დეგრადაციის პროცესი გლობალური პრობლემაა. შესაბამისად, ასეთი ობიექტებისათვის პერსპექტიული ფუნქციის განსაზღვრა და ქალაქის სტრუქტურაში მათი სწორად ინტეგრირება აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. თბილისშიაც, ისევე როგორც სხვაგან, ქალაქის განვითარება-გაფართოებას, თან მოჰყვა ადრე გარეუბნებში მდებარე სამრეწველო ობიექტების ცენტრალურ რაიონებში მოქცევა.

თბილისის ცენტრალურ რაიონებში მრავლადაა ისტორიული, კულტურული თუ არქიტექტურული ღირებულების, „ინდუსტრიული წარსულის“ მქონე და ამჟამად დეგრადირებული პოსტსამრეწველო ობიექტები. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ზოგი მათგანი ქალაქისათვის ისტორიული ეპოქის მეხსიერების ნაწილს, ან/და რომელიმე უბნისა თუ რაიონის არა მარტო მაფორმირებელ ქალაქგეგმარებით ელემენტს, არამედ მნიშვნელოვან ე.წ. „ქალაქთწარმოქმნელ ფაქტორს“ წარმოადგენს. გასათვალისწინებელია ასევე ის, რომ სხვადასხვა ტექნოლოგიური/ტექნიკური პროცესების განხორციელებისათვის განკუთვნილი

სამრეწველო ობიექტები, ამჟამად, არაერთგვაროვან ფიზიკურ, მორალურ თუ ეკოლოგიურ მდგომარეობაში არიან და გარემოზე მრავალმხრივ ნეგატიურ ზეგავლენას ახდენენ. აქედან გამომდინარე, აღნიშნული საკითხი, ისტორიულ-კულტურული, არქიტექტურულ-ქალაქგეგმარებითი, ეკოლოგიური თუ სხვა ასპექტების გათვალისწინების საფუძველზე, სათანადო პროფესიულ შესწავლასა და სათანადო მიდგომას საჭიროებს. მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს აგრეთვე, იმ მეთოდებისა და გზების ძიება, რომელიც პოსტსამრეწველო ობიექტების პერსპექტიული ფუნქციის განსაზღვრასა და მათ ქალაქის სტრუქტურაში ხელახალ ჩართვას შეუწყობს ხელს.

თბილისში არსებული პოსტსამრეწველო ობიექტების რევიტალიზაციისა და ქალაქის სტრუქტურაში მათი ინტეგრირების პროცესის სწორად წარმართვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა კვლევებზე დაფუძნებული სათანადო რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება. სწორედ ასეთი კოლაბორაციის პოზიტიური შედეგია ზემოთ ჩამოთვლილი ხორცშესხმული პროექტები.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

6.2. სახელმძღვანელო

1) ავტორი/ავტორები

ლალი ანდრონიკაშვილი, თათია ღვინერია

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

პრაქტიკული სახელმძღვანელო საოჯახო სასტუმროებისათვის - საოჯახო სასტუმროების მართვა და მოწყობა რეგიონებისათვის დამახასიათებელი ისტორიული არქიტექტურული სტილისა და ელემენტების გამოყენებით.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, ZRDA ACTIVITY IN GEORGIA, „ქართული ღვინის ასოციაციის“ და USAID-ის დახმარებით.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

USAID/Zrda-მ და საქართველოს ღვინის ასოციაციამ გამოსცა პრაქტიკული სახელმძღვანელო საოჯახო სასტუმროებისათვის. გამოცემა Zrda-ს სამიზნე რეგიონებში მდებარე საოჯახო ტიპის სასტუმროებს და არა მხოლოდ მათ, დაეხმარება, ბიზნესის სწორად მოწყობასა და მართვაში.

სახელმძღვანელოს მთავარი ამოცანაა, ხელი შეუწყოს რეგიონისთვის დამახასიათებელი ტრადიციული სტილით მოწყობილი საოჯახო სასტუმროების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას. პრაქტიკული მაგალითები და რჩევები საშუალებას მისცემს ყველა დაინტერესებულ პირს, შეინარჩუნოს ტრადიციული ელემენტები და აირჩიოს საოჯახო სასტუმროს შექმნისა და განვითარების ინოვაციური მიდგომები.

სახელმძღვანელოს სახელოვნებათმცოდნეო ნაწილი ეხება საქართველოს რეგიონებში საერო არქიტექტურის მიმოხილვას და პრაქტიკული რეკომენდაციების ნაწილს რეგიონების მიხედვით საოჯახო ტიპის სასტუმროების არქიტექტურული სტილის შემუშავებისთვის.

სახელმძღვანელო მოიცავს ისტორიულ-არქიტექტურულ ექსკურსს ახმეტის მუნიციპალიტეტის, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეს (ზუგდიდი, წალენჯიხა), სამცხე-ჯავახეთის (ახალციხე, ნინოწმინდა, ახალქალაქი, ასპინძა, ადიგენი, ბორჯომი) შენობა-ნაგებობების ტიპოლოგიას ისტორიულ და კულტურულ ჭრილში.

ელენე თუმანიშვილი

2.პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

ქართული სათეატრო მხატვრობის ძირითადი ტენდენციები (1900-1970 წწ.)

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

2021 -2024

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

ელენე თუმანიშვილი (მკვლევარი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

საკვლევი თემისთვის დამუშავდა XIX ს-ის 90-იანი წლებისა და XX ს-ის 10-20-იანი წლების პერიოდიკა (“დროება”, ცნობის ფურცელი”, “სახალხო გაზეთი”, “თეატრი და ცხოვრება”, “ივერია” და სხვ.), სადაც მოცემულია ამ პერიოდის სასცენო ხელოვნების როგორც ზოგადი დახასიათება, ასევე, მის შესახებ თეორიული მსჯელობა, გარდა ამისა, მხტვრული გაფორმების კუთხით, სპექტაკლებიდან აღებული სცენების კონკრეტული აღწერაც.

ბევრია დაწერილი იმის თაობაზე, თუ როგორ დააარსა 1850 წ. ქართული თეატრი გამოჩენილმა ქართველმა დრამატურგმა გიორგი ერისთავმა; ასევე, სამოყვარულო დასებზე, შინაურ თუ საზოგადო წარმოდგენებზე, რომლებიც ჯერ კერძო სახლებში, შემდგომ კი – სხვადასხვა კლუბში იმართებოდა; თუ როგორ ჩამოყალიბდა 1879 წ. მუდმივი თეატრის დასი (რომელშიც შედიოდნენ იქამდე სამოყვარულო სპექტაკლებში მონაწილე მსახიობები: ბაბო ავალიშვილი, მაკო საფაროვა, ნატო გაბუნია, ვასო აბაშიძე, კოტე ყიფიანი, კოტე მესხი, ავქსენტო ცაგარელი და სხვანი), რომლის საფუძველზეც, ამავე წელს, მოხდა ქართული პროფესიული თეატრის აღდგენა. მას ხელმძღვანელობას უწევდა ქართული

დრამატული საზოგადოება, ხოლო, მხატვრულ ხელმძღვანელ-რეჟისორებად სხვადასხვა დროს იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, დავით ერისთავი, გიორგი თუმანიშვილი. მსახიობებიდან კი – კოტე მესხი და, განსაკუთრებით, ვასო აბაშიძე; თუ როგორ აღზევდა ამ პერიოდში ქართული დრამატურგია: განსაკუთრებით კი – ისტორიულ-პატრიოტული შინაარსის პიესები (აკაკი წერეთლის “თამარ ცხიერი” და “პატარა კახი”, ალექსანდრე ყაზბეგის “ქეთევან-წამებული”), რომელთა შორისაა ვ. სარდუს “ფლანდრიის” სიუჟეტის მიხედვით დავით ერისთავის მიერ შექმნილი განსაკუთრებით პოპულარული პიესა “სამშობლო”.

ყოველივე ეს მოწმობს, თუ რაოდენ დიდი იყო ქართული საზოგადოების მოთხოვნა და ინტერესი თეატრისადმი, რაოდენ დიდი მნიშვნელობისა იყო მისთვის სცენაზე ნანახი და სცენიდან თქმული.

ეს მეტად მნიშვნელოვანი პერიოდი გამოირჩეოდა იმით, რომ ქართული სცენა ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა პროფესიული დონის ამაღლებისაკენ. უაღრესად საინტერესოა იმის გარკვევა, თუ რას წარმოადგენდა, როგორი იყო, იმხანად, ქართული სასცენო ხელოვნება, კერძოდ, სათეატრო მხატვრობა და რა გზით, როგორ განვითარდა იგი იმ ფონზე, როდესაც XX საუკუნის დამდეგს ქართულ სცენაზე მოღვაწეობდნენ მოსკოვის სამხატვრო თეატრის სკოლაგამოვლილი ა. წუწუნავა, ამ თეატრის პრინციპების მიმდევრები კ. ანდრონიკაშვილი, მ. ქორელი და სხვ. რა შეითვისა და შემდგომ როგორ მიიღო, როგორ “გადაამუშავა” ეს ახალი თავის ყაიდაზე ქართულმა სცენამ – ამის გარკვევის საშუალებას გვაძლევს სწორედ აღნიშნული პერიოდის ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული საკმაოდ ვრცელი და საინტერესო მასალა.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

6.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

ელენე თუმანიშვილი

2) სტატიის სათაური, ISSN

რეჟისორის მხატვართან მუშაობის ერთი თავისებურების შესახებ (მ. თუმანიშვილის საარქივო მასალების და სადღიურო ჩანაწერების მიხედვით)

ISSN 1512-4088

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

Ars Georgica, სერია B, 2021 (II ნაწილი)

<http://georgianart.ge/> (ელექტრონული გამოცემა)

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი

5) გვერდების რაოდენობა

8 გვერდი

რეჟისორის საარქივო მასალების და სადღიურო ჩანაწერების აქა-იქ გაბნეული მოკლე ჩანაწერები საინტერესო სურათს იძლევა, სადაც, ჩემის ფიქრით, გამოკვეთილი თავისებურება იჩენს თავს. სათეატრო ხელოვნება, სხვადასხვა დარგის ხელოვნებათა (მხატვრობა, მუსიკა, ქორეოგრაფია) კონგლომერატი, ამ ხელოვნებათა სპეციფიკას კიდევაც ინარჩუნებს და, ამასთანავე, ამ ყველაფერს უქვემდებარებს, ასე ვთქვათ, თავის “მთავარ ნაწარმოებს” – სპექტაკლს, მის შემადგენლად ხდის. ასეთ ერთობლიობაში იძერწება სპექტაკლის რთული ორგანიზმი. თანამედროვე, დღევანდელ რეჟისორულ თეატრში, რეჟისორის ხელია ამ ყველაფრის შემკვერელ-მაორგანიზებელი, მასზეა დამოკიდებული სპექტაკლის მთლიანი ჩანაფიქრი, იდეა, რეჟისორის სათქმელი. სწორედ ამიტომაც მნიშვნელოვანი, სპექტაკლის კომპონენტთაგან რას და როგორ წარმოაჩენს რეჟისორი, როგორ ააგებს თავის სპექტაკლს. სათეატრო მხატვრობა, სცენოგრაფია სპექტაკლის ერთი უძირითადესი, თუ არა წამყვანი, კომპონენტთაგანია (ცხადია, აქ არ იგულისხმება რომელიმე სრულიად ცარიელი სასცენო სივრცე, სადაც მოქმედების პირობითი გარემო მხოლოდ ილუზორულად, მაყურებლის წარმოსახვაში იბადება). ყველა რეჟისორს, ზოგადად, მხატვართან მუშაობის თავისი “სტილი” თუ “მეთოდი” აქვს, თუ არ ჩავთვლით იმ შემთხვევას, როცა რეჟისორი, საკუთარი ხედვის უქონლობის გამო, მთლიანად ეყრდნობა მხატვარს, მთლიანად უთმობს სპექტაკლის მხატვრული მხარის გააზრების ასპარეზს. კონკრეტულად მ. თუმანიშვილის შემთხვევაში კი გამოკვეთილად ჩანს, რომ საქმე გვაქვს რეჟისორის საკმაოდ ზუსტად ჩამოყალიბებულ კონცეფციასთან, საკუთარ ხედვასთან (თუ როგორ, რა გარემოში სურს, დაინახოს თავისი გმირები). მაგრამ, საყურადღებოა ის, რომ მიუხედავად ასეთი “დიქტატორული” კარნახისა, მხატვარს ყოველთვის ეძლეოდა თავისუფალი სივრცე საკუთარი იდეების განსახორციელებლად. რეჟისორს სჭირდებოდა მხატვარი-შემოქმედი და არა უბრალოდ რეჟისორული იდეების “გამხმოვანებელ-შემსრულებელი”.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად ზუსტი, კონკრეტულია რეჟისორის იდეა-ჩანაფიქრი და როგორ ხორციელდება იგი მხატვრის მიერ, სტატიაში მოყვანილია რეჟისორის ორი სპექტაკლი: 1981 წ. კინომსახიობთა თეატრში დადგმული ჟ.ბ. მოლიერის პიესა “დონ-ჟუანი” (მხატვარი გოგი ალექსი-მესხიშვილი) და 1955წ. რუსთაველის სახ. თეატრში დადგმული ლ. ქიაჩელის “ტარიელ გოლუა”, მხატვარი - დ. თავაძე. პირველ შემთხვევაში რეჟისორის მიერ კონკრეტულად დანახული და მხატვრის მიერ სრულად გაზიარებული სცენური გარემო, თავისი “გათანამედროვეებული ელემენტებით”, ორგანული აღმოჩნდა სპექტაკლის რეჟისორული ჩანაფიქრისთვის, ზუსტად მოერგო მას და სპექტაკლი შედგა. ხოლო მეორე შემთხვევაში, სპექტაკლი წარუმატებელი აღმოჩნდა, ვინაიდან რეჟისორის ხედვა მცდარი იყო და შეუსაბამო ლიტერატურული საფუძვლისა, პიესისა. მან ვერ შეძლო ეგრძნო და ჩასწვდომოდა ე.წ. ავტორისეულ “გრძნობათა ბუნებას” და მოცემულ მასალის “გრძნობათა ბუნებას” აცდენილი საკუთარი ხედვა “მოახვია თავს”. ამიტომაცაა უადრესად მნიშვნელოვანი, ჩასწვდე პიესის ავტორს, შეიგრძნო მისი განუმეორებლობა და ამ ფაქტიზე “ქსოვილის” დაურღვევლად შეეცადო, შექმნა უკვე შენი “ნაწარმოები” – შენი სპექტაკლი.

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები
ელენე თუმანიშვილი

2) მოხსენების სათაური
რეჟისორის მხატვართან მუშაობის ერთი თავისებურების შესახებ (მ. თუმანიშვილის საარქივო მასალების და სადღიურო ჩანაწერების მიხედვით)

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

24-26 ნოემბერი, თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი. გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დაარსების 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია: ქართული ხელოვნება: აღქმა, ინტერპრეტაცია, კონტექსტი“

კონფერენცია ჩატარდა ონლაინ რეჟიმში. ჩანაწერი იხ.:

<https://www.facebook.com/ChubinashviliCentre/videos/312197660906728>

თამაზ გერსამია

1. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმა)

1) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით **არქიტექტორი მიხეილ ოჰანჯანოვი**

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4 ხელოვნება (ხელოვნების ისტორიის, არქიტექტურული დიზაინი)

2) პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები
2020 – 2021

3) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
თამაზ გერსამია (მკვლევარი)

კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მიხეილ ოჰანჯანოვი იმ თბილისელ არქიტექტორთა რიცხვს მიეკუთვნება რომლებმაც მნიშვნელოვანი ღვაწლი შეიტანეს თბილისის XIX - XX საუკუნის დასაწყისის არქიტექტურის განვითარებაში. მ.ოჰანჯანოვი დაიბადა თბილისში 1870 წელს. გადმოცემით უმაღლესი სპეციალური განათლება მიიღო მოსკოვში, სტროგანოვის სასწავლებელში. თბილისში დაბრუნების შემდეგ მუშაობდა ქალაქის თვითმართველობაში ჯერ შტატგარეშე ტექნიკოსად, შემდეგ ტექნიკოსის და საუბნო არქიტექტორის თანამდებობებზე, ხოლო 1914-იდან იგი თბილისის ახალი სასაკლაოს ტექნიკური ნაწილის გამგეა. მ.ოჰანჯანოვი ეწეოდა საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც. 1906-იდან იყო მე-5 ქალთა გიმნაზიის სამეურვეო საბჭოს

წევრი, 1909-იდან კავკასიის საიმპერატორო ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილების, არქიტექტურის განყოფილების თავმჯდომარე, 1913-იდან კავკასიის "სამაცივრო საქმის" კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრი. მისი პირველი პროექტები 1898-იდან ჩნდება. ამ დროიდან მოყოლებული 1915-წლამდე მის მიერ თბილისში ბევრი საცხოვრებელი სახლი, სახაზინო, საზოგადოებრივი და სამრეწველო შენობაა აგებული. იგი ძირითადად მიმართავდა მოდერნის სტილს, რომელსაც აქტიურად ნერგავდა. კერძოდ, მისი პროექტით აშენებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პირველი კორპუსი (ყოფ. სახელმწიფო ბანკის კანტორის შენობა, 1910 წ., თანაავტორი გ.ალაჯანი); ყოფ. საქართველოს ეროვნული ბანკის შენობა ლეონიძის (ყოფ. სოლოლაკის) ქუჩაზე, 1913 წ.); მთაწმინდის რაიონის გამგეობის შენობა (ყოფ. ზუბალაშვილისეული დავრდომილთა სახლი), ძმები ზუბალაშვილების ქუჩაზე, 1902-1906 წწ.; საცხოვრებელი სახლები # 4 (1903 წ.) და #12 (ერთი ყველაზე დამახასიათებელი მოდერნული ფასადთაგანი თბილისში), 1912 წ. (თანაავტორი ი.პ.კოლჩინი), ორივე ჭონქაძის ქუჩაზე; საცხოვრებელი სახლი, # 3 კარგარეთლის ქუჩაზე, 1914 წ.; არქიტექტორის საკუთარი საცხოვრებელი სახლი მაზნიაშვილის ქუჩაზე, # 16 (1912 წ.); ზუბალაშვილების ბავშთა საავადმყოფო (არამიანცის საავადმყოფოს ტერიტორიაზე, 1913 წ.); ზაქ.ერისთავის სახლი (თაბუკაშვილის შეს., # 3, 1903 წ.), ძმები რიჩის ყოფ. კინოთეატრი "მოდერნის" შენობა, საბჭოთა ხელისუფლების დროს "კომკავშირელი" (დავით აღმაშენებლის პროსპექტი, 91, 1908 წ.), თბილისის ახალი სასაკლაო, რომელიც მნიშვნელოვანი პროექტი იყო ქალაქისათვის და წარმოადგენდა სხვადასხვა დანიშნულების შენობების კომპლექსს, რომელსაც 12,8 ჰა ტერიტორია ეკანა და სხვა. 1902-09 წლებში მ.ოჰანჯანოვი ხელმძღვანელობდა მარჯანიშვილის თეატრის (ყოფ. ზუბალაშვილისეული სახალხო თეატრის) მშენებლობას, რომლის განხორციელების დროს მან გარკვეული კორექტივები შეიტანა დამტკიცებულ პროექტში. ამ პროექტზე მუშაობისას გავცანი სპეციალურ ლიტერატურას, აგრეთვე გავცანი საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში 1890-იანი წლების დასაწყისიდან 1910-იანი წლების ჩათვლით დაცულ პრესას, სადაც მოვიპოვე გარკვეული ცნობები არქიტექტორის მოღვაწეობის შესახებ. გარდა ამისა მიუხედავად ყველასათვის ცნობილი რთული ვითარების გამო (პანდემია, კარანტინი) მოვახდინე დღეისათვის თბილისის განაშენიანებაში შემორჩენილი მ.ოჰანჯანოვის პროექტით აგებული შენობების ფოტოფიქსაცია. მაგრამ, სამწუხაროდ, იმავე მიზეზების გამო მხოლოდ ნაწილობრივ მოხერხდა გეგმით გათვალისწინებული კვლევითი სამუშაოს ჩატარება საქართველოს ეროვნულ არქივში გრაფიკული მასალის მოპოვების მიზნით. ვგულისხმობთ ჩვენი ვარაუდით არქივში დაცულ არქიტექტორის შენობა-ნაგებობების პროექტების ასლებს. გარდა ამისა, მ.ოჰანჯანოვის ცხოვრებისა და შემოქმედებითი მუშაობის შესახებ დამატებითი ცნობების მოსაპოვებლად ჩვენ მივმართეთ რუსეთის სახელმწიფო ისტორიის არქივს, რუსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო არქივს, მოსკოვის სტროგანოვის სახ. სახელმწიფო სამხატვრო-სამრეწველო აკადემიასთან არსებულ მუზეუმს, თუმცა შესაბამისი საარქივო მასალები მის შესახებ იქ არ აღმოჩნდა. აღსანიშნავია ისიც, რომ პანდემიის გამო 2020 წელს ვერ მოხერხდა არქიტექტორის დაბადებიდან 150 - წლისთავის აღნიშვნა.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

6.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1)ავტორი/ავტორები

თამაზ გერსამია

2) სტატიის სათაური, ISSN

1. არქიტექტორი ედვინ რაისი

ISSN 1512-4088

2. ერეკლე ბაგრატიონის საცხოვრებელი სახლი თბილისში, მისი მნიშვნელობა და ადგილი ქალაქის XIX საუკუნის არქიტექტურის განვითარების ისტორიაში

ISSN 1512-4088

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. Ars Georgica, სერია B, 2021 წელი (II ნაწილი)

<http://georgianart.ge/> (ელექტრონული გამოცემა)

2. Ars Georgica, სერია B, 2021 წელი (II ნაწილი)

<http://georgianart.ge/> (ელექტრონული გამოცემა)

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი

5) გვერდების რაოდენობა

1. 8 გვერდი

2. 9 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ედვინ რაისი, ეროვნებით ინგლისელი, იყო XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში მოღვაწე არქიტექტორი. მან გარკვეული კვალი დატოვა თბილისის და საქართველოს XIX საუკუნის არქიტექტურის ისტორიაში. სამწუხაროდ, მის შესახებ ჩვენ ცოტა რამ თუ ვიცოდით, ხოლო ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე ჩვენ მანამდე ვთვლიდით. ედვინ რაისი (Edwin Race) დაიბადა 1819 წელს ინგლისში. 1840-იან წლების დასაწყისში მუშაობდა ყირიმში, ალუპკაში, თავად მიხეილ ვორონცოვის (1782-1856), საყოველთაოთ ცნობილი სასახლის მშენებლობაზე როგორც ინგლისიდან მოწვეული ავეჯის ოსტატი. ალუპკის სასახლის მშენებლობის დასრულების შემდეგ ედვინ რაისმა განაგრძო მუშაობა ყირიმში, კერძოდ იალტაში, სადაც მუშაობდა არქიტექტორად საცხოვრებელი სახლების პროექტირებაზე, თუმცა ჩვენი მონაცემებით მას არ ჰქონდა ამისათვის მიღებული სათანადო სპეციალური განათლება. 1849 წელს კავკასიის მეფისნაცვალმა მ.ვორონცოვმა მოიწვია ე.რაისი სამუშაოდ თბილისში სადაც იგი დანიშნეს თბილისის საქალაქო არქიტექტორის თანაშემწედ. 1851 წლის აგვისტოში, კავკასიის მეფისნაცვლის თავად მ.ვორონცოვის ბრძანებით ე.რაისი გადაიყვანეს სამუშაოდ არქიტექტორად მეფისნაცვლის კანცელარიის საკარანტინო-საბაჟო განყოფილებაში, სადაც იგი 1857 წლამდე მუშაობდა. მისი მოვალეობა იყო ამიერკავკასიის

საკარანტინო-საბაჟო ოლქის საგუშაგოების დაპროექტება და მშენებლობა. ამასთან ერთად ე.რაისი ხიდის პროექტის ავტორია თბილისში - ახლანდელი 300 არაგველების ხიდის ადგილზე, რომელიც აშენდა 1850 – 1851 წლებში. ე.რაისის პროექტით 1850-იანი წლების დასაწყისში აშენებულია კიდევ ორი ხიდი მდ.მტკვარზე - ერთი გორთან და მეორე კი სოფელ სკრის მახლობლად. 1858 წელს ე.რაისმა გახსნა თბილისში სამშენებლო დაწესებულება უფრო სწორად სამშენებლო საწარმო "по части домашней архитектуры", რაც ჩვენი აზრით გულისხმობს ინტერიერს ე.ი. საცხოვრებელი სახლის (ბინის) მოწყობას და გაფორმებას. ფაქტიურად ეს იყო პირველი ამ ტიპის საწარმო არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს კავკასიაში. სამწუხაროდ, 1864 წლის გაზაფხულზე სამშენებლო საწარმოში მოხდა ხანძარი რომლის შედეგად იგი თითქმის მთლიანად დაიწვა უცხოეთიდან საგანგებოდ ჩამოტანილი ხელსაწყოების ჩათვლით. საარქივო მონაცემების მიხედვით ე.რაისი 1869 წელს მუშაობდა არქიტექტორად ამიერკავკასიის რვინიგზის სამმართველოში, ფოთო-თბილისის რვინიგზის მშენებლობასთან დაკავშირებით. 1873-1878 წლებში ე.რაისის პროექტით განხორციელდა ალბათ მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაგებობის საქართველოში - დადიანების სამთავრო რეზიდენციების მთავარი - დედოფლისეული - სასახლის რეკონსტრუქცია ზუგდიდში. სასახლის არქიტექტურაში იგრძნობა ნეოგოტიკის უფრო სწორად ალუპკის სასახლის გარკვეული გავლენა და ეს ალბათ არ უნდა იყოს გასაკვირი. ამავე დროს მასში არის აღმოსავლური და ქართული, ასევე რუსული არქიტექტურის ელემენტებიც. დადიანების სასახლის აშენების შემდეგ სხვა ცნობები ე.რაისის შესახებ ჩვენ არ გარვაჩნია. არ არის გამორიცხული, რომ ედვინ რაისი რომელიც იმ დროისათვის შედარებით ხანდაზმული იყო, ოჯახთან ერთად სამშობლოში, ინგლისში დაბრუნდა, სადაც, ჩვენი აზრით, შენარჩუნებული ჰქონდა გარკვეული ურთიერთობები. მიგვაჩნია, რომ ედვინ რაისი იყო XIX საუკუნის საქართველოში მოღვაწე უცხოელ (ევროპელ) არქიტექტორთაგან ერთადერთი ინგლისელი არქიტექტორი.

2. ამავე თემაზე მოხსენების მოსმენა შესაძლებელია შემდეგ ბმულზე

<https://www.facebook.com/ChubinashviliCentre/videos/312197660906728>

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

თამაზ გერსამია

2) მოხსენების სათაური

ერეკლე ბაგრატიონის საცხოვრებელი სახლი თბილისში, მისი მნიშვნელობა და ადგილი ქალაქის XIX საუკუნის არქიტექტურის განვითარების ისტორიაში

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

2021 წლის 24-26 ნოემბერი, თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი. გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დაარსების 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია: ქართული ხელოვნება: აღქმა, ინტერპრეტაცია, კონტექსტი“

კონფერენცია ჩატარდა ონლაინ რეჟიმში. ჩანაწერი იხ.:

<https://www.facebook.com/ChubinashviliCentre/videos/312197660906728>

მაია მანია

2. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიხედვით

1. შოთა რუსთაველის პროსპექტის # 54-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის (1898) სახელოვნებათმცოდნეო კვლევა

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4, ხელოვნება (ხელოვნების ისტორია, არქიტექტურული დიზაინი)

2. მარია ჯანდიერის შემოქმედება

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4, ხელოვნება (ხელოვნების ისტორია, არქიტექტურული დიზაინი)

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 2021 -2022

2. 2021-2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მიხედვით)

მაია მანია (მკვლევარი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. რუსთაველის პროსპექტის 54-ში მდებარე ორსართულიანი საცხოვრებელი XIX საუკუნის მეორე ნახევრის თბილისის მაღალმხატვრულ საცხოვრებელ შენობებს შორის ერთი ყველაზე გამორჩეულია. შენობა ძეგლის სტატუსის მქონეა.

სახლი აშენდა თავად ვასილ გაბაშვილის დაკვეთით, თბილისში მოღვაწე ცნობილი ხუროთმოძღვრის კორნელი ტატიშჩევის მიერ 1898 წელს შედგენილი პროექტით.

გაბაშვილისეული საცხოვრებელი რუსთაველის პროსპექტის მიმდებარე განაშენიანებიდან, რამდენადმე სიღრმეში, დღევანდელი მეცნიერებათა აკადემიის შენობისა და საჰაერო საბაგირო გზის ქვედა სადგურის უკან, ორმხრივ გალავნითა და საყრდენი კედლით მოზღუდულ ტერიტორიაზე დგას. ის მთავარი ფასადით საკუთარ ბაღს გადაჰყურებს, რომელშიც წრიული გეგმის, პროფილირებული სალტით დაბოლოებული, სახლის თანადროული აუზია მოწყობილი.

განაშენიანების სიღრმეში, მთაწმინდის ფერდისკენ, სახლს ეზო აქვს, რომლისკენაც იგი თბილისური სპეციფიკის მაუწყებელი, ორ სართულად განლაგებული ხის

ჭვირულმოაჯირიანი ღია აივნებითა და შუშბანდებით (პირველ სართულზე) არის მიქცეული. ეზოში მოხვედრა შენობის ტანის სამხრეთ ნაწილში გაჭრილი კამაროვანი გასასვლელი-გვირაბით არის შესაძლებელი. მთავარი ფასადის განაპირა, ჩრდილოეთ მხარეს, კი სადარბაზოში შესასვლელი პარადული კარია გაჭრილი, რომელსაც რკინის აჟურულცხაურიანი ხის კარი და რკინის აჟურული წინფრა ამკობს.

გაბაშვილის საცხოვრებელი სახლი თბილისური სპეციფიკით გამოირჩევა, მაგრამ ამავე დროს, მრავალი ნიშნით არის უნიკალური.

უმთავრესი, რაც ნაგებობას მისი თანადროული საცხოვრებელი შენობებისგან განასხვავებს, ეს მთავარი, ეზო-ბაღისკენ მიმართული ფასადის სივრცით-კომპოზიციური გადაწყვეტაა, რაც მას ტიპოლოგიურ უნიკალურობას ანიჭებს.

ევროპული არქიტექტურის რეპერტუარით ნასაზრდოები მთავარი ფასადი ნეობაროკულ ტრადიციას მისდევს. რუსტირებული პილასტრებით მონიშნულ, ნაძერწი ნიჟარებითა და ფანტასტიკური ცხოველების გამოსახულებებით მორთული, ნეო-ბაროკული ფასადის შუა ნაწილზე მდებარე, ქვის მაღალ ცოკოლზე დაყრდნობილი, ჭვირულმოაჯირიანი და ჭვირულფარდიანი, ორიარუსიანი აივანია. სწორედ აღნიშნული ხის აივნის მოწყობის კონსტრუქციული თავისებურება და მოაჯირისა და ჭვირული ფარდის აჟურული ნახატი ქმნის ტიპოლოგიურ და მხატვრულ განსხვავებულობას თბილისის სხვა სახლებისაგან, რაც განსაკუთრებით საზეიმო იერს ანიჭებს გაბაშვილისეული სახლის მთავარ ფასადს.

ხუროთმოძღვრის ალღო და აღმშენებელთა დიდოსტატობა გაბაშვილის სახლის ყველა ნაწილს ატყვია. მაგრამ ნამდვილი ნიჭის კვალი სადარბაზოს სივრცით გადაწყვეტაში, კედლების არქიტექტურულ მორთულობასა და კედლების ნაძერწობის შესრულებაშიც ჩანს. რკინის ალათებით დანაწევრებული გეომეტრიული ნახატის, ფერადი მინით შევსებული ერდო (ფარანი) სადარბაზოს სივრცეს ანათებს. მარმარილოს ფართე, 7 საფეხურიანი, პარადული და ანაკრები კონსტრუქციის თუჯის აჟურულმოაჯირიანი, მარმარილოს ორმარშიანი კიბე, სრულად ავსებს სადარბაზოს სივრცეს. პარადული შესასვლელის სივრცის საერთო აღქმისათვის მნიშვნელოვანია შესასვლელის ზღურბლზე არსებული, სავარაუდოდ ტომეტის ფერადი, კერამიკული ფილებით მოგებული იატაკის ფრაგმენტიც. მრავალი ნაძერწი ფორმით შევსებულ, კორინთული პილასტრებისა და პანოების მონაცვლეობით შექმნილ სადარბაზოს კედლების დანაწევრება სადარბაზოს სივრცეს ტექტონიკურობას ანიჭებს. სადარბაზოს კედლები განსხვავებული ტექნიკური დამუშავებისაა და სტუკოს ტექნიკის ნაძერწობასაც შეიცავს. აღწერილი სივრცის მნიშვნელოვანი მახვილი თუჯის კანდელაბრია, რომელიც სრული სახით არის შემორჩენილი. ვასილ გაბაშვილის სახლის სადარბაზოს ინტერიერი უმაღლესი მხატვრული ღირებულებისაა, რომლის ნაწილთა პროპორციული თანაფარდობა და ტექნიკური შესრულების სინატიფე ანალოგიას XIX საუკუნის თბილისის სადარბაზოებს შორის ვერ პოულობს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, რუსთაველის პროსპექტის 54-ში მდებარე კერძო საცხოვრებელი სახლი, არათუ XIX საუკუნის მიწურულის, არამედ ზოგადად XIX საუკუნის თბილისის მხატვრულ-არქიტექტურული თვალსაზრისით გამორჩეულ შენობებს შორის განცალკევებით დგას. უდაოა შენობის ურბანული მნიშვნელობაც. თბილისური სპეციფიკითა და არქიტექტურული ღირებულების მქონე საცხოვრებელი ნაგებობების ერთობლიობით შექმნილ, მთაწმინდის ფერდის ერთი კონკრეტული მონაკვეთის მიმდებარე განაშენიანებიდან იგი ამოზიდულია და მიმდებარე განაშენიანების გამოკვეთილ დომინანტად გვევლინება. მის ადგილს კი თბილისის საერო არქიტექტურის ისტორიაში უნიკალურ ტიპოლოგიასთან და თბილისურ სპეციფიკასთან შერწყმული მაღალმხატვრულობა განსაზღვრავს.

2. მარია ჯანდიერისა და მისი მეუღლის, ცნობილი არქიტექტორის გიორგი ლეჟავას სახელთან არის დაკავშირებული საქართველოსა და კავკასიის მთის არქიტექტურის მეცნიერული შესწავლა და კავკასიის უმდიდრესი არქიტექტურული მემკვიდრეობის გამოვლენა.

ჯანდიერი-ლეჟავას ნაშრომებში ნაჩვენებია ამირკავკასიის მთის არქიტექტურის უმნიშვნელოვანესი ადგილი ევროპის, აზიის, აფრიკის და ამერიკის კულტურათა განვითარების ერთიანი ჯაჭვის ფონზე.

მარია ჯანდიერი, როგორც არქიტექტურის მკვლევარი და თეორეტიკოსი ფართოდ არის ცნობილი. მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია იგი როგორც მაღალი პროფესიული კულტურის და ფართო ურბანული ხედვის არქიტექტორი. ამ მხრივ, მ. ჯანდიერის შემოქმედება არათუ ნაკლებად არის ცნობილი, არამედ სრულიად უცნობია ჩვენი პროფესიული საზოგადოებისათვის.

მ. ჯანდიერის მეცნიერული მემკვიდრეობის კიდევ ერთხელ წარმოჩენა და მის მიერ თბილისსა თუ სხვაგან აშენებული შენობების გამოვლენა, ვფიქრობ, დიდად მნიშვნელოვანია ჩვენი მეცნიერებისათვის.

პროექტის 2021 წლის ეტაპზე ჩავატარე საარქივო-ბიბლიოგრაფიული კვლევა, თბილისის სხვადასხვა არქივებსა და კერძო კოლექციებში მოვიძიე მ. ჯანდიერის მიერ შედგენილი პროექტები, ანაზომები და სხვა. ჩემს მიერ ჩატარებული კვლევა სავსეა პირობებში ნაგებობების შესწავლასაც მოიცავდა.

4. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

4.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დაფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა

კულტურული მემკვიდრეობის სიცოცხლისუნარიანი რეაბილიტაცია, თბილისის - ფარგლებში

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტრო, ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატის ტექნიკური დახმარების პროგრამა

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
2018-2021

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

ნატო ცინცაბაძე (პროექტის ხელმძღვანელი);

ლაშა შარტავა (პროექტის მთავარი არქიტექტორი);

ნინო კორმახია (არქიტექტორ-რესტავრატორი);

ნატო ცინცაბაძე, უმცროსი (არქიტექტორი);

ლელა ნინოშვილი (ფერწერის რესტავრატორი);

დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტის ფარგლებში მომზადებული კვლევა ეძღვნება თბილისის ერთ-ერთ უძველეს უბანში, ისანში მდებარე (მეტეხის შესახვევი 33, დღევანდელი სმეფე სოლომონ ბრძენის ქუჩა 33) XIX საუკუნის შუა ხანების საცხოვრებელი სახლის 2018-2021 წლებში ჩატარებულ არქიტექტურულ-ისტორიული კვლევისა და ნაგებობის რესტავრაციის პროცესში გამოვლენილ შედეგებს. ნაშრომს ერთვის საცხოვრებელი სახლისა და მისი უშუალო მიმდებარე ურბანული ქსოვილის მოკლე არქიტექტურულ-ურბანული შეფასებაც (საცხოვრებელი სახლი ძველ ისანში - მეტეხის შესახვევი 33).

ნაგებობის მხატვრულ-არქიტექტურული და ისტორიული კვლევა 2018 წლის მიწურულიდან 2019 წლის ჩათვლით მიმდინარეობდა, ძეგლზე ფიზიკური სამუშაოები კი 2018-2021 წლებს მოიცავდა. ძეგლის გახსნა, ნაგებობის კონსტრუქციული მდგომარეობის კვლევა 2019 წელს შესრულდა, რის საფუძველზეც შემდგომში მომზადდა და დამუშავდა ძეგლის რესტავრაციის პროექტი.

ისტორიულ-არქიტექტურული კვლევის შედეგად, გარდა ნაგებობის მხატვრული შეფასებისა, შენობის ცალკეული ფენების დათარიღება მოხდა. საცხოვრებელი ნაგებობაც და გეგმით ტრაპეციის ფორმის მიკრო უბანი, რომელზეც შენობა დგას, სტრატეგრაფიული თვალსაზრისით, ძალიან მდიდარი აღმოჩნდა; მისი ქრონოლოგია მოიცავს პერიოდს სავარაუდოდ XVI ს.-დან ვიდრე XX საუკუნის ჩათვლით. აღნიშნულ ურბანულ მონაკვეთზე არსებული მთავარი საცხოვრებელი სახლი და სხვა ნაგებობების სიძველე ერთი ორად ზრდის მთელის მნიშვნელობას.

ცალკე აღნიშვნის ღირსია საკვლევი შენობის ტერიტორიაზე, მისი ეზოს ფარგლებში არსებული, ეზოს ნიშნულზე დაბლა მდებარე, მიწაში ღრმად ჩასმული უძველესი ტიპოლოგიის სადგომის არქიტექტურული კვლევაც, შეფასება და დათარიღება. აღნიშნული ძველი სადგომის გახსნა და სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო პროცესი 2019 წლიდან 2021 წლის ჩათვლით გაგრძელდა.

ისნის ურბანული ქსოვილის მცირე მონაკვეთზე არსებული ორი ძეგლის (საცხოვრებელი სახლისა და ძველი სადგომის) დეტალური შესწავლა და წარმოებული სამუშაოები ემსახურებოდა ძეგლების რესტავრაცია-რეაბილიტაციას და მათ ადაპტაციას.

ორივე ძეგლზე (მთავარი საცხოვრებელი შენობა და ძველი სადგომი) სარესტავრაციო სამუშაოები 2021 წლის 9 დეკემბერს დასრულდა. ორივე ძეგლის კლასიკური რესტავრაცია შედგა.

ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით და კვლევის შედეგად გამოვლენილი მასალის გამოყენებით შეიქმნა დოკუმენტი „ტრადიციული თბილისური სახლის კონსერვაციის სახელმძღვანელო პრინციპები“.

დღეს გარემომცველი შენობების ნგრევის და მათ ადგილას მსხვილმასშტაბიანი მშენებლობების წარმოების, ისტორიულ ნაგებობებზე უკონტროლო დაშენებების და მეტეხის შესახვევის პარალელურ რუისის (დღევანდელი ვიქტორ ჯორბენაძის) ქუჩაზე 2012-2014 წწ. ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად, რამდენიმე ძეგლად მიჩნეული

ნაგებობის სრულმა სახეცვლამ, ან გაქრობამ, უძველესი ტიპოლოგიის ნაგებობების განადგურებამ, ისტორიული ურბანული ქსოვილის ხელყოფა მოახდინა.

მეტეხის შესახვევის 33 სახლის ტრადიციული მიმართებები გარემომცველ ისტორიულ განაშენიანებასთან, დარღვეულია. ყოველივე, არა მხოლოდ აკნინებს სახლის დომინანტურ მნიშვნელობას, არამედ ანადგურებს ისნის უძველეს ქუჩათა ქსოვილს და შლის ისტორიის კვალს.

მეტეხის შესახვევის 33 სახლის გადარჩენა კლასიკური რესტავრაციის გზით, ისნის უძველესი ქსოვილის რღვევის შეჩერების საწინდარია.

თეა ტაბატაძე

2.პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

დავით კაკაბაძე და ილია ზდანევიჩი. პარალელები

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

2021-2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

თეა ტაბატაძე (მკვლევარი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ნაშრომზე მუშაობის პირველ წელს დამუშავდა თემასთან დაკავშირებული ლიტერატურა, დავით კაკაბაძისა და ილია ზდანევიჩის ნამუშევრებისა და თეორიული ტექსტების ანალიზის შედეგად გამოვლინდა ამ ორი განსხვავებული ხელოვნების შეხების წერტილები, მათ ხელოვნებასა და შემეცნებაში არსებული საერთო/იგივეობრივი ნიშნები;

გამოიკვეთა 2022 წლისათვის საკვლევო თემები და მიმართულება:

- დავით კაკაბაძესა და ილია ზდანევიჩის ნამუშევრებში წრიულ-სპირალური ფორმების, წრიულ-სპირალური სტრუქტურის სემანტიკა;*
- კვლევის შედეგების ქართული მოდერნიზმის ზოგად დამახასიათებელ ნიშნებთან და თავისებურებასთან მიმართება;*

თითქმის ვერ ნახავთ ტექსტს ილია ზდანევიჩზე, რომელიც მის შესახებ არ გვატყობინებდეს რომ იგი იყო პოეტი, მწერალი, ხელოვნების თეორეტიკოსი, ისტორიკოსი, ხელოვნების ისტორიკოსი, გამომგონებელი, ავანგარდული მეჯლისების ორგანიზატორი მას ხშირად მოიხსენებენ კიდევ რენესანსულ ფიგურად. ასეთი მეორე, რენესანსული ფიგურა ჩვენს ხელოვნებაში დავით კაკაბაძეა - მხატვარი, ხელოვნების თეორეტიკოსი, ქართული ხელოვნების მკვლევარი, თეატრისა და კინოს მხატვარი, ფოტოგრაფი, გამომგონებელი. ეს

ორი, სრულიად განსხვავებული ტემპერამენტის მქონე შემოქმედი - ერთი მყარი, მეთოდური, რაციონალური აზროვნების, მეორე - ცნობილი სკანდალისტი, უფრო ირაციონალურ-ენიგმატური, მაგრამ თან ამბივალენტური ბუნების, რაციონალური, თავისი მრავალგვარი ხელოვნების მყარ სტრუქტურულ მთლიანობაში მოქცევით, სხვადასხვა პოლუსით, მაგრამ განსაკუთრებული სისრულით, კონცეპტირებულად ითავსებენ ქართული მოდერნიზმის შემეცნებასა და მხატვრულ აზროვნებას.

ილია ზდანევიჩის 1913 წელს გონჩაროვას გამოფენაზე წაკითხული მოხსენება და დავით კაკაბაძის მონაწილეობით 1914 წლის მანიფესტი „გაკეთებული სურათები“, ჩვენი ავანგარდის ისტორიაში პირველ მანიფესტებად შეიძლება ჩაითვალოს. ეს ტექსტები კიდევ იმის გამოც უნდა აღინიშნოს, რომ, ის იდეები, რომლებიც გაცხადებულად პირველად აქ ჩნდება, კაკაბაძემ და ზდანევიჩმა კი არ უარყვეს, არამედ შემდეგშიც განავრცეს და თავიანთი ხელოვნებისა მრავალმხრივი საქმიანობის საყრდენად, მყარ ღერძად აქციეს. ნაშრომში განხილულია ილია ზდანევიჩისა (ის, თუ როგორ განიცდობა მისი „ვსოჩესტვოს“ - ყველაფრობის კონცეფცია, ორკესტრული, იგივე, მრავლობითი პოეზიის თეორიით და, ბოლოს, ორკესტრული ფერწერის თეორიით სრულდება) და დავით კაკაბაძის თეორიული ტექსტები (ხელოვნების ეროვნულობისა და საყოველთაოობის, სურათის პრინციპის შესახებ, კლასიციზმისა და რომანტიზმის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის სივრცის კონცეფციები). ამ თეორიებში, ამ ორი განსხვავებული ხელოვანის იგივეობრივი ხედვა - სამყაროს ერთიანობის შეგრძნება, ჰოლისტური ხედვა მჟღავნდება, რაც თავის მხრივ, მათი შემოქმედებაში გარკვეული იგივეობრივი ნიშნებით ვლინდება:

- მხატვრული ტრადიციის, ხელოვნების ისტორიის მიმართ დამოკიდებულებაში;
 - ნამუშევრებში ხშირად განმეორებად წრიულ-სპირალური ფორმებსა (კაკაბაძის იმერეთის სერია, აბსტრაქციები, კოლაჟები ლინზებითა და სარკეებით, ილია ზდანევიჩის ტიპოგრაფია - 41 გრადუსის გამოცემები და მხატვრის წიგნები) და ნამუშევრებისა და, ზოგადად, ხელოვნების სპირალური სტრუქტურაში (დავით კაკაბაძის სერიებისა და სერიულობის სტრუქტურა, ილია ზდანევიჩის რომანებისა და პოემების სტრუქტურა);
 - სტერეოსკოპული ხედვის პრინციპზე აგებულ მხატვრულ სივრცეში;
- ეს ნიშნები, ნაშრომში, ნამუშევრების ანალიზის შედეგად არის გამოვლენილი. ანალიზის შედეგად ნაჩვენებია, ასევე, ქართულ მხატვრულ ტრადიციასთან და მხატვრულ ფორმასთან (ფართო გაგებით) მათი ხელოვნების კავშირი.

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

თეა ტაბატაძე

2) მოხსენების სათაური

დავით კაკაბაძესა და ილია ზდანევიჩის შესახებ

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

2021 წლის 24-25 მაისი, თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი

გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის სამეცნიერო კონფერენცია *ხელოვნება და სივრცე - დავით*

მოხსენების ჩანაწერი იხ. გ. ჩუბინაშვილის ცენტრის ვებ გვერდზე

მარიანა ოკლეი

2.პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

რელიგიური თემა თანამედროვე ქართულ სახვით ხელოვნებაში. (აღქმა, ინტერპრეტაცია, კონტექსტი)

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

2021-2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

მარიანა ოკლეი (მკვლევარი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

კვლევითი პროექტი „რელიგიური თემა თანამედროვე ქართულ სახვით ხელოვნებაში“ (აღქმა, ინტერპრეტაცია, კონტექსტი) ითვალისწინებს საკითხის ფუნდამენტურ კვლევას და გათვლილია ორ წელიწადზე, 2021-2022. რელიგიური თემის ინტერპრეტაციამ საკმაოდ მრავალმხრივი ხასიათი მიიღო თანამედროვე ქართულ სახვით ხელოვნებაში. ის მოიცავს სხვადასხვა დარგებს; მონუმენტური ფერწერა, დაზგური ფერწერა და გრაფიკა, წიგნის ილუსტრაცია, ჟედურობა. ვრცელი მასალის ანალიზი მოითხოვს ჩვენგან საკმაოდ მნიშვნელოვან ძალისხმევას. მთავარ ამოცანად მივიჩნიეთ არა მარტო ერთ მთლიანობაში მოუყაროთ მას თავი, არამედ გავიაზროთ და შევაფასოთ ის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, ის ნოვატორულობა, რომელიც თემის ინტერპრეტაციასთან მიმართებაში გამოვლინდა. მაშასადამე ჩვენი მიზანია შევისწავლოთ თუ რა გზას გადის და როგორ ვითარდება, რა კონტექსტუალურ სიახლეებს გვთავაზობს ამ დარგში მოღვაწე ქართველი ხელოვანები. როგორია მათი დამოკიდებულება არა მარტო ტრადიციისადმი, არამედ როგორ აღიქვამენ და ამ მეტად მნიშვნელოვანი თემის როგორ „წაკითხვას“ იძლევიან თანამედროვე, პოსტმოდერნისტულ ეპოქაში.

ის, რომ ქრისტიანულ თემატიკას უპირველესი ადგილი უჭირავს მსოფლიო ხელოვნების ისტორიის განვითარების ნებისმიერ ეტაპზე, ეს სრული ჭეშმარიტებაა და ჩვენგან არ მოითხოვს დამატებით დასაბუთებას. ის, რომ წამყვანია ქართულ ხელოვნებაში მთელი მისი

ისტორიის მანძილზე, ეს საკითხიც უდავოა. ჩვენი ინტერესია თუ როგორ ხდება მისი ინტერპრეტირება ზოგად ისტორიულ ფონზე და კერძოდ თანამედროვე სინამდვილეში. ჩვენი მხრიდან ინტერეს მოკლებული არ არის თვალი გავადევნოთ ამ პროცესებს დღევანდელი მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში, პარალელური მასალის მოძიების თვალსაზრისით.

პირველ ეტაპზე ჩვენი ამოცანა იყო მოგვემია მასალა. ჩვენ დარგობრივად დავყავით ეს პროცესი და უპირველესად ყურადღება შევაჩერეთ მონუმენტურ და დაზგურ მხატვრობაზე, მონუმენტურზე ანალიზის აქცენტებით.

ქართული ხელოვნების განვითარების, მხატვრული სახის ჩამოყალიბების და სულიერი რაობის დადგენისათვის ქრისტიანულ სარწმუნოებას და მის მოძღვრებას განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება. რელიგია მეტ-წილად ყველა დროსა ეპოქაში ადამიანთა ცხოვრების წესის, მათი წარმოდგენების, შეფასებებისა და საზრისის მაჩვენებელია. ის საზოგადოების მსოფლშეგრძნების გამომხატველია, რომელიც ინდივიდუალურ თუ კოლექტიურ აღქმაზეა დაფუძნებული. თავისი არსი მან არც თანამედროვე კულტურაში დაკარგა და პირიქით ახალი ძალით, ახალი ენეტგეტიკით და გამოსახვის ახალი ფორმებით შეივსო. აქ იკვეთება მრავალმხრივი შემოქმედებითი მიდგომა. ზოგ შემთხვევაში ის უფრო ტრადიციულია, ზოგან აბსოლუტურად ახლებური, სადაც თაბს ავლენს არსობრივი ბმა იმ პოსტმოდერნისტულ ეპოქასთან, რომელშიც მხატვრები არსებობენ. ეა არის მარადიული ფასეულობების თავისებური აღქმა და მათი განცდა აბსოლუტურად თვითმყოფადი ვიზუალური ინტერპრეტაციით. ეს არ არის უბრალოდ მნიშვნელოვანი ამბის თხრობა, არამედ ზემოქმედების მოხდენა ცნობიერებაზე, მიმართული, როგორც ავტორის, ასევე მაყურებლის პიროვნებისეული „ეგო“-ს წარმოჩენაზე. მაშასადამე თვით თემის გახსნა მკვლევრისაგან მოითხოვს ინტერდისციპლინარულ მიდგომას, სადაც ჩართულია არა მარტო ხელოვნების ისტორიის კვლევის საკითხები, არამედ სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებისათვის სახასიათო საკითხების შესწავლა და მისადაგება კონკრეტულ მასალასთან, საკითხი კომპლექსურად იქნეს განხილული.

XX-XXI საუკუნეში ამ მიმართულებით არა ერთი ქართველი მხატვარი მუშაობს. მონუმენტურ ხელოვნებაში ლადო გუდიაშვილი, ალექსანდრე ბანძელაძე, ლევან ცუცქერიძე, დავით სულაკაური, გიორგი მაღლაკელიძე, მამუკა მიქელაძე. დაზგურში-ირაკლი ფარჯიანი, მერაბ აბრამიშვილი, გურანდა ქლიბაძე, ისევ დავით სულაკაური და სხვა. ამ მხატვრების შემოქმედების ანალიზზე მოხდება ჩვენს მიერ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა.

ამ პერიოდში როგორც ავღნიშნეთ შეგროვდა მასალა, რომელის არა მარტო თბილისში არამედ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არის წარმოდგენილი. ასევე მასალას მივაკვლიეთ საქართველოს ფარგლებს გარეთაც, კერძოდ ა.შ.შ -ში, ქალაქ მილუოკიში.(დავით სულაკაურის კედლის მხატვრობის ნიმუში). მოვახდინეთ მათი ფოტო-ფიქსაცია, გავეცანით ლიტერატურას. მოვახდინეთ მასალის განზოგადება. პირველი შედეგების მიღება და გადამუშავება.

პროექტის დასრულების შემდეგ ქართულ სამეცნიერო და ფართო საზოგადოებას ექნება სრული, ფუნდამენტურად გამოკვლეული სურათი თუ რა გზით განვითარდა რელიგიური თემატიკა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში.

2.2. არაპროგრამული ადგილობრივი გრანტით დაფინანსებული პროექტები

1) გაედამავალი პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

XX საუკუნის ქართული ქანდაკება

პროექტი ხორციელდება საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დაფინანსებით

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2) პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები
2021-2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. მარიამ გაჩეჩილაძე (პროექტის ხელმძღვანელი)
2. სოფიო ჩიტორელიძე (მკვლევარი)
3. ცისია კილაძე (მკვლევარი)
4. სამსონ ლეჟავა (მკვლევარი)
5. მარინა მემმარიაშვილი (მკვლევარი)
6. დალი ლეზანიძე (მკვლევარი)
7. მარიანა ოკლეი (მკვლევარი)
8. ნანა მირცხულავა (მკვლევარი)
9. ნინო ჭინჭარაული (მკვლევარი)
10. თემურ ქანთარია-ჯაბადარი (მკვლევარი)

*გარდამავალი კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

ანოტაცია იხ. პროექტის ხელმძღვანელის, მარიამ გაჩეჩილაძის ანგარიშში

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

6.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

მარიანა ოკლეი

2) სტატიის სათაური, ISSN

დავით სულაკაურის ფრესკა „ქორწილი კანაში“. (რელიგიური თემა თანამედროვე ქართულ
ხელოვნებაში. აღქმა, ინტერპრეტაცია, კონტექსტი)
ISSN 1512-4088

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

Ars Georgica, სერია B, 2021 წელი (II ნაწილი)

<http://georgianart.ge/> (ელექტრონული გამოცემა)

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი

5) გვერდების რაოდენობა

8 გვერდი

იგივე შინაარსის მოხსენების მოსმენა შესაძლებელია შემდეგ ბმულზე:

<https://www.facebook.com/ChubinashviliCentre/videos/312197660906728>

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

მარიანა ოკლეი

2) მოხსენების სათაური

დავით სულაკაურის ფრესკა „ქორწილი კანში“. (რელიგიური თემა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში. აღქმა, ინტერპრეტაცია, კონტექსტი)

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

2021 წლის 24-26 ნოემბერი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი. გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დაარსების 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია: ქართული ხელოვნება: აღქმა, ინტერპრეტაცია, კონტექსტი“

კონფერენცია ჩატარდა ონლაინ რეჟიმში. ჩანაწერი იხ.:

<https://www.facebook.com/ChubinashviliCentre/videos/312197660906728>

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

მასალა მომზადებულია და ქვეყნდება გ.ჩუბინაშვილის.სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის ელექტრონულ ჟურნალში “ARS GEORGICA”, ნაწილი II.

ნანა ყიფიანი

2.პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიხედვით

სივრცის პრობლემა 1910-იანი - 1920-იანი წლების ქართულ მოდერნიზმში

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4.ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
ნანა ყიფიანი (მკვლევარი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტი სივრცის პრობლემა 1910-იანი - 1920-იანი წლების ქართულ მოდერნიზმში გრძელდება 10 წელია. 2022 წელს სრულდება. თუმცა, თუ ამის შესაძლებლობა იქნება, ის შეიძლება გაგრძელდეს კიდევ რამდენიმე წლით.

თემა განიხილავს ერთ სპეციფიკურ, თუმცა ძალიან მნიშვნელოვან პრობლემას - ქართულ მოდერნიზმსა და ავანგარდში სივრცითი აზროვნების თავისებურებას, რომელიც წარმოაჩენს ზოგადად ქართული ესთეტიკური აზროვნების ხასიათს. სივრცის პრობლემა განიხილება მრავალასპექტურად - იკვლევს სივრცისა და დროის ხასიათს ქართულ მოდერნისტულ ხელოვნებაში (და ლიტერატურაში); სივრცის და მასთან მიმართებაში დროის ასახვისა და მათი აღქმის ფორმებს.

ამდენად თემა არ გულისხმობს მხოლოდ ერთ ასპექტს - თუ როგორ გადმოდის და აისახება სამგანზომილებიანი სივრცე ორგანზომილებიან სიბრტყეზე, როგორია სიბრტყეზე გამოსახულ საგანთა მიმართება ამ, სიბრტყეზე გადმოცემულ სივრცეში, როგორია ფერითი სივრცე და სხვა. თუმცა რასაკვირველია, ეს ერთი მთავარი, საყრდენი ასპექტია, რომელზედაც ეწყობა სხვა დანარჩენი: ორგანზომილებიან სიბრტყეზე ასახულმა სივრცემ შეიძლება ჩაიტოს შემოქმედისა და მაყურებლის პერსონალური სივრცე, გამოავლინოს თუ როგორი ურთიერთმიმართებაა სივრცესა და ადგილის, სივრცესა და გეოგრაფიას შორის; როგორია ურბანული და რურალური სივრცის გადმოცემისა და აღქმის თავისებურება; როგორ გამოიხატება საკრალური სივრცე (ასეთი მაგალითები არის ქართულ მოდერნიზმში).

ბუნებრივია, ვიზუალური მასალა შედარებულია ამავე პერიოდის როგორც ევროპულ (გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ, იტალიურ), ისე რუსული მოდერნიზმისა და ავანგარდის მასალასთან. განხილულია და გაანალიზებულია დიდძალი სამეცნიერო ლიტერატურა.

შესწავლილია სივრცე როგორც მეტაფორა.

გარდამავალი თემის ფარგლებში დაიწერა უკვე რამდენიმე ნაშრომი: „სივრცის ნაკვეთი“ (ესაა ზოგადი თემა სპეციფიკური მახასიათებლების გამოვლენით), „ქალაქი პალიმფსესტი“, „პეიზაჟი ქართულ მოდერნიზმში“, კირილე ზდანევიჩის შემოქმედებაზე: „ქალაქი“, „დუქანი“ (მასში განხილულია დუქნის სივრცე როგორც სოციალურ, ყოფით, საკრალურ სივრცეთა ნაკრები/სინთეზი), „უკიდურესობათა კავშირი“ (კირილე ზდანევიჩთან სივრცეების სრულიად სპეციფიკური გააზრება, სადაც თავს იყრის როგორც ფუტურისტული სიმულტანიზმი, ისე ისლამური კულტურაში არაბესკის სივრცული ფილოსოფია); „დავით კაკაბაძე“ (ის მთლიანად ეხება კაკაბაძისეულ სივრცეს).

- მათი შემოკლებული ვარიანტები სხვადასხვა დროს სხვადასხვა წიგნებში დაიბეჭდა: 1. *წიგნი - პალიმფსესტი*, ტექსტი 1919 წელს ტფილისში გამოსულ ავანგარდულ წიგნზე „ედვინება სოფია მელნიკოვას“, რომლის სივრცული წყობა, მარტივად რომ ვთქვათ, დიზაინი, ზუსტად ასახავს ქართულ-თბილისური მოდერნიზმისა და ავანგარდის სივრცულ აზროვნებას და სივრცის ფენომენისადმი დამოკიდებულებას და მის აღქმას; (ტექსტი დაიბეჭდა ვენეციის ბიენალეს ქართული პავილიონის კატალოგში „Kamikaze Loggia: Pavilion of Georgia at the 55th International Art Exhibition - la Biennale Di Venezia“)
2. *ქალაქი პალიმფსესტი* ინგლისურენოვან წიგნში „Memories of Tiflis“ (ISBN 978-3-947273-02-7),
3. ორი წერილი ა) *ქალაქი* და ბ) *დუქანი* წიგნში კირილე ზდანევიჩი. პერსონა და არტეფაქტები, (ISBN 978-9941-9681-6-7),
4. *ნაწერები დავით კაკაბაძეზე* წიგნში/ალბომში „დავით კაკაბაძე 1889-1952“ (ISBN სამწუხაროდ რატომღაც არ აქვს);
5. *უკიდურესობათა კავშირი* წიგნში „კირილე ზდანევიჩი. ცხოვრება და შემოქმედება“ (ISBN 978-9941-9681-6-7)

გარდამავალი თემის ნაწილია ორნაწილიანი ნაშრომი, რომელიც ეხება ნიკო ფიროსმანაშვილის და ილია ზდანევიჩის შემოქმედებას. პირველი ნაწილი „ძმა ვირი - ნიკო ფიროსმანაშვილის ალეგორიულ-სიმბოლური ენა“; მეორე ნაწილი: „ილია ზდანევიჩის ონოლატრიული პენტალოგიის ალეგორია“, სადაც განხილულია ილია ზდანევიჩის 5 დრამა, რომლის ძირითადი ოერსონაჟი ვირია.

პირველი ნაწილი: „ნიკო ფიროსმანაშვილის ალეგორიულ-სიმბოლური ენა“ ფაქტობრივად დასრულებულია. მეორე ნაწილი ილია ზდანევიჩზე ახლახანს დავიწყე და გადავა 2022 წელში.

მასში განხილულია ფიროსმანაშვილის დიდი, როგორც ერასტ კუზნეცოვი მოიხსენიებს, ე. წ. ეპოსური სურათები, მათი ერთიანი სტრუქტურის, წყობის არქექტიპულ-მეტაფორული ბუნება და მასში შემავალი ატრიბუტების და სცენების სიმბოლურ-ალეგორიული ხასიათი.

ფიროსმანაშვილის არქექტიპულ-მეტაფორული ენა არა სიუჟეტებით, არამედ მათთან ერთად სივრცის არქიტექტურული წყობის შესწავლით ხდება; იმ სახვითი ელემენტებითა და მათი ურთიერთკავშირით, რომელიც წარმოქმნის სივრცის საკრალურობას, წინ მოაქვს ადგილის ფენომენის მნიშვნელობა, სივრცის საზღვრის-შემოსაზღვრის ბუნება და სხვა.

იგივე მიზანი აქვს ილია ზდანევიჩის დრამების მეტაფორული ენის სიუჟეტურ-სივრცობრივი ასპექტით შესწავლას, რომელიც ეყრდნობა მის ძირითად „ყველაფრობის“ („всечество“) კონცეფციას.

იმ შემთხვევაში თუ გარდამავალი თემა გაგრძელდა, სივრცის ფენომენი უფრო ღრმად იქნება შესწავლილი 1925 წლის პუბლიკაციის «H2შO4» ტექსტების ანალიზის საფუძველზე; თეატრის მხატვრობის მაგალითზე და რამდენიმე მხატვრის - შალვა ქიქოძე, ალექსანდრე ზალცმანი, ლადო გუდიაშვილი - მაგალითზე.

2. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიხედვით

პირველი რესპუბლიკა და ქართული ავანგარდის ტრაექტორია

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

2021-2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მიხედვით)

მზია ჩიხრაძე (მკვლევარი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2021 წლის სამუშაო გეგმა და შედეგები:

1. ქართული მხატვრობის განვითარება პირველ რესპუბლიკამდე
2. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის სახელოვნებო პოლიტიკა
3. პირველი რესპუბლიკისდროინდელი თბილისის კულტურული ცხოვრება

ქართული მოდერნიზმის თავისებურებები: მისი კულტურული მრავალშრიანობის განხილვა, აკადემიზმის მოკლე ისტორიისა და მისი პირველი წარმომადგენლების როლი ქართულ თანამედროვე ხელოვნების განვითარების საქმეში, ევროპულთან ქართული მოდერნიზმის ქრონოლოგიური ჩამორჩენა და მიზეზების ანალიზი, შუა საუკუნეების ხელოვნებასთან კავშირი. როგორ მოხდა ქართული ხელოვნებაში სწრაფი ევოლუცია საქართველოში შედარებით გვიან შემოსული აკადემიური ხელოვნებიდან თანამედროვე, მოდერნისტული ხელოვნებისკენ. ქართული მოდერნიზმის სპეციფიკა, სადაც მრავალი მიმდინარეობა არ ჩამოყალიბებულა, მაგრამ მასში ინდივიდუალიზმის ხარისხი საკმაოდ მაღალი იყო. ქართული და რუსული მოდერნიზმის შედარება ამ მიმართებით.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუცია, რუსი ავანგარდისტების მიგრაცია რუსეთიდან საქართველოში. თბილისური ავანგარდი და რუსი და ქართველი ავანგარდისტების თანამშრომლობა, განსხვავებული ნაციონალური ნიშნების ინტეგრირება საერთო მხატვრულ სისტემაში, სადაც მიუხედავად ხელოვნების წარმომადგენელთა ინდივიდუალური და ეროვნული ჟღერადობისა, მაინც ერთიანი მხატვრული ენა შეიქმნა, ქართული ინტერკულტურული და ინტერნაციონალური ხელოვნების მახასიათებელი გახდა, ხელოვნებისა, რომელიც თბილისური ავანგარდის სახელით არის ცნობილი. აღსანიშნავია, რომ თბილისის მულტიკულტურობისა და მრავალშრიანობრივი ხელოვნების საფუძველი ამ ქალაქში სხვადასხვა ეროვნებათა თანაცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციაც იყო.

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის სახელოვნებო კომისია ხელოვნების სფეროს მართავდა, მას ემორჩილებოდა კულტურისა და ხელოვნების სახალხო განათლების სამინისტრო, რომელიც სახელმწიფოში ხელოვნებო საქმეებს განაგებდა. მენშევიკურმა მთავრობამ ვერ შეძლო ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ჩამოყალიბებული გეგმის შექმნა და მისი პოლიტიკის განსაზღვრა (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოკლე, სამწლიანი ისტორიიდან გამომდინარე), მაგრამ ის აგრძელებდა კულტურისა და ხელოვნების განვითარების იმ ეროვნულ გზას, რომელიც მე-19 სუკუნის 60-იანი წლებიდან იღებს სათავეს,

საფუძველი ჩაეყარა ქართული მეცნიერების განვითარებას - ისტორიის, არქეოლოგიის, ეროვნული სიძველეების შესწავლას; 1907 წელს მოსკოვის უნივერსიტეტში შეიქმნა ქართული კულტურის მოყვრულთა წრე, შემდგომ, 1912 წელს მის ბაზაზე თბილისში დაარსდა ქართული კულტურის საზოგადოება, რომლის მიზანიც იყო ქართული კულტურის, ენის, მწერლობის, ხალხური ზეპირსიტყვიერების, ხელოვნების, ეთნოგრაფიის შესწავლა და პოპულარიზაცია; 1916 წელს, დიმიტრი შევრდნადის თაოსნობითა და მცდელობით, დაარსდა ქართველ ხელოვანთა საზოგადოება, რომლის მიზანი ხელოვნების სხვადასხვა დარგების დაახლოვება-შეკავშირება და ხელოვნების ნიმუშების მოძიება, შეგროვება, დაცვა-შესწავლა იყო.

1920 წელს შევარდნამისვე ძალისხმევით დაარსდა ხელოვნების გალერეა, რომელიც 1922 წელს ხელოვნების მუზეუმად გადაკეთდა. 1918 წლის იანვარში გაიხსნა ქართული უნივერსიტეტი, 1915-1916 წლების მიჯნაზე ქუთაისში დაიბადა ლიტერატურული ჯგუფი - “ცისფერი ყანწები”, მასში შემავალმა და სხვა ახალგაზრდა შემოქმედებმა გზა გაუკვალეს თანამედროვე პოეზიასა და ლიტერატურას საქართველოში; აღსანიშნია 1910-იანი წლების პრესის აქტიურობა, როცა საქართველოში გამოდის უამრავი ლიტერატურული და სახელოვნებო ჟურნალ-გაზეთი. მე-20 საუკუნის დასაწყისში საფუძველი ეყრება ქართულ პროფესიულ მუსიკას. 1910-იან წლებში საქართველოში რამდენიმე თეატრი და თეატრალური სტუდია არსებობდა. 1918 წელს მსახიობთა კავშირის კრებაზე დადგინდა, რომ რუსეთიდან მოეწვიათ კოტე მარჯანიშვილი, რომელიც 1922 წლიდან სათავეში ჩაუდგა რუსთაველის თეატრს და სწორედ მის მოღვაწეობას უკავშირდება ქართული თეატრის აღმავლობა. 1910-იანი წლების დასაწყისში ქართული კინოს პირველი ნიმუშები გამოჩნდა, საქართველოს გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ და მულტიეთნიკურობამ განაპირობა მისი როგორც კავკასიის ადმინისტრაციულ, ისე კულტურულ ცენტრად ჩამოყალიბება. ხოლო 1917 წლიდან განვითარებულმა ისტორიულ-პოლიტიკურმა მოვლენებმა გარკვეულწილად რუსეთის ხელოვნებისა და კულტურის ცენტრიც გადმოანაცვლა საქართველოში.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მთავრობა ცდილობდა ხელი არ შეეშალა ხელოვნების სხვადასხვა სფეროს განვითარებისთვის, არ არსებობდა სახელმწიფო ცენზურა, შეძლებისდაგვარად, ხდებოდა ახალი ინიციატივების და ექსპერიმენტების წახალისება და ზოგიერთ შემთხვევაში, ფინანსური პრობლემების მიუხედავად, თანხობრივი დახმარებაც ეწეოდათ ხელოვანებს. 1918-1921 წლებში გრძელდებოდა ქართული კულტურის, ხელოვნებისა და მეცნიერების განვითარების ერთიანი გზის უწყვეტი განვითარების პროცესი, რომელიც სამწუხაროდ, გარედან ჩარევის გზით, ხელოვნურად შეწყდა. ზემოთ ჩამოთვლილი ის ტენდენციები კი, რაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის

არსებობის დროს გამოიკვეთა, გვაფიქრებინებს, რომ ამ გზის ბუნებრივი განვითარების პირობებში, საქართველოს მთავრობა აუცილებლად ჩამოაყალიბებდა ქართული სახელმწიფოს ეროვნული კულტურისა და ხელოვნების მწყობრი განვითარების გეგმასა და პოლიტიკას, რადგან ამის ჩანასახები უკვე იკითხება იმ მოკლე ისტორიაში, რაც დემოკრატიულმა რესპუბლიკამ განვლო.

1918-1921 წლების ოაზისად მონათლულ თბილისში ჯგუფების, წრეების, სალონების, გაზეთების, სტამბების მთელი რიგი აღმოცენდა. საუკუნის დასაწყისის თბილისში საკმაოდ მრავალფეროვანი საგამოფენო ცხოვრებაც მიმდინარეობდა. ამ მოვლენების შესახებ კვლევაში განხილულია სხვადასხვა საარქივო, თუ პრესაში დაბეჭდილი მასალა.

1918-1921 წლების თბილისის მხატვრულ ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო არტისტული კაფე-კაბარეები, რომელმაც უზარმაზარი როლი ითამაშა როგორც ქართული თანამედროვე კულტურის ჩამოყალიბებაში და შემდგომ განვითარებაში, ისე ქართულ-რუსული ავანგარდისტული ხელოვნებების დაახლოების და თანაარსებობის საქმეში.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

6.3. კრებულები

1) ავტორი/ავტორები

1. **მზია ჩიხრაძე (სტატია: ქართველი არტისტები თანამედროვე ხელოვნების ლაბირინტში)**
2. და სხვ.

2. კრებული სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის “კულტურა და ხელოვნება თანამედროვეობს კონტექსტში” მასალები
ISBN 978-9941-9519-2-3

3) გამოცემისადგილი, გამომცემლობა

ბათუმი

4) გვერდების რაოდენობა

11 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

უცხოეთში მცხოვრები და მოღვაწე საქართველოდან ემიგრირებული ხელოვნების მრავალფერი კალეიდოსკოპი დასავლური თანამედროვე ხელოვნების რთულ ლანდშეფტში, მის ლაბირინთში სინთეზურად ეწერება. მათი ხელოვნება იკვეთება იმ სივრცესთან, სადაც ფერწერა, სკულპტურა, ფოტოგრაფია, ინსტალაცია, კინო, ვიდეო, პერფორმანსი, ინტერნეტ ხელოვნება და ნამუშევრები, რომელებიც არ მიეკუთვნება არც ერთ განსაზღვრულ კატეგორიას ერთად თანაარსებობს. მათი ხელოვნების პრობლემეტიკის მრავალფეროვნება ასევე თანხვედრაშია იმ თემატიკასთან, რომელსაც დღევანდელი ევროპელი და ამერიკელი, თუ იქ მოღვაწე სხვა თანამედროვე არტისტები ეჭიდებიან. ამ პრობლემების არეალი დიდია: ფემინისტური, გენდერული თემები, სექსუალური და ეროვნული უმცირესობების, დენადი იდენტობების, ადგილმონაცვლეობის, დევნილობის, პოლიტიკური, სოციალური

პრობლემები, იდენტობის, კულტურული წარსულისა და ადგილის, ადამიანის და ბუნების ურთიერთობის, პიროვნების შინაგანი დუალობის, ქვეცნობიერში დაფარულის საკითხები... მათი ვიზუალიზაციისა და შემოქმედებითად გამოხატვის ფორმებიც პლურალურია, სადაც რეპლიკა, კომენტარი, ციტატა, მეტაფორა, რეპროდუცირება, ტექსტების მრავალშრიანობა, გამონაგონისა და ნამდვილის, ილუზორულისა და რეალურის, წარსულისა და აწმყოს აღრევა აღქმის საზღვრების მოშლასა და მრავალგვარი მნიშვნელობების, არამდგრადი იდენტიფიკაციის ველს ქმნის, სადაც არაფერია ზუსტი, სივრცე კი ფართოდაა გახსნილი სუბიექტური წაკითხვისთვის. იმავდროულად, თანამედროვე ქართველი ემიგრანტი არტისტების ხელოვნებას თავისი სპეციფიკაც აქვს, რაც საქართველოს, მათ წარმომავლობას უკავშირდება. თუმც პოსტმოდერნისტული კულტურისთვის უცხო ეროვნული ფორმა მათთანაც წაშლილია. ვიზუალური-ფორმალური თვალსაზრისით მათი ხელოვნება ინტერნაციონალური, გლობალურია, მაგრამ მათ მიერ შექმნილ ვიზუალურ მხატვრულ სახეებსა და იმიჯებში კოდირებული იდენტობა, გამოცდილება, ღირებულებები, განცდა, ტკივილი და ტრამვაც კი მათი ტერიტორიურ-ისტორიული და კულტურული ბმიდან მოდის, რაც ხშირად მათი ხელოვნების თემატური თუ ემოციური ინსპირაციის განმაპირობებელია.

6.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1)ავტორი/ავტორები

მზია ჩიხრაძე

2) სტატიის სათაური, ISSN

1. დავით კაკაბაძე ქართული “მხატვრული ენის” ძიებაში
ISSN 1512-1321

2. ძმები ზდანევიჩების შემოქმედება - ავანგარდული წიგნი, ფუტურიზმი და სხვა

ISSN 1512-1321

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. ARS Georgica 2021 (ელექტრონული გამოცემა)

<http://georgianart.ge/index.php/ka/component/content/article/261.html?ed=22>

2. ARS Georgica 2021 (ელექტრონული გამოცემა)

<http://georgianart.ge/index.php/ka/component/content/article/261.html?ed=22>

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი

2. თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი

5) გვერდების რაოდენობა

1. 8 გვერდი

2. 15 გვერდი

1. დავით კაკაბაძე ქართული “მხატვრული ენის” ძიებაში დამოუკიდებელი საქართველოს წიაღში განვითარებულ მოდერნისტულ ხელოვნებასა და ზოგადად, კულტურას ხაზგასმულად ეროვნულობის კვალი ამჩნევია. ავანგარდული ხელოვნების გზაზე დავით კაკაბაძე ქართული, სახასიათო, ეროვნული ნიშნების ძიებაშია.

1915 წელს კაკაბაძე აღნიშნავდა: “ქართული მხატვრობის შესაქმნელად საჭიროა, მხატვარმა მონახოს ის ქართული “მხატვრული ენა”, რომლის მაგალითი ჩვენ გვაქვს წარსულში. <...> ხელოვნების აღორძინებისთვის საჭიროა ამ “ენის” მონახვა და მით ჩვენი ბუნების სურათების გადმოცემა.”

1919 წელს დავით კაკაბაძემ ჟურნალ მნათობში დაბეჭდილ წერილში - “ჩვენი გზა”, ქართული ეროვნული მხატვრობის თავისებურებზე საუბრისას აღნიშნა, რომ ის გამორჩეულია როგორც “ნახაზობის” მხრივ, ისე “ფერადობით” და რომ ქართული საეკლესიო მხატვრობა ბიზანტიურსაც კი წინ უსწრებს “კომპოზიციის მხრივ”. ქართული ეროვნული ხელოვნების ტრადიციების ცოდნა და მხატვრული ფორმის, თუ გამომსახველობის ხერხების ღრმა ანალიზი ჩანს კაკაბაძის ადრეულ ნამუშევრებში, მათ შორის, მის ფრესკულ მხატვრობაში - “შემოქმედი და მუზა” კაფე “ქიმერიონის” მოხატულობიდან.

“შემოქმედსა და მუზაში”, კაკაბაძის შემორჩენილ ერთადერთ ფრესკულ მხატვრობაში, ხელოვანი აქ თავის მხატვრულ პრინციპებს ავითარებს: დეკორტიულობა, პირობითობა, ნათელი ფერწერულობა, ხატოვანება და ა.შ. ამ კომპოზიციაში ის აერთიანებს დაზგური და მონუმენტური ფერწერის ტრადიციებს და “ქიმერიონის” საერთო ანსამბლის ორგანულ ნაწილად აქცევს მას. რაც შეეხება “შემოქმედსა და მუზაში” წარმოდგენილ კაკაბაძისეულ “ნახაზობასა” და “ფერადოვნებას”, თავისი ზომიერებით, პლასტიკით, ხაზისა და სიბრტყის მნიშვნელოვანებით, განზოგადების ხარისხით, გაწონასწორებული კომპოზიციით, “მარტივი, სწორი და სიმეტრიული ფორმით”, “ძლიერი და მუქი ფერადებისკენ მისწრაფებით”... ის ქართული ტრადიციული ხელოვნების გამოძახილად გვევლინება.

ქართველი მოდერნისტები, მათ შორის დავით კაკაბაძეც, ვინც უსაგნო ხელოვნებას შეეჭიდა და მისმა ავანგარდულმა ექსპერიმენტებმა საკმაოდ დაახლოვა ის იმდროინდელ დასავლეთ ევროპულ ხელოვნებასთან, კვლავაც ინარჩუნებენ კავშირს ქართულ ეროვნულ ტრადიციებთან, რაც გამოხატულია კომპოზიციის გაგებაში, კოლორიტში, ხაზის, სიბრტყის მნიშვნელოვანებაში, ზოგ შემთხვევაში, აღმოსავლური და დასავლური ელემენტებისა თუ ნიშნების ურთიერთშერწყმაში და ა.შ. ქართველ მოდერნისტ მხატვართა “ეროვნულ ფარგლებში აღმოცენებული” ხელოვნების დასავლურთან ინტეგრირება კი ევროპული მოდერნისტული მხატვრული მიმდინარეობების ღრმა გააზრებითა და თანამედროვე მხატვრული ენის გათავისებით ხდებოდა.

ქართველი მოდერნისტების ხელოვნება მათ პიროვნულ ინდივიდუალობასთან არის ასოცირებული, რომელიც თავის თავში ატარებს იმ ეროვნულს, რაც მათში მემკვიდრეობით გადმოვიდა. ამასთან, ქართველი მოდერნისტების შემთხვევაში, ამ ქვეცნობიერად არსებულ ფაქტორს ემატება ეროვნული ხელოვნების ინტელექტუალურ დონეზე გააზრებისა და მისი დასავლურ ხელოვნებასთან ინტეგრირების მიზნმიმართული სურვილი და პრაქტიკული

მცდელობები. დავით კაკაბაძემ “ეროვნულ ფარგლებში აღმოცენებული” ხელოვნების დასავლურთან ინტეგრირების გზით სცადა, ჩაწერილიყო დასავლური თანამედროვე ხელოვნების კალენდოსკოპში და ასე “მიენიჭებინა(...) [თავისი] ეროვნული ხელოვნებისთვის საერთაშორისო მნიშვნელობა”.

2. ძმები ზდანევიჩების შემოქმედება - ავანგარდული წიგნი, ფუტურიზმი და სხვა

ძმები კირილე და ილია ზდანევიჩების ღვაწლი უდიდესია ავანგარდული წიგნის განვითარებაში, ასევე მნიშვნელოვანია მათი როლი რუსულ ავანგარდთან ქართული ავანგარდის დაკავშირების საქმეში.

ილია და კირილე ზდანევიჩების ღვაწლი გამორჩეულია ავანგარდული ხელოვნების განვითარებაში. ძმები ზდანევიჩების ცხოვრებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა ნიკო ფიროსმანის შემოქმედების აღმოჩენა იყო.

მაშინდელი თბილისის დასავლეთის მოდერნიზაციის რიტმს საკმაოდ ჩამორჩებოდა, თუმცა მისი კულტურულ-ისტორიული ფონი მის ფანტასმაგორიას განსაზღვრავდა. ქალაქი სხვადასხვა ფერადებით ნაქსოვ სპარსულ ხალიჩას გავდა, სადაც თითოეულ დეკორს თვისი ადგილი ჰქონდა და სოცარი სილამაზე შეჰქონდა ერთიან ჰარმონიაში. ეს აზიურ-ევროპული ქალაქი სავსე იყო მრავალგვარი ჟღერადობით, სურნელით, სამოსით, ენითა თუ ტრადიციით. აქ მართლაც შეერწყა აღმოსავლეთი დასავლეთს და სრულიად სპეციფიკური, გამორჩეული ქალაქის სახე შექმნა. როგორც უკვე ვთქვით, 1910-იანი წლების მეორე ნახევარში აქ რუსი თუ ქართველი ავანგარდისტებიც გამოჩნდნენ და თავიანთი უცნაური მხატვრული სახეებით კიდევ უფრო ააფერდეს თბილისის მრავალფეროვნება. ამ “ფანტასტიკურ ქალაქში” ძმები ზდანევიჩები ავანგარდული ხელოვნების მესაჭეები არიან.

კირილე თავისი შემოქმედების საწყის ეტაპზე, 1909-10 წლებში, რეალისტურ, იმპრესიონისტულ და პოსტიმპრესიონისტულ ნამუშევრებს ქმნის. 1910-იანი წლებიდან მის შემოქმედებაში კუბისტური და კუბო-ფუტურისტული ძიებები ჩნდება. ამ ძიებებმა მხატვარი “ორკესტრულ ფერწერამდე” მიიყვანა.

ძმები ზდანევიჩებიდან უმცროსი, ილია (1894-1975) თავის ძმაზე არანაკლებ რთულ და საინტერესო გზას დაადგა ხელოვნებაში. ის თვითდანვე ლიტერატურისა და მემარცხენე პოეზიის მორევში ჩაერთო.

პოეტი, მწერალი, არტისტი ილია ზდანევიჩი ავტორია ნოველების, სონეტების, ზაუმის ენაზე დაწერილი დრამების, თავისი გაბედული ექსპერიმენტებით ილია ყველაზე გამორჩეული გამოცემელი გახდა თანამედროვე წიგნის ხელოვნების სამყაროში.

ძალიან მნიშვნელოვანია ის ტიპოგრაფიული ექსპერიმენტები, რაც ილიამ პარიზში მოღვაწეობისას გააგრძელა და თვისი მხატვრულ-ლიტერატურული ენა ახალ სიმაღლეზე აიყვანა. ილიაზდის მიერ პარიზში გამოცემული თითოეული წიგნი ავანგარდული ხელოვნების შედეგია. ხოლო თბილისში “41⁰”-ის მიერ გამოცემული ხელოვნების წიგნები მნიშვნელოვანი ფურცელია თბილისის კულტურულ ცხოვრებაში. ორგანიზაციამ მრავალი საინტერესო წიგნი დაბეჭდა. თბილისურ ავანგარდულ წიგნებში კარგად აისახა ის თავისუფლება და აკადემიური ჩარჩოების მსხვერვა, რაც ზოგადად ახასიათებდა ფუტურიზმს. შეიძლება ითქვას, რომ თბილისური ავანგარდული წიგნი არის მნიშვნელოვანი მონაპოვარი არა მარტო ქართულ და რუსულ, არამედ თანამედროვე დასავლური წიგნის გრაფიკის ხელოვნებაშიც.

ილია ზდანევიჩის მდიდარი ავანგარდული შემოქმედებიდან უცილებად აღსანიშნავია პენტალოგია - “ასლაბლიჩია, პიტორკა დეისტუ”, პენტალოგიაში გამოყენებული ახალი პოეტური ენითა თუ ბეჭდური ექსპერიმენტებით და ნოვატორული მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხებით ილია ზდანევიჩი მართლაც ფუტურისტული წიგნის ხელოვნების ავანგარდშია. შინაარსისა თუ გამომსახველობითი ფორმის თავისუფლი, რადიკლური ინოვაციებით ის მუდამ თამაშისა და სერიოზულობის ზღვარზეა.

ძმებმა ზდანევიჩებმა უდიდესი ღვაწლი გასწიეს თბილისური ავანგარდის და კონკრეტულად, ავანგარდული წიგნის ხელოვნების განვითარების საქმეში.

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

მზია ჩიხრაძე

2) მოხსენების სათაური

1. დავით კაკაბაძე ქართული “მხატვრული ენის” ძიებაში
2. ქართველი არტისტები თანამედროვე ხელოვნების ლაბირინტში
3. ძმები ზდანევიჩების შემოქმედება - ავანგარდული წიგნი, ფუტურიზმი და სხვა

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. 24-25 მაისი 2021

2. 23-24 ოქტომბერი^[11] 2021

3. 24-26/11/2021

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

ანოტაციები იხ. მუხლში 6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

ნანა მირცხულავა

1. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმა)

1) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით
პოსტკონსტრუქტივისტული არქიტექტურის საფასადო პლასტიკა (შესწავლა, აღრიცხვა, დაცულობის საკითხი საქართველოში)

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2) პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

2020-2021

3) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
ნანა მირცხულავა (მკვლევარი)

*კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

კვლევა ფოკუსირებულია 1932-1937წწ. დამკვიდრებულ და 1940-იანი წწ. მოსაზღვრულ, რუსულ ავანგარდულ არქიტექტურასა და პომპეზურ სტალინურ ნეოკლასიციზმს შორის არსებული, შუალედური არქიტექტურული სტილის, პოსტკონსტრუქტივიზმის პლასტიკურ დეკორზე (ხელოვნების თანამედროვე მკვლევართა გასაზიარებელი მოსაზრებით, პოსტკონსტრუქტივიზმი, დასავლეთ ევროპულ უახლეს მხატვრულ მიმდინარეობებთან ერთად ჩამოყალიბებულ, „მოღრიალე ოცანების“ („The Roaring Twenties“) ესთეტიკური გემოვნების ამრეკლი სტილის „არ დეკოს“ გამარტივებულ ვარიანტს, მის საბჭოთა ანალოგს წარმოადგენს.)

პოსტკონსტრუქტივისტული არქიტექტურის ქსოვილში, არქიტექტურულად მნიშვნელოვანი კონსტრუქციული ელემენტების მომნიშვნელი დეკორის ზომას და კონფიგურაციას არქიტექტურა განსაზღვრავდა (სამაგალითო ნიმუშად კორინთული სვეტებით. ვერტიკალურად დანაწევრებულ, რუსთაველის ოთხსართულიანი კინოთეატრის შენობის ფასადს მოვიყვან, მეორე სართულის თაღებში განთავსებული, ეპოქის ახალი იდეალის სტანდარტებში მოქცეული სტერეოტიპების გადმომცემი ქანდაკებებით (შ. მიქატაძე, ვ. თოფურიძე) განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ახალი სახელმწიფოებრიობის დამყარების პათოსით გამსჭვალულ, რელიეფურ პლასტიკას. სიუჟეტური თხრობითობა და ხატოვან-პლასტიკური გადაწყ-ვეტა, მათ დამოუკიდებელ მნიშვნელობასაც სძენდა და თავისთავად მხატვრულ ღირებულებას უნარჩუნებდა. მაყურებელი, ხელოვნებას ეზიარებოდა საჯარო სივრცეში, მზით მოფენილ ქუჩებში და არა მუზეუმის ჩაბნელებულ დარბაზებში (რაც, ახალი სიტყვა იყო ქალაქის გაფორმებაში.) ეპოქის სახასიათო აზრობრივი და სტილისტური ნიშნების გამაერთიანებელი „საბჭოთა რელიეფური პლასტიკა, შინაარსობრივად და ფორმისეულადაც, რელიეფური პლასტიკის სრულიად ახალ სახეობას წარმოადგენდა, საკუთრივ საბჭოთა მოვლენა იყო, ამდენად „საეკლესიო ხუროთმოძღვრებასთან დაკავშირებულ, რელიეფური ქანდაკების საუკუნეთა მანძილზე გაწყვეტილი მქანდაკებლობის ტრადიციების, საბჭოთა წყობაში აღორძინებულ „შინაგანად განპირობებულ მოვლენად“ ვერ შეფასდება. ისტორიული არქიტექტურის მოტივების გამოყენება და ძველ ქართულ ეკლესიათა ფასადებიდან გადმოსული მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტული სახეებით დატვირთვა, ეროვნული ინტონაციის შეტანის მიზნით, ვერ ანთავისუფლებს მას საბჭოეთის ეპოქალური ჩარჩოებიდან (სოც. რეალიზმი კოსმოპოლიტურია (არა ინტერნაციონალური), ის ვერ ეგუება ეროვნულ ტრადიციებს.)

საბჭოთა წყობის მიღწევების განმადიდებელი, საყოველთაო ოპტიმიზმით, ნათელი მუხტით გაჯერებული რელიეფები, ზოგადი მცნებების პირობით სიმბოლურად გამოხატული სამეტყველო ენით, იდეოლოგიისათვის „სასურველი“ პოზიციიდან გადმოცემდა რეალობას ანუ, „ხელოვნება გადაყავდა ცხოვრების ასახვიდან მის გარდასახვამდე (ესთეტიკურ პოლიტიკური პროექტის მეთოდებით“. ბორის გროსი „Gesamtkunstwerk Сталин“) მაგალითად სტალინური არქიტექტურის ეპოქალური ნიშნით აღბეჭდილი ნაგებობის,

საბჭოთა ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ გამორჩეული ძეგლის, მოსკოვში დაფუძნებულ მარქსიზმ-ლენინიზმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ფილიალის „ე.წ. იმელის“ ცენტრალური ფასადის, სკულპტურულ შემკულობასმოვიყვან, ჰორიზონტალურ არშიად შემორჩენილი ფრიზით. ი.ნიკოლაძის ჰორელიეფები, თ.აბაკელიას ფრიზის მრავალფიგურიანი კომპოზიციების გამმიჯნავ, მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის, მოჩარჩოებულ ოთხკუთხედში ამოკვეთილ პროფილურ ბიუსტებთან ერთად, 1990-იან წლებში, ეროვნული გრძნობების გამოხატვის გააქტიურებასთან დაკავშირებულ, კომუნისტური ხატების მსხვერვის ტენდენციებს ემსხვერპლა. მოგვიანებით „იმელი“, რობ კრიერისა და კრისტოფ კოლის „ფასადიზმის პრინციპით“ შექმნილი პროექტით, სასტურო კემპინსკით გადაკეთდა.

თითქმის მთლიანად განადგურდა საბჭოთა სიმბოლიკით დატვირთული პლასტიკური დეკორი, უროსა და ნამგალთან ერთად ხუთქიმიანი ვარსკვლავის მუდმივი მხატვრული მოტივით, სსრ კავშირის, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გარდა ამ ტენდენციამ თავი იჩინა იმ ქვეყნებში, რომლებშიც სოცრეალიზმი პოპულარობით სარგებლობდა (ბოლივია, ვენესუელა, ვიეტნამი....) საქართველოში შემორჩენილ ნიმუშებს შორის აღსანიშნავია პარლამენტის მთავარი ფასადის მონუმენტური თაღედის მძლავრ ლავგარდანის სამკუთხა არეში ჩასმული, სკულპტურული დეკორი.)

კვლევა მნიშვნელოვანია დაცვითი ღონისძიებების განხორციელების თვალსაზრისით, ხელს შეუწყობს დღემდე აღურიცხავი არქიტექტურული ობიექტების გამოვლენას, გაზრდის ძეგლის სტატუსის მისანიჭებელ შენობათა სიას. საინტერესოა ახალი თემატური მარშრუტის შესაქმნელადაც.

ცისია კილაძე

2.პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

ქართული მოდერნისტული მხატვრობა ევროპული მოდერნიზმის კონტექსტში

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორიის

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

2018-2024

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

ცისია კილაძე (მკვლევარი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ქართული მოდერნისტული მხატვრობა ევროპული მოდერნიზმის კონტექსტში ვრცელი საკვლევი თემაა და მრავალ საკითხს მოიცავს. კვლევითი პროექტი დაყოფილია თემატიკის მიხედვით. წინა წლებში განხორციელებული კვლევის შედეგები შედის ამ კვლევით პროექტში. თემების ჩამონათვალია: მხატვრული ფორმის, კვლევის მეთოდოლოგიის და მოდერნისტული მიმდინარეობების საკითხები, პორტრტი და ავტოპორტრტი; ქალაქისა და ურბანული გართობის თემა, კაფეები, ცირკი, ბაღები და სხვა, ირონია და თამაშის მოტივები, თეატრის როლი მხატვრობაში, ომისა და რევოლუციის თემა, ნატურმორტი და სხვა.

კვლევა განიხილავს ცნობილი ქართველი მოდერნისტი მხატვრების შემოქმედებას ზემოთ აღნიშნული თემების მიხედვით. ესენია: შალვა ქიქოძე, დავით კაკაბაძე, ელენე ახვლედიანი, ვალერიან სიდამონ ერისთავი, ლადო გუდიაშვილი და სხვები.

2021 წლის მანძილზე შეგროვილ იქნა ვიზუალური და ლიტერატურული, წერილობითი მასალა, რომელიც დამუშავდა და გამოყენებულ იქნა თეორიულ კვლევაში. თეორიული კვლევა კი ამჯერად ეხება ისეთი ასპექტებს, როგორიცაა მაგალითად: **სიმბოლისტური ტენდენციები 1920-იანი წლების ქართულ მოდერნისტულ მხატვრობაში.** ევროპული ავანგარდისგან განსხვავებით ქართულ მოდერნისტულ მხატვრობაში არ შექმნილა მიმდინარეობები და მხატვრული დაჯგუფებები. ყოველი მხატვრის შემოქმედება ინდივიდუალური გზით ვითარდებოდა. ისინი მიმართავენ კუბისტურ, ექსპრესიონისტულ, სიმბოლისტურ, მოდერნის სტილის და სხვა ტენდენციებს, თუმცა ეს მათი შემოქმედების ინდივიდუალობის ერთ-ერთი ნაწილია და არა წამყვანი მახასიათებელი. გვხვდება სიმბოლისტური მიდგომები და მეტაფორული აზროვნების საინტერესო ნიმუშები. მაგრამ ვერც ერთ ქართველ მხატვარს სიმბოლისტს მაინც ვერ ვუწოდებთ. აღსანიშნია სიმბოლიზმის ნიშნები ვალერიან სიდამონ-ერისთავის, შალვა ქიქოძის და ლადო გუდიაშვილის შემოქმედებაში. რა თქმა უნდა ყველა მათგანთან ეს ძალზე ინდივიდუალური სახითაა გამოვლენილი. საერთო მათ ის აქვთ, რომ სიმბოლური და მეტაფორული სახეები მათთან ექსპრესიონისტული სიმმაფრითაა გადმოცემული. სიმბოლური არსი და ექსპრესიონისტული მხატვრული ფორმები მათ შემოქმედებაში ერთმანეთს ხვდება, რაც შემთხვევითი არ უნდა იყოს. მაგალითად ვალერიან სიდამონ - ერისთავის ფერწერაში 1910-იანი წლების ბოლოს ნეორომანტიზმის ნიშნები ჩნდება, ხოლო 1920-იანი წლებში ის ქმნის ექსპრესიონისტული და სიმბოლური ხასიათის რამდენიმე ნამუშევარს. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1920 წელს შესრულებული „**წითელი მთესველები**“, რომელიც საქართველოს გასაბჭოების თემას წარმოგიდგენს ალეგორიულად. სურათის წინა პლანზე, მნახველთან ახლოს ბოლშევიკის ფიგურა სამხედრო სამოსში გაზაფხულის აყვავებული ხეებისა და ნათელი ცის ფონზე ახლადმოხსნულ მიწაზე მოაბიჯებს. ხელში ჩიბუხი უპყრია, თავი შეუტრიალებია და სურათს გარეთ იყურება დამაბული მზერით. მის უკან კი დიოგონალურად, თანაბარი რიტმის თანახმად სიღრმეში გაბნეული ფიგურები მოაბიჯებენ და ბოლშევიზმს თესავენ. სიდამონ- ერისთავის მიერ ამ სურათის შექმნის პერიოდი - 1920 წელი საქართველოსთვის განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა, რადგან ამ დროს გამოიკვეთა ჩვენი ქვეყნის ბედი, ის რაც უნდა მომხდარიყო 1921 წლის თებერვალს. 1920 წელს საქართველოს ოკუპაციის ცდები დროებით აღკვეთა საბჭოთა რუსეთთან 7 მაისს გააფორმებულმა ხელშეკრულებამ. რომლის თანახმად საბჭოთა რუსეთმა ცნო საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და აიღო ვალდებულება არ

ჩარეულიყო საქართველოს საშინაო საქმეებში, მაგრამ ამასთანავე სამშვიდობო ხელშეკრულებაში ჩადებული იყო რიგი ისეთი პუნქტებისა, რომელიც მოსაწავებდა ბოლშევიკების უდავო გამარჯვებას. 1920 წელს საქართველოს წევრობა არ ცნო იმდროინდელმა ერთა ლიგამ, რაც ასევე მისი ბედის გადაწყვეტას ნიშნავდა. საქართველოს გასაბჭოების სცენარი ითვალისწინებდა სოციალისტურ გადატრიალებას შინაგანი ძალებით. საბჭოთა რუსეთის ქმედება კლასობრივ თანამომძმეთა “მშური დახმარებით” უნდა გამართლებულიყო, როგორც მოხდა კიდევაც ინსპირირებული აჯანყებების დაწყებით.

რუსეთის კოლონიალური პოლიტიკა ჩვენს ქვეყანაში მშვიდობის დამყარების სახელით შემდგომშიც გრძელდებოდა და დღემდეც გრძელდება. იქნებ ვალერიან სიდამონ-ერისთავისული ბოლშევიკიც რუსეთის კოლონიალური პოლიტიკის ამ ორაზროვან, ორმაგი სტანდარტების კოლონიალურ პოლიტიკას, მის ალეგორიულ სახეს გამოხატავს? ამ ახალბედა ბოლშევიკმა თითქოს ეს ესაა შემოაბიჯა სურათში და ახლად მოხსნულ მიწაზე აგრძელებს სვლას, მისი პოზა, გამომეტყველება ერთდროულად ფრთხილიცაა და საზარელიც, ის თითქოს რაღაცას ზვერავს, ალმაცერად იყურება სურათს გარეთ, რაღაც საშიშროების მოლოდინში ან მსხვეპლზე დაკვირვებისასაა დამაბული, თითქოს ვერაგულადაა შემოპარული კადრში, თუმცა მეორეს მხრივ მისი ნაბიჯები, ხელის ქესტი, რომლითაც ჩიბუხი უჭირავს თავდაჯერებასაც გამოხატავს. ის საზარელი ფანტომიცაა და დამფრთხალიცაა ერთდროულად. თითქოს დამნაშავეცაა და აგრესორიც. შემადრწუნებელია და ამავე დროს ოდიოზური, კარიკატურულია. პარალელად შიძლება მოვიყვანოთ 1920 წელს ბ.კუსტოდის მხარე შესრულებული „ბოლშევიკი“, რომლისგანაც განსხვავებით ის ბოლომდე არ გვიჩვენებს საკუთარ სახეს, არამედ თითქოს რაღაც დაფარულს და მზაკვრულს შეიცავს, რაც ქმნის ექსპრესიისა და დამაბულობის ძლიერ შეგრძნებას, ერთგვარი ტრაგიკული მოლოდინის განცდას. მით უფრო საგრძნობია ეს გაზაფხულის ნათელი დღის ფონზე, აყვავებულ ბუნებაში. გამოსახული გაზაფხულის დღე ისეთივე ტრაგიკული მოლოდინითაა აღსავსე, როგორც ალბად 1920 წლის გაზაფხული იქნებოდა მხატვრისთვის. რომელიც მტკივნეულად განიცდიდა და გრძნობდა საქართველოს გარდაუვალ მოსალოდნელ ბედისწერას. სურათის ერთიან ღია ტონალობაში მკაფიო აქცენტებად ჩნდება ბოლშევიზმის მთესველთა წითელი პერანგები. მათ სახეები საგანაგებოდ წაშლილი აქვთ, ბოლშევიკის სახეც ზოგადი ლაქებით ესკიზურადაა დაწერილი, ნიღაბს მოგვაგონებს, ხოლო მის მიმდევარ მთესველებს კი სახე საერთოდ დაუკარგავთ და იმპერსონალურ, მარიონეტულ, რობოტიზირებულ არსებებს წარმოადგენენ. ინდივიდუალობის დაკარგვა და იმპერსონალობა აგრესიის გამომხატველ მეტაფორად ჩნდება სხვადასხვა ცნობილ მხატვართა სურათებში ომის თემასთან კავშირში, მაგ., ფ. გოიას დახვეწილი გავიხსენოთ, სადაც ნაპოლეონის ჯარისკაცებს ადამიანების სახე დაუკარგავთ და სიკვდილის მანქანად ქცეულან ან კიდევ პ. პიკასოს გერნიკა. ვ.სიდამონ-ერისთავის სურათში ადრეულ გაზაფხულზე ახლადგაღვიძებულ, აყვავებული ბუნებას უსახურ არსებები დაპატრონებიან. ბოლშევიკის ნაცრისფერი ფიგურაც კონტრასტშია და ამოვარდნილია მშვენიერ პეიზაჟიდან და ეს კონტრასტიც ერთგვარი მეტაფორული სახის გაძლიერებაში ეხმარება მხატვარს.

სიდამონ-ერისთავი რომელიც რეალისტური ფერწერისკენ იყო მიდრეკილი 1920-იან წლებში იმდენად განიცდის ქვეყნის საერთო ვითარებას რომ სიმბოლისტ და ექსპრესიონისტ მხატვრად წარმოგვიდგება. 1920-იანი წლებში მას შექმნილი აქვს ექსპრესიონისტული და ალეგორიული ხასიათის კიდევ რამდენიმე ნამუშევარი, რომლებიც ძალზე სიმპტომატური

და გამორჩეულია მის შემოქმედებაში. ესენია: „წითელ ცხენოსანთა შეტევა“ „ბავშვები ბაღში“ „ქორმა გადაიფრინა“ (1920-25) და ასევე ექსპრესიული ხასიათის პორტრეტები და განსაკუთრებით ავტოპორტრეტები, რომლებიც ცალკე განხილვის თემაა. ამჯერად განსაკუთრებით გამოვყოფდი ფეხზე მდგომ ავტოპორტრეტს 1910-20 წლები, რომელიც „წითელი მთესველების“ თანადროულია და ერთგვარი პოლიტიკური სარჩული შეიძლება ჰქონდეს. გამოირჩევა მძაფრი ემოციურობით, გროტესკულობით. ის „წითელი მთესველების“ ბოლშევიკს რომ შევადაროთ შესაძლოა გარკვეული მსგავსებაც დავიჭიროთ. მხატვარი ამ ავტოპორტრეტში თითქოს ანტიგმირის სახით წარმოაჩენს საკუთარ თავს, პარადოქსულია, მაგრამ შესაძლოა ფიურერიც მოგვაგონოს და ამავე დროს ეს პორტრეტი დიდი ტრაგიზმითაა გამსჭვალული. უეჭველია რომ ვალერიან სიდამონ -ერისთვის ემოციური მდგომარეობა 1920-იან წლებში უკიდურეს ზღვარზეა რაც მის შემოქმედებაში ექსპრესიული ფორმებში აისახება. შეიძლება ითქვას მას ამ წლების შემდგომ ამგვარი მძაფრი სიმბოლისტური სახის ნაწარმოებები აღარ შეუქმნია. სიმბოლისტურ ხედვას ის მიმართავს საკუთარი შინაგანი მდგომარეობიდან გამომდინარე ეპიზოდურად და არა რაიმე სკოლისა და მიმდინარეობის კუთვნილების გამო.

სიმბოლურ- მეტაფორული ხედვითა და ექსპრესიულობით გამოირჩევა შალვა ქიქოძის შემოქმედება. სიდამონ- ერისთვისგან განსხვავებით მას ექსპრესიულ - მეტაფორული ხედვა მთელი შემოქმედების მანძილიზე გასდევს თან. მისთვის დამხასიათებელია მძაფრი ირონია, გროტესკი და ამავე დროს ღრმა ფილოსოფიური ხედვა. ვალერიან სიდამონ - ერისთვის „წითელ მთესველებს“ შეიძლება დავუკავშიროთ შალვა ქიქოძის ასევე ალეგორიულ- ფილოსოფიური სურათი **„უდროოდ დაღუპული მეგობრის მოსაგონრად“** 1920წ. სადაც ის ზოგადი მისტიკურ -მელანქოლიური განწყობა, რომელმაც მოიცვა მე-19 სის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ევროპა და საქართველოც სიდამონისგან განსხვავებით არა პოლიტიკური თემით, არამედ ძალზე პერსონალური სუბიექტური შინაარსით - ავტოპორტრეტის თემით გამოიხატება. აქ გამოსახულია მხატვრის ავტოპორტრეტი მეფისტოფელსა და სიკვდილთან ერთად გემბანზე, ბანქოს თამაშისას. სიკვდილის თემა უკვე სურათის უჩვეულო სახელწოდებაშიც ჟღერს - „უდროოდ დაღუპული მეგობრის მოსაგონრად.“ მხატვარმა მეგობარი საკუთარი თავით ჩანაცვლა, რითიც იწინასწარმეტველა კიდევ საკუთარი ნაადრევი სიკვდილი.

კიდევ ერთი ქართველი მოდერნისტი, რომლისთვისაც სიმბოლიზმი როგორც ფილოსოფიურ - მსოფლმხედველობითი კონცეფცია განსაკუთრებით მისაღები აღმოჩნდა ლადო გუდიაშვილია. მის მხატვრობაში რეალობა ზღაპრად გარდაისახება, მითოლოგიზებულია და განსაკუთრებით ეგზოტიკურ, რომანტიკულ სახეს იძენს. მისი სიუჟეტები ეროვნული ისტორიიდან ლეგენდებიდან, ზღაპრებიდან და ქალაქური ცხვრებიდანაა. გარდა იმისა რომ ლადო გუდიაშვილი საზრდოობდა ქართული შუა საუკუნეების ხელოვნებიდან და აღმოსავლური ტრადიციიდან ის განსაკუთრებით დაკავშირებულია ქართულ ლიტერატურულ სიმბოლიზმთან. მეცნიერთა აზრით მისი მხატვრობა მოდერნის სტილთან ახდენს თანხვედრას და ამავე დროს ღრმად ინდივიდუალური და ეროვნული სახე აქვს. ლ. გუდიაშვილი თანამშრომლობდა და მეგობრობდა სიმბოლისტ პოეტებთან. ცისფერყანწელთა პოეტური სახეები ხშირად მის მხატვრობაში ჩნდება. მაგალითად **1919 წლის ავტოპორტრეტში** მის ფიგურას მონავარდე ნიამორები ახლავს თან. თვით მხატვარი აქ მათსავეთ ფანტასმაგორიული ლირიკული არსებაა და შერწყმულია ბუნების სტიქიურ ბრუნვას. ის თითქოს რეალურსა და წარმოსახვით სამყაროებს შორის არსებობს. მხატვარი საკუთარი პიროვნების სიმბოლურ-

პოეტური მეტამორფოზას ასახავს და ერთგვარ პანთეისტურ ხილვას წარმოგვიდგენს. ყოველივე ეს პირობითი დეკორატიული მხატვრული ხერხებით, რიტმული ხაზოვანი ნახატითა და ფერადოვანი ლაქების კომბინაციით, აბსტრაგირების ხარჯზეა მიღწეული. მსგავსი მხატვრული ხედვა გვხვდება პ.გოგენის ასევე სიმბოლისტური ხასათის ავტოპორტრეტში – „ავტოპორტრეტი გველით და შარავანდით“, 1889წ.

ქართული რომანტიზმისა და სიმბოლიზმის პოეზიითაა შთაგონებული ასევე 1918 წელს შექმნილი სურათი „მერანი“, რომელიც მოდერნიზმის ერთ-ერთი გამორჩეული ნიმუშია. მითოლოგიური რაში და მასზე ამხედრებული ჩოხოსანი მხედარი ღრუბლებითა და ფანტასტიკური ცის ფონზე მიჰქრიან, სურათის ქვედა ნაწილში კი მთიანი პეიზაჟი, ქართლის ციხე-სიმაგრე და კოშკია გამოსახული. ეს ნიკოლოზ ბარათაშვილის მერანისა და გალაკტიონ ტაბიძის ლურჯა ცხენების სახვითი ვიზუალიზაცია და ამავე დროს ეროვნული სულისკვეთების, თავისუფლებისკენ სწრაფვის გამოხატულებაცაა. ის ხომ 1918 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისას და ახალი ქართული სახელმწიფოს შექმნის წელსაა შესრულებული. ეს სურათი ერთის მხრივ ჭეშმარიტების, პოეზიის სტიქიური ძალის განსახიერება, რომელიც მიმზიდველი და მიუღწეველია რეალობაში და მეორეს მხრივ ეროვნული თავისუფლების სიმბოლოცაა.

კვლევის შედეგები ცხადყოფს, თუ რამდენად ეროვნული ხასათისა ქართველ მხატვართა სიმბოლისტური მიგნებები და ის, რომ ევროპული გამოცდილების გაზიარებასთან ერთად, ისინი მუდმივად საკუთარის და ინდივიდუალურის ძიებაში არიან.

2021 წლის მანძილზე ასევე შეგროვილ იქნა ვიზუალური, ლიტერატურული და წერილობითი მასალა **მოდერნისტული პორტრეტების** შესახებ, რომელიც დამუშავდა და გამოყენებულ იქნა თეორიულ კვლევაში. დამუშავდა უცხოენოვანი სამცნიერო ლიტერატურა და დაიწერა სტატია ცნობილი შვეიცარელი მეცნიერის გოტფრიდ ბოემის კვლევის გათვალისწინებით ქართული მოდერნისტული პორტრეტების შესახებ – „გოტფრიდ ბოემის ჰერმენევტიკული ხედვა და მოდერნისტული პორტრეტები.“ სწორდ რეცეფციის ესთეტიკას უთმობს დიდ ადგილს გოტფრიდ ბოემი თავის წიგნში „პორტრეტი და ინდივიდუალობა“. კვლევის შედეგია, რომ ამ წიგნში მოცემული ზოგიერთ მოსაზრების თანახმად განხილულიყო ქართული მაგალითები, კერძოდ კი ელენე ახვლედიანის ავტოპორტრეტები.

ელენე ახვლედიანი მოგვხსენებათ, რომ პეიზაჟისტი იყო და მისი ეს რამდენიმე იშვიათი პორტრეტი საკმარისად დრამატულ შთაბეჭდილებას ტოვებს. აქ მხატვარი შეიძლება ითქვას, კონფლიქტშია სამყაროსთან. მიუხედავად იმისა, რომ სამივე პორტრეტი მკერდამდეა ასახული, თვალში საცემია ლამის არაზუნებრივად მკვეთრი მოძრაობა, თავის მოტრიალება, ახლოს მოტანილი კადრი, დისპროპორცია, ზედმიწევნით დაჟინებული და მახვილი, ექსპრესიული მზერა, რაც შინაგანი დრამის შთაბეჭდილებას ქმნის. ეს მღელვარების განცდა, დინამიკა, შინაგანი დამაბულობა გარკვეული სახვითი ოპოზიციებითაა მიღწეული. ესენია ერთი მხრივ, ახლო პლანად მოტანილი მკვეთრი მოძრაობა, თითქოს წუთიერი მდგომარეობის ასახვა, რომელიც დიდხანს ვერ გაგრძელდება და მეორე მხრივ, მაგ., ფერწერული პორტრეტის მაგალითზე. გრუზა თმისა და სამოსის მუქი შავი ლაქების სიმყარე ღია ფერის ფონზე, ერთგვარი ჩაკეტილობა, რასაც გამოსახულების კადრში გაჭედვაც ხელს უწყობს. მოძრაობასთან ერთად სახეზეა გარკვეული სტატიკაც, რასაც წერის მანერაც – ძალზე მკაფიო, თითქოს ნაჭედი ნახატი, ხაზოვანი ლაქები განაპირობებს.

ეს განსაკუთრებით ჩანს ჩანახატების მაგალითზე. არაბუნებრივად დამაბული გამომეტყველება, ოდნავ წინ წაწეული თავი, ყბა და საპირისპიროდ მიმართული მხერა, რომლის ასე დიდხანს შეჩერება რელაურად ალბად შეუძლებელიცაა. ერთი მხრივ, უკიდურესი ექსპრესია და დინამიკა და მეორე მხრივ, ნახატის ძალზე დამაჯერებელი, დასრულებული, მკვეთრი ხასიათი, ჩაკეტილი სილუეტი, ჩრდილების სიმუქე და სიგლუვე. თეთრი პერანგის მინიმალისტური, მკვეთრი მონახაზი და მუქი ჩრდილებით დამუშავებული სახე, თავი თითქოს დისონანშია ერთმანეთთან. მხატვარი ასახავს ცვალებად, მოძრავ მდგომარეობას, მაგრამ ამასთანავე, ფორმების ფიქსაციას, მათ სტატიკურ გაშეშებას ახდენს. იქნებ ამგვარი კონტრასტული ასპექტების გამოყენებით ის თავის შინაგან კულმინაციურ მდგომარეობას, გაორებას გამოხატავს. ის უპირისპირდება გარემოს, დაეჭვებულია, კონფლიქტშია მასთან და ამასთანავე, თვითირონიზებასაც გამოხატავს, ლამის გროტესკულად და კარიკატურულად წარმოაჩენს თავს.

მესამე ჩანახატზე საინტერესოა განათება. მას თითქოს ხელოვნურად მიანათეს შუქი, რაც იმთავითვე დრამატულობას სძენს პორტრეტს და ლამის კუბისტურად ანაწევრებს ჩრდილებს სახეზე. ეს კვლავ მხატვრის შინაგანი მდგომარეობის გამოხატვაა. აქაც ნახატის ძლიერი, დამაჯერებელი ხასიათი შერწყმულია მხერის სიმახვილესთან, პოზის დინამიკასა და ცვალებადობასთან.

გოტფრიდ ბოემი პორტრეტების ანალიზისას ამბობს, რომ არსებობს ე.წ. დამოუკიდებელი, სუვერენული პორტრეტების ტიპი და ამ დამოუკიდებელი პორტრეტის ერთ-ერთი ჰერმენევტიკული კატეგორიაა ე.წ. შუალედურობა. ეს ნიშნავს რომ ნატურის ინდივიდუალობა ყველაზე კარგად მაშინ ვლინდება, როდესაც ერთგვარი ზომიერებაა დაცული ანუ უკიდურესი ემოცია ნაკლებად გამოისახება. მაგ., ტირილისა და სიცილის ასახვა ქმნის საფრთხეს, რომ სახე გაშეშდება და პორტრეტის მაგივრად მივიღებთ პორტრეტ-ტიპს ან კარიკატურას. გამომეტყველების ზომიერი ბალანსი განასხვავებს პორტრეტს კარიკატურისგან. მისი აზრით, სწორედ ამ შუალედურ მდგომარეობაში ასახული ადამიანი ყველაზე კარგად გადმოსცემს ინდივიდუალურობასა და საკუთარ შინაგან მდგომარეობას ანუ ინდივიდუალურობა პორტრეტში ერთგვარი ბალანსის რეზულტატია. მაგ., ჰოლანდიაში მძაფრი და უცნაური მიმიკის მქონე პორტრეტები ცალკე ჟანრს - ე.წ. ტრონიებს წარმოადგენდა. ეს იყო უმეტესად ანონიმური ნატურები სახის უცნაური გამომეტყველებებით, რომელთაც ხშირად ალეგორიული დატვირთვა ჰქონდა.

აქვე გვახსენდება რემბრანდტის ავტოპორტრეტები სადაც ის სხვადასხვა როლებს თამაშობს, განსხვავებულ გამომეტყველებებს ირგებს როგორც ნიღბებს. როგორც ჰანს ბელტინგი მიიჩნევს, რემბრანდტი პირველია ავტოპორტრეტებში, ვინც ასახავს ფიქციას, წარმოსახულს, შეთხზულს საკუთარი თავის შესახებ. ის ქმნის საკუთარი თავის მეტამორფოზებს და ამ თამაშით, ნიღბების მორგებით თითქოს სურს მივიღეს საკუთარი პროვნების სიღრმემდე. ეს ნიღბები საკუთარი თავის შეცნობისკენ სწრაფვის გამოხატულებაა და არა უბრალოდ სხვადასხვა მიმიკების ასახვა. გ. ბოემის აზრითაც, რემბრანდტი პირველია, ვინც ინდივიდუალურობის ისტორიაში ახალი ფურცელი გადაშალა. მის შემთხვევაში პორტრეტმა დაიმკვიდრა საკუთარი იდენტობა და განთავისუფლდა ნიმუშისგან. მიზანი გახდა არა იმდენად მსგავსების ასახვა, არამედ საკუთარი იდენტობის და დამოუკიდებლობის გამოვლენა. ამ მხრივ, რემბრანდტის მხატვრობა მოდერნისტული ხედვის დასაწყისია და

მასზე შეიძლება ითქვას, რომ ის პირველი აბსტრაქციონისტიც კია. ამგვარი რემბრანდტისეული დამოკიდებულება მოდერნიზმში გრძელდება. მხატვრები მიმართავენ თამაშის, გროტესკის, ირონიის კატეგორიებს საკუთარი თავის გამოსავლენად. ასეა პ. გოგენტან, მ. შაგალთან, პ. პიკასოსთან, მ. ბეკმანთან, ლ. კირხნერთან და სხვებთან და ჩვენს შემთხვევაში, ელენე ახვლედიანთან. რომელთანაც მიუხედავად იმისა, რომ სურათი კარიკატურის ზღავრზეა, ის მაინც ინარჩუნებს სერიოზული, ინდივიდუალური პორტრეტისთვის აუცილებელ ე.წ. „შუალედურობას“. მსგავსი გროტესკულობა ვალერიან სიდამონ ერისთავის ავტოპორტრეტებშიც შეიძლება დავინახოთ, თუმცა აქ ის სხვაგვარი სახისა და შინაარსისაა.

კიდევ ერთი ჰერმენევტიკული ფენომენი, რომელსაც გოტფრიდ ბოემი გამოჰყოფს პორტრეტთან მიმართებაში არის, ასე ვთქვათ, ხასიათის და ქმედების ურთიერთდამოკიდებულება. ისტორიული პორტრეტებისგან განსხვავებით, დამოუკიდებელ პორტრეტებზე ქმედება ნაკლებად გამოისახება, თუმცა გ. ბოემის მოსაზრებით, თუნდაც მკერდამდე გამოსახულ პერსონებს თუ დავაკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ ამ პორტრეტებში მოქმედება არ არის გამოსახული, მაგრამ მოსალოდნელი მოქმედების მომენტები გამოსახულის პოტენციაშია ჩადებული. მეცნიერის აზრით, დამოუკიდებელი პორტრეტი აგებულია გარკვეული იმპულსების, ე.წ. „აფექტური სიგნალების“ თანახმად, რომელთა მიხედვითაც შესაძლოა გამოსახული ადამიანის არა მხოლოდ ხასიათი და შინაგანი მდგომარეობა, არამედ ქცევის, მოქმედების პოტენცია წავიკითხოთ, ჩვენი წარმოსახვით გავაგრძელოთ გამოსახულების მოსალოდნელი ქმედება, ფაქტობრივად ჩვენვე გავაგრძელოთ ხელოვნების ნიმუში ჩვენს სივრცეში ანუ ის ერთგვარ დაუსრულებელ პროცესში, უსასრულობაში აღვიქვათ. აქ ირთვება ის ფსიქოანალიზის ელემენტი, რაც ახასიათებს ჰერმენევტიკულ მიდგომას და რეცეფციული ესთეტიკის ერთგვარი სუბიექტური ელემენტი.

მაგალითად, ანტონელო და მესინას პორტრეტის მაგალითზე. გ. ბოემი ამბობს, რომ ეს გამოსახულება მცირე ფორმატშიც კი ძლიერ სამოქმედო სივრცეს ქმნის. დიოგონალური რიტმი, მახვილი, აქტიური მზერის მიმართულება, მკვეთრი ვექტორები, რომელზეც იგება კომპოზიცია და რომლებიც ცენტრიდან გარეთ გადის და შემდეგ ისევ აბრუნებს ჩვენს მზერას ცენტრისკენ, მზერისკენ, რომელიც პორტრეტის ბირთვს წარმოადგენს. მართლაც, კონცენტრირებული, შემართული ხასიათის გამო, ამ უცნობი მამაკაცის პორტრეტს კონდოტიერის, სამხედრო მეთაურის პორტრეტი შეარქვეს.

ისევ ელენე ახვლედიანის ავტოპორტრეტებს რომ დავუბრუნდეთ, აშკარად გამოჩნდება ნატურის შინაგანი მდგომარეობის და მოქმედების ურთიერთდამოკიდებულება. მხატვარი ქმნის უკიდურესად დრამატულ სახეს, რომელიც სურათის სიბრტყიდან თითქოს სადაცაა მნახველის სივრცეში გადაინაცვლებს. გამოსახულების სიბრტყეები, ლაქები, მისი კომპოზიციური მიმართებები, დიოგონალები, მოძრაობა, ფორმები ისეა აგებული, რომ ადვილად წარმოსადგენს ხდის თუ როგორ შეიძლება გაგრძელდეს მისი მოძრაობა, მოქმედება.

მხატვარი თითქოს ბრძოლისთვის გამზადებულ მატადორს წააგავს, რომელიც ცოტაც და რაღაც სტიქიურთან ბრძოლაში ჩაებმება. იქნებ მისი მზერის ადრესატი ის ქაოტური გარემოა, რომელშიც მხატვარს მოუწია ცხოვრება და თავის დამკვიდრება ან კიდევ სტიქიური საწყისი,

რომელსაც მხატვარი უპირისპირდება საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალია, როგორც ქაოსი, რომელიც მისი მოსათვინიერებელია.

პორტრეტის სხვადასხვაგვარი ინტერპრეციები შესაძლებელია, თუმცა ერთი ცხადია - ქალი მხატვარი საკუთარი თავისთვის მასკულიზური ნაკვთების მინიჭებით და გროტესკული უტრირებით თითქოს საკუთარი ბედისწერის განსაკუთრებულ ხვედრს გვანახებს. აშკარაა სურვილი არაორდინარული სახით წარმოაჩინოს თავი, ხაზი გაუსვას საკუთარი თავის საბედისწერო ინდივიდუალურობას.

მსგავსი მაგალითია ახალგაზრდა პოლ სეზანის ავტოპორტრეტი, სადაც მხატვარი საკუთარი ბედისწერის განცდითაა განმსჭვალული და საკუთარ არაორდინარულობას გვიჩვენებს. მასთანაც, როგორც ე. ახვლედიანთან, ეპატაჟის მცდელობა თვითირონიამდე მიდის. მკვლევართა აზრით პოლ სეზანი ამ ადრეულ ავტოპორტრეტში ერთგვარ განაცხადს აკეთებს საკუთარი არტისტული მე-ს დასამკვიდრებლად, ოჯახის სურვილის საწინააღმდეგოდ.

საკუთარი პიროვნების სიმბოლური მისტიფიკაციის ამბიცია ხშირია ასევე პ. პიკასოს ავტოპორტრეტებშიც. ის თითქოს დემონურ ძალას ანიჭებს საკუთარ პერსონას და სურს მაჰიკნოზირებელი მზერით მონუსხოს მნახველი. ხელოვანთა გამხოლოება, განცალკევება, ინდივიდუალიზმის განვითარებასთან ერთად, ორგინალური თვითგამოხატვის ძლიერ მისწრაფებას ქმნის.

ეს ყოველივე გარკვეულწილად ადასტურებს გოტფრიდ ბოემის მოსაზრებას, რომ პორტრეტი ინდივიდუალური, დამოუკიდებელია მაშინ, როდესაც ის იწვევს გარკვეულ იმპულსებს მნახველში, ცდილობს მისი მსგავსი იპოვოს მაყურებელში ანუ როდესაც მას გარე სამყაროსთან აქვს ხიდი გადებული.

ბოლოს აღვნიშნავ, რომ გოტფრიდ ბოემი კვლევის შედეგად ასაბუთებს, რომ ასახვის ინდივიდუალურობა და გამოსახულის ინდივიდუალურობა პორტრეტში ერთმანეთზე დამოკიდებული და ერთმანეთით იქმნება. ეს რომ კონკრეტული ნიმუშების მაგალითზე დავინახოთ რთული და გრძელი კვლევაა საჭირო, რომელიც სუბიექტური რეცეფციის გზაზე სიფრთხილეს მოითხოვს. თუმცა ნაწილობრივ ამ მცირე მონახაზითაც გამოჩნდა, რომ მართლაც ინდივიდუალური ასახვის ხერხები და ნატურის ინდივიდუალურობა ხშირად ურთიერთგადაჯაჭვული და ურთიერთგანმაპირობებელია.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

6.3. კრებულები

1) ავტორი/ავტორები

1. ცისია კილაძე (სტატია: სიმბოლისტური ტენდენციები 1920-იანი წლების ქართულ მოდერნისტულ მხატვრობაში)

2. და სხვ.

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

ხელოვნება და თანამედროვეობა Art and Modernity ხელოვნებისა და მედიის კვლევების საერთაშორისო კრებული

3) გამოცემისადგილი, გამომცემლობა
თბილისი, გამომცემლობა კენტავრი

4) გვერდების რაოდენობა
12 გვერდი (კრებული - 407)

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ქართული მოდერნისტული მხატვრობის განვითარება უმოკლეს დროში მოხდა, ის დაეწია ევროპული ხელოვნების თანადროულ ტენდენციებს და ჩამოყალიბდა როგორც უნიკალური მოვლნა, რომელიც სამწუხაროდ ხანმოკლე აღმოჩნდა, რადგან ძალდატანებით იქნა შეწყვეტილი საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის მიერ. მიზანმიმართულად წაშლილი ჩვენი კულტურული მემკვიდრეებიდან. დღეს ის საკვლევი და ახლად აღმოსაჩენია. ქართული მოდერნიზმისთვის დამახასიათებელია ტრადიციის სიყვარული, ქვეყნის უძველესი კულტურისადმი დიდი ინტერსი, ეროვნული ფასეულობის ძიება. მოდერნისტი მხატვრების მიზანი იყო შეექმნათ „თანამედროვე და ეროვნული“ ხელოვნება და ეს ეროვნული ფორმები სწორედ ტრადიციიდან უნდა გაჩენილიყო. ნაწილობრივ შესაძლოა ესეც იყო მიზეზი იმისა, რომ ქართულ მოდერნისტულ მხატვრობაში არ შექმნილა მიმდინარეობები და მხატვრული დაჯგუფებები. ყოველი მხატვრის შემოქმედება ინდივიდუალური გზით ვითარდებოდა. ისინი მიმართავენ კუბისტურ, ექსპრესიონისტულ, სიმბოლისტურ, მოდერნის სტილის და სხვა ტენდენციებს, თუმცა ეს მათი შემოქმედების ინდივიდუალობის ერთ-ერთი ნაწილია და არა წამყვანი მახასიათებელი. გვხვდება სიმბოლისტური მიდგომები და მეტაფორული აზროვნების საინტერესო ნიმუშები. მაგრამ ვერც ერთ ქართველ მხატვარს სიმბოლისტს მაინც ვერ ვუწოდებთ. სიმბოლიზმის ნიშნები ჩნდება ვალერიან სიდამონ-ერისთავის, შალვა ქიქოძის და ლადო გუდიაშვილის შემოქმედებაში. რა თქმა უნდა ყველა მათგანთან ეს ძალზე ინდივიდუალური სახითაა გამოვლენილი. საერთო მათ ის აქვთ, რომ სიმბოლური და მეტაფორული სახეები მათთან ექსპრესიონისტული სიმმაფრითაა გადმოცემული. სიმბოლური არსი და ექსპრესიონისტული მხატვრული ფორმები მათ შემოქმედებაში ერთმანეთს ხვდება, იკვეთება თვითმყოფადი ეროვნული ფორმათშეგრძელება და ის, რომ ევროპული გამოცდილების გაზიარებასთან ერთად ქარველი მოდერნისტი მხატვრები მუდმივად საკუთარის და ინდივიდუალურის ძიებაში არიან.

6.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1)ავტორი/ავტორები
ცისია კილაძე

2) სტატიის სათაური, ISSN
გოტფრიდ ზომის ჰერმენევტიკული ხედვა და მოდერნისტული პორტრეტები
ISSN 1512 - 0899

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
ACADEMIA, N 8-9

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

თბილისი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

5) გვერდების რაოდენობა

9 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ჰერმენევტიკა ფილოსოფიური მიმართულება, მეთოდია, რომელიც, როგორც ცნობილია, მეტადრე ენათმეცნიერებაშია დამკვიდრებული, ლიტერატურულ ტექსტებში დაშიფრული სიმბოლოებისა და მეტაფორების ინტერპრეტაციისთვის. ხოლო მისი გამოყენება ხელოვნების ისტორიასთან მიმართებაში XX საუკუნის მიჯნიდან იწყება. განსაკუთრებით კი 1970- 80 იან წლებში ხდება აქტუალური, ისეთ მეცნიერებთან როგორებიც არიან: გოტფრიდ ბოემი, მაქს იმდაჰლი, ოსკარ ბეჩმანი, ვოლფგანგ კემპი და სხვები. ამჯერად ჩვენ შევხებით ფილოსოფიური ჰერმენევტიკის დამფუძნებლის ჰანს გეორგ გადამერის მოწაფის, შვეიცარელი ფილოსოფოსისა და ხელოვნების ისტორიკოსის გოტფრიდ ბოემის ერთ- ერთ კვლევას. ზოგადად ამ მეცნიერის ჰერმენევტიკული ხედვა ორიგინალურია, მისი აზრით, ნახატის ჰერმენევტიკა იწყება იქ სადაც ნახატის ვიზუალური აღქმა გადადის მეტყველებაში. როგორც ჰ.გ. გადამერის მემკვიდრე, ის გვთავაზობს ხელოვნების ნიმუშის წაკითხვის ალტერნატიულ გზას, რაციონალურ შეცნობაზე მეტად, სუბიექტური საწყისის, შემოქმედებითი ინტუიციის გამოვლენას, ხელოვნების ნიმუშის ფსიქოლოგიური და არა გნოსეოლოგიური პრინციპებით წაკითხვის შესაძლებლობას, შემოქმედის მე-ს ფსიქოლოგიაში ჩადმავებას და მის შეგრძნებას. ამ პროცესში პირველ პლანზეა „ემპათია“, თანაგანცდა და აქედან გამომდინარე ცხადია, მნიშვნელოვანი ხდება მაყურებლის, აღმქმელის გათვალისწინება, რეცეფციის ესთეტიკა. ჰერმენევტიკული მიდგომა არა მხოლოდ წარმოაჩენს მნახველის იმანენტურობას ნაწარმოებში, არამედ ამბობს, რომ გასათვალისწინებელია თვით მაყურებლის სუბიექტური წინაპირობები, თუ როგორ, რა მზაობით მიეახლება და აღიქვამს ის ხელოვნების ნიმუშს, როგორია ხელოვნების ნიმუშის კულტურულ-ისტორიული და სოციალური კონტექსტის რესტავრაციასთან ერთად, მნახველის ფსიქოლოგიური თუ ისტორიულ- სოციალური მდგომარეობა.

სწორდ რეცეფციის ესთეტიკას უთმობს დიდ ადგილს გოტფრიდ ბოემი თავის წიგნში „პორტრეტი და ინდივიდუალობა“, სადაც განხილულია ძირითადად რენესანსული ეპოქის პორტრეტები. ამ წიგნში მოცემული მხოლოდ ზოგიერთი მოსაზრების თანახმად განხილულია ქართული მოდერნისტული პორტრეტები, მაგ., ელენე ახვლედიანის ავტოპორტრეტები. როგორც გოტფრიდ ბოემი ამბობს რენესანსის ეპოქიდან ჩნდება ე.წ. „სუვერენული“, „დამოუკიდებელი“ პორტრეტი. ეპოქათა მანძილზე ინდივიდუალიზმის მატებასთან ერთად, მატულობს პორტრეტის მნახველზე ორიენტირების ხარისხიც, რაც უახლეს დროში, განსაკუთრებით მოდერნიზმში ერთგვარ კულმანაციას აღწევს. ჩნდება მნახველთან აქტიური კონტაქტის, თითქოს სასურათო სიბრტყიდან გადმოსვლის ტენდენცია, ახლო პლანები, ექსპრესია. ამგვარი ტენდენციები თვალსაჩინოდ იკვეთება ელენე ახვლედიანის მოდერნისტული, 1920-იანი წლების ავტოპორტრეტების, შალვა ქიქოძის, ლადო გუდიაშვილის და სხვათა პორტრეტების მაგალითზე.

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

ცისია კილაძე

2) მოხსენების სათაური

დავით კაკაბაძე - ზოგიერთი თეორია სივრცის შესახებ

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

24, 25 მაისი 2021, თბილისი. კონფერენცია- ხელოვნება და სივრცე- დავით კაკაბაძე, მეცნიერი, მოაზროვნე, მხატვარი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი მთავარი პრობლემა სივრცის პრობლემაა, დავით კაკაბაძესთვის სივრცის თემა უმნიშვნელოვანესია. თავის თეორიული ნაშრომებში ის მუდმივად განიხილავს ამ საკითხს. მისი მოსაზრებები მრავალგვარი და ხშირად ოპოზიციურიცაა, მაგრამ საბოლოოდ ისინი შესაძლოა ერთიან კონცეფციად დავინახოთ, რომელიც რთული და მრავალსახოვანია, ამავე დროს მთლიანი და სტრუქტურული, ჰარმონიული. ისეთივე როგორც მისი შემოქმედება და მხატვრობა. დავით კაკაბაძე წერს იმას, რასაც პრაქტიკულად ახორციელებს ან უფრო ზუსტი იქნება ითქვას, რომ ის როგორც მეცნიერი- ხელოვანი საზრისებით, წინასწარი ცოდნითა და მსოფლმხედველობის თანახმად აკეთებს თავის მხატვრობას. მასავე დავესესხებით სურათი მუდამ გაკეთებული უნდა იყოსო, თუმცა ამავე დროს ის ამბობს, რომ „ყოველი სურათი, რომელიც მოქმედებს მხოლოდ ჩვენს აზრზე შეუძლებელია ჩაითვალოს სრულ მთლიან ნაწარმოებად“. „იდეალური სურათი უნდა მოქმედებდეს მარტო გრძნობიერებაზე.“

დავით კაკაბაძის ნაწერებიდან აშკარაა მხატვრული აზროვნების სინთეტიზმი, ისევე როგორც მის შემოქმედებაში მის თეორიულ ნაშრომებშიც სივრცის კონცეფცია მრავალგვარი, რთული, ოპოზიციებით დატვირთული და ამავე დროს მთლიანი და მიზნობრივია. სინთეტურია მისი შემოქმედებითი დანატოვარიც: ფერწერა, გრაფკა, კოლაჟი, ფოტოგრაფია, კინო, სტერეოაპარატი. ეს არის სამყაროს მთლიანობის, ჭეშმარიტების ძიებისა და ასახვისკენ სწრაფვა. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მეტად მისი თეორიული ნააზრევი სივრცის შესახებ ალბად იმერეთის პეიზაჟებში ხორციელდება ხილულად. ეს თითქმის მისი ტექსტების სახვითი ხატებია და შემთხვევითი არაა, რომ დავით კაკაბაძე მუდმივად უბრუნდება იმერეთის პეიზაჟებს. ყველაზე ნათლად, კრისტალური ფორმით აქ ჩნდება მისი სივრცისადმი დამოკიდებულება და ალბად ეროვნული სულისკვეთების ხილულადყოფაც ყველაზე ცხადად სწორედ მის პეიზაჟებში ვლინდება. მხოლოდ მატერიალური, ყოფითი, ინდივიდუალური არ იზიდავს ქართველი ხელოვანის თვალს, ხელსა და გულს, ის მუდმივად იდეალურ სახე-ხატს ეძებს. ამავე მეცნიერის აზრით კაკაბაძის მხატვრობისთვის დამახასიათებელი უსაზღვროების განცდა მხოლოდ ერთი სიტყვით გამოითქმის და ეს არის

ამაღლებული, რაც ქართული ეროვნული ტრადიციის დამსახურებაა. დ. კაკაბაძე „ემებს არა მარტო მუდმივებს, იდეალთან მიმყვანებელ მუდმვებსაც“

შეიძლება ითქვას, რომ დავით კაკაბაძის სივრცის კონცეფცია პლატონისულ მიმეზისის კონცეფციიდან საზრდოობს, რომლის მიხედვითაც ერთადერთი რისთვისაც შეიძლება ღირდეს სახვითი ხელოვნების არსებობსა ისაა, რომ მან ასახოს ჭეშმარიტება. დავით კაკაბაძის მხატვრობის, მისი მაღალი წესრიგიანი სივრცეების ასახვის საგანი სწორედ ჭეშმარიტება, აბსოლუტური რეალობის წარმავალში ასახვაა. ნეოპლატონურად ჟღერს თავად მისი ნათქვამიც :„ხელოვნებაში მოცემული უნდა იყოს ის კი არა, რაც არსებობს, არამედ ის რაც შეიძლება არსებობდეს“.

ნინო ჭინჭარაული

1. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმა)

1) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით
1930-1940-იანი წლების ანტიფორმალისტური კამპანიების მხატვრულ-ისტორიული ანალიზი, მისი შედეგები და მემკვიდრეობა

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2. ქართული მხატვრული კრიტიკის გენეზისი და მდგომარეობა 1930-1950-იანი წლების მაგალითზე

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2) პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. 2021

2. 2021

3) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

ნინო ჭინჭარაული (მკვლევარი)

კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

თავის დროზე უაღრესად ფუნქციურ მოვლენად ჩამოყალიბებული საბჭოთა კრიტიკა პარტიული უზენაესობის გამომხატველ სრულყოფილ ინსტრუმენტად და პროპაგანდისტული კამპანიების განუყოფელ მოთამაშედ იქცა. საბჭოთა სივრცეში ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის იდეოლოგიური კლიშეები სოციალისტური საზოგადოების წინსვლის უცილობელ პირობად იყო მოაზრებული.

კვლევა დაეყრდნო საქართველოს სსრ მხატვართა კავშირთან არსებულ კრიტიკოსთა და ხელოვნებისმცოდნეთა (სტილი დაცულია - ნ.ჭ.) სექციის საარქივო მასალებს. ინტერესს

წარმოადგენდა აღნიშნული სექციის, როგორც ბიუროკრატიული ერთეულის, ფუნქციონირების, განსაკუთრებით კი, კულტურულ პოლიტიკაში თანამონაწილეობის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ სექცია მშობელი ორგანიზაციის სტრუქტურაში 1935 წლიდან ჩნდება და 1991 წელს, კავშირის ლიკვიდაციასთან ერთად უჩინარდება, საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული მასალები კრიტიკოსთა სექციას მხოლოდ 1940-1966 წლების შუალედით წარმოადგენს (ფ. #10, ან. #1). საქმეების დიდ ნაწილში, სამწუხაროდ, აღარ ფიგურირებს სექციის წევრთა მიერ წაკითხული მოხსენებები, როგორც ოფიციალური განაცხადის მთავარი ხელჩასაჭიდი მასალა, თუმცა, მათ შესახებ გარკვეულ წარმოდგენას ქმნის ვრცელი ზეპირი დისკუსიების სტენოგრაფიული ჩანაწერები.

ქართული მხატვრული კრიტიკა, როგორც ჩანს, ჩნდება შედარებით გვიან და არა ბოლშევიკური რეჟიმის ინსტიტუციონალიზმის კვალად. მხოლოდ 1932 წლის 23 აპრილის დადგენილებამ ლიტერატურულ-მხატვრული ორგანიზაციების გარდაქმნის შესახებ დღის წესრიგში დააყენა პრინციპული მარქსისტული კრიტიკის უპირობო დომინაცია. ქართული კულტურის მოდერნისტული მემკვიდრეობის არსებობამ მნიშვნელოვნად გამოკვება ახალი რიგის კრიტიკული მიდგომები და უხვად „მთააგონა“ მისივე დისკრედიტაციის გზები.

მხატვრული კრიტიკა ავანგარდში მოექცა 1930-იანი წლების შუახანებში, როდესაც საბჭოთა ხელოვნებამ ერთგვარი კონტრევოლუცია განიცადა ცნობილი ანტიფორმალისტური კამპანიის პირობებში. კამპანიამ მოდერნისტული ხელოვნების შეჩვენების კვალად „ამხილა“ მისი მხარდამჭერი კრიტიკაც, რომელიც, თავის მხრივ, თვლიდა, რომ ფორმალიზმმა საბჭოთა მხატვრებში აღზარდა ოსტატობა, ფორმის, ფერისა და კომპოზიციის გრძნობა.

შეიძლება ითქვას, რომ ქართული საბჭოთა მხატვრული კრიტიკის აღზევება ომისშემდგომ პერიოდში იწყება. მანამდე ის ნაკლებად ჩანდა, როგორც ორგანიზაციული მოვლენა და უფრო ცალკეული ავტორების სახელით ოპერირებდა (შ. ალხაზიშვილი, ა. არსენიშვილი, ვლ. ქიქოძე, კ. თოფურიძე, დ. ჯანელიძე, ა. დუდუჩავა). სექციის მუშაობისა და ზოგადად, მხატვრული კრიტიკის მდგომარეობის თავისებურებანი არსებითად განაპირობა 1940-იანი წლების შუახანებიდან მთელი კავშირის მასშტაბით აგორებულმა ანტიკოსმოპოლიტიკურმა კამპანიამ და, ამავდროულად, განსაზღვრა სექციის დოკუმენტაციის ის თავისებურებები, რაც სისტემური გავლენების თვალსაზრისითაა საყურადღებო.

პოსტსტალინური ლიბერალიზაციის პერიოდში, როგორც სპეციფიკური იდეოლოგიური ინსტრუმენტის მიმართ, იკარგება ინტერესი კრიტიკოსთა სექციის მიმართ. თუმცა, ამ კრიზისის გადალახვას მხატვრული კრიტიკის დარგი, როგორც ასეთი, გადაურჩა. ამდენად, მხატვართა კავშირთან არსებული კრიტიკოსთა სექცია, ბიუროკრატიული და ფორმალური გადაცდომების მიუხედავად, ნამდვილად წარმოადგენდა საბჭოთა პერიოდის კულტურული კონტექსტის ერთ-ერთ ავთენტურ და საყურადღებო მოვლენას, რასაც ცალსახად მოწმობს ამ შემოქმედებითი გაერთიანების სახელით წარმოებული საარქივო საქმეები.

2.2. არაპროგრამული ადგილობრივი გრანტით დაფინანსებული პროექტები

1) გარდამავალი პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

XX საუკუნის ქართული ქანდაკება

პროექტი ხორციელდება საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დაფინანსებით

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2) პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები
2021-2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. მარიამ გაჩეჩილაძე (პროექტის ხელმძღვანელი)
2. სოფიო ჩიტორელიძე (მკვლევარი)
3. ცისია კილაძე (მკვლევარი)
4. სამსონ ლეჟავა (მკვლევარი)
5. მარინა მემმარიაშვილი (მკვლევარი)
6. დალი ლეზანიძე (მკვლევარი)
7. ნანა მირცხულავა (მკვლევარი)
8. ნინო ჭინჭარაული (მკვლევარი)
9. თემურ ქანთარია-ჯაბადარი (მკვლევარი)
10. მარიანა ოკლეი (მკვლევარი)

*გარდამავალი კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

ანოტაცია იხ. პროექტის ხელმძღვანელის, მარიამ გაჩეჩილაძის ანგარიშში

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

6.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

ნინო ჭინჭარაული

2) სტატიის სათაური, ISSN

**ლენინიანა - ქართული ფერწერის მივიწყებული ფანტომი
ISSN 1512-0899**

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

ACADEMIA, #8-9, 2020-2021

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

თბილისი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

5) გვერდების რაოდენობა

17 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1920-იანი წლების საბჭოთა კავშირში და მათ შორის საქართველოში, ვლადიმერ ლენინის სახელი ახალი პროპაგანდისტული კულტურის მაუწყებლად იქცა. საბჭოთა ტოტალიტარიზმის კულტურა კი წარმოუდგენელია ლენინური კულტზე დაფუძნებული სახვითი ლენინიანის გარეშე. ამ კონიუნქტურულ პროექტს 1920-იანი წლების შუა ხანებიდან

დაედო დასაბამი, თუმცა ოფიციალური კოლექციების გაფორმება ოდნავ მოგვიანებით, 1930-იანი წლებიდან დაიწყო.

ლენინიანის სახელით, როგორც წესი, მოღვაწეობდა პრივილეგირებულ ხელოვანთა წრე, რაც გულისხმობდა ხელისუფლებასთან ახლოს მყოფ, გავლენიან, ცნობილ და მაღალანაზღაურებად ხელოვანთა ვიწრო საზოგადოებას. ათასობით რიგითი ხელოვანისაგან განსხვავებით, ეს პროპაგანდისტული ელიტა შემოსავლიანი სახელმწიფო დაკვეთებისა და პრემიების მოპოვება/გადანაწილებაზე სრულ მონოპოლიას ფლობდა. თუმცა, საბჭოთა ლენინიანა, სოციალური იერარქიის განურჩევლად, შემუშავებული იკონოგრაფიის დაცვას მკაცრად ითხოვდა.

ლენინის ხატის საყოველთაო სტანდარტიზაცია განაპირობებდა სახვითი ლენინიანის ინდუსტრიულ წარმოებას კულტურულად დიფერენცირებულ მოძმე რესპუბლიკებსა თუ სხვადასხვა მხატვრულ თაობებში. უნიფიცირებული ლენინიანის ხელოვნება მრავალეროვანი საბჭოეთის კულტურულ კონსოლიდაციას უნდა დასდებოდა საფუძვლად. ნიშანდობლივია, რომ კულტურული პოლიტიკის ერთგვარ ბერკეტად ქცეული ლენინიანა მხატვრულზე მეტად, სოციალური კატეგორიებით იქცევეს ყურადღებას. ეს არცაა გასაკვირი, რადგან საზოგადოების იდეოლოგიური აღზრდა საბჭოთა კულტურის განმსაზღვრელ თვისებას წარმოადგენდა.

სოციალისტური რეალიზმის ეგიდით შექმნილი „ქართული საბჭოთა ხელოვნება“ არ ეფუძნებოდა მხოლოდ მასობრივი წარმოების უსახურ ბალასტს - ნომენკლატურული თემებით ინტერესდებოდა ნიჭიერ და პროფესიონალ ხელოვანთა რიგებიც. პარტიული დაკვეთები სწორედ მათი მოღვაწეობით იძენდა მხატვრულ წონას, რადგან დაწინაურებულ პროპაგანდისტულ ნამუშევრებში ორგანულად იკვრებოდა იდეოლოგია და ადგილობრივი ფორმათქმნადობის გამოცდილება.

სახვითი ლენინიანის ნორმატიული სქემები საქართველოში „შერჩევით“ ხასიათს ატარებდა. უპირატესობა მხოლოდ გარკვეულ თემატურ ჩარჩოებს ენიჭებოდა, რეგიონალური პარტიტორიის მიხედვით იცვლებოდა მხატვრულ ნაწარმოებთა იდეოლოგიური აქცენტები, მოსკოვური მეტროპოლიიდან ტრანსლირებული იკონოგრაფიული ხატები ქართული კულტურული კოდეზით „იცვლებოდა“. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება ფერწერული ლენინიანის შემთხვევაში, სადაც მიმბაძველური ნაწარმოებებით დაიწყებული ისტორია მოგვიანებით საავტორო ხედვებით შეიცვლება. და მიუხედავად, მრავალწლიანი „ლენინური“ ინტერვენციისა, ქართულ ხელოვნებაში ლენინიანა ვერ იქცა ეროვნული იდენტობის ნაწილად.

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

ნინო ჭინჭარაული

2) მოხსენების სათაური

საბჭოთა მხატვრული კრიტიკის ბიუროკრატიული სევდა

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

2021 წელის 24 – 26 ნოემბერი, თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი. გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დაარსების 80 წლის

იუბილესადმი მიძღვნილი კონფერენცია: ქართული ხელოვნება: აღქმა, ინტერპრეტაცია, კონტექსტი“

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

მოხსენების საგანს წარმოადგენს საბჭოთა საქართველოში მხატვრული კრიტიკის ფუნქციონირების, კულტურულ პოლიტიკაში თანამონაწილეობისა და ცენტრისტულ საბჭოთა სისტემაში მისი იერარქიულ-ბიუროკრატიული სპეციფიკის დადგენის საკითხები. შერჩეული კვლევითი საგანი „დიდი საბჭოთა თემების“ მხოლოდ მცირე ნაწილია, ლოკალური ქართული მოვლენა, რომელიც თავის თავში განზოგადების დიდ შესაძლებლობებს მოიცავს, რადგან განასახიერებდა სისტემურ მოვლენას - ოფიციალური საბჭოთა დისკურსისა და ადგილობრივი სამყაროს ურთიერთობის ჰიბრიდულ ნაყოფს. სწორედ, საბჭოთა ოკუპაციურ ნორმატივებთან შეჯახებით მინიჭებული შემოქმედებითი ფორმების თავისებურებებს, მათ შორის მხატვრული კრიტიკის დარგში, განვიხილავ ქართული სოც-რეალისტური კულტურის უნიკალურ მოცემულობად.

მხატვრული კრიტიკა საბჭოთა კულტურის კონტექსტის ავთენტურ და საგულისხმო ფენომენს წარმოადგენს, რომლის გარეშეც წარმოუდგენელი იქნებოდა იდეოლოგიური კამპანიებისა თუ პარტიული დირექტივების ჩატარება-განხორციელება. ქართული საბჭოთა კრიტიკის კვლევა, უპირველესად, საყურადღებოა კონიუნქტურული ფორმატისა და სისტემური გავლენების მხრივ - მხატვრულ სფეროში ქართველ კრიტიკოსთა მოღვაწეობის მსოფლმხედველობითი, ესთეტიკური და მეთოდოლოგიური ნორმები პროგრამულად იყო შემუშავებული მეტროპოლიურ რუსეთში, რომლის ინსტიტუციების წინაშე ანგარიშვალდებულება განსაზღვრავდა კიდევ ქართული მხატვრული კრიტიკის რაობას, სამოქმედო გეგმასა და მიზნობრივ აუდიტორიასთან თანამშრომლობის სტრატეგიას.

მარქსისტული იდეოლოგიის მხარდამჭერი მხატვრული კრიტიკა, რომელიც აპოგეას აღწევს გვიანი სტალინიზმის ეპოქაში, საბჭოთა საქართველოში ორგანიზაციულად 1930-იანი წლების მიწურულიდან ფორმდება, როდესაც სსრ მხატვართა კავშირთან დაარსდა კრიტიკოსთა და ხელოვნებისმცოდნეთა სექცია. ამ უკანასკნელის წევრებს პირდაპირ ევალებოდათ მმართველი პარტიის აღმზრდელობით-საგანმანათლებლო პოლიტიკაში ჩართვა, მათ შორის, ყველა ცენტრალურ სახელოვნებო მოვლენაზე მყისიერი გამოხმაურება, მათი იდეოლოგიური საზრისისა და პოლიტიკური კონტექსტის განმარტებები, კომუნისტური პარტიის პლენუმებთან დაკავშირებით სესიების, კონფერენციებისა თუ ცალკეული მოხსენებების საგანგებოდ მომზადება, გარკვეულ ქრონოლოგიურ პერიოდში პრიორიტეტულად ითვლებოდა მარქსისტულ-ლენინურ ესთეტიკაში საჯარო ლექციების კურსის წაკითხვა და სხვ. მაგრამ მხატვრული კრიტიკის მთავარ პროფესიულ მოვალეობად საბჭოთა საზოგადოების ევოლუციის ყველა ეტაპზე ითვლებოდა პერიოდული და მონოგრაფიული პუბლიკაციების გამოცემა, რაც საგამომცემლო სექტორთან და პრესასთან მტკივნეული ურთიერთობების ფონზე მიმდინარეობდა ხოლმე.

ხალხის, ხელოვნებისა და სახელმწიფოს ურთიერთკავშირზე, მათ იდეოლოგიურად გამართულ მედიაციაზე პასუხისმგებელი მხატვრული კრიტიკა არ უნდა განიხილებოდეს ერთგვაროვან ისტორიულ ჭრილში. მისი პარტიული ინსტრუმენტალიზაციის მიუხედავად, ვლინდება სუბიექტური მანიპულაციის შემთხვევებიც, რაც პირდაპირ კავშირში უნდა იყოს საბჭოთა წყობის პარადოქსულ დუალიზმთან - იდეალურისა და რეალურის, უტოპიურისა და პრაქტიკული თანარსებობასთან, ასევე, რეპრესიული პოლიტიკისა და ახალი საზოგადოების

შენების გულწრფელი ენთუზიაზმისა და შეგნებული მონაწილეობის დრამატულ შერწყმასთან.

სწორედ საბჭოთა კრიტიკული ტექსტების აპარატის შესწავლა გახდება წინაპირობა ე. წ. საბჭოთა ხელოვნების ფუნქციონირების, რეპრეზენტაციისა და წარმოების უკეთ გაგებისა, რომელიც ამავედროულად, ამავე კულტურის თვითიდენტიფიკაციის რეკონსტრუქციის ერთგვარი მცდელობაცაა, რაც ვიმედოვნებ, ნაწილობრივ მაინც გამოავლენს ისტორიულ ჭეშმარიტებებს.

სოფიო ჩიტორელიძე

2. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები -

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

1. თანამედროვე ქართული კერამიკა

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2. ჩუბინაშვილი ცენტრში დაცული მხატვარ სერგო ქობულაძის არქივის დამუშავება

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

3. ჩუბინაშვილი ცენტრში დაცული მხატვარ ჯემალ ლოლუას არქივის დამუშავება

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 2015-2023

2. 2016-2021 (პროექტი საჭიროებს გაგრძელებას, მასალის სიუხვისა და სირთულის გამო).

3. 2017-2021 (პროექტი საჭიროებს გაგრძელებას, მასალის სიუხვისა და სირთულის გამო).

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. სოფიო ჩიტორელიძე (მკვლევარი)

2. მარიამ გაჩეჩილაძე (მკვლევარი, პროექტის ხელმძღვანელი)

(მასალის დასკანერება, შესწავლა-კლასიფიკაცია-გაანალიზება, არქივიზაცია)

სოფიო ჩიტორელიძე (მკვლევარი)

(მასალის დასკანერება, შესწავლა-კლასიფიკაცია-გაანალიზება)

მარინა მეძმარიაშვილი (მკვლევარი)

(ხელნაწერი ტექსტის გაშიფვრა-გაანალიზება, თარგმნა (რუსულიდან-ქართულად)

დალი ლებანიძე (მკვლევარი)

(ხელნაწერი ტექსტის გაშიფვრა-გაანალიზება, თარგმნა (რუსულიდან-ქართულად).

3. მარიამ გაჩეჩილაძე (მკვლევარი, პროექტის ხელმძღვანელი)

(მასალის დასკანერება, შესწავლა-კლასიფიკაცია-გაანალიზება, არქივიზაცია, პუბლიკაცია).

სოფიო ჩიტორელიძე (მკვლევარი)

(მასალის დასკანერება, შესწავლა-კლასიფიკაცია-გაანალიზება) (პროექტის წევრი)

2.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. მრავალწლიანი კვლევითი პროექტი „თანამედროვე ქართული კერამიკა“ გულისხმობს პროფესიული კერამიკის ისტორიის ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპების შესწავლას და სათანადო კვლევას. აღნიშნული პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებია: ა) სამუშეო და კერძო კოლექციებში დაცული მე-20 საუკუნის კერამიკული ნიმუშების გამოვლენა, აღწერა და დაფიქსირება; ბ) მხატვარ-კერამიკოსთა შესახებ არსებული საარქივო დოკუმენტაციის მოძიება-დამუშავება; გ) ინტერვიუები მხატვრებთან; დ) შეგროვებული მასალის სამეცნიერო კვლევა.

2021 წლის განმავლობაში მოხდა: 1. მეუღემების გაერთიანება ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ მემორიალურ მუზეუმში დაცული კერამიკული ნიმუშების შესწავლა. 2. შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის თანამედროვე ქანდაკებისა და კერამიკის ფონდში დაცული ნამუშევრების ნაწილის შესწავლა. 3. ინტერვიუ მხატვარ-კერამიკოს ალექსანდრე კაკაბაძესთან, კერამიკული ნამუშევრების ფოტოფიქსაცია 4. ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივში დაცული დოკუმენტების მოძიება.

2-3. ანოტაციები იხ. პროექტების ხელმძღვანელის, მარიამ გაჩეჩილაძის ანგარიშში

2.2. არაპროგრამული ადგილობრივი გრანტით დაფინანსებული პროექტები

1) გარდამავალი პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

XX საუკუნის ქართული ქანდაკება

პროექტი ხორციელდება საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დაფინანსებით

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2) პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

2021-2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. მარიამ გაჩეჩილაძე (პროექტის ხელმძღვანელი)

2. სოფიო ჩიტორელიძე (მკვლევარი)

3. ცისია კილაძე (მკვლევარი)

4. სამსონ ლეჟავა (მკვლევარი)

5. მარინა მეძმარიაშვილი (მკვლევარი)

6. დალი ლეზანიძე (მკვლევარი)

7. მარიანა ოკლეი (მკვლევარი)

8. ნანა მირცხულავა (მკვლევარი)

9. ნინო ჭინჭარაული (მკვლევარი)

10. თემურ ქანთარია-ჯაბადარი (მკვლევარი)

*გარდამავალი კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

ანოტაცია იხ. პროექტის ხელმძღვანელის, მარიამ გაჩეჩილაძის ანგარიშში

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

6.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

სოფიო ჩიტორელიძე

2) სტატიის სათაური, ISSN

ქართული პროფესიული მხატვრული მინის ჩამოყალიბებისა და განვითარების

ისტორიისათვის

ISSN 1512 4088

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

Ars Georgica, სერია B, 2021 წელი (II ნაწილი)

<http://georgianart.ge/> (ელექტრონული გამოცემა)

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი

5) გვერდების რაოდენობა

7 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მინის წარმოებას საქართველოში უძველესი ტრადიცია აქვს, რასაც ჩვენს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არაერთი არტეფაქტი ადასტურებს. არქეოლოგიურ მასალაში გვხვდება, როგორც ადგილობრივი ისე იმპორტული ნივთები. მათ შორისაა დეკორატიულ-გამოყენებითი ფუნქციის ნიმუშები და მონუმენტურ-სივრცობრივი დანიშნულების არქიტექტურის გასაფორმებელი დეტალები. მინის წარმოებას საქართველოში, როგორც ჩანს

ფრაგმენტული ხასიათი ქონდა. შუა საუკუნეების შემდგომი ისტორიული ძნელბედობის ჟანმს წარმოების ბევრი ცენტრი სრულიად გაქრა და დაიკარგა ტექნოლოგიური დამუშავების ბევრი მეთოდიც. ეს პროცესი ფაქტობრივად XX საუკუნის შუა წლებამდე გაგრძელდა.

თანამედროვე ქართულ დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების პროფესიული დარგების ჩამოყალიბებას და განვითარებას, ახლად დაარსებულ თბილისის სამხატვრო აკადემიაში XX ს-ის 20-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი. ხოლო 1950-იანი წლების ბოლოს დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების კათედრის დაარსებას სხვადასხვა მიმართულების სპეციალობების გახსნა მოჰყვა. მათ შორის 1962 წლიდან პლასტმასის მხატვრული დამუშავების განყოფილებასთან მინის მხატვრული დამუშავების განყოფილებაც დაარსდა, რომელიც 1964 წლიდან კერამიკის კათედრას დაექვემდებარა. კათედრას მხატვარი-კერამიკოსი გიორგი (გოგი) ქართველიშვილი ხელმძღვანელობდა. სათანადო კვალიფიკაციის მიღების შემდეგ, მინის მხატვრული დამუშავების პედაგოგებად კათედრაზე მოიწვიეს მოქანდაკეები: თეიმურაზ (თენგიზ) გიგაური და გივი მიზანდარი, ტექნოლოგად - დოცენტი ალექსანდრე ფიცხელაური. ხოლო 1967 წლიდან, მოსკოვის უმაღლესი სამხატვრო სამრეწველო სასწავლებლის (ყოფილი სტოგანოვი) ასპირანტურის დამთავრების შემდეგ კერამიკოსი შოთა ციციშვილი. ასევე, კერამიკის ექსპერიმენტული სახელოსნოდან გადმოყვანილ იქნა კერამიკოსები შოთა ნარიმანიშვილი და ცოტა მოგვიანებით, 1978 წლიდან გივი ფაჩუაშვილი; 1971 წლიდან სტუდენტთა პრაქტიკული მეცადინეობისათვის აკადემიაში მცირე მასშტაბის მინის დასამუშავებელი სახელოსნო მოეწყო, სადაც მუშაობა აკადემიის მინის განყოფილების ახალკურსდამთავრებულმა მინის მხატვრებმა დაიწყეს. თუმცა, ისეთი დარგისთვის როგორც მინის წარმოებაა, რომელიც მძლავ, გამართულ ტექნიკურ ბაზას მოითხოვს აღნიშნული სახელსნო საკმარისი ვერ იქნებოდა, შესაბამისად სამხატვრო აკადემიაში სწავლის პროცესი უფრო თეორიული მიმართულებით მიმდინარეობდა. მასალის ტექნოლოგიური თვისებების გაცნობა-ათვისება, მინის ნიმუშების მასალაში განხორციელება მხატვრებს ქვეყნის ფარგლებს გარეთ ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნების მინის წარმოებით ცნობილ ქარხნებში უხდებოდათ. აქედან გამომდინარე, ნაკეთობების უმრავლესობა მათ შორის საკურსო და სადიპლომო ნამუშევრები ძირითადად იქ მზადდებოდა.

მხატვრული მინის განვითარებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ადგილობრივი წარმოების განვითარებას, სადაც მხატვრები მინის მასალით მუშაობას შეძლებდნენ. გარკვეული როლი ამ მიმართულებით ქუთაისის მინისტარის ქარხანამ შეასრულა, სადაც 1960 წელს ბროლის ჭურჭლისა და თეთრი ფიგურული მინების წარმოება დაიწყო.

1960-იანი წლების მეორე ნახევრიდან მოყოლებული ქუთაისის საწარმოში არაერთი საკურსო თუ სადიპლომო ნაშრომი განახორციელეს მინის მხატვრებმა.

1960 -იანი წლებიდანვე მინის განვითარება ორი მიმართულებით წარიმართა, რაც გულისხმობდა, როგორც საყოფაცხოვრებო ჭურჭლისა და დეკორატიული ფორმების შექმნას ისე ძიებებს ვიტრაჟული ხელოვნების განხრითაც.

მხატვრული მინის ადრეული ნამუშევრებიდან არც თუ ბევრი ნიმუშია დღემდე შემორჩენილი. მხატვრულ ფონდში დაცული ნიმუშის დიდი ნაწილი მხატვრის სახლთან ერთად განადგურდა. ნაწილი სადიპლომო ნამუშევრებისა დაცულია თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მუზეუმში და დაახლოებით 470 ერთეული მინის ექსპონატი ინახება ეროვნული გალერეის დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების მინა-კერამიკის ფონდსაცავში. აქ წარმოდგენილი ნაკეთობებით შესაძლებელია გარკვეული, უფრო ნაწილობრივი წარმოდგენა შეგვექმნას მხატვრული მინის ჩამოყალიბებისა და განვითარების შესახებ, იმ ტექნოლოგიურ თუ მხატვრულ-სტილისტურ მიმართულებებზე, რასაც მინის მხატვრები ამ პერიოდში მიმართავდნენ. კოლექცია მოიცავს 1960-იანი წლების ბოლოდან - 1990-იანი წლებამდე შესრულებულ ნაკეთობებს. ძირითად ნაწილს საყოფაცხოვრებო ჭურჭელი და დეკორატიული ლარნაკები შეადგენს. წარმოდგენილია დეკორატიული ფორმებიც.

ნიმუშები შესრულებულია ბროლისა და მინის მასალით, წამყვანი როლი ფერადი მასალის გამოყენებას უკავია. ტექნოლოგიური დამუშავების მხრივ გამოყენებულია როგორც ცხელი, ისე მასალის ცივი დამუშავების მეთოდები. ნიმუშებზე ორნამენტები დატანილია ალმასური კვეთით, გრავირების, დაწამვლის და ფერწერული ხერხებით. ორნამენტული სახეები ძირითადად გვხვდება უფერული მინისა და ბროლის მასალაზე.

პირველ ეტაპზე მინის ნაკეთობები ფორმებითა და დეკორირების ხასიათით ტრადიციული ქართული კერამიკისა და ლითონის ნამუშევრებთან გარკვეულ მსგავსებას ავლენდა, რაც ერთი მხრივ, მინისთვის ეროვნული ხასიათის მიცემის სურვილით და, მეორე მხრივ, მასალის შესაძლებლობების ნაკლები ცოდნითა და საწარმოო პირობების არარსებობით აიხსნებოდა. ამ პერიოდის ნამუშევრების უმეტესობა, ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების მინის ქარხნებში სრულდებოდა და ახალბედა მხატვრებისთვის, რომლებიც ფაქტობრივად იქ სწავლობდნენ და ეცნობოდნენ მინის ტექნოლოგიურ და მხატვრულ შესაძლებლობებს გავლენა გარდაუვალიც კი იყო, რაც განსაკუთრებით ადრეულ მინის ნამუშევრებზე ნათლად ჩანს. მომდევნო 1970-იანი წლების ბოლოსა და 1980 -იანი წლებში დეკორატიული ფორმის ჭურჭელში უკვე ახალი შემოქმედებითი პროცესები შეიმჩნევა. თანდათან იკვეთება მასალის ტექნოლოგიური და მხატვრული დამუშავების ინდივიდუალური, ახალი მეთოდების შემუშავებისკენ სწრაფვა. დეკორატიული ელემენტების გაძლიერების თვალსაზრისით, მხატვრები სულ უფრო ხშირად მიმართავენ მასალის პლასტიკური დამუშავების ხერხებს, რაც უმეტეს შემთხვევაში ფორმის დეფორმაციაში გამოიხატა. ჭურჭლის დეკორატიული ფორმის ათვისების შემდეგ მინის ხელოვნებაში საფუძველი ჩაეყარა „ფორმადქმნადობის“ ახალ პრინციპებს, გააზრებულ იქნა მასალის ფერად-პლასტიკური თვისებები. სწორედ ფერად-პლასტიკურობა გახდა აღნიშნული პერიოდის ნამუშევრების მხატვრული გამომსახველობის მთავარი საშუალება. ამასთანავე დეკორატიულ მოტივებში გაჩნდა ეროვნული თემები, რაც თავის მხრივ 1980-იანი წლების მხატვრული მინის კიდევ ერთი მახასიათებელია.

1960-იანი წლებიდან მოყოლებული არაერთი პროფესიონალი მინის მხატვარი გამოვიდა შემოქმედებით ასპარეზზე. მათი შემოქმედება თვითმყოფადობით, ფორმებისა თუ ტექნოლოგიური მრავალფეროვნებით ხასიათდება. შეიძლება ითქვას რომ, ქართული პროფესიული მხატვრული მინა ისეთივე მრავალმხრივი, მაღალმხატვრული და ეროვნული ხასიათის მატარებელია როგორც დანარჩენი დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების

დარგებია. აღნიშნული წერილი მხოლოდ წინასწარული კვლევის შედეგია და დ. შევარდნაძის სახელობის სირათების ეროვნულ გალერეაში დაცული რამდენიმე ნიმუშის ჩვენება-განხილვით შემოიფარგლება. აღნიშნული დარგის დაარსებისა და შემდგომი განვითარების ისტორიას უფრო ღრმა შესწავლა და სათანადო პოპულარიზაციაც კი საჭიროებს. მით უფრო თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებაც, რომ 1990-იან წლებში ქვეყანაში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკურმა პირობებმა მინის მხატვრულ წარმოება მკვეთრად შეაფერხა და ფაქტობრივად დარგის არსებობის საფრთხეც შექმნა. ეს პრობლემა დღემდე აქტუალურია.

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

სოფიო ჩიტორელიძე

2) მოხსენების სათაური

1. ქართული პროფესიული მხატვრული მინის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიისათვის.

2. „დეკორატიული ლარნაკი“ ქართული ფაიფურის ხელოვნებაში

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. 2021 წლის 24-26 ნოემბერი, თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ცენტრი. გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დაარსების 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია: ქართული ხელოვნება: აღქმა, ინტერპრეტაცია, კონტექსტი“

2. 2021 წლის 6-7 დეკემბერი, თბილისის მუზეუმების გაერთიანება. საერთაშორისო კონფერენცია „ქართული კულტურა და XX საუკუნე“.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1. კონფერენცია ჩატარდა ონლაინ რეჟიმში. ჩანაწერი იხ. ბმულზე: <https://www.facebook.com/ChubinashviliCentre/videos/312197660906728>

მასალა მომზადებულია გამოსაქვეყნებლად. განთავსდება - გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის ელექტრონულ ჟურნალში “ARS GEORGICA”, ნაწილი II.

2. საქართველოში ფაიფურის დარგის დამკვიდრება პროფესიული კერამიკის ჩამოყალიბების საწყის პერიოდს ემთხვევა. 1930-იან წლებში თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში მოღვაწე ქიმიკოს-ტექნოლოგები, პედაგოგები და სტუდენტები აქტიურად სწავლობდნენ

ადგილობრივი კაოლინის თვისებებს და იკვლევდნენ კერამიკულ წარმოებაში მათი გამოყენების შესაძლებლობებს. ძიებები მიმდინარეობდა შემოქმედებითი თვალსაზრისითაც. ქართულ სინამდვილეში ახალი მხატვრული დარგის - ფაიფურის ხელოვნების ჩამოყალიბების წლები საბჭოთა რეჟიმის მკაცრი კულტურული პოლიტიკის გატარების დროს ემთხვევა. აღნიშნული რეჟიმის პირობებში ფაქტობრივად განსაზღვრული იყო ქართული ფაიფურის მხატვრული სახე. მაშინდელი ხელოვნების ერთადერთი მიმართულება - სოციალისტური რეალიზმი განსაზღვრული რეგლამენტირებულ თემატიკასა და სახვით მეთოდებს სთავაზობდა მხატვრებს.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 1910-იანი წლების მიწურულიდან ხელოვნება, აგიტაციის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად იქნა „აღიარებული“. საბჭოთა პროპაგანდისტული იდეოლოგიის ფართო გავრცელება ხდებოდა რევოლუციური შინაარსის აფიშებითა და პლაკატებით. მრავლად დაიდგა მონუმენტური ქანდაკების ნიმუშები - რევოლუციონერი ლიდერებისა და გმირების გამოსახულებით. ხელოვნების ამ პროპაგანდისტულ გეგმაში, ასევე წარმატებულად იქნა გამოყენებული ფაიფურის ნიმუშები.

ქართულ კერამიკაში პირველი სოციალისტური ნამუშევრები - ლარნაკები, 1940-იან წლებში გამოჩნდა. დღეისათვის ქართული ფაიფურის ლარნაკების მცირე ნაწილია შემორჩენილი და ისინი ძირითადად საქართველოს რამდენიმე მუზეუმში ინახება. მათი უმეტესი ნაწილი სამხატვრო აკადემიის მუზეუმის კერამიკის ფონდში ინახება, ვინაიდან აღნიშნული ნიმუშები ბევრ შემთხვევაში კერამიკოსი სტუდენტების სადიპლომო ნამუშევრებს წარმოადგენს. მეორე მსოფლიო ომმა რამდენადმე შეაფერხა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სრულფასოვანი ფუნქციონირება. 1941-1945 წლებში ბევრ მხატვარს მოუხდა სწავლის შეწყვეტა. მომდევნო წლების სადიპლომო ნამუშევრებიც ძირითადად „საბჭოთა ხელოვნების სულისკვეთებას ასახავდა“. კერამიკის ფაკულტეტის სტუდენტთა და ასპირანტთა გამოშვება 1948 წელს მოხდა, როდესაც საბჭოთა სოციალისტური რევოლუციის 30 წლის იუბილე აღინიშნა. მხატვრების სადიპლომო ნამუშევრების უმრავლესობა სადღესასწაულო ფორმის ლარნაკები წარმოადგენდა (ნ. გომელაური, ე. ხაჩიძე, ივ. ბუზარიაშვილი). სოციალისტური ხასიათის ნიმუშები შეიქმნა 1950-იანი წლების დასაწყისშიც. მათ შორის აღსანიშნავია შოთა ციციშვილისა და თენგიზ ღვინიაშვილის დეკორატიული ლარნაკი, რომელიც რუსეთ-უკრაინის შეერთების 300 წლის იუბილეს მიუძღვნეს მხატვრებმა. აღნიშნული სერიის ნაკეთობებიდან ყურადღებას იმსახურებს ირაკლი ყანდაშვილისა და თენგიზ ღვინიაშვილი ლარნაკი „მშვიდობისათვის“. ნიმუში 1952 წელს ხელოვნების მუზეუმის შენობაში გახსნილ პირველ თემატურ გამოფენაზე ნახა მაყურებელმა.

1950 წლების მიწურულს, როდესაც საბჭოთა რეჟიმის ცენზურა შედარებით „შერბილდა“, ქართული ფაიფურის ნიმუშებზე ბელადის პორტრეტები ცნობილი ქართველი მოღვაწეების გამოსახულებებით ჩანაცვლდა. მათ შორის აღსანიშნავია 1956 წელს კოლია ლუარსაბიშვილის მიერ შექმნილი ლარნაკი „შოთა რუსთაველი“. ასევე საინტერესოა გ. ყანდარელისა და ს. ადიკაშვილის მიერ შესრულებული ნაკეთობა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის გამოსახულებით, 1961 წელს მურთაზ აბაშიძის მიერ განხორციელებული ლარნაკი „ვაჟა-ფშაველა“ და სხვა.

დღეისათვის ქართული ფაიფურის ლარნაკების მცირე ნაწილია შემორჩენილი და ისინი ძირითადად საქართველოს სხვადასხვა მუზეუმის ფონსაცავებშია წარმოდგენილი. დეკორატიული ლარნაკი, როგორც „ეპოქის მორგებული“ კონკრეტული თემა, თავისთავად ქართული ფაიფურის ისტორიის ერთ-ერთი შემადგენელია. შესაბამისად, ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით აღნიშნული ნიმუშების შესწავლა-შეფასება აუცილებელი და მნიშვნელოვანია.

ნინო ჭოდოშვილი

2.პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიხედვით

კარიკატურის ასწლიანი ისტორია 1880-1980

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

2018-2023

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მიხედვით)

ნინო ჭოდოშვილი (პროექტის ხელმძღვანელი)

ირინე აბესაძე (მკვლევარი)

ქრისტინე დარჩია (კოორდინატორი, ახალგაზრდა მეცნიერი)

სალომე ჭანტურიძე (ახალგაზრდა მეცნიერი)

2.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტის ძირითადმა პერსონალმა იმუშავა დედაქალაქში არსებულ ყველა მუზეუმში, კერძოდ, საქართველოს ეროვნული მუზეუმსა და მის დაქვემდებარებაში მყოფ მუზეუმებში, სადაც პროექტის მთავარი ფოკუსი და აუცილებელი მასალა - კარიკატურის ჟანრში შექმნილი ნამუშევრები ინახება (გრაფიკული და ფერწერული ნამუშევრები, პლაკატები, ღია ბარათები და ა.შ.). ჯგუფმა სრულად მოიძია ვიზუალური მასალა (საუბარია სხვადასხვა ქართველი თუ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში მცხოვრები არაქართველი მხატვრების მიერ შექმნილი ნამუშევრების ორიგინალებზე), დაახარისხა ავტორების მიხედვით და მოახდინა პირველადი ფოტოფიქსაცია. უნდა აღინიშნოს, რომ სამუზეო ფონდებში მუშაობისას ძირითად ჯგუფს დახმარებას უწევდნენ კონსულტანტები - თანამონაწილე ორგანიზაციის ორი თანამშრომელი. პროექტის ძირითადმა პერსონალმა ასევე მოიძია კერძო კოლექციებში არსებული კარიკატურებისა და მეგობრული შარჟების სხვადასხვა ავტორის მიერ შექმნილი ჩანახატები, დაახარისხა და გადაიღო ფოტოები. (ორივე შემთხვევაში საუბარია არაპროფესიონალურ ფოტოგადაღებაზე, ანუ მკვლევართათვის სამუშაო პროცესში საჭირო ფოტოებზე, რომელიც არ არის განკუთვნილი გამოცემაში დასაბეჭდად. მასალის პროფესიონალური ფოტოგადაღება პროექტის გეგმა-გრაფიკის მიხედვით გათვალისწინებულია მეორე საანგარიშო პერიოდში).

პროექტის ამოცანის თანახმად, ძირითადად პერსონალმა შეისწავლა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დემოკრატიული რესპუბლიკის სამეცნიერო კვლევით ცენტრში დაცული ბეჭდური მედია (1880-1980-იანი წწ.). აქაც პროექტის ძირითად ჯგუფს დახმარებას უწევდა კონსულტანტი - ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელი. პირველ შემთხვევაში ძირითადად პერსონალმა ეროვნულ ბიბლიოთეკისაგან გამოითხოვა მათ მიერ წინასწარ შერჩეული ჟურნალების დიგიტალური ვერსიები პდფ ფაილების სახით, მეორეში კი მოახდინა როგორც ჟურნალ-გაზეთების, ისე ნამუშევრების ორიგინალების ფოტოფიქსაცია. პროექტის ძირითადად პერსონალმა მოინახულა ქ. ამბროლაურის სახვითი ხელოვნების მუზეუმის ფონდები, ქ. ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმისა და დ. კაკაბაძის სახელობის სახვითი ხელოვნების გალერეის ფონდები.

პროექტის ძირითადი პერსონალი - ნინო ჭოდოშვილი, ირინე აბესაძე, სალომე ჭანტურიძე - 2021 წლის 13-დან 19 სექტემბერამდე იმყოფებოდნენ მივლინებით გერმანიაში, ქალაქ ფრანკფურტში კარიკატურის მუზეუმში პარალელური მასალის გასაცნობად და საკვლევად (Caricatura Museum Frankfurt, Museum fuer Komische Kunst, <https://caricatura-museum.de>). ძირითადი პერსონალი გაეცნო მუზეუმში დაცულ კოლექციებსა და გამოფენებს, ბიბლიოთეკას, აწარმოა მოლაპარაკებები და სამუშაო შეხვედრები მუზეუმის თანამშრომლებთან, მოახდინა მასალის ფოტოფიქსაცია (კვლევისთვის). ფრანკფურტის კარიკატურის მუზეუმი არის ერთადერთი კარიკატურის მუზეუმი გერმანიაში, სადაც დაცულია ე.წ. „ფრანკფურტის კარიკატურის სკოლის“ მნიშვნელოვანი ნიმუშები. მუზეუმს გააჩნია მუდმივი ექსპოზიცია და ასევე საგამოფენო დარბაზები ცვალებადი ექსპოზიციებისთვის.

კვლევით პროცესში ძირითად პერსონალს დახმარება გაუწია პროექტის უცხოელმა კონსულტანტმა, ნაომი ქეფიმ, რომელთან მჭიდრო კოორდინაციაც ჰქონდა ჯგუფს მთელი პირველი საანგარიშო პერიოდის მანძილზე. ნაომი ქეფიმ მიაწოდა ჯგუფს თემასთან დაკავშირებული სპეციალური ლიტერატურა (პდფ ფაილები იხ. კომპაქტ დისკზე) და ასევე დაუსახელა უახლესი ინგლისურენოვანი გამოცემები, რომელთა შეძენაც ტექნიკური მიზეზების გამო ჯერ ვერ მოხერხდა წამყვანი ორგანიზაციის (თსუ-ს) მიერ. ნაომი ქეფისთან აქტიური თანამშრომლობა გაგრძელდება მეორე საანგარიშო პერიოდის განმავლობაშიც.

3. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

3.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

1. კარიკატურის ასწლიანი ისტორია საქართველოში (1880-1980 წწ.)

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4 ხელოვნება (ხელოვნება, ხელოვნების ისტორია, საშემსრულებლო ხელოვნება, მუსიკა)

FR 18-6262

2. დიმიტრი თუმანიშვილი. ქართული ხუროთმოძღვრების საკითხები უძველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4 ხელოვნება (ხელოვნება, ხელოვნების ისტორია, საშემსრულებლო ხელოვნება, მუსიკა);

SP-21-630

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 25.02.1919 – 01.10.2024

2. 15.06.2021 – 15.01.2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

1. ნინო ჭოლოშვილი (პროექტის ხელმძღვანელი)

2. ირინე აბესაძე (მკვლევარი)

3. ქრისტინე დარჩია (კოორდინატორი, ახალგაზრდა მეცნიერი)

4. სალომე ჭანტურიძე (ახალგაზრდა მეცნიერი)

2.

1. ნინო ჭოლოშვილი (პროექტის ხელმძღვანელი)

2. ალექსანდრა გაბუნია (კოორდინატორი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.I საანგარიშო პერიოდი, როგორც იმთავითვე იყო გათვალისწინებული პროექტით, სრულად დაეთმო მასალის მოძიებასა და დამუშავებას. პროექტის ძირითადმა პერსონალმა იმუშავა დედაქალაქში არსებულ ყველა მუზეუმში, კერძოდ, საქართველოს ეროვნული მუზეუმსა და მის დაქვემდებარებაში მყოფ მუზეუმებში, სადაც პროექტის მთავარი ფოკუსი და აუცილებელი მასალა - კარიკატურის ჟანრში შექმნილი ნამუშევრები ინახება (გრაფიკული და ფერწერული ნამუშევრები, პლაკატები, ღია ბარათები და ა.შ.). ჯგუფმა სრულად მოიძია ვიზუალური მასალა (საუბარია სხვადასხვა ქართველი თუ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში მცხოვრები არაქართველი მხატვრების მიერ შექმნილი ნამუშევრების ორიგინალებზე), დაახარისხა ავტორების მიხედვით და მოახდინა პირველადი ფოტოფიქსაცია. უნდა აღინიშნოს, რომ სამუზეო ფონდებში მუშაობისას ძირითად ჯგუფს დახმარებას უწევდნენ კონსულტანტები - თანამონაწილე ორგანიზაციის ორი თანამშრომელი. პროექტის ძირითადმა პერსონალმა ასევე მოიძია კერძო კოლექციებში არსებული კარიკატურებისა და მეგობრული შარჟების სხვადასხვა ავტორის მიერ შექმნილი ჩანახატები, დაახარისხა და გადაიღო ფოტოები. (ორივე შემთხვევაში საუბარია არაპროფესიონალურ ფოტოგადაღებაზე, ანუ მკვლევართათვის სამუშაო პროცესში საჭირო ფოტოებზე, რომელიც არ არის განკუთვნილი გამოცემაში დასაბეჭდად. მასალის

პროფესიონალური ფოტოგადაღება პროექტის გეგმა-გრაფიკის მიხედვით გათვალისწინებულია მეორე საანგარიშო პერიოდში).

პროექტის ამოცანის თანახმად, ძირითადად პერსონალმა შეისწავლა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დემოკრატიული რესპუბლიკის სამეცნიერო კვლევით ცენტრში დაცული ბეჭდური მედია (1880-1980-იანი წწ.). აქაც პროექტის ძირითად ჯგუფს დახმარებას უწევდა კონსულტანტი - ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელი. პირველ შემთხვევაში ძირითადად პერსონალმა ეროვნულ ბიბლიოთეკისაგან გამოითხოვა მათ მიერ წინასწარ შერჩეული ჟურნალების დიგიტალური ვერსიები პდფ ფაილების სახით, მეორეში კი მოახდინა როგორც ჟურნალ-გაზეთების, ისე ნამუშევრების ორიგინალების ფოტოფიქსაცია. პროექტის ძირითადად პერსონალმა მოინახულა ქ. ამბროლაურის სახვითი ხელოვნების მუზეუმის ფონდები, ქ. ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმისა და დ. კაკაბაძის სახელობის სახვითი ხელოვნების გალერეის ფონდები.

პროექტის ძირითადი პერსონალი - ნინო ჭოდოშვილი, ირინე აბესაძე, სალომე ჭანტურიძე - 2021 წლის 13-დან 19 სექტემბერამდე იმყოფებოდნენ მივლინებით გერმანიაში, ქალაქ ფრანკფურტში კარიკატურის მუზეუმში პარალელური მასალის გასაცნობად და საკვლევად (Caricatura Museum Frankfurt, Museum fuer Komische Kunst, <https://caricatura-museum.de>). ძირითადი პერსონალი გაეცნო მუზეუმში დაცულ კოლექციებსა და გამოფენებს, ბიბლიოთეკას, აწარმოა მოლაპარაკებები და სამუშაო შეხვედრები მუზეუმის თანამშრომლებთან, მოახდინა მასალის ფოტოფიქსაცია (კვლევისთვის). ფრანკფურტის კარიკატურის მუზეუმი არის ერთადერთი კარიკატურის მუზეუმი გერმანიაში, სადაც დაცულია ე.წ. „ფრანკფურტის კარიკატურის სკოლის“ მნიშვნელოვანი ნიმუშები. მუზეუმს გააჩნია მუდმივი ექსპოზიცია და ასევე საგამოფენო დარბაზები ცვალებადი ექსპოზიციებისთვის.

კვლევით პროცესში ძირითად პერსონალს დახმარება გაუწია პროექტის უცხოელმა კონსულტანტმა, ნაომი ქეფიმ, რომელთან მჭიდრო კოორდინაციაც ჰქონდა ჯგუფს მთელი პირველი საანგარიშო პერიოდის მანძილზე. ნაომი ქეფიმ მიაწოდა ჯგუფს თემასთან დაკავშირებული სპეციალური ლიტერატურა (პდფ ფაილები იხ. კომპაქტ დისკზე) და ასევე დაუსახელა უახლესი ინგლისურენოვანი გამოცემები, რომელთა შეძენაც ტექნიკური მიზეზების გამო ჯერ ვერ მოხერხდა წამყვანი ორგანიზაციის (თსუ-ს) მიერ. ნაომი ქეფისთან აქტიური თანამშრომლობა გაგრძელდება მეორე საანგარიშო პერიოდის განმავლობაშიც.

2. დასრულებულია პროექტის გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული შემდეგი ამოცანები: 1. ტექსტის რედაქტირება და კორექტირება. 2. წიგნის დაკაბადონება და დიზაინი. 3. ტენდერის გამოცხადება;

2022 წლის 15 იანვრამდე განხორციელდება წიგნის ბეჭდვა.

გიორგი პაპაშვილი

2. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიხედვით

XVIII-XIX საუკუნეების ბაგრატიონთა პორტრეტები - ატრიბუცია და დათარიღება

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი,

6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

2020 - 2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მიხედვით)

გიორგი პაპაშვილი (მკვლევარი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ვაგრძელებ მუშაობას თემის ფარგლებში ამ დროისთვის მოგროვილი საარქივო მასალებისა და დამუშავებული ლიტერატურის საფუძველზე. კომპარატივისტულ მასალად მოხმობილი მაქვს რუსული, ევროპეიზებული ირანული და ოსმალური, ასევე ბალკანეთის ხალხთა პორტრეტული ხელოვნება, რომელიც საერთო ეპოქალურ ნიშნებს ამჟავნებს XVIII-XIX საუკუნეების ბაგრატიონთა პორტრეტებთან. სამეფო ოჯახის წევრთა სახეების გააზრებისათვის მივმართავ ისეთ შრომებს, როგორიცაა ერნსტ კანტოროვიჩის „მეფის ორი სხეული“ და სხვა, რომელთა მოძიებაც შესაძლებელია ინტერნეტში ხელმისაწვდომ გამოცემათა სახით. ზოგადად, ქართული საერო ხელოვნების ეს საწყისი ეტაპი ყველაზე გამოუკვლეველია და ამდენად რთულია ქრონოლოგიური, საავტორო თუ სტილური ინდენტიფიცირება, რის საშუალებასაც მხოლოდ ზემოაღნიშნული შედარებითი მეთოდი იძლევა.

3. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

3.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიხედვით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

მემორიალური ძეგლები XVIII-XIX საუკუნეების საქართველოში

6. ჰუმანიტარული მეცნიერებები

6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

7. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები

HE-18-339

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
26.07.2018 - 25.02.2022 (ვადაგაგრძელებული)

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ეკატერინე კვაჭატაძე (პროექტის ხელმძღვანელი)
2. გიორგი პაპაშვილი (კოორდინატორი)
3. მანონ ლილუაშვილი (ძირითადი პერსონალი)
4. ნოდარ არონიშვილი (ძირითადი პერსონალი, ახალგაზრდა მეცნიერი)
5. სამსონ ლეჟავა (ტექსტის რედაქტორი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ანოტაცია იხ. პროექტის ხელმძღვანელის, ეკატერინე კვაჭატაძის ანგარიშში

თემურ ქანთარია-ჯაბადარი

1. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმა)

- 1) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით
ვალერიან სიდამონ-ერისთავის შემოქმედება შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დაცვული ნამუშევრების მაგალითებზე

6. ჰუმანიტარული მეცნიერებები

6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2) პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები
2020-2021

3) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
თემურ ქანთარია-ჯაბადარი (მკვლევარი)

კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ქართული მოდერნისტული ტალღის წარმომადგენლის ვალერიან სიდამონ-ერისთავის შემოქმედების და ბიოგრაფიის გარშემო დიდი ხანია მონოგრაფიული კვლევა არ განხორციელებულა, არა და ფორმალური ნიშნებითაც, რაც ჩვენ დღეს ვიცით, აღნიშნული მხატვარი ეროვნული სცენოგრაფიის დამამკვიდრებელ შემოქმედად გვევლინება წლების მანძილზე წამყვან თეატრებსა და ოპერაში; პირველ ქართველ კინო-მხატვრად; კარკატურისტად და ილუსტრატორად ცნობილ ქართულ გამოცემებში, აქტურ მონაწილად მე-20 სს-ის პირველი ნახევრის ქართული კულტურის პროცესებისა და სხვ... (აღნიშნული გარემოებამ განაპირობა კიდევ ამ ხელოვნანის კვლევა). სიდამონ-ერისთავი ქართულ ფერწერაში მ. თოიძის მერე კოლორისტიკის, იმპრესიონისტული მეთოდის „ალა პირიმა“

ტექნიკის ოსტად გვევლინება, სადა, მაგრამ მჟღერი ფერადოვნებითა და ექსპრესიული გამომსახველობით. თემატური მრავალფეროვნებით, დაწყებული საქართველოს ისტორიული მოვლენებისა და პერსონების პორტრეტებით, დამთავრებული - მოიგავო, გროტესკული და სახუმაროც კი ნამუშევრებით... მისი ნამუშევრები ფართედ გვიხსნიან საბჭოთა საქართველოს პერიოდის იმ რთულ გარემოებებს, რომელშიც ქართველ მხატვრებს უწევდათ მოღვაწეობა. კვლევის ფარგლებში მოინიშნა საკვლევი არეალი - ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის უმდიდრესი კოლექცია (სადაც კვლევითი საქმიანობის წარმოებას აილოებდა ის გარემოებაც, რომ იქ დასაქმებული გახლდით), რომელიც მოიცავს მხატვრის ყველა ეტაპის ამსახველ ფერწერულ კოლექციას, გრაფიკას, კარიკატურებს, ილუსტრაციებს, სცენოგრაფიას (მათ შორის კონოსთვის) და ერთ ფრესკის ასლს. კვლევა ითვლის ერთ ასეულ ბიბლიოგრაფიულ წყაროს, უმთავრესი კი გახლდათ: ცისანა გაბუნias სადისერტაციო თემა „ვალერიან სიდამონ-ერისთავის შემოქმედება“ დაცული ხელოვნების სასახლეში, მხატვრის პირად არქივში და ამ ავტორის სხვადასხვა დროს დაბეჭდილი სტატიები პრესიდან; ლ. თაბუკაშვილის წიგნად გამოცემული მონოგრაფია „ვალერიან სიდამონ-ერისთავი“ 1958 წ.; ხელოვნების სასახლეში დაცული მხატვრის პირადი არქივი და უშუალო ინტერვიუები მხატვრის შთამოავალთან ქნ. ესმერალდა სიდამონ-ერისთავთან, ასევე უამრავი სტატია თუ ცნობა პრესიდან... კვლევის შედეგმა შეადგინა კომპილაციური ბიოგრაფია 35 გვერდის ოდენობით, რომლის მცდელობა არის მოიკრიბოს მხატვარზე არსებული სადღეისო ცოდნა და მხატვრულ-სტილისტური მიდგომით აღწერილი მხატვრის სანიმუშო ქმნილებები. აღნიშნული მასალა ინახება გ. ჩუბინაშვილის ცენტრში.

2.2. არაპროგრამული ადგილობრივი გრანტით დაფინანსებული პროექტები

1) გარდამავალი პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

XX საუკუნის ქართული ქანდაკება

პროექტი ხორციელდება საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დაფინანსებით

6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი

6.4. ხელოვნება (ხელოვნების ისტორია)

2) პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

2021-2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. მარიამ გაჩეჩილაძე (პროექტის ხელმძღვანელი)
2. სოფიო ჩიტორელიძე (მკვლევარი)
3. ცისია კილაძე (მკვლევარი)
4. სამსონ ლეჟავა (მკვლევარი)
5. მარინა მეძმარიაშვილი (მკვლევარი)
6. დალი ლეზანიძე (მკვლევარი)
7. ნანა მირცხულავა (მკვლევარი)
8. ნინო ჭინჭარაული (მკვლევარი)

9. მარიანა ოკლეი (მკვლევარი)

10. თემურ ქანთარია-ჯაბადარი (მკვლევარი)

*დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

ანოტაცია იხ. პროექტის ხელმძღვანელის, მარიამ გაჩეჩილაძის ანგარიშში

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

თემურ- ქანთარია-ჯაბადარი

2) მოხსენების სათაური

ავიაციის თემა საბჭოთა ხელოვნებაში

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

2021 წლის 9 მარტი

მომხსენების ვიდეოჩანაწერი იხ. ეროვნული მუზეუმის იუთუბ გვერდზე:

<https://www.youtube.com/watch?v=6iKfmS1y7dk>

*მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ
გამოქვეყნებულა)*

მოხსენებაში საუბარია საბჭოთა ხელოვნებაზე და ავიაციის თემაზე მეორე მსოფლიო ომამდე
ჯერ რუსეთში, შემდეგ კი ეროვნულ სივრცეში შექმნილ ნამუშევრებზე (ფერწერა, გრაფიკა,
ქანდაკება და კინო).

**გიორგი ჩუბინაშვილის სახ. ეროვნული კვლევითი ცენტრის საქმიანობის სხვა
მიმართულებები**

სერგო ქობულაძის სახ. ხელოვნების ძეგლთა ფოტოფიქსაციის ლაბორატორია

1. ლაბორატორიის სლაიდოთეკაში დაცული ფოტომასალის გეგმიური
დიგიტალიზაცია, სისტემატიზაცია და დაარქივება.

2. ლაბორატორიის არქივის ბაზაზე შექმნილ ფოტოშემოწირულობათა ფონდში შემოსული ახალი კოლექციების დაარქივება:

- მაქს პლანკის ფლორენციის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის პროფესორ გერჰარდ ვოლფის მიერ გადმოცემული ქართული არქიტექტურული ძეგლების და კედლის მხატვრობის ამსახველი ელექტრონული ფოტომასალა (ფოტოგრაფი - დრორ მაინი)

- ქართული ხელოვნების ისტორიკოსის, ხელოვნებათმცოდნე ინა გომელაურის კუთვნილი ფერადი სლაიდების კოლექცია

- ლონდონის კურტოს ხელოვნების ინსტიტუტის დირექტორის პროფესორ ენტონი ოსმონდის მიერ გადმოცემული გამოჩენილი ბრიტანელი ბიზანტინისტის დევიდ უინფილდის მდიდარი ფოტოარქივი, რომელიც გასული საუკუნის 60-იან წლებში ისტორიულ ტაო-კლარჯეთში ჩატარებული კვლევითი ექსპედიციების დროს გადაღებულ ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს ასახავს.

(დიგიტალიზაციის შემდეგ კოლექცია ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული პირისთვის).

3. პროექტის „XX საუკუნის ქართული ქანდაკება“ I ეტაპი - 465 ექსპონატის ფოტოფიქსაცია, სულ : 1,506 კადრი.

4. ლაბორატორიის ფოტოარქივით მომსახურების და სკანირების სამუშაოები ცალკეულ პირთა თუ ორგანიზაციათა დაკვეთით (ეროვნული მუზეუმი, ვატიკანში წმინდა საყდართან არსებული საქართველოს საელჩო და სხვ.).

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია, რესტავრაცია, კონსერვაცია

1. მცხეთის ჯვრის დიდი ტაძრის კონსერვაცია. მეორე ეტაპი: ფიზიკური სამუშაოები

1 ოქტომბერი, 2020 – 31 მარტი, 2023

შემსრულებლები:

დავით ხოშტარია (პროექტის ხელმძღვანელი)

მარიამ დიდებულიძე

ნათია ნაცვლიშვილი

ციცინო ჩაჩხუნაშვილი

შპს „ხელოვნების ნიმუშთა კონსერვაციის ცენტრი“;

საერთაშორისო კონსულტანტები:

სტეფანო ვოლტა (იტალია), მერი ქეი ჯუდი (აშშ)

დონორი ორგანიზაცია: ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი

პროექტი ხორციელდება ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის კულტურული მემკვიდრეობის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, მსხვილი გრანტის ფარგლებში. მისი მიზანია მცხეთის ჯვრის ტაძრის დაზიანებული საფასადო წყობის ფიზიკური სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოების ჩატარება. სამუშაოებს საფუძვლად უდევს საკონსერვაციო პროექტი, რომელიც მომზადდა პირველ ეტაპზე, ასევე ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის კულტურული მემკვიდრეობის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

პროექტის მართვას ახორციელებს გ. ჩუბინაშვილის ეროვნული ცენტრი. უშუალოდ საკონსერვაციო სამუშაოებს ატარებს ტენდერის შედეგად გამოვლენილი ქვეკონტრაქტორი კომპანია შპს „ხელოვნების ნიმუშთა კონსერვაციის ცენტრი“, გ. ჩუბინაშვილის ცენტრის ხელმძღვანელობით და მეთვალყურეობით. პროექტის განხორციელების შემდეგ ტაძრის საფასადო ქვის წყობის დაცულობა და სტაბილურობა დიდი ხნით იქნება უზრუნველყოფილი. 2021 წელს ჩატარდა დაგეგმილი სამუშაოების ნაწილი - ფასადების დამუშავება ფართო სპექტრის ბიოციდის ბენზალკონიუმის ქლორიდის მეშვეობით ბიოლოგიური ნადების (კოლონიზატორი მიკროორგანიზმების) ელიმინაციის მიზნით. სხვა სამუშაოები დონორთან შეთანხმებით გადაიდო პანდემიით გამოწვეული პრობლემების გამო.

2. ხულუტის ციხე (სახელოვნებათმცოდნეო კვლევა), 2021

შემსრულებელი:

ირინე ელიზბარაშვილი

.ხულუტის ციხე, მდინარე ხრამის ქვიის მარცხენა ნაპირზე, ულამაზეს ხეობაშია გაშენებული. ციხის ასაგებად ადგილი საგულდაგულოდ იყო შერჩეული ხეობის მეტად ღრმა და ვიწრო მონაკვეთში, ეს კონკრეტული ადგილი სტრატეგიულად მომგებიანი და მხატვრულადაც უაღრესად ეფექტური იყო. მიუხედავად იმისა, რომ ციხე დაბალ მთაზეა აგებული და მისი განაშენიანებაც მთის ძირიდან იწყება და ერთის შეხედვით ადგილი მისადგომია, რეალურად ციხე-სიმაგრე - მიუვალია. იგი ამ ხეობის შევიწროვებული მონაკვეთის შუაში არის აღმართული და კეტავს ხეობას. ერთი მხრივ მას კლდის მასივი, მეორე მხრივ - ციცაბო ფლატე ეკვრის, რაც ციხე-სიმაგრეს მიუდგომელს და რთულად ასაღებს ხდის. ხულუტის ციხე ორბელიშვილ-ყაფლანიშვილების რეზიდენციას წარმოადგენდა. ორბელიანთა ამ შტოს ჩამოყალიბება XVII ს. პირველ ნახევარში ხდება. მათი პირველი რეზიდენციაც აქ უნდა ყოფილიყო.

2021 წელს დაიგეგმა ხულუტის ციხის რეაბილიტაცია. ამ პროექტის ფარგლებში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. სადაც შედიოდნენ - არქიტექტორ-რესტავრატორი (ნ. ინწკირველი), კონსტრუქტორი (ზ. გაჩეჩილაძე), არქეოლოგი (ქ. დიდმელაშვილი) და ხელოვნებათმცოდნე. სახელოვნებათმცოდნეო კვლევა ჩემს მიერ იყო შესრულებული.

კვლევის შედეგად შესწავლილი იყო როგორც ციხის მეპატრონეებისა და დამკვეთების - ორბელიანების ისტორია, ასევე უშუალოდ ციხე-სიმაგრის არქიტექტურა. გამოიკვეთა მისი

ღირებული, თარიღი და არქიტექტორ რესტავრატორისთვის შემუშავდა მისი აღდგენა-რეაბილიტაციისთვის საჭირო რეკომენდაციები.

ხულუტის ციხე, გვიანფეოდალური ხანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაგებობაა თითქმის სრულად შემორჩენილი გეგმარებით-კომპოზიციური სტრუქტურით. აქ დაცულია თავდაცვითი-საცხოვრებელი ნაგებობისთვის დამახასიათებელი ყველა სპეციფიური ელემენტი. მასში მკაფიოდ იკვეთება ფეოდალურ რეზიდენციასა და თავდაცვით ფუნქციის მქონე კომპლექსის, კერძოდ, ციხე დარბაზისათვის დამახასიათებელი ეპოქალური მოთხოვნები.

ხულუტის ციხის არაჩვეულებრივი ადგილმდებარეობა და რელიეფთან მორგება, სიახლოვე და მიუდგომლობა, მასშტაბურობა და გეგმარებით-კომპოზიციური სიმჭიდროვე განსაკუთრებულ ხიბლს სძენს მას და გარკვეულწილად აგების დროსაც მიუთითებს. აღსანიშნავია, რომ ციხისათვის ადგილის შერჩევა და გეგმარებითი სტრუქტურაც აახლოვებს მას XVII ს. დასაწყისის ნიმუშებთან.

3. სლესის (მოქცევის) ციხე (სახელოვნებათმცოდნეო კვლევა), 2021

შემსრულებელი:

ირინე ელიზბარაშვილი

სლესის (მოქცევის) ციხე-სიმაგრე ისტორიული თორისა და სამცხის საზღვარზე მდებარე მნიშვნელოვანი საფორტიფიკაციო ნაგებობაა. გეოგრაფიული მდებარეობისა და რეგიონში არსებულ რთული ისტორიული ვითარების გამო საუკუნეთა მანძილზე მას განსაკუთრებული სტრატეგიული და ისტორიული მნიშვნელობა ენიჭებოდა. დღემდე სლესის ციხი არც არქეოლოგიურად და არც არქიტექტურის თვალსაზრისით შესწავლილი არ ყოფილა.

2021 წელს, ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტოს დაკვეთით, დაიწყო გაწმენდითი და კვლევითი სამუშაოები სლესის (მოქცევის) ციხეზე. მრავალდისტიპლინარულ კვლევით ჯგუფში ჩემს გარდა (სახელოვნებათმცოდნეო კვლევა) შედიოდნენ არქიტექტორ-რესტავრატორი ნანა ინწირველი და არქეოლოგი ქეთევან დიდმელაშვილი. პროექტის მიზანს ძეგლის აღდგენა-გამაგრება წარმოადგენდა.

არქეოლოგიურმა გაწმენდითმა სამუშაოებმა გამოავლინა ციხის გეგმის კომპოზიცია და ცალკეული დეტალები. ფუნდამენტური კვლევის შედეგად შესაძლებელი გახდა ციხე-სიმაგრის დათარიღება, მისი ისტორიულ-მხატვრული ღირებულების შეფასება და არქიტექტორ-რესტავრატორისთვის ძეგლის რეაბილიტაციისთვის მორგებული მეთოდის შემუშავებაში რეკომენდაციების შემოთავაზება. შესრულებული კვლევა საფუძვლად დაედო ძეგლის აღდგენა-გამაგრების პროექტს.

სლესის ციხე შუასაუკუნეების ქართული საფორტიფიკაციო ნაგებობების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიმუშია. ორ ბორცვზე განთავსებული, რელიეფს შესანიშნავად მორგებული მისი ტალღოვანი კედლები შეკრულ, კომპაქტურ კომპოზიციას ქმნის. მისი ღირებულება განისაზღვრება როგორც ისტორიული ასევე მხატვრული თვალსაზრისით. სლესის ციხის

რეაბილიტაციით შუასაუკუნეების სათავდაცვო ხუროთმოძღვრების უმნიშვნელოვანესი ძეგლი დანგრევა-განადგურებას გადაურჩება.

4.სოფ. ვანისჭალის ქვა-საყუდარის რეაბილიტაცია. ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული და სახელოვნებათმცოდნეო კვლევა. სახელოვნებათმცოდნეო კვლევა, 2020 – 2021

შემსრულებელი:

გიორგი ჭანიშვილი

ვანის ქვა-საყუდარი ლეჩხუმის მნიშვნელოვანი საეკლესიო ნაგებობაა სახასიათო ხუროთმოძღვრული ნიშნებით. აქვს სხვადასხვა სამშენებლო ფენები და შეიცავს მრავალ არტეფაქტს.

მდებარეობს რიონის ხეობაში, ხვამლის მთის ძირში. კლდის მასივიდან მოწყვეტილ, ოვალური ფორმის 6-7მ-ის სიმაღლის და 16X18მ სირძე-სიგანის დიდ ლოდზე აგებული იყო ორნავიანი დარბაზული ეკლესია (7.94X8.20მ) და დრომოსიანი კრიპტა აკლდამებით, რომელთა ნანგრევებია შემორჩენილი. გამოყენებულია კირქვის და შირიმის სხვადასხვა ზომის და დამუშავების ქვები კირის დუღაბზე. ქვა-საყუდარში შესასვლელი მისადგმელ კიბიანი კარი დატანილია ჩრდ. ნაწილში შემორჩენილი გალავნის ნაშთის ცენტრში.

შესწავლის და აღდგენის ისტორია – ქართულ წყაროებში ცნობა ვანის ქვა-საყუდარის შესახებ არ მოგვეპოვება.

2020წ ჩატარდა სადაზვერვო არქეოლოგიური სამუშაოები. ამასთან ერთად ჩატარდა არქიტექტურული აზომვები. ამჟამად (2021წ.) საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ნებართვით მიმდინარეობდა და დასრულდა ქვა-საყუდარის კვლევითი-საფიქსაციო სამუშაოები და რეაბილიტაცია-კონსერვაციის პროექტის დამუშავება. არქიტექტორ-რესტავრატორები მ. გელაშვილი, ნ. ზაზუნაშვილი, არქეოლოგები: ქ. დიდმელაშვილი, ს. კვანტალიანი, კონსტრუქტორი – ნ. ფაჩუაშვილი, ტოპოგრაფი – ნ. მოდებაძე, არქიტექტურის ისტორიკოსი – გ. ჭანიშვილი.

სამშენებლო ფენები – კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სამი ძირითადი ქრონოლოგიური ფენა გაირჩევა. უადრესი ბირთვი უნდა იყოს თავდაპირველი დარბაზული ეკლესია. II ფენას უნდა შეადგენდეს ორნავიანი ეკლესია კრიპტით სამხრეთ ნაწილში. III სამშენებლო ფენას კი, წარმოადგენს მცირე დარბაზული ეკლესიის კედლები დაშენებული ორნავიანი ეკლესიის ჩრდილოეთი ნავის ნანგრევის აღმოსავლეთ მონაკვეთზე. ბოლოს ნაეკლესიარი სამაროვნად იქცა.

დათარიღება – დათარიღება ჯერ მხოლოდ მიახლოებითი შეიძლება იყოს წყობის ხასიათისა და არქეოლოგიური სტრატეგრაფიის გათვალისწინებით. I ფენა ზედა ზღვართ – Xს; II ფენა – განვითარებული ფეოდალური ხანა. III ფენა – გვიანი შუა საუკუნეების I ნახევარი. სამაროვნი – გვიანი შუა საუკუნეები.

რეგიონში ამგვარი ნაგებობებია კაცხის სვეტი და ჭველიერის ლოდზე შემოშენებული კოშკი-გამოქვაბული ლეჩხუმში, რომელიც ასევე 2020 წელს აღირიცხა არქიტექტურულ ძეგლად. ვანის ქვა-საყუდარი საინტერესოა მხატვრულ-არქიტექტურულად. იგი გვევლინება ამ

ტიპის საეკლესიო არქიტექტურის სანიმუშო ხარისხის ნაგებობად. მას აქვს სხვადასხვა ეპოქისათვის დამახასიათებელი სტილისტური და გეგმარებით-კონსტრუქციული ელემენტები, რაც საინტერესოა თანადროული ხუროთმოძღვრების სახის წარმოსაჩენად.

შეფასება – ვანის ქვა-საყუდარი ქართული საეკლესიო არქიტექტურის ერთ-ერთი საინტერესო ძეგლია. მას გააჩნია მნიშვნელოვანი ისტორიული მახასიათებლები. იგი ემსგავსება ასეთივე ტიპის ნაგებობებს და მჭიდროდ არის დაკავშირებული განვითარებული ფეოდალური ხანის ეპოქის ისტორიასთან.

5. ბოლნისის სიონის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაცია, ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული და სახელოვნებათმცოდნეო კვლევა. სახელოვნებათმცოდნეო კვლევა, 2021

შემსრულებელი:

გიორგი ჭანიშვილი

ბოლნისის სიონის მოკლე აღწერა – ბოლნისის სიონის სამონასტრო კომპლექსი საქართველოს ერთ-ერთი უძველესი მრავალმხრივი და მრავალფენოვანი ძეგლია თავისი ისტორიით, არქიტექტურით, რელიეფური კვეთილობით, კედლის მხატვრობით, ეპიგრაფიკული წარწერებით და არქეოლოგიით.

ეს არის ბოლნური ტუფის თლილი კვადრებით აგებული, ორქანობიანი ერთიანი გადახურვის ქვეშ მოქცეული მოზრდილი სამნავიანი ბაზილიკა შვერილი, ნახევარწრიული აფსიდით და დამატებითი ცალქანობიანი თაღებიანი ნაგებობით ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან (საერთო გარეთა ზომები: 27.8X24.5მ. შვერილი აფსიდის ჩათვლით). VIII-ში აღმოსავლეთ ფასადზე, აფსიდის ჩრდილოეთით მიშენდა მართკუთხა სამლოცველო ქვედა კრიპტით, შესასვლელით ტაძრის შიდა ჩრდილოეთი ნავიდან. XVIII-ში დაზიანებული ბაზილიკის ზედა ნაწილი, კამარები და მთელი გადახურვა, ხელახლა ააშენეს აგურის წყობით. იმავე დროს ეკლესიის შუა ნავში გაიჭრა დამატებითი შეისრულთაღოვანი კარი დასავლეთიდან. ეკლესიის ეზოს ამჟამად ირგვლივ შემოფარგლავს ქვის წყობის, თავისუფალი გეომეტრიული ფორმის ახალი ზღუდე, ჭიშკრით დასავლეთიდან. თავდაპირველი გალავანი კი, რომლისგან მხოლოდ კედლის ნანგრევებია შემორჩენილი ეკლესიიდან უფრო ახლოს იყო გამართული და მის ღერძზე, გალავნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში აღმართული იყო ორსართულიანი კოშკი კარიბჭეთი I სართულზე. 1678-1688 წლებში ორქანობიან კოშკზე დააშენეს ფანჯატურიანი სამრეკლო. ბაზილიკამ XX საუკუნემდე ძალიან დაზიანებული სახით მოადგია. მონგრეული იყო ჩრდილოეთი გარეთა თაღებიანი ნავი. დაზიანებული იყო ასევე სამხრეთი გარეთა ნავი და ეკლესიის გადახურვა. 1937 წელს ტაძარი ნაწილობრივ შეკეთდა. მეთოდური რეაბილიტაცია კი, დაიწყო 1960-იანი წლების ბოლოს და გრძელდებოდა 1980-იანი წლების დასაწყისშიც.

ეკლესია აგებულია ბოლნური ტუფის მოყავისფრო და მომწვანო კვადრებით კირის ხსნარზე. ფასადები ძუნწადაა მორთული და შემკულობის ერთადერთ მოტივს წარმოადგენს სარკმლების თავსართების რელიეფები და წარწერები. მხატვრული აღქმა კომპენსირებულია მათი ცხოველხატული წყობითა და ფერით.

ამჟამად მუშავდება. სარეაბილიტაციო პროექტი, არქიტექტორ-რესტავრატორები: მ. გელაშვილი და მ. სულხანიშვილი, კონსტრუქტორი დ. რამიშვილი, ინჟინერ-გეოლოგი გ. ბიძინაშვილი, საკონსერვაციო კვლევა: ს. მიქაბერიძე, მ. კავსაძე, თ. ლილუაშვილი, თ. ბაბუციძე, დ. ლაბაძე, დ. მაღლაკელიძე, კონსულტანტი ნ. კუპრაშვილი, არქეოლოგები: გ. ყიფიანი, მ. მშვილდაძე, გ. ბურჯანაძე, გ. ბერიძე, შ. ქალდანი, არქიტექტურის ისტორიკოსი გ. ჭანიშვილი; კვლევის რეკომენდაციებით განსაზღვრულია იატაკის დონის დაწევა ეკლესიის ინტერიერში, თავდაპირველი გალავნის ნაწილობრივი აღდგენა და სამრეკლოს პირველი სართულის კარიბჭის გახსნა.

შეფასება – ნაგებობაზე ამოკვეთილი ასომთავრული წარწერა ერთ-ერთი უადრესია საქართველოში შემორჩენილ წარწერათა შორის. ეკლესია ქართული საეკლესიო არქიტექტურის ერთ-ერთი გამორჩეული ძეგლია. თავისი სტრუქტურით ეს ნაგებობა საინტერესოა, როგორც ადრე შუა საუკუნეების სამშენებლო ხელოვნების ერთ-ერთი ეტაპის ამსახველი რეალობა. ტაძარი თავისი გეგმარებით, მოცულობითი სტრუქტურით და დეკორით შემკული ინტერიერით, ქარისტიანული კულტურის ერთ-ერთ სანიმუშო ნაგებობას წარმოადგენს.

6. სახელოვნებათმცოდნეო დასკვნების და რეკომენდაციების მომზადება საქართველოს ძველი ქალაქების მუნიციპალიტეტებში, არქიტექტურული ძეგლების დაცვითი ზონების არეალში ახალმშენებლობასთან დაკავშირებით (37 დასკვნა)

შემსრულებელი:

გიორგი ჭანიშვილი

7. სახელოვნებათმცოდნეო კვლევების და რეკომენდაციების მომზადება საქართველოს არქიტექტურული ძეგლების რესტავრაციის პროცესში (9 კვლევა)

თბილისი, უზენაესი სასამართლოს შენობა; თბილისი, ერეკლეს (გულოს) აბანო; თბილისი, ლიტერეტურის მუზეუმი; თბილისი, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი; თბილისი, მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმი; ციხისძირი, ყოფ აგარაკი, ყოფ. რუს. სკოლა; უჯარმის ციხე-ქალაქი, V კოშკი; სოფ. მარანი, კულ. სახლი; გორი, ძველი ხიდი.

შემსრულებელი:

გიორგი ჭანიშვილი

8. ქ. მცხეთის სივრცით-ტერიტორიული განვითარების მართვის დოკუმენტაცია, სახელოვნებათმცოდნეო კვლევა, 2019- მიმდინარე

შემსრულებელი:

ქეთევან აბაშიძე

დონორი ორგანიზაცია:

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

სამეცნიერო საბჭოებში, სარედაქციო კოლეგიებსა და ა.შ. საქმიანობა

1. მარიამ დიდებულიძე

გ. ჩუბინაშვილის ცენტრი, სამეცნიერო საბჭო, საბჭოს წევრი
საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ხუროთმოძღვრების, ხელოვნების და
რესტავრაციის სამეცნიერო საბჭო, საბჭოს წევრი
„პატრისტიკული კვლევების საერთაშორისო ასოციაცია“ წევრი(AIEP-IAPS)
Academia Europaea-ს თბილისის რეგიონული ცენტრი, სამეცნიერო საბჭოს წევრი

2. მარინე ბულია

გ. ჩუბინაშვილის ცენტრი, სამეცნიერო საბჭო, საბჭოს წევრი
აპ. ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
ჟურნალის ACADEMIA, მთავარი რედაქტორი
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
მონუმენტური სახვითი ხელოვნების სექციის სამეცნიერო-მეთოდური საბჭო,
საბჭოს წევრი
კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
საერთაშორისო ინტერნეტ ჟურნალის „ამირანი“ სარედაქციო საბჭოს წევრი

3. ციცინო ჩაჩხუნაშვილი

გ. ჩუბინაშვილის ცენტრი, სამეცნიერო საბჭო, საბჭოს წევრი
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
შუა საუკუნეების კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლთა საბჭო, საბჭოს წევრი
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
საქართველოს მსოფლიო მემკვიდრეობის დაცვის საბჭო, საბჭოს წევრი
ძეგლებისა და ღირშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭოს (ICOMOS)
ეროვნული კომიტეტი (იკომოს საქართველო)
იკომოს საქართველოს ეროვნული კომიტეტის მეთოდური საბჭო, საბჭოს წევრი

4. გიორგი ჭანიშვილი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს სტრატეგიული საკითხების სექცია,
საბჭოს წევრი
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო კულტურული მემკვიდრეობის დამცავი
ზონების სექცია, საბჭოს წევრი
საქართველოს საპატრიარქო
საქართველოს საპატრიარქოს ქრისტიანული ხუროთმოძღვრების, ხელოვნების,
რესტავრაციის ცენტრის საბჭო, საბჭოს წევრი

5. მარინე ყენია
გ. ჩუბინაშვილის ცენტრი, სამეცნიერო საბჭო, საბჭოს წევრი
გ. ჩუბინაშვილის ცენტრი, ჟურნალი საქართველოს სიძველენი, სარედაქციო ჯგუფის წევრი
6. ნატალია ჩიტიშვილი
გ. ჩუბინაშვილის ცენტრი, ჟურნალი საქართველოს სიძველენი, სარედაქციო ჯგუფის წევრი
7. ქეთევან აბაშიძე
საქართველოს საპატრიარქო
ხუროთმოძღვრების, სახვითი ხელოვნების და რესტავრაციის ცენტრის სამეცნიერო-მეთოდოლოგიური საბჭო, საბჭოს წევრი
შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი, საგანძურის აღმწერი კომისია, კომისიის წევრი.
8. მზია ჯანჯალია
გ. ჩუბინაშვილის ცენტრი, სამეცნიერო საბჭო, საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
მონუმენტური სახვითი ხელოვნების სექციის სამეცნიერო-მეთოდური საბჭო, საბჭოს წევრი
აპ.ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, სამეცნიერო საბჭო, საბჭოს წევრი
9. თამარ ხუნდაძე
გ. ჩუბინაშვილის ცენტრი, სამეცნიერო საბჭო, საბჭოს წევრი
თსსა, აკადემიური საბჭო, საბჭოს წევრი
თსსა, რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი, სამეცნიერო საბჭო, საბჭოს წევრი.
თანამედროვე ქანდაკების ფორუმის - „ქანდაკება Covid 19 პანდემიის დროს“ (2021 წლის 15-19 ოქტომბერი, თბილისი) - ფარგლებში მოწყობილი გამოფენა-კონკურსის მონაწილეთა ნამუშევრების შეფასების კომისია, კომისიის წევრი.
10. მანანა სურამელაშვილი
გ. ჩუბინაშვილის ცენტრი, სამეცნიერო საბჭო, საბჭოს წევრი
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
დამცავი ზონებისა და ურბანული მემკვიდრეობის სექციის საბჭო, საბჭოს წევრი
11. ეთერ ედიშერაშვილი
საერთაშორისო კვლევითი ჯგუფი "IUS ILLUMINATUM", ჯგუფის წევრი.

12. მარიამ გაჩეჩილაძე

გ. ჩუბინაშვილის ცენტრი, სამეცნიერო საბჭო, საბჭოს წევრი

გ. ჩუბინაშვილის ცენტრი, ელექტრონული ჟურნალი „Ars Georgica“, სერია B
georgianart.ge, პასუხისმგებელი მდივანი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო,
კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლის სტატუსის მიმნიჭებელი კომისია,
კომისიის თავმჯდომარე

13. მარინა მეძმარიაშვილი

გ. ჩუბინაშვილის ცენტრი, სამეცნიერო საბჭო, საბჭოს წევრი

გ. ჩუბინაშვილის ცენტრი, ელექტრონული ჟურნალი „Ars Georgica“, სერია B
georgianart.ge სარედაქციო საბჭოს წევრი

14. ელენე თუმანიშვილი

გ. ჩუბინაშვილის ცენტრი, სამეცნიერო საბჭო, საბჭოს წევრი

გ. ჩუბინაშვილის ცენტრი, ელექტრონული ჟურნალი „Ars Georgica“, სერია B
georgianart.ge რედაქტორი

15. მაია მანია

გ. ჩუბინაშვილის ცენტრი, სამეცნიერო საბჭო, საბჭოს წევრი

გ. ჩუბინაშვილის ცენტრი, ელექტრონული ჟურნალი „Ars Georgica“, სერია B
georgianart.ge სარედაქციო საბჭოს წევრი

National Trust of Georgia, საქართველოს ეროვნული ფონდი, თანადამფუძნებელი

16. თეა ტაბატაძე

გ. ჩუბინაშვილის ცენტრი, ელექტრონული ჟურნალი „Ars Georgica“, სერია B
georgianart.ge ლიტერატურული რედაქტორი

17. მარიანა ოკლეი

გ. ჩუბინაშვილის ცენტრი, სამეცნიერო საბჭო, საბჭოს წევრი

OISTAT (International Organisation of Scenographers, Theatre Architects and Technicians),
ორგანიზაციის წევრი

ICOMOS (International Council of Monuments and Sites), საბჭოს წევრი

18. ქეთევან მიქელაძე

გ. ჩუბინაშვილის ცენტრი, სამეცნიერო საბჭო, საბჭოს წევრი

19. დავით ხოშტარია

გ. ჩუბინაშვილის ცენტრი, სამეცნიერო საბჭო, საბჭოს წევრი

20. კიტი მაჩაბელი

გ. ჩუბინაშვილის ცენტრი, სამეცნიერო საბჭო, საბჭოს წევრი

21. ლეილა ხუსკივაძე

გ. ჩუბინაშვილის ცენტრი, სამეცნიერო საბჭო, საბჭოს წევრი

22. გიორგი პაპაშვილი

საერთაშორისო დელფიური [სახელოვნებო] საბჭო, ამფიქტიონი (აღმასრულებელი საბჭო) საბჭოს წევრი

23. სამსონ ლეჟავა

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, ჟურნალი ძველი ხელოვნება დღეს, რედკოლეგიის წევრი

გ. ჩუბინაშვილის ცენტრი, სამეცნიერო საბჭო, საბჭოს წევრი

პედაგოგიური საქმიანობა

1. მაია მანია

აპ. ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, ასოცირებული პროფესორი

ქართული ქალაქური არქიტექტურა (საბაკალავრო კურსი); ხელოვნების სინთეზის თეორია (სამაგისტრო კურსი)

2. მარიანა ოკლეი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრა, მიწვეული პედაგოგი

იმპრესიონიზმი და პოსტიმპრესიონიზმი (საბაკალავრო კურსი); მსოფლიო სცენოგრაფიის ისტორია. მიმართულებები და ტენდენციები (სამაგისტრო კურსი)

თბილისის შოთა რუსთაველის სახ. თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი, მიწვეული პედაგოგი

თეატრალურ-დეკორაციული მხატვრობის ისტორია (სამაგისტრო კურსი)

3. ირინე ელიზბარაშვილი

აპ. ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, ასოცირებული პროფესორი

გვიანფეოდალური ხანის ქართული ხუროთმოძღვრება (საბაკალავრო კურსი); რესტავრაციის საფუძვლები; დოკუმენტაციის შედგენა (საბაკალავრო და სამაგისტრო კურსები)

4. მარიამ დიდებულიძე

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

შუა საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობა (საბაკალავრო კურსი); შუა საუკუნეების სახვითი ხელოვნება (წიგნის დასურათება, ჭედურობა, ქვის რელიეფი, ფერწერული ხატები) (სამაგისტრო კურსი)

თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია, მიწვეული პედაგოგი

ბიზანტიური მხატვრობის ისტორია (საბაკალავრო კურსი)

5. მარინე ყენია

აპ. ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია მიწვეული პედაგოგი ქრისტიანული ხელოვნების იკონოგრაფიის საფუძვლები - ახალი აღთქმის იკონოგრაფია (საბაკალავრო კურსი); ქრისტიანული ხელოვნების იკონოგრაფიის საფუძვლები - ძველი აღთქმის იკონოგრაფია; წმინდანთა იკონოგრაფია (საბაკალავრო კურსი); სვანური ფერწერული სკოლა და ფერწერულ სკოლათა ურთიერთმიმართება შუა საუკუნეების საქართველოში (სამაგისტრო კურსი); მართლმადიდებელი საეკლესიო ხელოვნების იკონოგრაფია (სამაგისტრო კურსი)

6. მარიამ გაბაშვილი

საქართველოს უნივერსიტეტი, მიწვეული პედაგოგი

ახლო აღმოსავლეთის ხელოვნება და კულტურა (პრეისტორიული კულტურებიდან ისლამამდე) (საბაკალავრო კურსი)

7. დავით ხოშტარია

აპ. ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, მიწვეული პედაგოგი

ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია (უძველესი დროიდან გარდამავალ ხანამდე) (საბაკალავრო კურსი); საკურსო (სამაგისტრო კურსი)

8. მზია ჩიხრაძე

თავისუფალი უნივერსიტეტი, მიწვეული პედაგოგი

რენესანსის ხელოვნება (საბაკალავრო კურსი); მოდერნიზმი (საბაკალავრო კურსი)

9. თამაზ გერსამია

აპ. ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, მიწვეული პედაგოგი

ქალაქგეგმარების ისტორია; საქართველოს ქალაქების ქალაქგეგმარება; არქიტექტურის ძეგლის ადაპტაცია

10. თამარ ხუნდაძე

აპ. ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, ასოცირებული პროფესორი

ბიზანტიის და დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ხელოვნების ისტორია (საბაკალავრო კურსი); შუა საუკუნეების ქართული რელიეფი (საბაკალავრო კურსი); ძველი ქართული ხელოვნების ისტორია (საბაკალავრო კურსი); აღმოსავლეთქრისტიანული რელიეფური ქანდაკება (სამაგისტრო კურსი)

11. მზია ჯანჯალია

აპ. ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, ასოცირებული პროფესორი

შუა საუკუნეების ქართული მხატვრობა - I (V-XIII სს) (საბაკალავრო, ძირითადი კურსი); შუა საუკუნეების ქართული მხატვრობა - II (XIV-XVIII სს) (საბაკალავრო, ძირითადი კურსი); შუა საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნების პრობლემები (სამაგისტრო, ძირითადი კურსი); შუა საუკუნეების ქართული მხატვრობა და ქრისტიანული სამყარო (სამაგისტრო, ძირითადი კურსი)

12. ნინო ჭოღოშვილი

აპ. ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, ასოცირებული პროფესორი

საკურატორო საქმე; პროექტის მენეჯმენტი - თეორია და პრაქტიკა (სამაგისტრო კურსი); ფოტოგრაფიის ისტორია (საბაკალავრო, ძირითადი კურსი); თანამედროვე ვიზუალური ხელოვნება (საბაკალავრო კურსი); XX საუკუნის დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ხელოვნება (მეორე მსოფლიო ომის შემდეგ) (საბაკალავრო კურსი)

ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მიწვეული პედაგოგი
თანამედროვე ვიზუალური ხელოვნება (სამაგისტრო კურსი)

13. ცისია კილაძე

თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია, მიწვეული პედაგოგი

ხელოვნების კვლევის მეთოდები

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი,
მიწვეული პედაგოგი
ხელოვნების კვლევის მეთოდები (საბაკალავრო კურსი)

14. თამარ ხოსროშვილი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ხელოვნების პედაგოგთა
ტრენერი

სახვითი და გამოყენებითი მასწავლებლების ტრენინგი „ახალი სკოლის“ მოდელის
ფარგლებში, ხელოვნების საგნობრივი ექსპერტი

სხვადასხვა ტრენინგ მოდული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლისთვის
სასულიერო აკადემია და სემინარია (მიწვეული პედაგოგი)

ბიზანტიური ხელოვნების ისტორია; ქართული შუა საუკუნეების მხატვრობა

15. ნინო ჭიჭინაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი

სხვადასხვა საბაკალავრო, და სამაგისტრო კურსები

16. ქეთევან აბაშიძე

თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია, მიწვეული პედაგოგი

ქართული ხელოვნების ისტორია, (საბაკალავრო კურსი); ქართული ხუროთმოძღვრების
ისტორია (საბაკალავრო კურსი)

თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიასთან არსებული საღვთისმეტყველო
ინსტიტუტი – ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობა, მიწვეული პედაგოგი

ხელოვნების ნაწარმოების მხატვრული ანალიზი (საბაკალავრო კურსი)

17. თეა ტაბატაძე

აპ. ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, უფროსი
მეცნიერთანამშრომელი

ქართული ხელოვნების ისტორია (საბაკალავრო კურსი); მსოფლიო ხელოვნების ისტორია
(საბაკალავრო კურსი); მოდერნიზმი საქართველოში (საბაკალავრო კურსი)

თავისუფალი უნივერსიტეტი, ხელოვნებისა და დიზაინის სკოლა, მიწვეული პედაგოგი
კრიტიკული აზროვნება ვიზუალურ ხელოვნებაში (საბაკალავრო კურსი); ხელოვნების
ისტორია (საბაკალავრო კურსი)

18. გოგი ხოშტარია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, მიწვეული პედაგოგი

პიკასო და მისი სამყარო (საბაკალავრო კურსი)

19. სამსონ ლეჟავა

აპ. ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, მეცნიერ-თანამშრომელი

ახალი დროის ევროპული ხელოვნება (XVII-XIX-ის I ნახ) (საბაკალავრო კურსი)

სასულიერო აკადემია, პროფესორი

XVIII- XX სს-ის ქართული ხელოვნების ისტორია

თსუ, პროფესორი

ვიზუალური ფოლკლორი

20. ასმათ ოქროპირიძე

თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიის საღვთისმეტყველო ინსტიტუტი, მიწვეული პედაგოგი

სახვითი ხელოვნების ანალიზი (საბაკალავრო კურსი); რენესანსი და ბაროკო (საბაკალავრო კურსი); ქრისტიანული სახისმეტყველების საკითხები (საბაკალავრო კურსი); ათორმეტი დღესასწაული იკონოგრაფია (სამაგისტრო კურსი)

ივ. ჯავახიშვილის თსუ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტი, მიწვეული პედაგოგი

ფერისა და სინათლის სიმბოლიკა არქიტექტურაში (სამაგისტრო კურსი)

21. თამარ ბელაშვილი

აპ. ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, ასისტენტ-პროფესორი

გამოსახულებიდან ობიექტამდე (საბაკალავრო კურსი); მსოფლიო ხელოვნების ისტორია (XIX-XX) (საბაკალავრო კურსი); კოსტუმის ისტორია (საბაკალავრო კურსი)

22. ეკატერინე გედევანიშვილი

თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია, მიწვეული პედაგოგი

ბიზანტიური მხატვრობის ისტორია

23. მარიამ გაჩეჩილაძე

აპ. ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, მიწვეული პედაგოგი

ქართული გრაფიკული ხელოვნების ჩასახვისა და განვითარების ისტორია (საბაკალავრო კურსი)

სასწავლო და საგანმანათლებლო საქმიანობა

1. მარიამ დიდებულიძე,

ყინცვისის წმ. ნიკოლოზის ტაძრის მოხატულობის ისტორიიდან (საჯარო ლექცია)

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

2021 წლის 29 ნოემბერი (zoom-ის პლატფორმა)

თამარის დროის კედლის მხატვრობები (ყინცვისის მოხატულობა) (საჯარო ლექცია)

ევროპული აკადემიის საქართველოს რეგიონალური კომიტეტი

2021 წლის 2 ივლისი (zoom-ის პლატფორმა)

2. ეთერ ედიშერაშვილი, ნინო ციციშვილი

გელათის მონასტრის გადახურვების რეაბილიტაციის ისტორია (პრეზენტაცია)

ონლაინ-ვებინარი "რა ხდება გელათში" (გელათის სამონასტრო კომპლექსში განვითარებული პროცესების შესახებ).

2021 წლის 31 მარტი

3. ეთერ ედიშერაშვილი

სასწავლო ვიზიტი აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის ხელოვნების ისტორიის მიმართულების ერასმუს + მობილობის გაცვლითი პროგრამის კონკურსის ფარგლებში ავსტრიის ქ. ლინცის კათოლიკური უნივერსიტეტში (Catholic Private University). 2021 წლის ოქტომბრიდან 2022 წლის იანვრის ჩათვლით.

4. ნანა ყიფიანი

ფრანგული სატელევიზიო არხი "ARTE". ფილმი "Georgia at Niko Pirosmani's Table" კონცეფციისა და ტექსტის თანაავტორი (01/10/2021)

<https://www.arte.tv/fr/videos/105750-001-A/la-georgie-a-la-table-de-niko-pirosmani/>

საზოგადოებრივი მაუწყებელი. ოთხსერიანი ფილმი „ქართული მოდერნიზმი“ (სამუშაო სათაური), კონსულტანტი

5. სამსონ ლეჟავა

ჰელიოტროპიკა - სემინარების ციკლი ხატმწერებისათვის საეკლესიო ხელოვნების მორფოლოგიის შესახებ. თბილისის სასულიერო სემინარიის - აკადემიის ხატწერის კაბინეტი
ლექცია: ნიკო ფიროსმანაშვილი და ხატწერის პრობლემები
2021 წლის სექტემბერი

პროექტი „ქანდაკება კოვიდ 19 პანდემიის დროს“. თანამედროვე ქანდაკების ფორუმი. თბილისის არქიტექტორთა და სკულპტორთა ასოციაცია (დამფინანსებელი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო და ქალაქ თბილისის მერია).
მოხსენება : თანამედროვე ქართული ქანდაკება - გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრების მიმოხილვა-ანალიზი.
მერაბ ბერძენიშვილის სახ. ცენტრი „მუზა“, 2021 წ-ის ოქტომბერი

6. ასმათ ოქროპირიძე

ჰელიოტროპიკა - სემინარების ციკლი ხატმწერებისათვის საეკლესიო ხელოვნების მორფოლოგიის შესახებ. თბილისის სასულიერო სემინარიის - აკადემიის ხატწერის კაბინეტი
2020 -2021წწ. დეკემბერი/იანვარი

მთარგმნელობითი და სარედაქციო-საგამომცემლო საქმიანობა

1. მარინე ყენია

დ. თუმანიშვილი, ქართული ხუროთმოძღვრების საკითხები. უძველესი დროიდან XX საუკუნის ჩათვლით
ტექსტის რედაქტირება და გამოსაცემად მომზადება
თინათინ ვირსალაძის ნაშრომი Роспись Бедиа , ტექსტის თარგმნა და რედაქტირება

2. ნატალია ჩიტიშვილი

Convivium Supplementum, Georgia as a Bridge Between Cultures, Dynamics of Artistic Exchange კრებულის თანარედაქტორი (მანუელა შტუდერ-კარლენთან და ტომას კაფენბერგერთან ერთად).

3. მანანა სურამელაშვილი, თამარ ხუნდაძე

გ. ჩუბინაშვილის ცენტრი, ჟურნალი საქართველოს სიძველენი #24
სტატიების რედაქტირება და ნომრის გამოსაცემად მომზადება

4. მარინე ბულია

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, ჟურნალი ACADEMIA #8-9, 2020-2021
სტატიების რედაქტირება და ნომრის გამოსაცემად მომზადება